

ევროპის საბჭო,
ევროპული სასამართლო
და საქართველო



საქართველოს ევროპული ინტეგრაცია
EUROPEAN POLITICAL PARTNERSHIP FOR HUMAN RIGHTS

ევროპის საბჭო,
ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა
ევროპული სასამართლო
და საქართველო

ავტორები:

ნანა კაკაბაძე
გელა ნიკოლაიშვილი
გია ტაბლიაშვილი
ლაშა ბლიაძე

გამოცემა გამოცემულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს
ფინანსური მხარდაჭერით

ევროპის ათმა სახელმწიფომ 1949 წელს დააფუძნა ევროპის საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და სამართლის უზენაესობის პატივისცემას მთელ ევროპაში. 1950 წელს ევროპის თორმეტმა სახელმწიფომ მიიღო ევროპული კონვენცია. ამ კონვენციის საფუძველზე, სახელმწიფოების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, 1959 წელს შეიქმნა საერთაშორისო სასამართლო, რომლის იურისდიქცია ვრცელდება კონვენციაზე ხელმომწერ სახელმწიფოებზე. ევროპული კონვენცია არის ევროპის საბჭოს ქვაკუთხედი და ნებისმიერმა სახელმწიფომ, რომელსაც სურს გახდეს ორგანიზაციის წევრი, ხელი უნდა მოაწეროს ევროპულ კონვენციას და მოახდინოს მისი რატიფიკაცია. ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს ეყრდნობიან ეროვნული სასამართლოები ევროპის კონტინენტზე და მის საზღვრებს მიღმაც.

ევროპის საბჭოს შექმნას საფუძვლად დაედო ომის დასრულების შემდეგ წარმოშობილი ერთიანი ევროპის შექმნის იდეა, რომელიც პირველად 1946 წლის 19 სექტემბერს გაახმოვანა ინგლისის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა უინსტონ ჩერჩილმა თავის ისტორიულ მიმართვაში ციურიხის სტუდენტებისადმი. „უნდა შევქმნათ ევროპის გაერთიანებული სახელმწიფოების მსგავსი სტრუქტურა“ - განაცხადა მან. ამას მოჰყვა ევროპის გაერთიანების მოძრაობა, რომელიც საერთაშორისო საკოორდინაციო კომიტეტის ჩამოყალიბება 1947 წელს. შემდეგი ნაბიჯი გადაიდგა 1948 წლის 7-10 მაისს, როცა პროევროპულმა მოძრაობებმა მასშტაბური კონგრესი ჩაატარეს ჰააგაში (ნიდერლანდები), სადაც საფუძველი ჩაეყარა მომავალ ერთიან ევროპას. კონგრესს, რომელსაც უინსტონ ჩერჩილი ხელმძღვანელობდა, ესწრებოდა ევროპის ქვეყნების 800 მოქალაქე და 30 ქვეყნის დელეგაცია. მათ შორის იყვნენ იმ სახელმწიფოების წარმომადგენლებიც, რომლებიც, სხვა რამდენიმე ქვეყანასთან ერთად, ევროპის საბჭოს დამფუძნებლებად ითვლებიან: გერმანია, ავსტრია, საბერძნეთი,

ისლანდია, ლიხტენშტეინი, შვეიცარია და თურქეთი. კონგრესს ესწრებოდნენ აგრეთვე დამკვირვებლები ბულგარეთიდან, უნგრეთიდან, პოლონეთიდან, იუგოსლავიიდან, შეერთებული შტატებიდან და კანადიდან. ამ ღონისძიებას, რომელზეც მთელი ევროპა იყო წარმოდგენილი, 250 ჟურნალისტი ამუშებდა.

1949 წლის 5 მაისს, ლონდონის ხელშეკრულების საფუძველზე, დაიბადა ევროპის საბჭო. ხელშეკრულებას ხელს აწერდა 10 ქვეყანა: ბელგია, დანია, საფრანგეთი, ირლანდია, იტალია, ლუქსემბურგი, ნიდერლანდები, ნორვეგია, შვედეთი და გაერთიანებული სამეფო. მინისტრთა კომიტეტი პირველად იმავე 1949 წლის 8 აგვისტოს შეიკრიბა სტრასბურგში. ახალ ორგანიზაციაში გასაწევრიანებლად მაშინვე მიიწვიეს საბერძნეთი, თურქეთი და ისლანდია. მათგან საბერძნეთი და თურქეთი მეორე დღესვე შეუერთდა ევროპის საბჭოს, ხოლო ისლანდია საბჭოში მეორე წელს, 1950 წლის 7 მარტს გაწევრიანდა. შემდეგ წლებში ევროპის საბჭოს წევრები გახდნენ: გერმანია (1950), ავსტრია (1956), კვიპროსი (1961), შვეიცარია (1963), მალტა (1965), პორტუგალია (1976), ესპანეთი (1977), ლიხტენშტეინი (1978), სან მარინო (1988), ფინეთი (1989), უნგრეთი (1990), პოლონეთი (1991), ბულგარეთი (1992), ესტონეთი, ლიტვა, სლოვენია, ჩეხეთის რესპუბლიკა, სლოვაკეთი, რუმინეთი (1993), ანდორა (1994), ლატვია, ალბანეთი, მოლდოვა, უკრაინა, “იუგოსლავიის ყოფილი რესპუბლიკა მაკედონია” (1995), რუსეთის ფედერაცია და ხორვატია (1996), საქართველო (1999), სომხეთი, აზერბაიჯანი (2001), ბოსნია და ჰერცეგოვინა (2002), სერბია (2003), მონაკო (2004) და მონტენეგრო (2007).

ევროპის საბჭოს სათაო ოფისი მდებარეობს ელზასის მხარის ქალაქ სტრასბურგში, რომელიც დღეს საფრანგეთის შემადგენლობაშია. ქ. სტრასბურგის არჩევა ევროპის საბჭოს ცენტრად იყო ერნესტ ბევინის (1945-1951 წლებში ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მდივნის) ინიციატივა. საქ-

მე ისაა, რომ ელზასის მხარე გერმანიასა და საფრანგეთს შორის ისტორიულად მუდმივი დაპირისპირების რეგიონს წარმოადგენდა. ამიტომ ევროპის საბჭოს შტაბ-ბინის ადგილად ელზასის დედაქალაქის, სტრასბურგის არჩევის იდეა მდგომარეობდა იმაში, რომ ეს ფაქტი განასახიერებდა საფრანგეთისა და გერმანიის შერიგების სიმბოლოს.

დღეს ევროპის საბჭო აერთიანებს 47 წევრ ქვეყანას. ის დაფუძნდა ევროპაში დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის დაცვის მიზნით. ევროპის საბჭოს წევრი ყველა ქვეყანა თანახმაა, დაექვემდებაროს მონიტორინგის დამოუკიდებელ მექანიზმებს, რომლებიც წევრ ქვეყნებში ადამიანის უფლებების დაცვისა და დემოკრატიის მდგომარეობას აფასებენ. წევრი ქვეყნების გარდა, ევროპის საბჭოს დამკვირვებლის სტატუსით სარგებლობს 5 ქვეყანა: კანადა, წმინდა საყდარი (ვატიკანი), იაპონია, მექსიკა და ამერიკის შეერთებული შტატები.

ევროპის საბჭო მხარს უჭერს გამოხატვისა და მედიის თავისუფლებას, შეკრების თავისუფლებას, თანასწორობას, უმცირესობათა დაცვას და ა. შ. ევროპის საბჭოს ინიციატივით განხორციელდა კამპანიები ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ბავშვთა უფლებები, სიძულვილის ენა ინტერნეტ სივრცეში, უმცირესობის უფლებები. ევროპის საბჭო ეხმარება წევრ ქვეყნებს კორუფციასთან და ტერორიზმთან ბრძოლაში და შესაბამისი რეფორმების განხორციელებაში. საბჭოს კონსტიტუციური ექსპერტების ჯგუფი, რომელიც „ვენეციის კომისიის“ სახელითაა ცნობილი, წევრ ქვეყნებს კონსულტაციას სთავაზობს საკანონმდებლო საკითხებზე.

ევროპის საბჭომ წამყვანი როლი შეასრულა სასჯელის უკიდურესი ზომის გაუქმებისთვის ბრძოლაში. ევროპის საბჭოს პრინციპების თანახმად, სიკვდილით დასჯა სრულიად დაუშვებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში. 1983 წლის აპრილში ევროპის საბჭომ მიიღო ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის №6 ოქმი, რომლითაც გაუქმდა სიკვდილით დასჯა. შემდეგი ნაბიჯი იყო 2002

წლის მაისში №13 ოქმის მიღება, რომელიც გულისხმობს სიკვდილით დასჯის უპირობო გაუქმებას, ნებისმიერი გარემოების მიუხედავად.

ევროპის საბჭომ სიკვდილით დასჯის გაუქმება საბჭოს წევრობის სავალდებულო წინაპირობად გამოაცხადა. 1997 წლის შემდეგ ორგანიზაციის წევრ 47 ქვეყანაში სასჯელის უმაღლესი ზომა აღარ გამოუყენებიათ.

საქართველოში სიკვდილით დასჯის გაუქმება საკმაოდ რთული და გრძელი პროცესი იყო. მე-20 საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 13 მუხლი ითვალისწინებდა სიკვდილით დასჯას სხვადასხვა სიმძიმის დანაშაულისთვის. იმ დროს საქართველოში საზოგადოებრივი აზრი სიკვდილით დასჯის მომხრე იყო. არასამთავრობო ორგანიზაციებმა, თავისუფალმა პრესამ და პოლიტიკოსთა გარკვეულმა ნაწილმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს საზოგადოებრივი აზრის შემობრუნებაში სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ. მათი ძალისხმევით საქართველოში ეტაპობრივად იქნა მიღწეული საზოგადოებრივი კონსენსუსი სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ. თავდაპირველად გამოცხადდა მორატორიუმი. სასამართლოებს კვლავ გამოჰქონდათ სიკვდილით დასჯის განაჩენები, მაგრამ მათი აღსრულება არ ხდებოდა. ასეთი მდგომარეობა იყო 1995 და 1996 წლებში. 1996 წლის 12 ოქტომბერს არასამთავრობო ორგანიზაციათა ჯგუფმა დააარსა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ ბრძოლის საკოორდინაციო ცენტრი, რომელსაც მრავალი სხვა არასამთავრობო ორგანიზაციაც შეუერთდა. რამდენიმე თვეში ცენტრმა საქართველოში წამოიწყო სიკვდილით დასჯის საწინააღმდეგო მასშტაბური საგანმანათლებლო კამპანია. მან მოაწყო სხვადასხვა ღონისძიება, პრეს-კონფერენციები, დაბეჭდა სტატიები, გამოვიდა რადიოთი და ტელევიზიით. ამ კამპანიას მას-მედიის წარმომადგენლებმაც აქტიურად აუბეს მხარი. ასეთი აქტივობების პირველი წარმატება იმ მუხლების შემცირება იყო, რომლებიც სიკვდილით დასჯას ითვალისწინებდნენ - 1996 წლის მიწურულს 13 მუხლიდან

დატოვებული იქნა მხოლოდ ოთხი. ამავე პერიოდში გამოცხადდა მორატორიუმი სიკვდილით დასჯაზე. ამის შემდეგ იგივე ორგანიზაციები და კერძო პირები მთელი წლის განმავლობაში ატარებდნენ კამპანიას იმ კანონის სრულად და საბოლოოდ გასაუქმებლად, რომელიც საქართველოში სიკვდილით დასჯას ითვალისწინებდა. მათი აქტიურობის მნიშვნელოვანი შედეგი იყო ის, რომ თუ 1995 წლის ბოლოს და 1996 წლის დასაწყისში, მთელი ქვეყნის მასშტაბით გამართული კამპანიის წამოწყებისას, მოსახლეობის მხოლოდ 10-20 პროცენტი გამოდიოდა სასჯელის ამ განსაკუთრებული ზომის წინააღმდეგ, 1997 წლის მიწურულს, საზოგადოებრივი აზრის გამოკვლევის თანახმად, ასეთ ადამიანთა რაოდენობამ 50-55 პროცენტს მიაღწია. 1997 წლის 11 ნოემბერს პარლამენტმა საბოლოოდ გააუქმა სიკვდილით დასჯა. საქართველო მეორე პოსტსაბჭოთა - ქვეყანა იყო (მოლდოვას შემდეგ), რომელმაც წერტილი დაუსვა სასჯელის ამ განსაკუთრებული ზომის გამოყენებას.

როგორც აღვნიშნეთ, ევროპის საბჭოს ინიციატივით 1959 წელს შეიქმნა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული სასამართლო, რომლის იურისდიქცია ვრცელდება ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებზე, ანუ მისი გადაწყვეტილებები სავალდებულოა ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნებისთვის და იწვევს მთავრობების მიერ მათი კანონმდებლობისა და ადმინისტრაციული პრაქტიკის ცვლილებას მრავალ სფეროში. სასამართლოს პრაქტიკა კონვენციას ძლიერ ცოცხალ ორგანიზმად აქცევს, რომელიც მზადაა შეხვდეს ახალ გამოწვევებს და მოახდინოს კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის კონსოლიდაცია ევროპაში.

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპული სასამართლო სტრასბურგში იმ შენობაში მდებარეობს, რომელიც ბრიტანელი არქიტექტორის ლორდ რიჩარდ როჯერსის მიერ 1994 წელს იქნა დაპროექტებული. შენობა ცნობილია მთელ მსოფლიოში. სწორედ ამ შენობიდან ხდება 800 მილიონი ევროპელის უფლებების პატი-

ვისცემაზე ზედამხედველობა სასამართლოს მიერ, რომლებიც ევროპის საბჭოს იმ 47 წევრი ქვეყნის მოქალაქეები არიან, რომელთაც რატიფიცირებული აქვთ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია.

1950 წლის 4 ნოემბერს რომში ხელმოწერილი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია პირველი აქტია, რომელიც სავალდებულო ძალას სძენს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით გათვალისწინებულ უფლებებს. იგი ადგენს აბსოლუტურ უფლებებს, რომელთა შეზღუდვის უფლებაც სახელმწიფოებს არ აქვთ. ეს უფლებაა, მაგალითად, წამების აკრძალვა. კონვენცია ასევე ითვალისწინებს გარკვეულ უფლებებსა და თავისუფლებებს, რომელთა შეზღუდვაც დაშვებულია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, როდესაც ეს აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, მაგალითად, თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება და პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება. როგორც აღვნიშნეთ, დამატებითი ოქმების მიღებით, თავდაპირველ ტექსტს დაემატა მრავალი უფლება, კერძოდ, სიკვდილით დასჯის აკრძალვა, საკუთრების დაცვა, თავისუფალი არჩევნების უფლება, გადაადგილების თავისუფლება და ა. შ.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ევროპის საბჭოს სასამართლო ორგანო, განიხილავს კერძო პირების განაცხადებს ქვეყნის ხელისუფლების წინააღმდეგ და აგრეთვე სახელმწიფოთაშორის განაცხადებს, როდესაც საჩივარი შეტანილია კონვენციის ერთი ხელშემკვრელი სახელმწიფოს მიერ მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს წინააღმდეგ. ამჟამად, 47-მა ქვეყანამ აიღო ვალდებულება, უზრუნველყოს ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა არა მხოლოდ თავისი მოქალაქეებისთვის, არამედ ყველასთვის თავისი იურისდიქციის ფარგლებში, თუნდაც არაევროპელებისათვის.

1959 წელს დაარსებიდან დღემდე ევროპულმა სასამართლომ დაახლოებით 1 მილიონზე მეტი განაცხადი განიხილა, რომლის შედეგადაც გამოიტანა გადანყევტილება ან განჩინება, ან ამორიცხა განაცხადი განსახილველ

საქმეთა სიიდან. საქმეების მზარდი მოცულობის გამო, ევროპის საბჭოს წევრმა სახელმწიფოებმა მიიღეს კონვენციის სხვადასხვა ოქმი, თავდაპირველი საზედამხებდევლო მექანიზმის გაუმჯობესებისა და გაძლიერების მიზნით. შედეგად, შეიქმნა ახალი სასამართლო სტრუქტურები, რომლებიც მარტივ საქმეებს განიხილავენ. პარალელურად, სასამართლომ ასევე გადასინჯა თავისი სამუშაო მეთოდები ქმედითობის ამაღლებისა და რესურსების ოპტიმალური გამოყენების მიზნით. მაგალითად, მან შეიმუშავა განჩინების გამოტანის საპილოტე პროცედურა, რომლის მეშვეობითაც განიხილება მრავალრიცხოვანი მსგავსი განაცხადები, რომლებიც ასევე სისტემური პრობლემის სახით მოიხსენიება და რომლებიც შიდასახელმწიფოებრივი სამართლის კონვენციასთან შეუსაბამობიდან გამომდინარეობს. სასამართლომ ასევე შეიმუშავა პრიორიტეტულობის მინიჭების პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს საკითხის მნიშვნელობასა და მისი დაჩქარებული წესით განხილვის აუცილებლობას განაცხადების განხილვის თანმიმდევრობის განსაზღვრისას. კონვენცია შეიქმნა ხელშემკვრელი სახელმწიფოების მტკიცე გადაწყვეტილების საფუძველზე, რომ ისტორიას ჩაბარდეს მეორე მსოფლიო ომის დანაშაულები. ევროპული კონვენცია შედგება 3 კარისგან და 59 მუხლისგან. პირველ კარში (1-18 მუხლები) ჩამოთვლილია ის უფლებები, რომელთა დაცვის ვალდებულებაც აღებული აქვს ევროპის საბჭოს წევრ ყველა ქვეყანას.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია

რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი

ქვემოთ ხელმოწერი მთავრობები, არიან რა ევროპის საბჭოს წევრები,

ითვალისწინებენ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას, გამოცხადებულს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ 1948 წლის 10 დეკემბერს;

მხედველობაში იღებენ, რომ ეს დეკლარაცია მიზნად ისახავს მასში გაცხადებულ უფლებათა საყოველთაო და ეფექტიანი აღიარებისა და დაცვის უზრუნველყოფას;

მიიჩნევენ, რომ ევროპის საბჭოს მიზანია მის წევრებს შორის უფრო მეტი ერთიანობის მიღწევა, რისთვისაც ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვა და მათი შემდგომი ხორცშესხმა;

კვლავაც ადასტურებენ თავიანთ ერთგულებას იმ ძირითადი თავისუფლებებისადმი, რომელთაც ეფუძნება საყოველთაო სამართლიანობა და მშვიდობა და რომელთა საუკეთესო დაცვა ხორციელდება, ერთი მხრივ, ქმედითი პოლიტიკური დემოკრატიითა და, მეორე მხრივ, ადამიანის უფლებათა საერთო გაგებითა და უზრუნველყოფით, რასაც ისინი ემყარებიან;

როგორც მთავრობები იმ თანამოაზრე ევროპული ქვეყნებისა, რომელთაც აქვთ პოლიტიკური ტრადიციების, იდეალების, თავისუფლებისა და სამართლის უზენაესობის საერთო მემკვიდრეობა, მზად არიან გააღებინონ პირველი ნაბიჯები საყოველთაო დეკლარაციით გაცხადებულ გარკვეულ უფლებათა ერთობლივი აღსრულებისათვის, და თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1

ადამიანის უფლებათა დაცულობის ვალდებულება

მაღალი ხელშემკვრელი მხარეები ყველასათვის თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში უზრუნველყოფენ ამ კონვენციის I კარში განსაზღვრულ უფლებებსა და თავისუფლებებს.

კარი I

უფლებანი და თავისუფლებანი

მუხლი 2

სიცოცხლის უფლება

1. ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება კანონით არის დაცული. არ შეიძლება სიცოცხლის განზრახ ხელყოფა, თუ არა სიკვდილის სასჯელის აღსრულების შედეგად,

რომელიც სასამართლოს განაჩენით შეეფარდა მოცემულ პირს ისეთი დანაშაულის ჩადენისათვის, რომლისთვისაც კანონი ითვალისწინებს ამ სასჯელს.

2. სიცოცხლის ხელყოფა არ განიხილება ამ მუხლის დარღვევად, თუ ის შედეგად მოჰყვა ძალის გამოყენებას, რომელიც აბსოლუტურ აუცილებლობას წარმოადგენდა:

ა. ნებისმიერი პირის დასაცავად არამართლზომიერი ძალადობისაგან;

ბ. კანონიერი დაკავებისათვის, ანდა კანონიერად დაპატიმრებული პირის გაქცევის აღსაკვეთად;

გ. კანონიერ ღონისძიებათა განხორციელებისათვის აჯანყების ან ამბოხების ჩასახშობად.

მუხლი 3

წამების აკრძალვა

ადამიანის წამება, არაადამიანური თუ დამამცირებელი დასჯა ან მასთან ასეთი მოპყრობა დაუშვებელია.

მუხლი 4

მონობისა და იძულებითი შრომის აკრძალვა

1. არავინ შეიძლება იმყოფებოდეს მონობაში ან ყმობაში.

2. არავის შეიძლება დაეკისროს იძულებითი ან სავალდებულო სამუშაოს შესრულება.

3. ამ მუხლის გაგებით, იძულებით ან სავალდებულო შრომად არ განიხილება:

ა. ნებისმიერი სამუშაო, რომლის შესრულებაც, ჩვეულებრივ, სავალდებულოა პატიმრობისას, რაც შეფარდებულია ამ კონვენციის მე-5 მუხლის დებულებების შესაბამისად, ან ასეთი პატიმრობიდან პირობითი თავისუფლების განმავლობაში;

ბ. სამხედრო ხასიათის ნებისმიერი სამსახური ან სავალდებულო სამხედრო სამსახურის ნაცვლად დაკისრებული სამსახური იმ ქვეყნებში, სადაც შინაგანი მრწამსის გამო სამხედრო სამსახურზე უარის თქმა მართლზომიერადაა მიჩნეული;

გ. ნებისმიერი სამსახური, დაკისრებული საგანგებო მდგომარეობის ან საერთო უბედურების ჟამს, რაც საფრთხეს უქმნის ხალხის სიცოცხლესა და კეთილდღეობას;

დ. ნებისმიერი სამუშაო თუ სამსახური, რომელიც ჩვეულებრივ მოქალაქეობრივ ვალდებულებებს განეკუთვნება.

მუხლი 5

თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება

1. ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი უსაფრთხოების უფლება. არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, თუ არა კანონით დადგენილი პროცედურის შესაბამისად და გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

ა. კანონიერი დაპატიმრება უფლებამოსილი სასამართლოს მიერ მსჯავრდებული პირისა;

ბ. კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება კანონის შესაბამისად გაცემული სასამართლოს ბრძანების შეუსრულებლობისათვის, ანდა კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად;

გ. პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება, უფლებამოსილი სამართლებრივი ორგანოს წინაშე მის წარსადგენად, როდესაც არსებობს ამ პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვი, ან საფუძვლიანად არის მიჩნეული პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის თუ მისი ჩადენის შემდეგ მიმალვის აღკვეთის აუცილებლობა;

დ. არასრულწლოვნის დაპატიმრება კანონიერი ბრძანების საფუძველზე მასზე აღმზრდელობითი ზედამხედველობისათვის ან უფლებამოსილი სამართლებრივი ორგანოს წინაშე მის წარსადგენად;

ე. პირის კანონიერი დაპატიმრება გადამდებ დაავადებათა გავრცელების თავიდან ასაცილებლად, ან სულით ავადმყოფის, ალკოჰოლიკის, ნარკომანისა და მანანწალის კანონიერი დაპატიმრება;

ვ. პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება, ქვეყანაში მისი უნებართვოდ შესვლის აღსაკვეთად, აგრეთვე

იმისა, ვის მიმართაც ხორციელდება ღონისძიებანი მისი გაძევების (დეპორტაცია) ან გადაცემისათვის (ექსტრადიცია).

2. დაკავებულ პირს მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს მისი დაკავების მიზეზები და მისთვის წაყენებული ყველა ბრალდება.

3. ამ მუხლის პირველი (ც) პუნქტით გათვალისწინებულ დებულებათა შესაბამისად დაკავებული თუ დაპატიმრებული პირი დაუყოვნებლივ წარედგინება მოსამართლეს ან სასამართლო ხელისუფლების განსახორციელებლად კანონით უფლებამოსილ სხვა მოხელეს და იგი აღჭურვილია უფლებებით, მისი საქმე განიხილოს სასამართლომ გონივრულ ვადაში ან გათავისუფლდეს საქმის განხილვის განმავლობაში. ასეთი გათავისუფლება შეიძლება პირობადებული იყოს სასამართლოში მისი გამოცხადების რაიმე გარანტიით.

4. ყველას, ვისაც დაკავებით ან დაპატიმრებით აღეკვეთა თავისუფლება, აქვს უფლება, მიმართოს სასამართლოს, რომელიც დაუყოვნებლივ განიხილავს მისი დაპატიმრების საკითხს და ბრძანებს მის გათავისუფლებას, თუ ეს დაპატიმრება უკანონოა.

5. ყველა მსხვერპლს, ვინც ამ მუხლის მოთხოვნათა დარღვევით დააკავეს ან დააპატიმრეს, აქვს კომპენსაციის ქმედითი უფლება.

მუხლი 6

საქმის სამართლიანი განხილვის უფლება

1. ყოველი ადამიანი, მისი სამოქალაქო ხასიათის უფლებებისა და მოვალეობების, ან მისთვის წარდგენილი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას, აღჭურვილია გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნოდ განხილვის უფლებით კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ. სასამართლო გადაწყვეტილება ცხადდება საქვეყნოდ, თუმცა მთელ სასამართლო პროცესზე ან მის ნაწილზე პრესა და საზოგადოება შეიძ-

ლება არ იქნეს დაშვებული დემოკრატიულ საზოგადოებაში მორალის, საზოგადოებრივი წესრიგის ან ეროვნული უშიშროების ინტერესებისათვის, აგრეთვე, როდესაც ამას მოითხოვს არასრულწლოვნის ინტერესები, ან მხარეთა პირადი ცხოვრების დაცვა, ანდა, რამდენადაც, სასამართლოს აზრით, ეს მკაცრად აუცილებელია განსაკუთრებული გარემოებების არსებობის გამო, ვინაიდან საქვეყნოობა დააზარალებდა მართლმსაჯულების ინტერესს.

2. ყოველი ბრალდებული უდანაშაულოდ მიიჩნევა, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად.

3. ყოველ ბრალდებულს აქვს, სულ მცირე, შემდეგი უფლებები:

ა. მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ და დანვრით გააცნონ წარდგენილი ბრალდების არსი და საფუძველი;

ბ. ჰქონდეს საკმარისი დრო და საშუალებანი საკუთარი დაცვის მოსამზადებლად;

გ. დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით ან, თუ მას არ გააჩნია საკმარისი საშუალება იურიდიული მომსახურების ასანაზღაურებლად, უფასოდ ისარგებლოს ასეთი მომსახურებით ხაზინის ხარჯზე, როდესაც ამას მოითხოვს მართლმსაჯულების ინტერესები;

დ. თვითონ დაკითხოს ან დააკითხვინოს მისი ბრალდების მოწმეები, და გამოაძახებინოს და დააკითხვინოს მისი დაცვის მოწმეები ბრალდების მოწმეების თანაბარ პირობებში;

ე. ისარგებლოს თარჯიმნის უფასო დახმარებით, თუ მას არ შეუძლია გაიგოს სასამართლოში გამოყენებული ენა ან ილაპარაკოს ამ ენაზე.

მუხლი 7

არავითარი სასჯელი კანონის გარეშე

1. არავინ შეიძლება ბრალეულად იქნეს მიჩნეული რაიმე დანაშაულში ისეთი მოქმედების ან უმოქმედობის გამო, რომელიც არ წარმოადგენდა დანაშაულს ეროვნული

ან საერთაშორისო სამართლის მიხედვით იმ დროს, როდესაც იგი ჩაიდინეს. არც იმაზე უფრო მკაცრი სასჯელი შეიძლება შეეფარდოს ვინმეს, ვიდრე სასჯელი, რომელიც გამოიყენებოდა დანაშაულის ჩადენის დროს.

2. ეს მუხლი არ ვრცელდება იმ პირის გასამართლებასა და დასჯაზე მოქმედებისა თუ უმოქმედობისათვის, რომელიც მისი ჩადენის დროისათვის დანაშაულს წარმოადგენდა ცივილიზებული სახელმწიფოების მიერ აღიარებული სამართლის ზოგადი პრინციპების თანახმად.

მუხლი 8

პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება

1. ყველას აქვს უფლება, რომ დაცული იყოს მისი პირადი და ოჯახური ცხოვრება, საცხოვრისი და მიმოწერა.

2. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უნესრიგობისა თუ დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობისა ან მორალის, ანდა სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

მუხლი 9

აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება

1. ყველას აქვს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს რელიგიის ან რწმენის შეცვლის თავისუფლებას, აგრეთვე, თავისუფლებას იმისა, რომ ცალკე ან სხვებთან ერთად, საქვეყნოდ ან განკერძოებით, გაამჟღავნოს თავისი რელიგია თუ რწმენა აღმსარებლობით, ქადაგებით, წესებისა და რიტუალების აღსრულებით.

2. რელიგიის ან რწმენის გამჟღავნების თავისუფლება მხოლოდ იმ პირობით შეიზღუდება, თუ ასეთი შეზღუდვა

გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობისა ან მორალის, ანდა სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

მუხლი 10

გამოხატვის თავისუფლება

1. ყველას აქვს აზრის გამოხატვის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, გააჩნდეს საკუთარი შეხედულება, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია ან იდეები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. ეს მუხლი ვერ დააბრკოლებს სახელმწიფოს, მოახდინოს რადიომუწყებლობის, ტელევიზიისა და კინემატოგრაფიულ სანარმოთა ლიცენზირება.

2. ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც ისინი განუყოფელია შესაბამისი ვალდებულებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაექვემდებაროს კანონით დადგენილ ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი უნესრიგობის თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა უფლებების ან ღირსების დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად, ანდა სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 11

შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება

1. ყველას აქვს მშვიდობიანი შეკრებისა და სხვებთან გაერთიანების თავისუფლება, მათ შორის, პროფესიული

კავშირების შექმნისა და მათში გაერთიანების უფლება საკუთარი ინტერესების დასაცავად.

2. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელების შეზღუდვა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უნესრიგობის ან დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობისა თუ მორალის ან სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად. ეს მუხლი ვერ დააბრკოლებს სახელმწიფოს, ამ უფლების განხორციელებაზე დაანესოს კანონიერი შეზღუდვები შეიარაღებული ძალების, პოლიციის ან სახელმწიფო ადმინისტრაციის წარმომადგენლის მიმართ.

მუხლი 12

ქორწინების უფლება

საქორწინო ასაკის მამაკაცსა და ქალს აქვთ ქორწინებისა და ოჯახის შექმნის უფლება ეროვნული კანონების შესაბამისად, რომლებიც ანესრიგებენ ამ უფლების განხორციელებას.

მუხლი 13

სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალების უფლება

ყველას, ვისაც ამ კონვენციით გაცხადებული უფლება ან თავისუფლება დაეზღვა, უნდა ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის ქმედითი საშუალება ეროვნული ხელისუფლების წინაშე, თუნდაც ეს დარღვევა ჩაიდინოს პირმა, რომელიც სამსახურებრივ უფლებამოსილებას ახორციელებდა.

მუხლი 14

დისკრიმინაციის აკრძალვა

ამ კონვენციით გაცხადებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველ გვა-

რი დისკრიმინაციის გარეშე სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა ნიშნის განუჩევლად.

მუხლი 15

კონვენციიდან გადახვევა საგანგებო მდგომარეობის დროს

1. ომის ან ერის არსებობისათვის საშიში სხვა საგანგებო მდგომარეობის დროს, ნებისმიერ მაღალ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია გაატაროს ღონისძიებები კონვენციით ნაკისრი ვალდებულებებიდან გადახვევის მიზნით მხოლოდ იმ ზომით, რამდენადაც ამას მკაცრად მოითხოვს მდგომარეობის სიმწვავე და იმ პირობით, რომ ეს ღონისძიებები არ ეწინააღმდეგება მის სხვა საერთაშორისო-სამართლებრივ ვალდებულებებს.

2. დაუშვებელია წინარე პუნქტის საფუძველზე კონვენციის მე-2 მუხლიდან გადახვევა, გარდა მართლზომიერი საომარი მოქმედებით გამოწვეული ადამიანთა დაღუპვის შემთხვევისა, აგრეთვე, გადახვევა მე-3, მე-4 (პუნქტი 1) და მე-7 მუხლებიდან.

3. ყოველი მაღალი ხელშემკვრელი მხარე, რომელიც იყენებს გადახვევის უფლებას, ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს აწვდის ამომწურავ ინფორმაციას გატარებული ღონისძიებებისა და მათი მიზეზების შესახებ. იგი აგრეთვე ატყობინებს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს ასეთ ღონისძიებათა შეწყვეტისა და კონვენციის დებულებათა სრულად ამოქმედების თარიღს.

მუხლი 16

უცხოელთა პოლიტიკური საქმიანობის შეზღუდვა

მე-10, მე-11 და მე-14 მუხლები არ გულისხმობს დაბრკოლებას მაღალი ხელშემკვრელი მხარეებისათვის, დაანესონ შეზღუდვები უცხოელთა პოლიტიკურ საქმიანობაზე.

მუხლი 17

უფლებათა ბოროტად გამოყენების აკრძალვა

ამ კონვენციის არცერთი დებულება არ შეიძლება განი-
მარტოს ისე, რომ იგი გულისხმობდეს რომელიმე სახელ-
მწიფოს, ადამიანთა ჯგუფის ან ცალკეული პირის უფლე-
ბას, ეწეოდეს საქმიანობას ან ასრულებდეს მოქმედებას,
რომელიც გამიზნულია, არაარად აქციოს ამ კონვენციით
გაცხადებული რომელიმე უფლება ან თავისუფლება, ანდა
შეზღუდოს იგი იმაზე მეტად, ვიდრე ეს საკუთრივ კონვენ-
ციით არის გათვალისწინებული.

მუხლი 18

უფლებების შეზღუდვათა გამოყენების ფარგლები

დაუშვებელია ხსენებულ უფლებათა და თავისუფლება-
თა კონვენციით ნებადართული შეზღუდვების გამოყენება
არა იმ მიზნით, რისთვისაც ისინია გათვალისწინებული.

კონვენციის II კარში (19-51 მუხლები) საუბარია ად-
ამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დაარსება-
ზე, მოსამართლეთა რაოდენობაზე, სასამართლო კრიტე-
რიუმებზე, მოსამართლის არჩევაზე, მათი უფლებამოსი-
ლების ვადასა და თანამდებობიდან გათავისუფლებაზე,
სამდივნოსა და მომხსენებლებზე, სასამართლოს პლე-
ნუმზე, ერთი მოსამართლის სისტემაზე, კომიტეტებზე, მათ
უფლებამოსილებაზე, პალატებზე, დიდ პალატაზე, ერთი
მოსამართლის უფლებამოსილებაზე, პალატის გადანწყე-
ტილებაზე საჩივრის მისაღებობისა და საქმის არსებითი
მხარის შესახებ, დიდი პალატისათვის იურისდიქციის დათ-
მობაზე, დიდი პალატის უფლებამოსილებაზე, სასამარ-
თლოს იურისდიქციაზე, სახელმწიფოთაშორისი საქმეებზე,
ინდივიდუალურ საჩივარზე, მისაღებობის წინაპირობებზე,
მესამე მხარის ჩართვაზე, განსახილველ საქმეთა ნუსხიდან
საჩივრის ამორიცხვაზე, საქმის განხილვაზე, მორიგების
პროცედურაზე, ღია სასამართლო მოსმენაზე და დოკუმენ-
ტების ხელმისაწვდომობაზე, სამართლიან დაკმაყოფილე-

ბაზე, პალატის გადაწყვეტილებაზე, დიდი პალატისათვის საქმის გადაცემაზე, საბოლოო გადაწყვეტილებაზე, გადაწყვეტილებისა და განჩინების დასაბუთებაზე, გადაწყვეტილების სავალდებულო ძალასა და აღსრულებაზე, საკონსულტაციო დასკვნებზე, სასამართლოს საკონსულტაციო იურისდიქციაზე, საკონსულტაციო დასკვნის დასაბუთებაზე, სასამართლოს შენახვის ხარჯებზე და მოსამართლის პრივილეგიებსა და იმუნიტეტზე.

კონვენციის III კარმი (52-59 მუხლები) საუბარია ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მოთხოვნაზე, აღიარებულ უფლებათა უზრუნველყოფაზე, მინისტრთა კომიტეტის უფლებამოსილებაზე, დავის მოგვარების სხვა საშუალებათა უარყოფაზე, კონვენციის მოქმედებაზე სივრცეში, დათქმებზე, დენონსაციაზე, ხელმოწერაზე და რატიფიკაციაზე.

სახვდადასხვა დროს მიღებულ იქნა ევროპული კონვენციის დამატებითი ოქმები:

N1 დამატებითი ოქმი (ძალაში შესვლის თარიღი - 1954 წლის 18 მაისი) ითვალისწინებს ახალ უფლებებს, კერძოდ, საკუთრებით შეუფერხებლად სარგებლობის უფლებას, განათლების უფლებას და ფარული კენჭისყრით თავისუფალი არჩევნების უფლებას.

ოქმი N2 (1970 წლის 21 სექტემბერი) ანიჭებს სასამართლოს უფლებამოსილებას, მინისტრთა კომიტეტის მოთხოვნის საფუძველზე გასცეს საკონსულტაციო დასკვნები.

ოქმი N 3 (1970 წლის 21 სექტემბერი) ცვლილებები შევიდა კონვენციის 29-ე, 30-ე და 34-ე მუხლებში.

ოქმი N4 (1968 წლის 2 მაისი) ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთის აკრძალვას სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის, მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის თავისუფლებას, მოქალაქეთა გაძევების და უცხოელთა კოლექტიური გაძევების აკრძალვას.

ოქმი N5 (1985 წლის 1 მარტი) ცვლილებები შევიდა კონვენციის 22-ე და მე-40 მუხლებში. ძალაში შესვლის თარიღი: 1971 წლის 20 დეკემბერი **ოქმი N6:** ეხება სიკვდილით დასჯის გაუქმებას.

ოქმი N7 (1988 წლის 1 ნოემბერი) ითვალისწინებს სისხლის სამართლის საქმის გასაჩივრების უფლებას, კომპენსაციის უფლებას მცდარი მსჯავრდებისთვის, ხელშეორედ გასამართლებისა და დასჯის აკრძალვას და მეუღლეთა თანასწორობას.

ოქმი N8 ცვლილებები შეაქვს ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის საქმიანობაში.

ოქმი N9 (1994 წლის 1 ოქტომბერი) განმცხადებელს აძლევს უფლებას, გარკვეულ ვითარებაში მოსთხოვოს სამართლოს მისი საქმის განხილვა.

ოქმი N10 (1992 წლის 25 მარტი) აუმჯობესებს კონვენციის ადრე არსებულ საზედამხედველო სამართალწარმოებას (ამ აქტმა დაკარგა დანიშნულება N11 ოქმის ძალაში შესვლის შემდეგ).

ოქმი N11 (1998 წლის 1 ნოემბერი) “ახალი სასამართლოს” დაარსება.

ოქმი N12 (2005 წლის 1 აპრილი) ითვალისწინებს დისკრიმინაციის ზოგად აკრძალვას.

ოქმი N13 (2003 წლის 1 ივლისი) ეხება სიკვდილით დასჯის აკრძალვას ყველა ვითარებაში.

ოქმი N14 (2010 წლის 1 ივნისი) ითვალისწინებს მარტივი საქმეების განხილვისთვის ახალი სასამართლო სტრუქტურების შექმნას და დასაშვებობის ახალ კრიტერიუმებს. ამ ოქმით ასევე გაგრძელდა მოსამართლეთა უფლებამოსილების ვადის ხანგრძლივობა ექვსიდან ცხრა წლამდე, მეორე ვადით არჩევის შესაძლებლობის გარეშე.

ოქმი N15 (2021 წლის 1 აგვისტო) ითვალისწინებს სუბსიდიარობის პრინციპსა და მიხედულების ფარგლების

დოქტრინას. ამცირებს სასამართლოსთვის მიმართვის ვადას ექვსიდან ოთხ თვემდე.

ოქმი N16 საშუალებას აძლევს ხელშემკვრელი სახელმწიფოების უმაღლეს სასამართლოებს, მიმართონ სასამართლოს საკონსულტაციო დასკვნის მისაღებად

როგორც აღვნიშნეთ, საქართველო ევროპის საბჭოს წევრი გახდა 1999 წლის 27 აპრილს, ხოლო 2000 წლის 1 მაისს ჩვენი ქვეყანა შეუერთდა „ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას“. ამის შემდეგ საქართველოს მოქალაქეებს მიეცათ უფლება, რომ საკუთარი ხელისუფლების წინააღმდეგ მიემართათ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსთვის იმ შემთხვევაში, თუ ისინი ჩათვლიდნენ, რომ საქართველოს მართლმსაჯულების სისტემის მიერ მათი საკითხის განხილვის დროს დარღვეულ იქნა ევროპული კონვენციის რომელიმე მუხლით გარანტირებული უფლებები. ეს ეხებოდა მხოლოდ 1999 წლის 27 აპრილის შემდგომ პერიოდს, რადგან საქართველოს ევროპის საბჭოში გაერთიანებამდე ევროპული კონვენციით გათვალისწინებული უფლებების დაცვის ვალდებულება საქართველოს ხელისუფლებებს არ გააჩნდათ.

1999 წლიდან დღემდე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოდან სულ გაგზავნილია დაახლოებით 7000-მდე საჩივარი, აქედან საქართველოს მოქალაქეებმა ევროპულ სასამართლოში ედუარდ შევარდნაძის მმართველობის ბოლო ოთხწლიან პერიოდში (1999-2003 წლები) მათი უფლებების დარღვევისთვის სულ გააგზავნეს დაახლოებით 60-მდე საჩივარი, „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში (2004-2012 წლებში) – დაახლოებით 5500-მდე საჩივარი, ხოლო „ქართული ოცნების“ მმართველობისას (2013-2021 წლები) – დაახლოებით 900-მდე საჩივარი.

ევროპული სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, ნებისმიერი ქვეყნიდან შესული საჩივრების აბსოლუტური უმრავლესობა (დაახლოებით 90-95%) დასაშვებობის ეტაპს ვერ ლახავს, ხოლო საქართველოს მოქალაქეთა მიერ გაგზავ-

ნილ იმ საჩივართა შორის, რომლებმაც გადალახეს დასაშვებობის ეტაპი და მივიდნენ ევროსასამართლოს მიერ განხილვის ეტაპამდე, არის შემდეგი მდგომარეობა:

ევროსასამართლოში გაგზავნილი საჩივრები 1999-2003 წლებში

საქართველოს ევროპის საბჭოში განევრიანების შემდეგ, ედუარდ შევარდნაძის მმართველობის ბოლო ოთხწლიან პერიოდში ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გაგზავნილ იმ საჩივრებს შორის, რომლებმაც გადალახეს დასაშვებობის ეტაპი, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა საქართველოს ხელისუფლების მიერ ევროპული კონვენციის სხვადასხვა მუხლების დარღვევები შემდეგ საქმეებში:

1. „გურამ აბსანძე საქართველოს წინააღმდეგ“

- საჩივარი შეტანილია 1999 წელს, სტრასბურგის სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა 2004 წლის 20 ივლისს. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნული საქმის განხილვა შეწყვიტა იმის გამო, რომ მომჩივანმა 2004 წლის 5 აპრილს პირადად მიმართა სასამართლოს საქმის შეწყვეტის მოთხოვნით, რადგან მოურიგდა რევოლუციის გზით ძალაუფლების ხელში ამღებ საქართველოს ახალ ხელისუფლებას. ამის შემდეგ გურამ აბსანძე ამ ახალ ხელისუფლებაში გარკვეული ხნით სახელმწიფო მინისტრის პოსტსაც იკავებდა. ეს იყო პოლიტიკური გადაწყვეტილება და მისი მხრიდან საქმის შეწყვეტის მოთხოვნაც და მისი ახალ ხელისუფლებაში მინისტრის პოსტზე დანიშვნაც ემსახურებოდა ახალი ხელისუფლების მიერ დეკლარირებული ეროვნული თანხმობის დემონსტრირების ამოცანას.

2. „თენგიზ ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ“ -

საჩივარი შეტანილია 2001 წლის 2 ივლისს. სტრასბურგის სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა 2004 წლის 8 აპრილს.

თენგიზ ასანიძე იყო ქ. ბათუმის, აჭარის ა/რ დედაქალაქის, მერი და აჭარის უზენაესი საბჭოს წევრი. იგი დაკა-

ვებულ იქნა 1993 წლის 4 ოქტომბერს ბათუმის თამბაქოს კომბინატის, კერძო საწარმოს, შიგნით უკანონო ფინანსური მაქინაციებისა და საბრძოლო იარაღის უკანონო ფლობისა და ტარებისთვის. მას მსჯავრი დაედო 1994 წლის 28 ნოემბერს და შეეფარდა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა; მისი ქონების კონფისკაციის შესახებ მიღებულ იქნა ბრძანება, რომლითაც მას აგრეთვე დაეკისრა კომპანიისთვის მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურება. 1995 წლის 27 აპრილს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, საკასაციო ინსტანციით, დაადასტურა 1994 წლის 28 ნოემბრის ბრალდება უკანონო ფინანსური მაქინაციებისთვის, ხოლო სხვა ბრალდებები გააუქმა. იმის მაგივრად, რომ მომჩივანი ციხეში გადაეყვანათ სასჯელის მოხდის მიზნით, ის კვლავ რჩებოდა პატიმრობაში აჭარის ა/რ უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო იზოლატორში. თენგიზ ასანიძე ასაჩივრებდა ევროპული კონვენციის მე-5, მე-6, მე-10 და მე-13 მუხლების და მე-4 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის დარღვევას. კერძოდ, 1999 წლის 1 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ შეიწყალა აჭარის ლიდერის ასლან აბაშიძის პირადი პატიმარი თენგიზ ასანიძე და სასჯელის დარჩენილი 2 წელი შეუცვალა გამოსაცდელი ვადით. ამის მიუხედავად, ასლან აბაშიძემ უარი განაცხადა პრეზიდენტის შეწყალების აქტის აღსრულებაზე და არ გაათავისუფლა მსჯავრდებული. ასანიძე კვლავ რჩებოდა პატიმრობაში აჭარის უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო იზოლატორში. 1999 წლის 11 ნოემბერს აჭარის უმაღლესმა სასამართლომ შეწყალება ბათილად მიიჩნია იმ საფუძველით, რომ საქართველოს პრეზიდენტის მიერ მსჯავრდებულის შეწყალებამდე არ ყოფილა დაცული ნორმატიული აქტით დადგენილი პროცედურები.

აჭარის უმაღლესი სასამართლოს ხსენებული გადაწყვეტილება 1999 წლის 28 დეკემბერს გააუქმა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, თუმცა, მანამდე, 1999 წლის 11 დეკემბერს, ასანიძეს ბრალი დაედო სისხლის სამართლის

სხვა დანაშაულის ჩადენაში. შემდგომში ის ამ ბრალდებაშიც იქნა გამართლებული.

ევროპულმა სასამართლომ სახელმწიფოს დაავალა თენგიზ ასანიძის უმოკლეს ვადებში გათავისუფლების უზრუნველყოფა და დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფის და მე-5 მუხლის პირველი და მე-4 პარაგრაფების დარღვევა, რის გამოც სახელმწიფოს დაეკისრა მომჩივანისთვის 150000 (ასორმოცდაათი ათასი) ევროს გადახდა, აგრეთვე 5000 (ხუთი ათასი) ევროს გადახდა ადვოკატისა და სხვა ხარჯებისთვის.

3. „შამაევი და 12 სხვა პირი საქართველოს და რუსეთის წინააღმდეგ“ - ევროპულ სასამართლოში საჩივარი შეტანილია 2002 წლის 4 ოქტომბერს, გადაწყვეტილება მიღებულია 2004 წლის 12 ოქტომბერს.

2002 წლის 3 და 5 აგვისტოს შორის წარმოშობით ჩეჩენი და ქისტი რუსეთის მოქალაქეები (აბდულ-ვაჰაბ შამაევი, რიზვან (რეზვან) ვისიტოვი, ჰუსეინ აზიევი, ადლან (ასლან) ადაევი (ადიევი), ჰუსეინ ხაჯიევი, რუსლან გელოგაევი, აჰმედ მაგომადოვი, ხამზატ ისაევი, რობინზონ მარგოშვილი, გიორგი კუშტანაშვილი, ასლანბეკ ხანჩუკაევი, ისლამ ხაჩიევი, იგივე რუსტამ ელიხაჯიევი, იგივე ბექხან მულკოევი და თემურ (რუსლან) ბაიმურზაევი, იგივე ჰუსეინ ალხანოვი), გადმოვიდნენ რუსეთ-საქართველოს საზღვარზე გირევის საკონტროლო პუნქტის მახლობლად. ზოგიერთი მათგანი იყო დაჭრილი და თან ჰქონდათ ავტომატები და ყუმბარები. ქართველი მესაზღვრეებისგან დახმარების მიღების შემდეგ მათ ნებაყოფლობით ჩააბარეს იარაღი. ისინი მაშინვე გადაიყვანეს თბილისის სამოქალაქო ჰოსპიტალში, სადაც დაჭრილებს ჩუქარდათ ოპერაცია, ხოლო შემდეგ გადაიყვანეს საპატიმრო დაწესებულებაში, ვინაიდან მათ წარუდგინეს ბრალი საზღვრის უკანონო გადმოკვეთასა და იარაღის უკანონო ტარებაში. რუსეთის ხელისუფლებამ საქართველოს მოსთხოვა მათი, როგორც ტერორისტების გადაცემა რუსეთისთვის. დაცვის მხარემ სცადა შეეჩერებინა ექსტრადირების პროცესი და მიმარ-

თეს ევროპულ სასამართლოს, თუმცა სასამართლოს მიერ დაჩქარებული წესით მოქმედების დაწყების მიუხედავად, საქართველოს ხელისუფლებამ აღნიშნული პატიმრებიდან პირველი 5 პირი 2002 წლის 3-4 ოქტომბერს გადასცა რუსეთს. ამის შემდეგ მოხერხდა დანარჩენი პატიმრების ექსტრადირების შეჩერება საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, ხოლო 2003-2005 წლებში ისინი სასამართლოების სხვადასხვა გადაწყვეტილებების საფუძველზე გათავისუფლდნენ პატიმრობიდან. თუმცა, 2 მათგანი (ხაჩიევი და ბაიმურზაევი) გათავისუფლების შემდეგ თბილისიდან გაუჩინარდა 2004 წლის 16 და 17 თებერვალს და ისინი რუსეთის ხელისუფლებამ გაურკვეველ ვითარებაში დააპატიმრა 2004 წლის 19 თებერვალს (სავარაუდოდ, ისინი საქართველოდან რუსეთში გაიტაცეს).

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა რუსეთში ექსტრადირების გამო, ვინაიდან მათ რუსეთში ელოდათ წამება და არაადამიანური, ღირსების შემლახველი მოპყრობა. სასამართლომ დაადგინა ექსტრადირებული პირების მიმართ - მე-5 მუხლის მე-2 პარაგრაფის, 6 პირის მიმართ - მე-13 მუხლის (მე-2 მუხლთან კავშირში), ოთხი პირის მიმართ - 34-ე მუხლის დარღვევა და სახელმწიფოს მიერ თვითუელისთვის მორალური ზიანის ანაზღაურება სხვადასხვა ოდენობით (8, 6, 4 და 2,5 ათასი ევროს ოდენობით), რაც მთლიანობაში შეადგენდა 75000 (სამოცდათხუთმეტი ათას) ევროს.

ევროპულმა სასამართლომ ასევე დაადგინა ექსტრადირებული და დაკავებული პირების მიმართ რუსეთის მხრიდან ევროპული კონვენციის მუხლების დარღვევა და რუსეთის ხელისუფლებას დააკისრა 42000 (ორმოცდაორი ათასი) ევროს გადახდა - 6000 (ექვსი ათასი) ევრო თითოეულს მორალური ზიანისთვის და პლიუს 2000 (ორი ათასი) ევრო განუელი ხარჯებისა და დანახარჯების ანაზღაურების სახით. ასევე რუსეთს დაეკისრა ევროპის საბჭოს ბიუჯეტში 1.580,70 (ათას ხუთას ოთხმოცი) ევროს გადახდა სასამართლოს ფუნქციონირების ხარჯების ანაზღაურების სახით.

4. „აბდულჰამიტ ალიევი საქართველოს წინააღმდეგ“ - საქართველოში რუსეთიდან ლტოლვილმა, ეთნიკურად ჩეჩენმა რუსეთის მოქალაქემ აბდულჰამიტ ალიევმა ევროპულ სასამართლოში საჩივარი შეიტანა 2003 წლის 31 ოქტომბერს. გადაწყვეტილება საქმეზე გამოვიდა 2009 წლის 13 იანვარს.

მომჩივანი ასაჩივრებდა პატიმრობის პირობებს თბილისის №5 საპყრობილეში, ასევე, ამავე საპყრობილეში, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ფაქტებს 2002 წლის 3-4 ოქტომბრის ღამეს. 2002 წლის 31 ივლისს საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ, რუსეთიდან გადმოცემული მასალების შესაბამისად, მიიღო დადგენილება მომჩივნის რუსეთში ექსტრადირების შესახებ. უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 28 ნოემბრის გადაწყვეტილების შესაბამისად, კრწანისი-მთაწმინდის რაიონულმა სასამართლომ, 2002 წლის 19 ნოემბერს განიხილა მომჩივნის სარჩელი, რომელიც არ დაკმაყოფილდა. მომჩივანმა აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა უზენაეს სასამართლოში. იგი ამტკიცებდა, რომ საქართველოში იმყოფებოდა კანონიერად, ჰქონდა ლტოლვილის სტატუსი და თავისი სამართლებრივი მდგომარეობით უთანაბრდებოდა საქართველოს მოქალაქეს. მომჩივანი ასევე აცხადებდა, რომ იგი დაკავებისთანავე არ ყოფილა წარდგენილი სასამართლოს წინაშე, რომელიც იმსჯელებდა მისი დაკავების კანონიერებისა და აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მიზანშეწონილობაზე. 2003 წლის 17 იანვარს, უზენაესმა სასამართლომ გააუქმა რაიონული სასამართლოს 2002 წლის 19 ნოემბრისა და გენერალური პროკურატურის დადგენილება მომჩივნის რუსეთში ექსტრადიციის შესახებ. სასამართლომ თავისი გადაწყვეტილება ახსნა იმ ფაქტით, რომ გენერალური პროკურატურა არ ფლობდა ექსტრადიციისთვის საჭირო ყველა დოკუმენტს, რომ რუსული მხარის მიერ 1998 წლის 6 იანვარს მიღებული დადგენილებიდან გამომდინარე, მომჩივნის პატიმრობის 3-თვიანი ვადა 2002 წლის 3 აგვისტოს ამოიწურა და რომ საქართველოს შესაბამისი უწყე-

ბების არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, რუსულ მხარეს მომჩივნის პატიმრობის გაგრძელების შესახებ არავითარი გადაწყვეტილება არ წარმოუდგენია. ანუ მიიჩნია რა მომჩივნის პატიმრობა უკანონოდ 2002 წლის 3 აგვისტოს შემდეგ, უზენაესმა სასამართლომ დაადგინა ექსტრადიციის შესახებ აქტის დაუყოვნებლივ გაუქმება.

ამის მიუხედავად, ალიევის გათავისუფლება არ მომხდარა, ვინაიდან მას საქართველოს შესაბამისმა უწყებებმა 2003 წლის 10 იანვარს ბრალი წაუყენეს სახელმწიფო მოხელეების მიმართ ძალადობრივი წინააღმდეგობის განწევაში, რასაც ადგილი ჰქონდა 2002 წლის 3-4 ოქტომბრის ღამეს და ციხის თანამშრომლებისადმი დაუმორჩილებლობის ფაქტზე, ციხის ფუნქციონირებისათვის ხელის შეშლის მიზნით. უფრო კონკრეტულად, 2002 წლის 23 აგვისტოს, მომჩივანი მოათავსეს თბილისის მე-5 საპყრობილის №88 საკანში, რომელშიც 15-მდე ჩეჩენი პატიმარი იმყოფებოდა. 11 მათგანი 2002 წლის აგვისტოში, რუსეთ-საქართველოს საზღვარზე დააკავეს საბაჟო წესების დარღვევით იარაღის გადატანის, ტარების, დამალვისა და საზღვრის უკანონო გადაკვეთის ბრალდებით. შემდგომში, აღნიშნული 11 პირის რუსეთში ექსტრადირების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ისე, რომ ისინი ამის შესახებ ინფორმირებულნი არ ყოფილან. 2002 წლის 3-4 ოქტომბრის ღამეს დაგეგმილი იყო 4 მათგანის გადაცემა რუსეთისათვის, საქართველოს გენერალური პროკურატურის 2002 წლის 2 ოქტომბრის დადგენილების საფუძველზე. №88 საკნის პატიმრებმა, რომლებმაც აღნიშნულის შესახებ არაფერი იცოდნენ და მხოლოდ 3 ოქტომბერს, საღამოს, ტელევიზიით შეტყვეს, რომ „3 და 5 აგვისტოს, რუსეთ-საქართველოს საზღვარზე დაკავებული რამდენიმე ჩეჩენის ექსტრადიცია გადაწყვეტილი იყო“, ფიზიკური წინააღმდეგობა გაუწიეს ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომელებიც მათთან საკნის დატოვების მოთხოვნით მივიდნენ. აღნიშნული მოვლენების პარალელურად, 2002 წლის 4 ოქტომბერს, №88 საკნის ზოგიერთი ჩეჩენი პატიმრის ად-

ვოკატებმა მიმართეს ევროპულ სასამართლოს, რომელმაც, იმავე დღეს, 17 საათამდე გადაწყვიტა, საქართველოს მთავრობისთვის, რეგლამენტის 39-ე მუხლის საფუძველზე მიეთითებინა, რომ სასურველი იყო, მხარეებისა და სამართალწარმოების სწორად წარმართვის ინტერესებიდან გამომდინარე, არ მომხდარიყო 2002 წლის 2 ოქტომბრის დადგენილებაში ხსენებული პირების რუსეთში ექსტრადიცია. მაგრამ 4 დაკავებული მაინც გადაეცა რუსულ მხარეს 2002 წლის 4 ოქტომბერს.

აღნიშნული მოვლენების შემდგომ, აბდულჰამიტ ალიევს, სხვა არაექსტრადირებულ თანამოსაკნეებთან ერთად, წარედგინა ბრალი 2002 წლის 3-4 ოქტომბრის ღამეს ხელისუფლების წარმომადგენლებზე თავდასხმაში, რომლებიც საკნიდან 4 გადასაცემი პირის გაყვანას ცდილობდნენ. აღნიშნული პროცედურის ფარგლებში, 2003 წლის 12 იანვარს, კრწანისი-მთაწმინდის რაიონის მოსამართლის ბრძანებით მომჩივანს შეეფარდა დაპატიმრება 3 თვის ვადით. მომჩივანმა აღნიშნული ბრძანება გაასაჩივრა თბილისის საოლქო სასამართლოში იმ მოტივით, რომ არ გადაუკვეთავს რა რუსეთ-საქართველოს საზღვარი 2002 წლის აგვისტოში ზემოაღნიშნულ ჩეჩნებთან ერთად, მას არ შეიძლებოდა შეხებოდა 2002 წლის 3-4 ოქტომბრის ღამეს დაგეგმილი ექსტრადიცია. შესაბამისად, მას ხელისუფლების წარმომადგენელთათვის წინააღმდეგობის განწევის არავითარი ინტერესი არ ჰქონდა. უფრო მეტიც, მომჩივნის აზრით, აღნიშნულ თავდასხმაში მისი მონაწილეობის შესახებ მტკიცებულებები არ მოიპოვებოდა.

2003 წლის 10 აპრილს, თბილისის საოლქო სასამართლომ მომჩივნის წინასწარი პატიმრობის ვადა 2003 წლის 11 მაისამდე გააგრძელდა. აღნიშნული გადაწყვეტილება საბოლოო იყო და გასაჩივრებას არ ექვემდებარებოდა. 2003 წლის 3 მაისს მომჩივანს გულის შეტევა დაემართა და გადაყვანილ იქნა ციხის საავადმყოფოში გამოჯანმრთელებამდე. 2003 წლის 6 სექტემბერს მომჩივანი გადაყვანილ იქნა საპყრობილეში. 2004 წლის 25 თე-

ბერვალს, მომჩივანი გასინჯა სამედიცინო კომისიამ თბილისის მე-5 საპყრობილეში. დასმულ იქნა გულის იშემიის, ინფარქტის შემდგომი კარდიოსკლეროზისა და ასთმის სინდრომის დიაგნოზი.

2004 წლის 14 აპრილს მომჩივანი დამნაშავედ იქნა ცნობილი იმაში, რომ მან სხვა 13 პატიმართან ერთად მონაწილეობა მიიღო 2002 წლის 3-4 ოქტომბრის ღამეს, თბილისის მე-5 საპყრობილის №88 საკანში ზემოთ ხსენებული ინციდენტის დროს ციხის 5 თანამშრომლის დაჭრაში, თუმცა, ალიევი ამტკიცებდა, რომ აღნიშნულ ღამეს, ის ხმაურმა გააღვიძა და მან საკანში დაინახა საპყრობილის უფროსი და ციხის 5 თანამშრომელი, რომლებიც პატიმრებს საკნის დატოვებას სთხოვდნენ. პასუხად, პატიმრებმა მოითხოვეს, რომ ჯერ მათი ადვოკატები გამოეძახებინათ. ციხის უფროსი და თანამშრომლები გავიდნენ საკნიდან და ცოტა ხნის შემდეგ, იუსტიციის სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმი საკანში შევიდა. მათ სცემეს პატიმრები. მომჩივნის თქმით, პატიმრების მხრიდან ფიზიკური ზეწოლის ფაქტი ციხის ადმინისტრაციის გამოგონილი იყო.

საბოლოო ჯამში მას შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 2 წლისა და 8 თვის ვადით. ალიევი 2005 წლის 6 იანვარს განთავისუფლდა, ხოლო 2006 წლის 24 მარტის სამედიცინო ცნობის თანახმად, მომჩივანს პოსტ-ტრავმული სტრესი აწუხებდა დეპრესიული ნევრასთენიის სინდრომთან ერთად, ჩეჩნეთის ომის გამო, რომელსაც ის გამოეყცა და ასევე, საქართველოში მისი პატიმრობის პირობებიდან გამომდინარე.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას თბილისის №5 საპყრობილეში მომჩივნის პატიმრობის პირობების გამო, აგრეთვე ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას 2002 წლის 3-4 ოქტომბრის ღამეს, მომჩივნის წინააღმდეგ ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით გამოძიების არარსებობის გამო. მოპასუხე სახელმწიფოს დაეკისრა მომჩივანისთვის 10000 (ათი ათასი) ევროს გადახდა

მორალური ზიანისათვის და დამატებით 2000 (ორი ათასი) ევროს გადახდა - სასამართლოში წარმომადგენლობის ხარჯების ანაზღაურებისთვის.

5. „შპს „იზა და მაკრახიძე“ საქართველოს წინააღმდეგ“. ევროპულ სასამართლოს მიმართეს 2002 წლის 30 მაისს. გადაწყვეტილება მიღებულია 2005 წლის 27 სექტემბერს.

შპს „იზა და მაკრახიძე“ იყო სამშენებლო კომპანია, რომელსაც სახელმწიფომ არ გადაუხადა კონტრაქტით გათვალისწინებული თანხა და პირიქით, საგადასახადო სამსახურმა იქით დააკისრა გადასახადის გადახდა. ამის შემდეგ საქართველოს სასამართლოების მიერ მიღებული იქნა მომჩივანის სასარგებლო გადაწყვეტილებები, რომლის აღსრულებაც არ მომხდარა საქართველოს შესაბამისი სამსახურების მიერ.

ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება მოიცავს ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების უფლებას. ეს უფლება არარეალური იქნებოდა, თუ მაღალი ხელშემკვრელი მხარის ეროვნული სამართლებრივი სისტემა შესაძლებელს გახდიდა, ძალაში შესული საბოლოო გადაწყვეტილება ერთი მხარის საზიანოდ არაქმედითი დარჩენილიყო. კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, ნებისმიერი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება „სასამართლო პროცესის“ განუყოფელ ნაწილად უნდა განიხილებოდეს. მიუხედავად ამისა, სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერება გარკვეული ვადით, საზოგადოებრივ წესრიგთან დაკავშირებული სირთულეების მოგვარების აუცილებლობიდან გამომდინარე, შესაძლებელია გამართლებული იყოს განსაკუთრებული გარემოებების შემთხვევაში. მოცემულ შემთხვევაში საქართველოს მთავრობას არ მიუთითებია რაიმე კონკრეტულ გარემოებაზე, რომელიც გაამართლებდა სასამართლო გადაწყვეტილების ოთხ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში აღუსრულებლობას. ევროპულმა სა-

სამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებელ კომპანიას ხელი არ უნდა შეშლოდა, ესარგებლა მის სასარგებლოდ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებით, რასაც მისი ფუნქციონირებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა. ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების ოთხ წელზე მეტი ხნის განმავლობაში აღუსრულებლობის გამო, საქართველოს შესაბამისმა უწყებებმა კონვენციის მე-6 მუხლის (§1) მოთხოვნები ყოველგვარი სასარგებლო ეფექტის გარეშე დატოვეს.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფის, მე-13 მუხლის და პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის დარღვევა. ვინაიდან სახელმწიფო უწყებებმა ოთხ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში ვერ უზრუნველყვეს განმცხადებელი კომპანიის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულება, რის გამოც ამ უკანასკნელს შეექმნა პრობლემები საგადასახადო ორგანოებთან. სახელმწიფოს დაევალა 13050 (ცამეტი ათას ორმოცდაათი) ევროს გადახდა მომჩივანი კომპანიისთვის, საიდანაც მატერიალური ზიანის სახით კომპენსაცია იყო 10000 (ათი ათასი) ევრო, მორალური ზიანის ანაზღაურების სახით - 1000 (ათასი) ევრო, ხოლო გაწეული ხარჯებისა და დანახარჯების ანაზღაურების სახით - 2050 (ორი ათას ორმოცდაათი) ევრო.

6. „შპს „ამატ.ჯი“ და მებაღიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“. ევროპულ სასამართლოში საჩივარი შევიდა 2002 წლის 10 დეკემბერს. გადაწყვეტილება გამოვიდა 2005 27 დეკემბერს.

“Amat-G” აფრიკის ქვეყნებიდან საქართველოში თევზის პროდუქტის იმპორტს აწარმოებდა. 1996-1998 წლებში, კომპანიამ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების სახით 1.000.000 (ერთი მილიონი) აშშ დოლარზე მეტი გადაიხადა, რის გამოც სახელმწიფო საგადასახადო დეპარტამენტის მიერ „მსხვილ გადამხდელად“ იქნა მიჩნეული. 1998-99 წლებში “Amat-G” საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სხვადასხვა სახის თევზის პროდუქტით ამარა-

გებდა განსხვავებულ ფასად. მაგრამ თავდაცვის სამინისტრომ "Amat-G"-ის არსებული დავალიანების მხოლოდ ნაწილი გადაუხადა. 1999 წლის 29 ოქტომბერს განმცხადებლებმა კონტრაქტის პირობების დარღვევისა და ამის შედეგად 6.625.26 (ექვსი მილიონ ექვსას ოცდახუთი ათას ორას სამოცი) ლარის ოდენობის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წინააღმდეგ სამოქალაქო სარჩელი შეიტანეს თბილისის საოლქო სასამართლოში. თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო და სამეწარმეო საქმეთა პალატამ 1999 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დააკმაყოფილა განმცხადებელი კომპანიის სარჩელი და თავდაცვის სამინისტროს კომპანიისათვის 2.541.88 (ორი მილიონ ხუთას ორმოცდაერთი ათას რვაას ოთხმოცი) ლარის ოდენობის კომპენსაციის გადახდა დაავალა. გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა და ის 2000 წლის 6 იანვარს ძალაში შევიდა როგორც სავალდებულო. 2000 წლის 22 მარტს განმცხადებლებმა იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო ბიუროს მიმართეს განცხადებით, რომლითაც გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებას ითხოვდნენ. 2000 წლის 23 მარტს იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებო ბიუროს სასამართლო აღმასრულებელმა თავდაცვის სამინისტროს მოსთხოვა, რომ მას ნებაყოფლობით, ერთი თვის ვადაში დაეფარა განმცხადებელი კომპანიის წინაშე არსებული დავალიანება. ამ პერიოდის გასვლისთანავე, სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელმა თავდაცვის სამინისტროს წინააღმდეგ იძულებითი აღსრულების ზომებს მიმართა. მან იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზის ცენტრს იმ არასამხედრო ნაგებობათა სია გაუგზავნა, რომელთა გაყიდვაც შესაძლებელი იყო სატენდერო წესით ვალის დაფარვის მიზნით. მაგრამ ეს იყო ერთადერთი მიღებული ზომა, 1999 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილება კი აღუსრულებელი დარჩა. 2000 წლის 10 ივლისს თავდაცვის სამინისტრომ განცხადებით მიმართა თბილისის საოლქო სასამართლოს, რომლითაც,

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 263-ე მუხლის თანახმად, 1999 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილების აღსრულების გადავადებას ითხოვდა. მაგრამ 2000 წლის 3 აგვისტოს საოლქო სასამართლომ თავდაცვის სამინისტროს თხოვნა არ დააკმაყოფილა და დაასკვნა, რომ *“გადაწყვეტილების აღსრულების გადადება ზიანს მოუტანდა განმცხადებელი კომპანიის ინტერესებს და სამართლიანი და მიუკერძოებელი სასამართლოს პრინციპს დაარღვევდა”*. შესაბამისად, ძალაში დარჩა თავდაცვის სამინისტროს მიმართ არსებული სავალდებულო მოთხოვნა სასამართლო გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების თაობაზე; მაგრამ სამინისტრომ ვალის გადახდა ვერც ამის შემდეგ შეძლო. პარალელურად, 2000 წლის 19 იანვარს, “Amat-G”-მ ხელი მოაწერა კონტრაქტს გადამზიდველი კომპანიის კორპორაცია “Amat”-თან გემის დაქირავებაზე, რომლის ყოველთვიური საიჯარო გადასახადი 45.000 (ორმოცდახუთი ათას) აშშ დოლარს (43.611 ევრო) შეადგენდა. 2000 წლის 20 იანვარს “Amat-G” დაუკავშირდა თავდაცვის სამინისტროს და განუმარტა მას, რომ გემის იჯარის საფასურის დაფარვის ერთადერთი საშუალება მისთვის კომპანიის წინაშე არსებული სამინისტროს დავალიანებაა. განმცხადებელი კომპანია რვა თვის განმავლობაში ამოდ ელოდა თავდაცვის სამინისტროსაგან ვალის გადახდას. ამასობაში გემის იჯარის გადასახადმა 511.200 (ხუთას თერთმეტი ათას ორასი) აშშ დოლარი შეადგინა. “Amat-G”-ის განცხადებით, მან საწარმოო მოგების სახით ასევე დაკარგა 1.344.421 (მილიონ სამას ორმოცდაოთხი ათას ოთხას ოცდაერთი) აშშ დოლარი იმის გამო, რომ სამინისტრომ მას ვალი დროულად ვერ გადაუხადა. ამას გარდა, განმცხადებელ კომპანიას გასანაღდებელი ჰქონდა საგადასახადო დეკლარაცია 41.213 (ორმოცდაერთი ათას ორას ცამეტი) ლარის ოდენობით. ამ მიზეზთა გამო, 2001 წლის სექტემბერში კომპანიამ “Amat-G” 1999 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილების აღსრულებლობით განცდილი ზიანის გამო, თავდაცვის, იუსტიციისა და ფინანსთა სა-

მინისტროების წინააღმდეგ, სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლის საფუძველზე, მათი კოლექტიური პასუხისმგებლობის აღიარების მოთხოვნით, სარჩელი შეიტანა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო პალატაში. კომპანიამ 1.855.621 (მილიონ რვაას ორმოცდათხუთმეტი ათას ექვსას ოცდაერთი) აშშ დოლარისა და 41.213 (ორმოცდაერთი ათას ორას ცამეტი) ლარის ოდენობის ზიანის ანაზღაურება მოითხოვა. საოლქო სასამართლომ 2002 წლის 20 თებერვალს სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლის საფუძველზე სარჩელი არ დააკმაყოფილა. 2002 წლის 10 ივლისს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმცხადებელ კომპანიას უარი უთხრა საოლქო სასამართლოს 2002 წლის 20 თებერვლის გადაწყვეტილების აპელაციაზე. 1999 წლის 6 დეკემბრის აღიარებული დავალიანება ხუთნახევარი წლის შემდეგაც გადაუხდელი იყო. თავდაცვის სამინისტრომ აღნიშნულ შპს-ს მხოლოდ დავალიანების ნაწილი გადაუხადა.

ევროპულმა სასამართლომ საჩივრის განხილვის შედეგად დაადგინა „შპს „ამატ.ჯი“-ს მიმართ კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის, მე-13 მუხლის და პირველი დამატებითი მუხლის პირველი პუნქტის დარღვევები და დაავალა სახელმწიფოს მომჩივანისთვის 202000 (ორას ორი ათასი) ევროს გადახდა; აქედან 200000 (ორასი ათასი) ევროს გადახდა მატერიალური ზიანის ანაზღაურების სახით, ხოლო 2000 (ორი ათასი) ევროს გადახდა - განეული ხარჯებისა და დანახარჯების ანაზღაურების სახით.

7. „გივი დონაძე საქართველოს წინააღმდეგ“ - 2000 წლის 12 ოქტომბერს შეიტანა საჩივარი ევროპულ სასამართლოში. გადაწყვეტილება საქმეზე გამოვიდა 2006 წლის 7 მარტს.

მომჩივანი იყო დამსახურებული ინჟინერი და 1999 წლის 19 აპრილს იგი უკანონოდ გაათავისუფლეს სამსახურიდან, ხოლო საქართველოს სასამართლოებმა არ და-

აკმაყოფილეს მისი საჩივარი. ევროპულ სასამართლოში იგი ასაჩივრებდა იმ ფაქტს, რომ ადმინისტრაციის წინააღმდეგ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით აღძრული სარჩელის განხილვისას საქართველოში ვერ ისარგებლა სამართლიანი სასამართლოს განხილვის უფლებით. კერძოდ, საქართველოს არც ერთი ინსტანციის სასამართლომ არ დააკმაყოფილა მისი საჩივარი სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლების გამო ზიანის ანაზღაურების შესახებ, ხოლო სასამართლოს მიმდინარეობის დროს მას არ ეძლეოდა სიტყვის თქმის გონივრული ვადა და საშუალება, რის გამოც იყო არათანაბარ პირობებში მოპასუხე მხარესთან შედარებით, რითაც დაირღვა მხარეთა თანასწორობის პრინციპი. განმცხადებელი აღნიშნული დარღვევების შედეგად მისთვის მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის გამო ითხოვდა 824208 (რვაას ოცდაოთხი ათას ორას რვა) ევროს.

ევროპულმა სასამართლომ ამ საქმეზე დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფის დარღვევა და სახელმწიფოს დააკისრა განმცხადებლისათვის 3800 (სამი ათას რვაასი) ევროს გადახდა. სასამართლომ განაცხადა, რომ გივი დონაძემ შიდა სასამართლო ორგანოებში ვერ ისარგებლა ეფექტიანი სასამართლო განხილვით, ვინაიდან მათ ვერ განახორციელეს განმცხადებლის არგუმენტების ღრმა და სერიოზული განხილვა, რომ მათ თავიანთი მსჯელობა არ დააფუძნეს განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებზე, როგორც მათ ეს გააკეთეს მოპასუხე მხარესთან მიმართებით და ვერ დაასაბუთეს მოპასუხის მოთხოვნათა დაუკმაყოფილებლობა. ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოებს არა აქვთ შესაძლებლობა დაასაბუთონ მხარის თითოეულ არგუმენტზე უარის თქმის მოტივაცია, ისინი არ თავისუფლდებიან ვალდებულებისაგან ჯეროვნად განიხილონ და პასუხი გასცენ მათ მიერ წამოყენებულ ძირითად მოთხოვნებს.

8. „კარენ დავითიანი საქართველოს წინააღმდეგ“

-ევროპულ სასამართლოში საჩივარი შევიდა 2001 წლის 24 მაისს, გადაწყვეტილება საქმეზე გამოვიდა 2006 წლის 27 ოქტომბერს.

განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ პატიმრობის პერიოდში მის მიმართ გამოყენებული იქნა წამება და არაადამიანური მოპყრობა (მათ შორის ელექტროშოკი), რის საფუძველზეც ასაჩივრებდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას და სახელმწიფოსგან მოითხოვდა 1 მილიონი დოლარის კომპენსაციას.

ევროპულმა სასამართლომ მტკიცებულებების ნაკლებობის გამო ვერ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის პირდაპირი დარღვევა, თუმცა, იმის გამო, რომ სახელმწიფომ არ ჩაატარა სრულყოფილი და ეფექტიანი გამოძიება მის საჩივართან დაკავშირებით, მაინც დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული დარღვევა და სახელმწიფოს დააკისრა მომჩივანისათვის 3000 (სამი ათასი) ევროს გადახდა.

9. „დავით დანელია საქართველოს წინააღმდეგ“

- 2001 წლის 28 მარტს შეიტანა საჩივარი ევროპულ სასამართლოში. გადაწყვეტილება საქმეზე გამოვიდა 2006 წლის 17 ოქტომბერს.

განმცხადებელი მუშაობდა ციხის ცენტრალურ საავადმყოფოში, ევალეობდა პატიმართა პალატების გაკონტროლება. 2000 წლის 1 ოქტომბრის ღამეს, მისი მორიგეობის დროს გაიქცა 12 პატიმარი (აბსანძე და სხვები), რის გამოც დანელიას ბრალი დაედო გულგრილობაში. გამოძიების ეტაპზე მის მიმართ გამოყენებულ იქნა წამების სხვადასხვა ფორმები, რაზეც მან იჩივლა სხვადასხვა სტრუქტურებში, ბოლოს - სასამართლოში, თუმცა საქართველოს სასამართლოებში ვერ დაადასტურა მისი წამების ფაქტი.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მის მიმართ კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული დარღვევა და მე-13 მუხლის დარღვევა და სახელმწიფოს დააკისრა 3000 (სამი ათასი) ევროს გადახდა მომჩივანისთვის.

10. „დავით გურგენიძე საქართველოს წინააღმდეგ“ - 2001 წლის 18 მაისს შეიტანა საჩივარი ევროპულ სასამართლოში. გადანყვეტილება საქმეზე გამოვიდა 2007 წლის 17 იანვარს.

მომჩივანმა გადანყვიტა მამისგან დატოვებული ხელნაწერების (მათ შორის კონსტანტინე გამსახურდიას 1970 წლის ხელნაწერის) გაყიდვა. ამასთან დაკავშირებით გაზეთში ჟურნალისტმა გამოაქვეყნა მისი პატივისა და ღირსების შემლახველი სტატიები, რაზეც მან იჩივლა საქართველოს სასამართლოში პატივისა და ღირსების შელახვის აღიარების მოთხოვნით, რაც არ იქნა დაკმაყოფილებული, რის გამოც მან შეიტანა საჩივარი ევროპულ სასამართლოში.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა დავით გურგენიძის მიმართ კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა და სახელმწიფოს დააკისრა 6116 (ექვსი ათას ექვსას თექვსმეტი) ევროს გადახდა მომჩივანისთვის.

11. „ლეონიდ აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“ - 2002 წლის 25 ოქტომბერს შეიტანა საჩივარი ევროპულ სასამართლოში. გადანყვეტილება საქმეზე გამოვიდა 2007 წლის 28 თებერვალს.

საქართველოს სასამართლოებმა ლ. აპოსტილის მოვალეს დააკისრეს ვალის გადახდა, ხოლო თვითონ მას დაეკისრა სააღსრულებო ხარჯების გადახდა. სააღსრულებო სამსახურმა არ აღასრულა სასამართლოს ეს გადანყვეტილება, ვინაიდან აპოსტოლს სთხოვდა ჯერ მისი მხრიდან სააღსრულებო ხარჯების გადახდას და მხოლოდ ამის შემდეგ აპირებდა სასამართლოს გადანყვეტილების აღსრულებას იმ ნაწილში, რაც ეხებოდა აპოსტოლის სასარგებლოდ მოვალისაგან ვალის ამოღებას. ამ გადანყვეტილების სამართლიანობა დაადასტურეს საქართველოს სასამართლოებმა.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა ლეონიდ აპოსტოლის მიმართ კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფის დარღვევა და მიუთითა: ვინაიდან მომჩივანს სა-

მართლიანი დაკმაყოფილების მოთხოვნა არ დაუყენებია, მისთვის რაიმე თანხის გადაცემის საბაბი არ არსებობს. თუმცა იქვე აღნიშნა, რომ გადანაცვები, რომელშიც სასამართლო დაადგენს კონვენციით ან მისი დამატებითი ოქმებით გათვალისწინებული უფლებების დარღვევას, მოპასუხე სახელმწიფოსთვის წარმოქმნის სამართლებრივ ვალდებულებას, არა მარტო გადაიხადოს სამართლიანი დაკმაყოფილების სახით დაკისრებული თანხა, არამედ ასევე, მინისტრთა კომიტეტის ზედამხედველობის ქვეშ, შეარჩიოს ინდივიდუალური ან/და შესაბამის შემთხვევაში ზოგადი ხასიათის ღონისძიებები, რომლებიც შიდასამართლებრივ სისტემაში უნდა გატარდეს კონვენციის დარღვევების აღმოფხვრის მიზნით. მოპასუხე სახელმწიფომ სათანადოდ უნდა გამოასწოროს დარღვევიდან გამომდინარე ყოველგვარი შედეგი იმგვარად, რომ შეძლებისდაგვარად აღდგეს დარღვევამდე არსებული მდგომარეობა. ამას გარდა, კონვენციიდან, კერძოდ კი მისი პირველი მუხლიდან გამომდინარეობს, რომ მისი რატიფიცირებისას, ხელშემკვრელი სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას, უზრუნველყონ თავიანთი კანონმდებლობის შესაბამისობა კონვენციასთან. ამდენად, მოპასუხე მთავრობა ვალდებულია აღმოფხვრას შიდა საკანონმდებლო სისტემაში არსებული ნებისმიერი დაბრკოლება, რომელიც ხელს შეუშლის მომჩივნის მდგომარეობის ადეკვატურ გამოსწორებას. სასამართლომ სახელმწიფოს დაავალა 3 თვის ვადაში სასამართლოს გადანაცვებების აღსრულების უზრუნველყოფა, ანუ საქართველოს სასამართლოების მიერ დადგენილი მის სასარგებლოდ არსებული ვალის მისთვის დაბრუნების უზრუნველყოფა.

12. „ლევან ქიძინიძე საქართველოს წინააღმდეგ“

- 2000 წლის 3 ნოემბერს შეიტანა საჩივარი ევროპულ სასამართლოში. გადანაცვები საქმეზე გამოვიდა 2008 წლის 7 ივლისს.

განმცხადებელი ასაჩივრებდა, რომ იყო პოლიტიკური დისკრიმინაციის მსხვერპლი. იგი იყო შპს “მარსი-91“-ის

თანადამფუძნებელი და გენერალური დირექტორი 1991-1995 წლებში. 1993 წელს განმცხადებელი დაიბარა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მეთაურმა ასლან აბაშიძემ და რეგიონში შიმშილობისა და “სოციალური აფეთქების” თავიდან აცილების მიზნით, 4 500 ტონა ფქვილის შემოტანა დაავალა. იმპორტის ხელშეკრულება დაიდო 1993 წლის 25 ივნისს, “მარსი-91”-ის წარმოდგენელს (ანუ განმცხადებელსა) და ა. აბაშიძის განკარგულებით, სახელმწიფო საწარმო “აჭარის პურისა და მარცვლეული კულტურების პროდუქცია”-ს შორის. ერთი ტონა ფქვილის ფასი 360 დოლარით განისაზღვრა. “მარსი-91”-მა მოკლე ვადაში შემოიტანა 3 671 ტონა ფქვილი. ფქვილის შემოტანისთანავე, ა. აბაშიძემ საქონლის კონფისკაცია მოახდინა იმ მიზნით, რომ დაბალ ფასად გაეყიდა რესპუბლიკის პურის მაღაზიებში, რომლების წინაც მრავალი თვის მანძილზე დიდი რიგები იდგა და რასაც რამდენიმე კაცის სიკვდილიც მოჰყვა. განმცხადებლის არაერთგზის პროტესტის შემდეგ, ა. აბაშიძის განკარგულების თანახმად, “მარსი-91”-მა შეძლო მიეღო შემოტანილი ფქვილის ღირებულების ნაწილი, თუმცა, ა. აბაშიძემ აიძულა განმცხადებელი, ამ თანხის ნაწილი გადაერიცხა მისი ფონდისა და პოლიტიკური პარტიის - “აღორძინება” ანგარიშებზე. 1995 წლის 7 სექტემბრის განკარგულებით, აჭარის ა/რ მინისტრთა საბჭომ აღიარა ფქვილის იმპორტთან დაკავშირებული დავალიანების არსებობა და იკისრა ვალდებულება, “მარსი-91”-სათვის გადაეხადა 240 000 (ორასორმოცი ათასი) აშშ დოლარი. თუმცა, შპს-ს არ ანაზღაურებია იმპორტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირველადი დავალიანება და დაგვიანებით გამოწვეული საურავი, ანუ 495 049 (ოთხას ოთხმოცდათხუთმეტი ათას ორმოცდა ცხრა) ამერიკული დოლარი. 1994 წლის 21 ოქტომბერს, ა. აბაშიძემ “მარსი-91”-ს 30000 (ოცდაათი ათასი) აშშ დოლარი გამოსცა, რომლის გადარიცხვა განმცხადებელმა იძულებით განახორციელა პოლიტიკური პარტია “აღორძინების” ანგარიშზე. 1995 წლის იანვრიდან

მაისამდე, ა. აბაშიძემ განმცხადებელს დაავალა ავტომანქანების შეძენა აღნიშნული პარტიის სხვადასხვა რანგის ხელმძღვანელებისთვის, რაც განმცხადებელმა შეასრულა. 1999 წლის 16 დეკემბერს, ფინანსური მანიპულაციების ბრალდებით, აჭარის სამართალდამცავმა ორგანოებმა განმცხადებლის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღძრეს. მათი მტკიცებით, განმცხადებელმა, ფქვილის იმპორტის გადაუხდელობით გამოწვეული დეფიციტის დასაფარად, ქ. ბათუმის თამბაქოს ფაბრიკას 845 000 (რვაას ორმოცდახუთი ათასი) აშშ დოლარი გამოსძალა. განმცხადებელმა სასწრაფოდ დატოვა საქართველო და გერმანიაში გადავიდა საცხოვრებლად.

2000 წლის 26 თებერვალს, განმცხადებელმა აჭარის ა/რ-ს უზენაეს სასამართლოში შეიტანა სარჩელი “მარსი-91”-ისა და თავისი სახელით - აჭარის ხელისუფლების მაღალჩინოსნების, მათ შორის, ა. აბაშიძის, ბათუმის თამბაქოს ფაბრიკისა და აჭარის სხვა სახელმწიფო დაწესებულებების წინააღმდეგ. მან წარადგინა 1999 წლის 4 დეკემბრის მინდობილობა, რომლითაც მას ეძლეოდა უფლება, ემოქმედა “მარსი-91”-ის სახელით. გარდა ამისა, განმცხადებელი ითხოვდა, რომ ფქვილის იმპორტიდან შემოსული თანხის (495 049 აშშ დოლარი), ასევე, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ მითვისებული თანხების ანაზღაურებას საწარმოსთვისაც და პირადად მისთვისაც. მისი პრეტენზიები გამყარებული იყო შესაბამისი ციფრებით, არგუმენტებითა და სხვა მტკიცებულებებით. გამომდინარე იქიდან, რომ მის სარჩელს რეაგირება არ მოჰყოლია, 2000 წლის 20 აპრილსა და 2001 წლის 31 ივლისს, განმცხადებელმა კვლავ მიმართა აჭარის ა/რ-ს უმაღლეს სასამართლოს იმავე მოთხოვნებით. განმცხადებელი ასევე უთითებდა, რომ მის მიმართ ადგილი ჰქონდა პოლიტიკური ხასიათის დისკრიმინაციას. ის მოითხოვდა აჭარის ხელისუფლების წარმომადგენლების სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემას. ვინაიდან აღნიშნული სარჩელიც უპასუხოდ დარჩა, ამან გააძლი-

ერა განმცხადებლის ეჭვები სასამართლოს დამოუკიდებულობის თაობაზე, 2001 წლის 14 აგვისტოსა და 11 სექტემბერს, მან მოითხოვა საქმის სხვა სასამართლოსათვის გადაცემა. აღნიშნულის საპასუხოდ, 2001 წლის 17 აგვისტოს, სასამართლომ შეატყობინა განმცხადებელს, რომ მისი საქმის სხვა სასამართლოსათვის გადაცემა შეუძლებელი იყო, ვინაიდან 2001 წლის 26 მარტს, განმცხადებელს უარი ეთქვა შუამდგომლობის რეგისტრაციაზე. აღნიშნული გადაწყვეტილების თანახმად, განმცხადებელს - “მარსი-91”-ის დამფუძნებელს, არ გააჩნდა უფლებამოსილება, შპს-ს სახელით შეეტანა სარჩელი სასამართლოში, ვინაიდან “მენარმეთა შესახებ” კანონის მე-9 მუხლი (§4) ასეთ უფლებამოსილებას დირექტორებს ანიჭებდა. ამასთან, აქვე აღინიშნა რომ სისხლის სამართლის საქმის განხილვა წარმოადგენს არა სამოქალაქო სასამართლოს, არამედ საგამოძიებო ორგანოების კომპეტენციას და ლევან ქიძინაძის საჩივრების საფუძველზე პირიქით, მის წინააღმდეგ აღიძრა სს საქმე და გერმანიის მთავრობას მისი ექსტრადიციის მოთხოვნით მიმართეს, თუმცა, ის გერმანიაში უკვე სარგებლობდა პოლიტიკური დევნილის სტატუსით.

აჭარაში ხელისუფლების შეცვლისა და საქართველოდან ასლან აბაშიძის გაქცევის შემდეგ, 2004 წლის 3 მაისს, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ შეწყვიტა განმცხადებლის მიმართ 2002 წლის 16 აგვისტოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე იმ მოტივით, რომ ყოფილი პარლამენტარის წინააღმდეგ საქმის აღძვრა მხოლოდ საქართველოს გენერალური პროკურორის მიერაა შესაძლებელი. 2004 წლის 8 მაისს, ასევე გაუქმდა განმცხადებლისათვის წინასწარი პატიმრობის შეფარდების გადაწყვეტილება. 2005 წლის 8 ოქტომბერს, განმცხადებლის წინააღმდეგ, 1999 წლის 16 დეკემბერს აღძრული სისხლის სამართლის საქმე შეწყდა მის ქმედებაში „დანაშაულის ნიშნების არარსებობის“ მოტივით.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა ლევან ქიძინაძის მიმართ კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფის

დარღვევა აჭარის ა/რ უმაღლეს სასამართლოში საქმის განხილვის გაჭიანურებისა და ბათუმის საქალაქო სასამართლოში მის მიერ 2000 წლის ოქტომბერში შეტანილი სარჩელის განუხილველობის გამო და სახელმწიფოს დააკისრა მომჩივანისთვის 4900 (ოთხი ათას ცხრაასი) ევროს გადახდა.

13. „რობერტ ღარიბაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ - 2003 წლის 17 მარტს შეიტანა საჩივარი ევროპულ სასამართლოში. გადაწყვეტილება საქმეზე გამოვიდა 2008 წლის 29 ოქტომბერს.

რ. ღარიბაშვილი 2001 წლიდან იხდიდა სასჯელს 14 წლის გოგონას გაუპატიურების ბრალდებით და მისჯილი ჰქონდა 13 წლით თავისუფლების აღკვეთა. მომჩივანი აცხადებდა, რომ რუსთავის პოლიციის განყოფილებაში ყოფნის დროს, 2001 წლის 23-25 მაისს, მისგან აღიარებითი ჩვენების მიღების მიზნით, პოლიციელთა მხრიდან მის მიმართ განხორციელდა არასათანადო მოპყრობა. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ მას დაადეს ხელბორკილები, თავზე ჩამოაცვეს აირწინალი, რათა მისი ყვირილის ხმა არ გასულიყო და სასტიკად სცემეს, რის შედეგადაც მოტეხეს ყბის ძვალი და მარცხენა ხელის საჩვენებელი თითი. მომჩივანის მიმართ ასეთი მოპყრობა, მისივე თქმით, წაქეზებული იყო ქ. რუსთავის კრიმინალური პოლიციის უფროსისა და ქ. რუსთავის პროკურატურის გამომძიებლების მიერ, რომლებიც ესწრებოდნენ ზემოაღნიშნულ შემთხვევას. ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ შიდა სასამართლო წარმოების შედეგად ვერ იქნა მოძიებული ხელშესახები სამხილი იმისა, რომ განმცხადებელს არასათანადოდ მოეპყრნენ რუსთავის პოლიციის განყოფილებაში 2001 წლის 23-25 მაისს. შიდა სასამართლოების მიერ დადგენილი ფაქტების გარდა და განსაკუთრებით ზედმინევნით კრიტიკული განხილვის საფუძველზე სასამართლოს არ ძალუძს მწირი სამედიცინო მასალისა და მომჩივანის ბრალდებების საფუძველზე დაასკვნას, რომ არასათანადო მოპყრობას ადგილი ჰქონდა “გონივრულ ეჭვს მიღმა”. აღნიშნული

ინფორმაციის ნაკლებობა შესაბამისი ორგანოების მიერ ჩატარებული გამოძიების ხარვეზების შედეგია. შესაბამისად, სასამართლოს არ შეუძლია დაადგინოს კონვენციის მე-3 მუხლის არსებითი დარღვევა პატიმრობისას მომჩივნის მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტთან დაკავშირებით. ამასთან, სასამართლომ მიუთითა, რომ როდესაც პირი წამოჭრის პრეტენზიას იმის თაობაზე, რომ იგი პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობის მსხვერპლი გახდა, რითაც დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი, აღნიშნული მუხლი, კონვენციის პირველი მუხლით გარანტირებულ სახელმწიფოს ზოგად ვალდებულებასთან ერთად, „ყველასათვის თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში უზრუნველყონ (...) კონვენციით განსაზღვრულ უფლებები და თავისუფლებები“, გულისხმობს, რომ საჭიროა ჩატარდეს ეფექტური ოფიციალური გამოძიება. აღნიშნული გამოძიება უნდა იძლეოდეს პასუხისმგებელ პირთა გამოვლენისა და დასჯის საშუალებას. სხვა მხრივ, წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობისა და დასჯის აკრძალვა, მიუხედავად მისი ფუნდამენტური მნიშვნელობისა, არ იქნებოდა პრაქტიკაში განხორციელებადი და შესაძლოა, აქედან გამომდინარე, ზოგ შემთხვევებში სახელმწიფოს წარმომადგენელთა მხრიდან ადგილი ჰქონდეს ამ უფლებათა ბოროტად გამოყენებას მათი კონტროლის ქვეშ მყოფ პირთა მიმართ, სრული დაუსჯელობის ფონზე.

მაშინაც კი, როცა სასამართლო ვერ ადგენს, ჰქონდა თუ არა ადგილი კონვენციის მე-3 მუხლით აკრძალულ ქმედებათა ჩადენას, შესაძლებელია აღნიშნული მუხლის პროცედურული მხარის მოხმობა, რომლითაც გამოვლინდება ხელისუფლების მხრიდან სათანადო დროს მსგავს საჩივრებზე არაეფექტური რეაგირება. გამოძიების ვალდებულება არის არა შედეგობრივი ვალდებულება, არამედ საშუალების. იმისათვის, რომ გამოძიება წარიმართოს ეფექტურად, შესაძლოა ზოგად საჭიროებად ჩაითვალოს გამოძიების მწარმოებელთა დამოუკიდებლობა განსახილველ მოვლენებში მონაწილე პირთაგან. ეს გულისხ-

მობს არამართო იერარქიული ან ინსტიტუციური კავშირის არარსებობას, არამედ პრაქტიკულ დამოუკიდებლობასაც. გამოძიება უნდა იყოს სრულყოფილი, რაც გულისხმობს იმას, რომ შესაბამისი ორგანოები ყოველთვის უნდა შეეცადნონ, გაარკვიონ თუ რა მოხდა სინამდვილეში და არ უნდა დაეყრდნონ ნაჩქარევ ან უსაფუძვლო დასკვნებს იმისათვის, რომ დახურონ გამოძიება ან სხვაგვარად გამოიტანონ დასკვნები. მათ უნდა მიიღონ მათ ხელთ არსებული ყველა ზომა, რათა უზრუნველყონ მტკიცებულებათა მოპოვება მოცემულ ინციდენტთან დაკავშირებით, მათ შორის, თვითმხილველ მოწმეთა ჩვენებები და სასამართლო-სამედიცინო მტკიცებულებები ნებისმიერი ნაკლოვანება გამოძიების დროს, რომელიც ხელს უშლის დაზიანების გამომწვევი მიზეზის ან მასზე პასუხისმგებელი პირის დადგენას, არ შეესაბამება ზემოაღნიშნულ სტანდარტს. საბოლოოდ, გამოძიება უნდა იყოს სწრაფი. კონვენციის მე-3 მუხლის შესაბამისად, სასამართლომ უნდა დაადგინოს, სათანადო დროს მოახდინეს თუ არა კომპეტენტურმა ორგანოებმა სწრაფი რეაგირება წამოყენებულ საჩივრებთან მიმართებაში.

ევროპულმა სასამართლომ ამ საქმეზე განმცხადებლის მიმართ დაადგინა მხოლოდ კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული დარღვევა.

14. „ნოდარ ჯღარკავა საქართველოს წინააღმდეგ“ - 2003 წლის 19 თებერვალს შეიტანა საჩივარი ევროპულ სასამართლოში. გადანწყვეტილება საქმეზე გამოვიდა 2009 წლის 24 მაისს.

განმცხადებელი იყო რაიონის ლიცეუმის დირექტორი, ადგილობრივი გამგეობის წევრი, დააკავეს ქრთამის (20 ათასი რუბლი) აღების ბრალდებით, პატიმრობაში გაატარა 7 თვე და 8 დღე. შემდეგ პროკურატურამ სს ბრალდების საქმე შეწყვიტა, ხოლო საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ჯღარკავას უარი უთხრა ზიანის ანაზღაურებაზე. ევროპული სასამართლოსგან განმცხადებელი ითხოვდა 80 ათას ევროს ზიანის დადგენას.

ევროპულმა სასამართლომ, მართალია, დაადგინა მის მიმართ კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფის დარღვევა, თუმცა, გადანყვითა, რომ არ არსებობს სამართლიანი დაკმაყოფილების მიკუთვნების (ანუ სახელმწიფოსათვის თანხის გადახდის დაკისრების) საფუძველი.

15. „არჩილ ფანჯიკიძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ - 2002 წლის 24 ივლისს შეიტანეს საჩივარი ევროპულ სასამართლოში. გადანყვითილება საქმეზე გამოვიდა 2008 წლის 29 ოქტომბერს.

არჩილ ფანჯიკიძის გარდა, მომჩივანები იყვნენ გუჯარ ყურაშვილი, კახაბერ ქანთარია და გიორგი გიორგაძე. 1999 წლის 24 აპრილს, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს კონტრდაზვერვის სამსახურის ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე, უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსმა, საქართველოს ხელისუფლების დამხობისა და ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით შეთქმულების მომზადების ბრალდებით, გარკვეულ პირთა ჯგუფის მიმართ, სისხლის სამართლის საქმე აღძრა. ბრალდების მიხედვით, აღნიშნული დაჯგუფების მიზანს საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, უშიშროების, თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრების ფიზიკური ლიკვიდაცია წარმოადგენდა.

არჩილ ფანჯიკიძე დააკავეს 1999 წლის 22 მაისს დილით თავის საცხოვრებელ სახლში. მას, აუცილებელი წინასწარი სასამართლო ნებართვის გარეშე, ჩაუტარდა ჩხრეკა. ჩხრეკის შედეგად ამოღებულ იქნა „ნაგანის“ ტიპის რევოლვერი 6 ვაზნით და 1 ხელყუმბარა. პოლიციის განყოფილებაში მიყვანილი ფანჯიკიძისათვის 17:00 საათამდე უცნობი იყო დაკავების მიზეზი. ამ დროისთვის, მომჩივანი ეჭვმიტანილად იქნა ცნობილი ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობით სამშობლოს ღალატში; ტერორისტული აქტის განხორციელების მცდელობასა და მომზადებაში; უკანონო შეიარაღებული ფორმირების მომზადებასა და მასში მონაწილეობის მიღებაში

და იარაღის უკანონოდ შეძენაში, შენახვაში, ტარებასა და გადაზიდვაში. ტელევიზიის პირველი არხით გადაიყა, რომ შეთქმულების მონაწილე ფანჯიკიძის, ყურაშვილისა და ქანთარიას დაკავებით თავიდან იქნა აცილებული ქვეყნის კონსტიტუციური რეჟიმის დამხობა და რომ ამ პირებს ემუქრებათ როგორც სამუდამო პატიმრობა, ასევე ქონების კონფისკაცია.

ფანჯიკიძესა და ქანთარიას ბრალი ედებოდათ ძველი სისხლის სამართლის კოდექსის 65-ე (შეთქმულების გზით სახელმწიფო ხელისუფლების დამხობა), 67-ე (თანამდებობრივი საქმიანობის გამო მაღალი თანამდებობის პირის მკვლელობა), 238-ე (§1) და 238-ე (§§ 1-3) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში. ყურაშვილს ბრალი ედებოდა იმავე კოდექსის 65-ე, 67-ე, და 238-ე (§1) მუხლების საფუძველზე.

2001 წლის 8 ნოემბერს კოლეგიამ, 1 მოსამართლისა და 2 მსაჯულის (არაპროფესიონალი მოსამართლის) შემადგენლობით, გამოიტანა ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენი. გამართლდნენ რა ბრალდების დანარჩენ ნაწილთან მიმართებით, ფანჯიკიძე, ყურაშვილი, ქანთარია და გიორგაძე დამნაშავეებად იქნენ ცნობილნი შეთქმულების გზით სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისა და ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით სამშობლოს ღალატში (ახალი სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე (§1) მუხლით გათვალისწინებული ქმედება, რომელიც შეესაბამებოდა ძველი სისხლის სამართლის კოდექსის 65-ე მუხლს), ქანთარია ასევე დამნაშავედ იქნა ცნობილი იარაღის უკანონო შეძენასა და შენახვაში (ძველი სისხლის სამართლის კოდექსის 238-ე მუხლი). ფანჯიკიძეს, ყურაშვილსა და ქანთარიას, თითოეულ მათგანს, სასჯელის სახით 3 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა, ხოლო გიორგაძეს, 2 წლით და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა. გიორგაძეს საკასაციო წესით არ გაუსაჩივრებია ზემოაღნიშნული განაჩენი. დანარჩენმა სამმა მომჩივანმა მათი მსჯავრდების საფუძვლიანობა უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო პალატაში

გაასაჩივრეს და თავიანთ საკასაციო საჩივარში გააპროტესტეს ის ფაქტი, რომ მათი საქმის წინასწარ გამოძიებას უშიშროების სამინისტრო აწარმოებდა, მაშინ როდესაც თავად უშიშროების მინისტრი ამავე საქმეში დაზარალებულად იქნა ცნობილი. 2002 წლის 25 იანვარს, სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ უცვლელად დატოვა 2001 წლის 8 ნოემბრის განაჩენი.

მომჩივანები ეჭვქვეშ აყენებდნენ უზენაესი სასამართლოს მსაჯულთა კომპეტენტურობას, რომლებსაც, ასრულებდნენ რა მოსამართლის მოვალეობის იდენტურ მოვალეობას, არ ჰქონდათ არც შესაბამისი განათლება და არც გამოცდილება. მონაწილეობდნენ რა ბრალდებულთა განსჯაში იმ მნიშვნელოვან საქმეებში, რომლებიც უზენაესი სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციით განიხილებოდა, მსაჯულებზე, მოსამართლისგან განსხვავებით, არ ვრცელდებოდა პროფესიონალიზმისა და თანამდებობაზე კონკურსის წესით დანიშვნის მოთხოვნა, რის გამოც სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია, რომელიც შედგებოდა 1 მოსამართლისა და 2 მსაჯულისაგან, არ იყო სამართლებრივად კომპეტენტური მათ წინააღმდეგ მიმართული ბრალდების დასაბუთებულობის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად.

მორალური ზიანის ანაზღაურების სახით, ფანჯიკიძე ითხოვდა 200.000 (ორასი ათას) ევროს, ყურაშვილი – 500.000 (ხუთასი ათას) ევროს და ქანთარია – 100.000 (ასი ათას) ევროს. ისინი ამტკიცებდნენ, რომ გადაიტანეს მნიშვნელოვანი ტანჯვა სახელმწიფო ღალატში უსამართლოდ მსჯავრდების გამო, რაც მათ ამცირებს როგორც საკუთარ ისე ოჯახის წევრებისა და საზოგადოების თვალში. თუმცა, ამასთან დაკავშირებით ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ არ არსებობს მიზეზობრივი კავშირი ხსენებულ მატერიალურ ზიანსა და წინამდებარე საქმეში დადგენილ კონვენციის დარღვევას შორის. შესაბამისად, მოთხოვნის აღნიშნული ნაწილი სასამართლოს მიერ უარყოფილ იქნა.

ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ მომჩივნების საქმის განხილვაში მონაწილე ორმა მსაჯულმა, მოსამართლის თანაბარი უფლებამოსილებით განახორციელა მართლმსაჯულება და მათი რაოდენობის გათვალისწინებით, მათ ჰქონდათ აუცილებელი ხმათა უმრავლესობა გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად. იმის გათვალისწინებით, რომ მათ მიერ მოსამართლის ფუნქციების განხორციელება ეფუძნებოდა სასამართლო პრაქტიკას, რომელსაც ეროვნულ სამართალში იურიდული საფუძველი არ გააჩნდა, კოლეგია, რომელშიც ისინი მონაწილეობდნენ, არ წარმოადგენდა „კანონის საფუძველზე შექმნილს“. შესაბამისად, ამ თვალსაზრისით დაირღვა კონვენციის მე-6 (§1) მუხლი. სასამართლომ ამ საქმეზე დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფის დარღვევა და სახელმწიფოს დაავალა ფანჯიკიდის, ყურაშვილისა და ქანთარიასთვის 2000-2000 (ორი ათასი) ევროს გადახდა. ამასთანავე, სასამართლომ აღნიშნა, რომ როდესაც წინამდებარე საქმეში ადგილი ჰქონდა მომჩივნების პირველი ინსტანციით მსჯავრდებას იმ სასამართლოს მიერ, რომელიც, კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ, არ იყო კანონის საფუძველზე შექმნილი და ამის შემდგომ, საქმის ხელახალ, გლობალურ არსებით განხილვას ადგილი არ ჰქონია, ახალი პროცესი ან საქმის ხელახალი არსებითი განხილვა მომჩივნების მოთხოვნის საფუძველზე, პრინციპში, წარმოადგენს დადგენილი დარღვევის აღმოფხვრის სათანადო საშუალებას.

16. „გლდანის კონგრეგაციის 97 წევრი და ოთხი სხვა პირი საქართველოს წინააღმდეგ“ - 2001 წლის 29 ივნისს შეიტანეს საჩივარი ევროპულ სასამართლოში. გადაწყვეტილება საქმეზე გამოვიდა 2007 წლის 3 აპრილს.

1999 წლის 17 ოქტომბერს, რელიგიური შეკრებისას, კონგრეგაციის 120 წევრს („იელოვას მოწმეებს“) თავს დაესხა მართლმადიდებელ მორწმუნეთა ჯგუფი ბასილ მკალავიშვილის („მამა ბასილი“) ხელმძღვანელობით. მამა ბასილი იყო საქართველოს ავტოკეფალური მარ-

თლმადიდებლური ეკლესიის წევრი, მაგრამ 1995 წლის 31 ივლისს იგი განკვეთილ იქნა ეკლესიიდან საბერძნეთის სეპარატისტ მღვდელთა ლიგაში განწევრიანების გამო. მომჩივანები ჩიოდნენ, რომ ისინი თავდასხმისას სცემეს, ზოგიერთი დაჭრეს კიდევ. ისინი მიუთითებენ, რომ ამ ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს სამართალდამცავი და მართლმსაჯულების სტრუქტურების მიერ არანაირი ეფექტიანი გამოძიება არ ჩატარებულა და თავდასხმის არც ერთი მონაწილე არ დასჯილა.

ევროპულმა სასამართლომ ამ საქმეზე დაადგინა, რომ მომჩივანების ნაწილის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი, კონვენციის მე-9 მუხლი, როგორც ცალკე, ისე მე-14 მუხლთან კომბინაციაში 96 მომჩივნის მიმართ, ასევე დაადგინა, რომ არც ერთი საკითხი ცალკე არ ექცევა კონვენციის მე-13 მუხლის მოქმედების სფეროში, რომ საჭირო არ არის კონვენციის მე-10 და მე-11 მუხლების საფუძველზე წამოყენებული პრეტენზიების განხილვა. ევროპულმა სასამართლომ სახელმწიფოს დაავალა სხვადასხვა თანხების გადახდა თითოეული მომჩივანისთვის - 120-დან 700 ევრომდე, მთლიანობაში კი სახელმწიფოს მიერ გადასახდელი თანხა შეადგენდა 26320 (ოცდაექვსი ათას სამას ოცი) ევროს. გარდა ამისა, სახელმწიფოს დამატებით დაეკისრა ჯამში 15103 (თხუთმეტი ათას ას სამი) ევროს გადახდა ამ საჩივრის მომზადებაში მონაწილე 1 ქართველი და 3 უცხოელი ადვოკატისთვის. ერთად აღებული, ევროპული სასამართლოს მიერ მომჩივანებისა და ადვოკატებისთვის სახელმწიფოსათვის დაკისრებულმა გადასახდელმა თანხამ შეადგინა 41423 (ორმოცდაერთი ათას ოთხას ოცდასამი) ევრო.

ევროსასამართლოში გაგზავნილი საჩივრები 2004-2012 წლებში

2004-2012 წლებში („ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში) ევროპულ სასამართლოში საქართველოს მოქალაქეების მიერ გაგზავნილია დაახლოებით 5500-მდე საჩივარი. იმ საჩივრებს შორის, რომლებმაც

გადალახეს დასაშვებობის ზღვარი, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა საქართველოს ხელისუფლების მიერ ევროპული კონვენციის სხვადასხვა მუხლების დარღვევები შემდეგ საქმეებში:

1. „გორელიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“.

ევროპულ სასამართლოში საჩივარი გაგზავნილია 2004 წლის 10 მარტს, გადაწყვეტილება მიღებულია 2007 წლის 5 ივნისს.

გაზეთ „მერიდიანის“ 2000 წლის 5-7 ივლისის ნომერში ჟურნალისტ გორელიშვილის მიერ გამოქვეყნდა სტატია სათაურით: „ორმაგი სამინისტროს მინისტრმა არ იცის, სად და რამდენი აქვს შენახული“. სტატიის შინაარსი ეხებოდა დეპუტატ გივი ლომინაძის მიერ პარლამენტის წევრობის დროს შეძენილ დაუსაბუთებელ ქონებას. გივი ლომინაძემ სასამართლოში შეიტანა სარჩელი გაზეთის რედაქტორის წინააღმდეგ მის მიმართ განხორციელებული ცილისწამების გამო. იგი უარყოფდა გაზეთში მოყვანილ ფაქტებს და აცხადებდა, რომ მისი ქონებების უმეტესობა შეძენილი იყო 70-80-იან წლებში და რომ პარლამენტის წევრად არჩევის შემდეგ, 1993 წელს მან მხოლოდ საზაფხულო აგარაკი და თბილისის ბინა შეიძინა. პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ ჟურნალისტმა ვერ დაასაბუთა ბრალდება კორუფციაში, ცილისწამებად შეაფასა სტატიის ზოგიერთ ეპიზოდში დაფიქსირებული ფაქტები და დააკისრა გაზეთის რედაქტორს და ჟურნალისტს ერთობლივად 100 ლარის გადახდა. ჟურნალისტმა გაასაჩივრა ეს გადაწყვეტილება ჯერ სააპელაციო, ხოლო შემდეგ უზენაეს სასამართლოში, რომლებმაც ძალაში დატოვეს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. ამასთან, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მოსარჩელე ჟურნალისტს დაავალა შემდეგი ორი გამონათქვამის უარყოფა, რომლებიც სიმართლეს არ შეესაბამებოდა: „სიძე დაეხმარა სიმამრს, სხვაგვარად ეს უკანასკნელი ვერ შეძლებდა საზაფხულო აგარაკის მშენებლობის დასრულებას“, და „შეიძლება მხოლოდ ვიკითხოთ ლომინაძე და მისნაირი

ადამიანები მხოლოდ ჰაერით ხომ არ იკვებებიან და ამიტომაც ხელფასის დახარჯვა აღარ უნევთ. სხვგვარად როგორ შეიძლება ამდენის დაზოგვა?”

ჟურნალისტი მიიჩნევდა, რომ ცილისწამების ნაწილში სასამართლომ უსამართლოდ შეუზღუდა მას თავისუფლება, რაც კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას წარმოადგენს. ხელისუფლება არ მაღავდა, რომ სასამართლოს ქმედება წარმოადგენდა კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებულ უფლებაში ჩარევას, თუმცა ამტკიცებდა, რომ ეს ჩარევა დადგენილი იყო კანონით (სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი) და კანონიერ მიზანს ისახავდა, კერძოდ, სხვა ადამიანის უფლებისა თუ რეპუტაციის დაცვას.

ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ გამონათქვამები, რომლებიც არ მოიწონა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ, წარმოადგენს მოსაზრებას, რომელიც წარმოთქმულია პროვოკაციულ ტონში, რადგანაც წარმოადგენს პარლამენტარის ქონებრივი დეკლარაციის სანდოობის სუბიექტურ შეფასებას. მოცემულ შემთხვევაში ამკარაა, რომ საკმაოდ რთულია მტკიცების ტვირთის თაობაზე მოთხოვნის შესრულება. საქართველოს სასამართლოს მიერ სარკასტულად და ცინიკურად მიჩნეული ფრაზები მიზნად არ ისახავდა პირად თავდასხმას პარლამენტარზე, ვინაიდან გამონათქვამები არ იყო მოკლებული ფაქტობრივ საფუძველს, ანუ ეყრდნობოდა პარლამენტარის მიერ დეკლარირებული ქონების ტიპს და ღირებულებას, ხელფასს მის ნათესაურ კავშირს და ა. შ. აღნიშნულიდან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სახელმწიფოს ჩარევა არ იყო აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში, რის გამოც უზენაესი სასამართლოს მიერ გამოყენებული სტანდარტები შეუთავსებელია კონვენციის მე-10 მუხლის დებულებებთან. მოსარჩელე ითხოვდა მორალური ზიანის ანაზღაურებას 20000 (ოცი ათასი) ევროს ოდენობით. სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევა და მოსარჩელის სასარგებლოდ სახელმწიფოს დააკისრა 1500 (ათას ხუთასი) ევროს გადახდა.

2. „გია ფაცურია საქართველოს წინააღმდეგ“ – საჩივარი გაგზავნილია 2004 წლის 20 ივლისს, გადაწყვეტილება მიღებულია 2007 წლის 6 ნოემბერს.

2001 წლის 18 იანვრის ხელშეკრულების თანახმად, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს განმცხადებლისთვის უნდა გადაეცა სააქციო საზოგადოება „საქართველოს სახელმწიფო დაზღვევის“ აქციათა 90% იმ პირობით, რომ იგი სხვა ვალდებულებებთან ერთად, ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან ერთი თვის განმავლობაში 480,000 (ოთხას ოთხმოცი ათას) ლარამდე გაზრდიდა კომპანიის საწყის კაპიტალს.

2004 წლის 28 აპრილს, გენერალურმა პროკურორმა პირადად აღძრა სისხლის სამართლის საქმე სახელმწიფოს აქციათა 90% არამიზნობრივად ხარჯვისა და საბანკო დოკუმენტების გაყალბების ბრალდებით, ანუ იმ სამართალდარღვევებთან დაკავშირებით, რომლებზეც შესაბამისად ვრცელდება სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე და 362-ე მუხლები. 2004 წლის 5 მაისს, გია ფაცურიას ბრალი წაუყენეს, დააკავეს და მოათავსეს თბილისის №1 ციხის ე. წ. იზოლატორში. საკანში იყო სიბინძურე და ანტისანიტარია, სავსე იყო პარაზიტი მწერებით და არ გააჩნდა არც ვენტილაცია და არც ბუნებრივი განათება. სასჯელაღსრულების დაწესებულების ჩვეულებრივ საკანში კი 57 პატიმარზე სულ 24 საწოლი იყო და პატიმრებს მორიგეობით უწევდათ ძილი. 9 თვის განმავლობაში, სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე არაერთი მიმართვის მიუხედავად, მას არ შეუცვალეს აღკვეთის ღონისძიება და დატოვეს პატიმრობაში, ხოლო 2005 წლის 17 თებერვალს სასამართლომ ის დამნაშავედ ცნო საბუთების გაყალბების მცდელობაში და მიუსაჯა 3-წლიანი პატიმრობა. მას საბანკო დოკუმენტების გაყალბების ბრალდება მოეხსნა ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო. სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებმა ძალაში დატოვეს განაჩენი.

მსჯავრდების შემდეგ გ. ფაცურია გადაიყვანეს რუსთავის №1 ციხეში, სადაც თბილისის №1 ციხის მსგავსად,

აუტანელი პირობები იყო. პროტესტების გამოთქმის გამო ციხის ადმინისტრაციამ ფაცურიას ჯერ შეუფარდა დისციპლინური სასჯელი და სამი დღით კარცერში გაამწესა, ხოლო შემდეგ, 2006 წლის 21 სექტემბერს მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე აღძრა ციხეში დადგენილი წესების დარღვევის, ანუ მობილური ტელეფონით სარგებლობის გამო. ფაცურია ასაჩივრებდა იმ ფაქტს, რომ პირველ ინსტანციაში საქმის დაბრუნების გამო მისი პატიმრობის ვადა აღემატებოდა კონსტიტუციით დადგენილ 9-თვიან პერიოდს. ასაჩივრებდა უკანონო პატიმრობას, ვინაიდან სსსკ-ის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილის (მ) პუნქტის მიხედვით, გენერალურ პროკურორს არ ჰქონდა უფლება, აღედგრა სისხლის სამართლის საქმე მას შემდეგ, რაც მისმა ქვემდგომმა პროკურორმა უარი განაცხადა აღნიშნულზე.

ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ პატიმრობის ვადის ავტომატური გაგრძელება სამი თვით მხოლოდ კანონით დადგენილი პრეზუმფციის გამო, რომელიც ეფუძნება ბრალდებების სიმძიმესა და მიმალვის, ხელახალი სამართალდარღვევის ჩადენის ან მოლაპარაკების პიპოტეტურ საშიშროებას, არ შეესაბამება კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტს. აქედან გამომდინარე, ის ფაქტი, რომ 2004 წლის 8 მაისის ბრძანება ეხებოდა განმცხადებლის პატიმრობის საწყის პერიოდს, არ ათავისუფლებს ეროვნულ ხელისუფლებას, წარმოადგინოს ამ ღონისძიების მიზანშეწონილობის დამადასტურებელი დასაბუთება. სასამართლოს თქმით, 2004 წლის 8 მაისს, განმცხადებლის დაპატიმრებიდან სამ დღეში, პრეზუმფცია უნდა ყოფილიყო გათავისუფლების სასარგებლოდ. უფრო მეტიც სასამართლო მიიჩნევს, რომ 2004 წლის 8 მაისის ბრძანების დასაბუთება – შეგროვებული მტკიცებულებების კანონიერება, პატიმრობის გონივრულობის არგუმენტაციის ირელევანტურია.

რაც შეეხება მიმალვის საფრთხეს, სასამართლო განმარტავს, რომ ეს შეიძლება იყოს დაპატიმრების კანონიერი საფუძველი. მიუხედავად ამისა, იგი არ შეიძლება და-

ეფუძნოს საბოლოო განაჩენის სიმძიმეს და უნდა უკავშირდებოდეს რამდენიმე სხვა სათანადო გარემოებას. 2004 წლის 8 მაისის დაპატიმრების ბრძანებაში აღნიშნულია, რომ სასჯელის სიმკაცრე განაპირობებს *per se* მიმალვის საფრთხეს. სასამართლომ არ განიხილა ამ საფრთხის ხასიათი განმცხადებლის მიერ წარდგენილი დასაბუთების საპირისპიროდ, რომელიც მან მიუთითა გათავისუფლების მოთხოვნაში – თანამშრომლობა პროკურატურასთან, დოკუმენტაციის ნებაყოფლობითი წარდგენა და მისი გამოცხადება დაკითხვაზე მოთხოვნისთანავე, მისი სანდოობა და კარგი რეპუტაცია და სხვ. სავარაუდო სასჯელის სიმკაცრე ასევე არ იქნა გადამოწმებული საქმის სხვა გარემოებებთან, რომელიც ან დაადასტურებდა მიმალვის საფრთხეს, ან – იმდენად უმნიშვნელოდ წარმოაჩენდა მას, რომ პატიმრობის ვადის გაგრძელება ვეღარ იქნებოდა მიზანშეწონილი. ამიტომ სასამართლო მიიჩნევს, რომ მიმალვის საფრთხე არ იყო საკმარისად დასაბუთებული წინამდებარე საქმეში. რაც შეეხება ჭეშმარიტების დადგენისათვის ხელის შეშლის საფრთხეს, სასამართლო მიუთითებს, რომ აღნიშნული ბრმად იყო მოყვანილი და არ უკავშირდებოდა კონკრეტული საქმის გარემოებებს. მართალია, საფრთხე წარმოადგენს თავისუფლების შეზღუდვის მიზანშეწონილობის შეფასების ელემენტს, მაგრამ იგი არ შეიძლება დადგენილ იქნას დაუსაბუთებელი, აბსტრაქტული განცხადებების საფუძველზე. რაც შეეხება 2004 წლის 13 მაისის სააპელაციო გადაწყვეტილებას, სასამართლოს მიაჩნია, რომ დაპატიმრების ღონისძიება შენარჩუნებული იყო მხოლოდ ბრალდებების სიმძიმის გამო და არ მომხდარა სხვა შესაძლო მიზეზების შესწავლა, რომელთა გამოც პატიმრობის ვადის გაგრძელება მიზანშეწონილი იქნებოდა. ეს გადაწყვეტილება, ისევე, როგორც 2004 წლის 8 მაისის გადაწყვეტილება, არ ითვალისწინებდა განმცხადებლის საქმის ინდივიდუალურ გარემოებებს. ამგვარი მიდგომა სავარაუდოდ, გამოწვეული იყო სსსკ-ის 151-ე მუხლის მე-3 პუნქტით, მაგრამ, სასამართლოს მოსაზრე-

ბით, იგი არ შეიძლება იქნეს გამართლებული კონვენციის მიზნებისათვის. იგი ასევე არ შეესაბამება უდანაშაულობის პრეზუმფციას, რომელსაც ეროვნულმა სასამართლომ პატივი უნდა სცეს პატიმრობის მიზანშეწონილად ჩათვლის შემთხვევაში კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის ფარგლებში, ვინაიდან დაპატიმრებული პირი შეიძლება გამართლებულ იქნას ან განაჩენი გამოტანილ იქნას ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის. თბილისის საოლქო სასამართლოს წინაშე 2004 წლის 13 მაისს განმცხადებლისა და პროკურატურის დასაბუთებათა შედარებისას, სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებელი ცდილობდა დაემტკიცებინა გარემოებები პროკურატურის უსაფუძვლო ვარაუდების გასაქარწყლებლად, რომ მისი მიმალვის ან მოლაპარაკების ჰიპოთეტური საფრთხეც კი არ არსებობდა. სასამართლო მიუთითებს ამასთან დაკავშირებით, რომ მტკიცების ტვირთის გადანაცვლება დაპატიმრებულ პირზე თავისუფლების შეზღუდვის საკითხებში ნიშნავს კონვენციის მე-5 მუხლის ძირეულ შეცვლას. სასამართლო განსაკუთრებით შეშფოთებულია იმ ფაქტით, რომ რაიონულმა სასამართლომ განმცხადებლის სამართალში მიცემისას გადასინჯა და გააგრძელა დაპატიმრების ვადა 2004 წლის 6 დეკემბრამდე. იმის ნაცვლად, რომ გამოეჩინა „განსაკუთრებული გულისხმიერება“ შვიდი თვის მანძილზე გაგრძელებული პატიმრობის გათვალისწინებით, რაიონულმა სასამართლომ გამოიყენა სტანდარტული, შაბლონური გადაწყვეტილება. იმის ნაცვლად, რომ აღესრულებინა საკუთარი ვალდებულება, დამაჯერებელი დასაბუთება მიეცა განგრძობითი პატიმრობისათვის, იგი დაეყრდნო წინასწარ დადგენილ ფორმას და მის აბსტრაქტულ დებულებებს. სასამართლო 2004 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილებას მიიჩნევს კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტით გარანტირებული უფლებების განსაკუთრებით სერიოზულ შეზღუდვად. საბოლოოდ, სასამართლო ხაზს უსვამს იმ გარემოებასაც, რომ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის

ფარგლებში ხელისუფლება ვალდებულია, პირის გათავისუფლების ან დაპატიმრების საკითხის გადაწყვეტისას გაითვალისწინოს მისი სასამართლოს წინაშე გამოცხადების უზრუნველყოფის სხვა ალტერნატიული ღონისძიებები. დებულება მხარს უჭერს არამართო “გონივრულ ვადაში სასამართლოსადმი წარდგენას ან გათავისუფლებას საქმის განხილვის განმავლობაში”, არამედ – “გათავისუფლებას, განპირობებულს სასამართლოს წინაშე გამოცხადების გარანტიებით”.

გია ფაცურიას ითხოვდა იმის აღიარებას, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის პირველი, მე-5, მე-6, მე-7, მე-8, მე-9, მე-10 და მე-13 მუხლები, რის გამოც მთლიანობაში ითხოვდა 780000 (შვიდას ოთხმოც ათას) ევროს. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლის მიმართ დაირღვა კონვენციის მხოლოდ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი და დაადგინა, რომ მოპასუხე სახელმწიფომ განმცხადებელს უნდა გადაუხადოს 1500 ევრო მორალური ზიანის ასანაზღაურებლად და 2170 ევრო განუვლი ხარჯებისა და დანახარჯების ასანაზღაურებლად.

3. „კობა გიგოლაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ - 2005 წლის 27 აპრილს შეიტანა საჩივარი ევროპულ სასამართლოში. გადაწყვეტილება საქმეზე გამოვიდა 2008 წლის 8 ივლისს.

2003 წლის 6 დეკემბერს მომჩივანი პოლიციამ დააკავა ნარკოტიკების უკანონო შენახვის ბრალდებით. 2003 წლის 8 დეკემბერს, ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ მომჩივანს 3-თვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. სასამართლომ გაიზიარა პროკურორის არგუმენტი, მხედველობაში მიეღო მომჩივნისათვის წარდგენილი წინა ბრალდება, რომლისთვისაც იგი გამოსაცდელი ვადით იქნა გამოშვებული, რაც წარმოშობდა საფუძვლიან ეჭვს, რომ ახალი პროცესის დაწყებამდე, იგი თავს აარიდებდა სასამართლოში გამოცხადებას. 2004 წლის 19 თებერვალს გამოძიებამ მომჩივანსა და ორ სხვა პიროვნებას

წარუდგინა დანაშაულის განზრახ ჩადენის, იარაღის უკანონო ფლობის, ყაჩაღობისა და მკვლელობის ბრალდება. 2004 წლის 4 მარტს თბილისის საოლქო სასამართლომ მომჩივანს პატიმრობის ვადა 2004 წლის 5 მაისამდე გაუხანგრძლივა. 2004 წლის 29 აპრილს საქმის მთავარმა გამომძიებელმა მომჩივანსა და ორ სხვა დაკავებულ პირს გამოძიების დასრულების შესახებ აცნობა და საქმის მასალების გაცნობა შესთავაზა. მომჩივანმა გააპროტესტა გამომძიების დასრულება და მოითხოვა დამატებითი მოწმეების დაკითხვა. 2004 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილებით, იმ არგუმენტით, რომ მომჩივანს ადრეც შეეძლო ამ მოთხოვნით მიმართვა, გამომძიებელმა არ დააკმაყოფილა მოთხოვნა, როგორც პროცესის გაჭიანურების მცდელობა.

2004 წლის 5 მაისს მომჩივნის პატიმრობაში ყოფნის პერიოდი ამოიწურა მისი გახანგრძლივების თაობაზე შესაბამისი სასამართლო ბრძანების გარეშე. 2004 წლის 13 მაისს მომჩივანმა საჩივრით მიმართა კომპეტენტურ ბრალმდებელ ორგანოს 2004 წლის 5 მაისამდე უკანონო პატიმრობაში ყოფნის თაობაზე. მან ასევე გაასაჩივრა გამომძიების ნაადრევად დასრულება.

2004 წლის 16 მაისის გადაწყვეტილებით, ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურორმა უსაფუძვლობის მოტივით არ დააკმაყოფილა მომჩივნის 2004 წლის 13 მაისის საჩივარი. რაც შეეხება 2004 წლის 5 მაისამდე სავარაუდო უკანონო პატიმრობას, პროკურორი ამტკიცებდა, რომ საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, საქმის მასალების შესწავლის ვადა არ ითვლებოდა პატიმრობის ვადაში. რამდენადაც მომჩივანმა და მისმა წარმომადგენლებმა საქმის მასალების შესწავლა დაიწყეს 2004 წლის 30 აპრილს, რასაც ადასტურებს გამომძიებლის მიერ გაკეთებული ჩანაწერები, იმ დროიდან მომჩივნის დაკავება შეუძლებელია უკანონოდ ყოფილიყო მიჩნეული.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ 2004 წლის 5 მაისიდან 27 ოქტომბრამდე, 5 თვისა და 24 დღის გან-

მავლობაში, არ არსებობდა სასამართლოს გადაწყვეტილება მომჩივნის დაპატიმრების შესახებ. ის ფაქტი, რომ მომჩივანი და მისი ადვოკატი სწავლობდნენ სისხლის სამართლის საქმის მასალებს, რომელიც საბრალოდებო დასკვნასთან ერთად გადაეგზავნა შესაბამის კომპეტენტურ სასამართლოს განხილვისათვის, არ წარმოადგენდა მომჩივნის პატიმრობაში ყოფნის „კანონიერ“ საფუძველს კონვენციის მე-5 (§1 „ც“) მუხლის გაგებით. ამდენად, იმ დროს განხორციელებული დაკავება წარმოადგენს კონვენციის მე-5 (§1 „ც“) დარღვევას. მომჩივანს არ წარმოუდგენია სამართლიანი დაკმაყოფილების მოთხოვნა. შესაბამისად, სასამართლომ ჩათვალა, რომ არ არსებობს მისთვის რაიმე თანხის მიკუთვნების საჭიროება.

4. „გიორგი ნიკოლაიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“- 2004 წლის 24 სექტემბერს შეიტანა საჩივარი ევროპულ სასამართლოში. გადაწყვეტილება საქმეზე გამოვიდა 2009 წლის 13 იანვარს.

2003 წლის 20 ივნისს აღიძრა სისხლის სამართლის საქმე მკვლელობის მუხლით. 2003 წლის 20 ივლისს მომჩივნის ძმასა და კიდევ ერთ პირს ბრალი წარედგინათ მკვლელობისა და იარაღის უკანანო შეძენაში, შენახვასა და ტარებაში. ეჭვმიტანილები მიიმაღლნენ და 2003 წლის 4 ივლისს ოფიციალურად გამოცხადდნენ ძებნილებად. 2003 წლის ივლისში, დაუდგენელ დღეს, 4 პირის - მომჩივნის, მისი ძმის, მეორე ბრალდებულისა და ამ უკანასკნელის ძმის ფოტოები გამოკრულ იქნა ვაკე-საბურთალოს, ამბროლაურის რაიონის პოლიციისა და საქართველო-სომხეთის სასაზღვრო-გამშვები პუნქტის ძებნილ პირთათვის განკუთვნილ სტენდებზე, სადაც მითითებული იყო მათი სახელები და აღნიშნული იყო, რომ ისინი მკვლელობის საქმეზე იძებნებოდნენ. მომჩივნის ადვოკატების მოთხოვნის პასუხად, 2003 წლის 4 ნოემბერს თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ დაადგინა, რომ 2003 წლის მაისიდან ნოემბრამდე მომჩივნის მიმართ აღკვეთის ღონისძიებების შეფარდების არც ერთი

ფაქტი არ დარეგისტრირებულა სასამართლოში. 2003 წლის 28 ნოემბრის შეტყობინების თანახმად, ვაკე-საბურთალოს პოლიციის განყოფილებამ ადვოკატებს დაუდასტურა, რომ მკვლელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენის, შენახვისა და ფლობის ბრალდებით მხოლოდ მომჩივნის ძმა იძებნებოდა და ანალოგიური ზომები მომჩივნის მიმართ გატარებული არ იყო. 2003 წლის 15 დეკემბერს მომჩივნის ადვოკატებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს მოთხოვნით მიმართეს, მომჩივნის ფოტოები ძებნილ პირთათვის განკუთვნილი სტენდებიდან ჩამოეხსნათ და ის პირები დაესაჯათ, ვინც ფოტოები უკანონოდ განათავსა. 2003 წლის 30 დეკემბერის პასუხში შსს-მ განმეორებით დაადასტურა, რომ მკვლელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარების ბრალდებით მხოლოდ მომჩივნის ძმა იძებნებოდა. მომჩივანთან დაკავშირებით კი, გამომდინარე მისი მუდმივი უარიდან, გამოცხადებულიყო ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურაში, ამ უკანასკნელმა მის მიმართ განახორციელა „სათანადო ოპერატიული ზომები, რათა მომჩივანი პროკურატურის წინაშე წარმდგარიყო მოწმის სახით“. ფოტოსურათის მოხსნის მოთხოვნას პასუხი არ მოჰყოლია. 2004 წლის 28 იანვარს მომჩივნის ადვოკატებმა ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს მიმართეს, რათა აღძრულიყო საქმე ცილისწამებისათვის მომჩივნის ფოტოების უკანონოდ გამოქვეყნებასთან დაკავშირებით. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 27-ე მუხლის იმდროინდელი რედაქციის მიხედვით, ცილისწამებაზე საქმის აღძვრა წარმოებდა კერძო ბრალდების საფუძველზე და სსსკ-ის 627-ე (§1) მუხლის თანახმად, მხოლოდ კომპეტენტური სასამართლო იყო უფლებამოსილი აღედრა სისხლის სამართლის საქმე მომჩივანის განცხადების საფუძველზე. 2004 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილებით, ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ ცილისწამების შესახებ საჩივარი განუხილვევლად დატოვა. სასამართლომ საჩივარი ცილისწამების საფუძველზე სისხლის სამართლის

საქმის აღძვრის თაობაზე ხელმოწერილი იყო არა თავად მომჩივნის ან მისი ადვოკატების, არამედ ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრის დირექტორის მიერ, რომლის წევრებიც მომჩივნის ადვოკატები იყვნენ. ადვოკატების თანახმად, მათი კლიენტი მიიჩნევდა, რომ მისი თავისუფლება საფრთხის ქვეშ იყო და სწორედ ამით აიხსნებოდა მისი გამოუცხადებლობა სასამართლოში. ამის შემდგომ ადვოკატებმა, ზეპირი წესით, კვლავ მოითხოვეს იმ პირთა გამოვლენა და დასჯა, ვინც მომჩივნის ფოტოები ძებნილ პირთათვის განკუთვნილ სტენდებზე უკანონოდ განათავსა და ის ეჭვმიტანილი გახადა მკვლელობაში. რაიონულმა სასამართლომ დაადგინა, რომ საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, ქმედება ცილისწამების ნიშნებს არ შეიცავდა. მიუხედავად ამისა, სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება საქმის პროკურატურისთვის გადაცემის შესახებ, რათა ამ უკანასკნელს დაედგინა, ჰქონდა თუ არა სინამდვილეში სახელმწიფო მოხელეთა მხრიდან ბრალეული ქმედების ჩადენას აღგილი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს. 2004 წლის 9 თებერვალს ერთ-ერთ გაზეთში გამოქვეყნდა სტატია მომჩივნის ფოტოების უკანონო გამოქვეყნების თაობაზე, რის შემდეგაც პოლიციის სტენდებიდან ეს ფოტოები ჩამოღებულ იქნა.

მომჩივნის თანახმად, მკვლელობის საქმის ძიებისას მისი მშობლები მუდმივ ზეწოლას განიცდიდნენ ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან, მათ აშინებდნენ, რომ მომჩივანს „დაიჭერდნენ“, თუ მისი მიმალვაში მყოფი ძმა პოლიციას არ ჩაბარდებოდა. 2004 წლის 30 მარტს, პოლიციის განმეორებითი მოთხოვნის პასუხად, მომჩივანი გამოცხადდა ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურატურაში. მისვლისთანავე, მოწმედ დაკითხვის გარეშე, მოხდა მომჩივნის დაკავება ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენის, შენახვისა და/ან ტარების ბრალდებით - მკვლელობის საქმის ფარგლებში.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 (§1) მუხლი მომჩივნის ისეთ გარემოებ-

ებში დაკავების გამო, რომლებიც ხელყოფს პიროვნების უსაფრთხოების უფლებას; დაირღვა კონვენციის მე-5 (§1 „c“) მუხლი პატიმრობის ვადის ხელმეორედ გაგრძელების საფუძვლად შესაბამისი სასამართლო დადგენილების არარსებობის გამო; დაირღვა კონვენციის მე-5 (§3) მუხლი მომჩივნის წინასწარი პატიმრობისთვის საკმარისი მიზეზების არარსებობის გამო; დაირღვა კონვენციის მე-5 (§4) მუხლი, 2005 წლის 24 იანვარს, ზეპირი მოსმენის გარეშე სასამართლო განხილვის გამართვის გამო; დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი მომჩივნის, როგორც „ძებნილის“ ფოტოსურათის გამოკვრით პოლიციის სხვადასხვა განყოფილებებში; სახელმწიფოს დაეკისრა მომჩივანისთვის 8000 (რვა ათასი) ევროს გადახდა და უარყო მომჩივნის სხვა მოთხოვნები სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

5. „მიტროფანე სტურუა საქართველოს წინააღმდეგ“ - ევროპული სასამართლოს მიერ გადაწყვეტილება მიღებულია 2017 წლის 28 მარტს.

მიტროფანე სტურუა 1999 წელს დაინიშნა აბაშის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარედ 10 წლის ვადით. მის მიმართ დისციპლინური დევნა აღიძრა საქმის უსაფუძვლო გაჭიანულების მოტივით (სისხლის სამართლის საქმის მასალების ექვსი თვით შეყოვნება, მის მიერ საქმის აცილების დღიდან, 2003 წლის 29 ოქტომბრიდან) და მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს კოლეგიის მიერ იგი გათავისუფლდა თანამდებობიდან. მომჩივანმა აღნიშნული გაასაჩივრა სადისციპლინო საბჭოსა და უზენაეს სასამართლოში. არცერთმა მათგანმა არ დააკმაყოფილა მომჩივნის მოთხოვნა და ძალაში დარჩა თავდაპირველი გადაწყვეტილება. მომჩივანი დავობდა, რომ მის მიმართ მიმდინარე დისციპლინური სამართალწარმოება ეწინააღმდეგებოდა კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პუნქტს, რადგან მისი საჩივრის განმხილველი 8 წევრისაგან შემდგარი სადისციპლინო საბჭოს 4 წევრი ასევე მონაწილეობდა მისი გათავისუფლების პროცესში სადისციპლინო კო-

ლეგიის (პირველი ინსტანციის) ფორმატში. სტრასბურგის სასამართლოს თანახმად, კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი მოითხოვს, რომ მის ფარგლებში მოქცეული სასამართლო იყოს მიუკერძოებელი.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ რვა წევრისგან შემდგარი სადისციპლინო საბჭოდან ნახევარი, მათ შორის თავმჯდომარე, მანამდე იყო ჩართული საქმის განხილვაში პირველი ინსტანციის წესით. ასევე, იქიდან გამომდინარე, რომ უზენაესი სასამართლოს მიერ დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ საქმის გადასინჯვა, ცალსახად, შეზღუდული იყო სამართლებრივი საფუძვლებით, ევროპული სასამართლო არ იყო დარწმუნებული, რომ საკასაციო სასამართლოს გააჩნდა უფლებამოსილება, ეფექტურად გადაეწყვიტა აღნიშნული საკითხი, შესაბამისად, დადგინდა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილის დარღვევა. სასამართლომ მომჩივნის სასარგებლოდ საქართველოს მთავრობას დააკისრა 3500 (სამი ათას ხუთასი) ევრო არამატერიალური ზიანის სანაცვლოდ და 3380 (სამი ათას სამას ოთხმოცი) ევრო ხარჯების ასანაზღაურებლად.

6. „შალვა რამიშვილი და დავით კობრეიძე საქართველოს წინააღმდეგ“ - 2006 წლის 9 იანვარს შეიტანეს საჩივარი ევროპულ სასამართლოში. გადაწყვეტილება საქმეზე გამოვიდა 2009 წლის 24 აპრილს.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-5 მუხლის პირველი, მესამე და მეოთხე პარაგრაფების დარღვევა 2005 წლის 27 ნოემბრიდან 2006 წლის 13 იანვრამდე (პატიმრობის გახანგრძლივების ბრძანების არ გაცემის გამო), მე-5 საპრობილის ხალხმრავალ საკანში მძიმე პირობებში განთავსებისა და 2005 წლის 2 სექტემბერს სასამართლო დარბაზში არასათანადო პირობებისა და მოპყრობისათვის. სახელმწიფოს დაეკისრა თითოეული მომჩივანისთვის 6000 ევროს გადახდა და უარყო მათი სხვა მოთხოვნები სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით. სასამართლომ აგრეთვე დაავალა სახელ-

მწიფოს საქმის მწარმოებელი ორი ადვოკატისათვის და სხვა განუვლი ხარჯებისთვის 14694 ევროს გადახდა, ხოლო უარი თქვა დანარჩენი ორი ადვოკატისათვის თანხის ანაზღაურების დაკმაყოფილებაზე იმის გამო, რომ მათ არ წარმოუდგენიათ ხარჯების შესაბამისი დოკუმენტაცია.

7. “ღალი ხარიტონაშვილი საქართველოს წინააღმდეგ” - 2006 წლის 9 იანვარს შეიტანა საჩივარი ევროპულ სასამართლოში. გადანაცვებილება საქმეზე გამოვიდა 2009 წლის 24 აპრილს.

განმცხადებელს ჰქონდა სამოქალაქო დავა, რომელიც დაიწყო ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში და იჯარის სპეციფიკურ ელემენტებს ეხებოდა, რომელსაც ითვალისწინებდა საბჭოური სამოსახლო კანონი (ე. წ. „отступной“). მართალია, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ბინიდან გასახლების პროცესი შეიძლებოდა მიჩნეული ყოფილიყო, როგორც რთული და კომპლექსური, მაგრამ ვინაიდან პროცესი აშკარად მნიშვნელოვანი იყო განმცხადებლისთვის, იმის გამო, რომ სასწორზე იდო ოჯახისგან მემკვიდრეობით მიღებულ უძრავ ქონებაზე მისი საკუთრების უფლება. ამასთან, მთავრობას დამაჯერებელი ახსნა-განმარტება არ წარმოუდგენია იმის თაობაზე, თუ რატომ იყო უმოქმედოდ ადგილობრივი სასამართლოები დაახლოებით შვიდი თვის განმავლობაში - 2006 წლის 13 მარტამდე, მას შემდეგ, რაც განმცხადებელმა 2005 წლის 20 ივლისს დააყენა პროცესის განახლების შუამდგომლობა. შედეგად, მოსმენების რეგულარული ინტერვალით დანიშვნის პრაქტიკის აღდგენის მიუხედავად, პირველი ინსტანციის სასამართლო მაინც ვერ ახერხებდა საქმის დროულ განხილვას, ხოლო გასახლების პროცესი მიმდინარეობდა უკვე 8 წლისა და 11 თვის მანძილზე, პირველი ინსტანციის სასამართლო კი კვლავაც საწყის ეტაპზე არსებული საპროცესო სირთულეების წინაშე იდგა, კერძოდ, იხილავდა სადავო სახლის ტექნიკური ექსპერტიზის ჩატარების საჭიროებას. რაც შეეხება მთავრობის მიერ მიზეზად დასახელებულ დაყოვნებული საქმეების დიდ ოდენობასა და

სასამართლო სისტემის რეორგანიზაციას, ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ საქმეების ქრონიკული დაგროვება არ არის გადამეტებული დაყოვნების დასაბუთებული ახსნა და მეორეც, კონვენციის წევრი სახელმწიფო ვალდებულია იზრუნოს სასამართლოს ორგანიზებაზე ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნას ყოველი მოქალაქის უფლება მათი სამოქალაქო უფლებების და ვალდებულებების დადგენასთან დაკავშირებით “გონივრულ ვადაში”.

ევროპულმა სასამართლოს მიიჩნია, რომ მიმდინარე საქმეში მთავარი პრობლემა არის ის, რომ ადგილობრივი სასამართლოების მიერ არ იქნა მიღებული ეფექტური დისციპლინური ზომები მხარეების მიმართ და პროცესის ორგანიზებული მსვლელობა არ იქნა უზრუნველყოფილი. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა და დაადგინა მოსარჩელისთვის 3200 (სამი ათას ორასი) ევროს გადახდა.

8. „ხვია პოლოსიანი საქართველოს წინააღმდეგ“

- 2007 წ. 18 იანვარს შეიტანა საჩივარი ევროპულ სასამართლოში. გადაწყვეტილება საქმეზე გამოვიდა 2009 წლის 24 თებერვალს.

2005 წ. 6 დეკემბერს, მომჩივანი დააპატიმრეს ყაჩაღობის ბრალდებით და 2006 წ. 1 აგვისტოს პირველი ინსტანციის სასამართლომ მას შეუფარდა 13 წლითა 3 და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქმის სააპელაციო ინსტანციაში გასაჩივრების შემდეგ, 2008 წ. 13 აგვისტოს, თბილისის სააპელაციო სასამართლომ, საბოლოოდ, მომჩივანს შეუფარდა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, აქედან 3 წელი ციხეში, ხოლო 5 წელი პირობითი სასჯელის სახით. 2006 წლის 30 სექტემბერს მომჩივანი მოათავსეს მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულების ქირურგიულ განყოფილებაში გავა-კუდუსუნის ტკივილებით. 2006 წლის 3 ოქტომბერს, განმცხადებელს დაუდგინდა გავა-კუდუსუნის დერმოიდული კისტის დიაგნოზი. 2006 წ. 12 ოქტომბერს, მისი წერილობითი თანხმობის მიღების შემდეგ, განმცხადებელს ანესთეზიის ქვეშ ჩაუტარდა გავა-კუ-

დუსუნის დერმოიდული კისტის ოპერაცია - კისტექტომია. 2006 წ. 11 ნოემბერს მომჩივანი ციხის საავადმყოფოდან გადაყვანილ იქნა რუსთავის №6 საპრობილემში. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ ამ დროისთვის მისი ჭრილობა ჯერ კიდევ არ იყო შეხორცებული. 2006 წ. 17 ნოემბერს, განმცხადებლის ადვოკატმა მიმართა იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელს. ადვოკატის თანახმად, საქართველოში 2005 წ. აპრილში და გერმანიაში 2005 წ. მაისში ჩატარებული სასხლის ანალიზებიდან ირკვეოდა, რომ მომჩივანი დაავადებული იყო C ვირუსული ჰეპატიტით. გერმანიაში ჩატარებული სისხლის ანალიზის შედეგებით დადგინდა სისხლში გაზრდილი ვირუსული შემცველობა (776 kIU/ml). ადვოკატმა ითხოვა, რომ მისი კლიენტი გადაყვანილი ყოფილიყო ციხის საავადმყოფოში საფუძლიანი გამოკვლევებისა და ადეკვატური მკურნალობის ჩატარების მიზნით. 2006 წ. 4 დეკემბერს, ადვოკატმა იგივე განცხადებით მიმართა რუსთავის მე-6 საპრობილის დირექტორს, ხაზი გაუსვა დაავადების სერიოზულობას და მოითხოვა, რომ მის კლიენტს ჩატარებოდა ეფექტური მკურნალობა. იმავე დღეს მომჩივანმა საპრობილის მთავარ ექიმს მოსთხოვა საპრობილის დირექტორისათვის განმცხადებლის ისტორიის გადაცემა, რათა ამ უკანასკნელს გადაეწყოთ განმცხადებლის ციხის საავადმყოფოში გადაყვანის საკითხი. ადვოკატი ასევე შემფოთებული იყო იმ ფაქტით, რომ ბოლო მონაცემებით, განმცხადებლის სისხლში მომატებული იყო “როე” და რომ არსებობდა ანთებითი პროცესების განვითარების საშიშროება. ადვოკატმა ასევე გაიმეორა ადეკვატური მკურნალობის ჩატარების მოთხოვნა. 2006 წ. 5 დეკემბერს, ადვოკატმა ხელახლა მიმართა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელს და ამტკიცებდა, რომ ოპერაციის შემდეგ, მისი კლიენტი მანამ იქნა გადაყვანილი ციხეში, ვიდრე ჭრილობის დახურვა მოხდებოდა და რომ შემდგომი ანალიზები ანთებითი პროცესების არსებობას ადასტურებდა. ადვოკატი აპროტესტებდა იმ ფაქტს, რომ

მისი მოთხოვნები ადექვატური სამედიცინო მკურნალობის ჩატარების თაობაზე რეაგირების გარეშე დარჩა. მან ხელახლა მოითხოვა განმცხადებლის ციხის საავადმყოფოში გადაყვანა. 2006 წ. 8 დეკემბერს, რუსთავის მე-6 საპყრობილის უფროსმა ადვოკატს აცნობა, რომ მომჩივანს ჩაუტარდა სისხლის ზოგადი და სეროლოგიური ანალიზები და ახალი ბიოქიმიური ანალიზის ჩატარება აუცილებელი იყო. ანალიზის შედეგების შესაბამისად გაირკვეოდა “შემდგომი მკურნალობის გეგმა”. ზემოხსენებული, 2006 წ. 27 ნოემბერს ჩატარებული სისხლის ზოგადი და სეროლოგიური ანალიზების შედეგების თანახმად, სისხლში C ჰეპატიტის ანტისხეულები იქნა აღმოჩენილი და მათი გავრცელების სიჩქარე 2-ჯერ აღემატებოდა დადგენილ ზღვარს. 2006 წ. 13 დეკემბერს ჩატარებულმა სისხლის ბიოქიმიურმა ანალიზმა გამოავლინა მისაღებ ნორმაზე 1.5-ჯერ მაღალი ALAT მაჩვენებელი, ნორმის შესაბამისი ASAT მაჩვენებელი და დადგენილ ნორმაზე 4-ჯერ მაღალი GT გამის მაჩვენებელი, ხოლო ბილირუბინი შეესაბამებოდა დადგენილ ნორმას. 2006 წ. 12 დეკემბერს, ადვოკატმა კვლავ მიმართა განცხადებით საპყრობილის უფროსს, მისი ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ ციხეში არ იყო ჰეპატოლოგი და სთხოვა ნებართვა, რომ განმცხადებლის გასასინჯად გარედან შეეყვანა შესაბამისი სპეციალისტი, კონსულტაციისა და მკურნალობის დანიშვნის მიზნით. 2006 წ. 21 დეკემბრის საპასუხო წერილში, საპყრობილის უფროსი ამტკიცებდა რომ მომჩივანი გასინჯულ იქნა ჰეპატოლოგისა და ინფექციონისტის მიერ და დაუდგინდა C ქრონიკული ვირუსული ჰეპატიტი პათოლოგიური პროცესის დაბალი აქტივობით. შესაბამისად, ის არ საჭიროებდა ციხის საავადმყოფოში გადაყვანას და ამბულატორიული მკურნალობა საკმარისი იყო. 2006 წ. 27 დეკემბერს, ადვოკატმა გაასაჩივრა, რომ მის მიერ წარმოდგენილი სამედიცინო დოკუმენტების მიხედვით, მისი კლიენტი დაავადებული იყო C ვირუსული ჰეპატიტის არა დაბალი აქტივობის, არამედ მწვავე ფორმით. მან ეჭვქვეშ დააყენა იმ ჰეპატოლო-

გის კომპეტენცია, რომელმაც მომჩივანი გასინჯა და გააპროტესტა ის ფაქტი, რომ აღნიშნული გასინჯვის შედეგები მისთვის არ მიუწოდებიათ. მომჩივანი ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ მისი დაპატიმრების შემდეგ მას არ ჩატარებია არცერთი ანალოგი სისხლში ვირუსული შემცველობის დონის დადგენის მიზნით და C ჰეპატიტის სერიოზულობის მიუხედავად, მას არ ჩატარებია არავითარი მკურნალობა და რომ ხელისუფლების ინიციატივით ის მხოლოდ ერთხელ, 2007 წ. 14 ივნისს იქნა გასინჯული, 2007 წ. 30 აპრილს მთავრობისთვის საჩივარის შეტყობინების შემდეგ, ხოლო ჩატარებული ულტრაბგერითი გამოკვლევა არ იყო საკმარისი სისხლში ვირუსული შემცველობის დონის დასადგენად. რაც შეეხება საკვებს, ციხის მაღაზიაში არსებული პროდუქტები ფასიანი იყო და ციხის ადმინისტრაციას თავის თავზე უნდა აეღო მისნაირად დაავადებული ადამიანის შესაბამისი კვების ხარჯები. 2007 წ. 10 დეკემბრის წერილით, მომჩივანმა სასამართლოს აცნობა, რომ 2008 წ. 8 დეკემბერს მისი რუსთავის №2 ციხეში გადაყვანის შესახებ და ამტკიცებდა, რომ იმყოფებოდა ცივ საკანში, საბნისა და ლეიბის გარეშე. ადვოკატმა ციხის უფროსს მოსთხოვა კანონის შესაბამისი ყველა ზომის მიღება იმისათვის, რომ მომჩივანს ესარგებლა ადექვატური და ეფექტური მკურნალობით. არც ამ მოთხოვნას მოჰყოლია რაიმე შედეგი. 2008 წელს, სასჯელის მოხდის შემდეგ მომჩივანი გათავისუფლდა ციხიდან.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ რაც შეეხება ოპერაციის შემდგომი მკურნალობის ჩატარებას როგორც ციხის საავადმყოფოში, ისე რუსთავის №6 საპრობილუმში, ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას, თუმცა, რაც შეეხება C ვირუსული ჰეპატიტის მკურნალობის არარსებობას, რომლითაც მომჩივანი იყო დაავადებული, ამ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას. ასევე სასამართლომ დაადგინა, რომ რომ მოცემულ საქმეში არ არსებობს განმცხადებლისთვის სამართლიანი დაკმაყოფილების მიკუთვნების საფუძველი.

9. „ირაკლი ღავთაძე საქართველოს წინააღმდეგ“

- 2007 წლის 26 აპრილს შეიტანა საჩივარი ევროპულ სასამართლოში. გადაწყვეტილება საქმეზე გამოვიდა 2009 წლის 23 მარტს.

განმცხადებელი მოითხოვდა მისი წამების და არაადამიანური, ღირსების შემლახველი მოპყრობის აღიარებას და დეტალურად ყვებოდა, თუ რა საშინელი ჯოჯოხეთი გამოიარა პატიმრობის დროს (დააპატიმრეს 2006 წლის ოქტომბერში და შეუფარდეს თავისუფლების აღკვეთა 8,5 წლით), რის შედეგადაც დაავადდა.

ევროპულმა სასამართლომ განმცხადებელ ღავთაძის მიმართ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა და სახელმწიფოს დააკისრა მოსარჩელისთვის 9000 (ცხრა ათასი) ევროს გადახდა, ხოლო დამატებით 1656 (ათას ექვსას ორმოცდა თექვსმეტი) ევროს გადახდა განუვლი ხარჯებისა და დანახარჯების ანაზღაურებისათვის.

10. „ლევან კობელიანი საქართველოს წინააღმდეგ“ - 2005 წლის 29 სექტემბერს შეიტანა საჩივარი ევროპულ სასამართლოში. გადაწყვეტილება საქმეზე გამოვიდა 2009 წლის 16 ივლისს.

განმცხადებელი დაკავებული იყო ეკონომიკური დანაშაულისათვის და ევროპული სასამართლოსგან მოითხოვდა მის მიმართ სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევის აღიარებას.

ევროპულმა სასამართლომ განაცხადის ნაწილი პროცესის გადაჭარბებული ხანგრძლივობის შესახებ დასაშვებად, ხოლო განაცხადის დანარჩენი ნაწილი - დაუშვებად ცნო და დაადგინა ლევან კობელიანის მიმართ კონვენციის მე-6 მუხლის (§1) დარღვევა, რისთვისაც სახელმწიფოს დააკისრა მოსარჩელისთვის 1000 (ათასი) ევროს გადახდა.

11. „ამირან კვიციანი საქართველოს წინააღმდეგ“

- 2007 წლის 4 აპრილს შეიტანა საჩივარი ევროპულ სასამართლოში. გადაწყვეტილება საქმეზე გამოვიდა 2009 წლის 21 ოქტომბერს.

1997 წლის 15 სექტემბერს პოლიციის ოპერაციის ჩატარებისას შემთხვევით დაიწვა მესტიის რაიონის სოფ. ბეჩოში შემთხვევის ადგილთან ახლოს მდებარე განმცხადებლის სახლი. 1999 წლის 15 ივლისს განმცხადებელმა მიყენებული ზიანის მოთხოვნით საჩივარი შეიტანა შინაგან საქმეთა სამინისტროს და ფინანსთა სამინისტროს წინააღმდეგ, რის შედეგადაც, 2000 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით, სასამართლომ დააკისრა მოპასუხე ხელისუფლების ორგანოებს მისთვის 60000 (სამოცი ათასი) ლარის გადახდა კომპენსაციის სახით მისი ქონების განადგურების გამო. ამის მიუხედავად, დაწესებული დავალიანების გადახდა არ განხორციელებულა, თუმცა ამ ფაქტს არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია.

2006 წლის 19 დეკემბრის გადაწყვეტილებით, განმცხადებლის თხოვნის საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლომ 2000 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებიდან ამოიღო მითითება დავალიანების 2001 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფარვის შესახებ, როგორც ობიექტურად აღუსრულებადი დებულება. 2008 წლის 2 აპრილს წინა, 2002 წლის 19 ნოემბრის სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, აღსრულების დეპარტამენტმა მოსთხოვა საქართველოს ეროვნულ ბანკს სასამართლოს გადაწყვეტილებით დაწესებული დავალიანების გადახდა. ამ უკანასკნელმა ეს გადახდა განახორციელა 2008 წლის 4 აპრილს და სამი დღის შემდეგ განმცხადებელმა სრულად დაიბრუნა ვალა.

განმცხადებელი ასაჩივრებდა, რომ 2000 წლის 27 დეკემბერს ძალაში შესული გადაწყვეტილება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში არ აღსრულდა, რითაც დაირღვა მისი, კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფის და №1 ოქმის პირველი მუხლით გათვალისწინებული უფლება, რადგან 2000 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილების დაგვიანებით აღსრულება თავისთავად ვერ გამოასწორებდა სააღსრულებო წარმოების არაგონივრულ

ხანგრძლივობას. აღსრულების გაჭიანურება განსაკუთრებით საშიშრო იყო მის მდგომარეობაში, ვინაიდან სახლის დაკარგვის გამო კომპენსაციის დროული მიღება მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო. იგი აცხადებდა, რომ საბოლოოდ აღსრულების განხორციელების ნამდვილი მიზეზი იყო არა სახელისუფლებო ორგანოების კეთილი ნება, როგორც ამას მთავრობა აცხადებდა, არამედ მის საქმეში სასამართლოს ჩართვა.

ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ ადგილობრივი ორგანოების მიერ ხუთწელიწად-ნახევრის განმავლობაში ძალაში შესული გადაწყვეტილების განმცხადებლის სასარგებლოდ არაღსრულებით შეილახა მისი სასამართლოსადმი მიმართვის უფლება, ხელი შეუშალა მის მიერ საკუთარი ქონების შეუფერხებლად სარგებლობის უფლების განხორციელებას, რის გამოც ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით, ამ საქმეში ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფის და №1 ოქმის პირველი მუხლის დარღვევას და დაადგინა განმცხადებლისთვის 3000 (სამი ათასი) ევროს გადახდა.

12. „დავით გორგილაძე საქართველოს წინააღმდეგ“ - 2004 წლის 22 იანვარს შეიტანა საჩივარი ევროპულ სასამართლოში. გადაწყვეტილება საქმეზე გამოვიდა 2010 წლის 2 მაისს.

ევროპული სასამართლოსთვის მიმართვის მომენტში, მომჩივანი ასაჩივრებდა იმ ფაქტს, რომ 19 თვის განმავლობაში ის დაკავებული იყო თბილისის №5 საპყრობილეში, 24 პატიმარზე გათვლილ ბინძურ საკანში, 35 სხვა პატიმართან ერთად, რაც პატიმრებს აიძულებდა, მორიგეობით დაეძინათ. საკანი იმდენად ნესტიანი იყო, რომ მასში ჯანმრთელი პატიმრებიც კი ავად ხდებოდნენ. შემდგომში, 48 მ2 ფართობის №95 საკანში 60-70 პატიმარი იმყოფებოდა. 4 პატიმარზე 1 საწოლი იყო გათვალისწინებული და პატიმრებს რიგ-რიგობით ეძინათ. ტუალეტები არ იყო საკნის დანარჩენი სივრცისგან იზოლირებული. ჰიგიენური პირო-

ბები კი საზარელი იყო. გარდა ამისა, პათიმრები, საუზმესა და ვახშამზე იღებდნენ მაკარონის ერთ პატარა ულუფას, რომელიც იყო „ბინძური და ცუდი სუნი ასდიოდა“, სადილზე - უგემურ და უცხიმო კომბოსტოს წვნიანს და დღეში 1 კგ. პურს 1 პათიმარზე. ფანჯარა დაფარული იყო რკინის გისოსებით, რომლებიც ხელს უშლიდა დღის სინათლის საკანში შეღწევას, რის გამოც საკანში მუდმივად ბნელოდა. იგივე რკინის გისოსები არ იძლეოდა საკნის განიავების საშუალებას და არც ვენტილაციის სისტემა არსებობდა. ბაფხულში საკნის ტემპერატურა 35-40 გრადუსს აღწევდა. პათიმრებს არ ჰქონდათ სეირნობის უფლება.

გარდა ამისა, მომჩივანი ეჭვქვეშ აყენებდა უზენაესი სამართლოს მსაჯულთა კომპეტენტურობას, რომლებსაც, ასრულებდნენ რა მოსამართლის მოვალეობის იდენტურ მოვალეობას, არ ჰქონდათ არც შესაბამისი განათლება და არც გამოცდილება. მონაწილეობდნენ რა ბრალდებულთა განსჯაში იმ მნიშვნელოვან საქმეებში, რომლებიც უზენაესი სამართლოს მიერ პირველი ინსტანციით განიხილებოდა, მსაჯულებზე, მოსამართლისგან განსხვავებით, არ ვრცელდებოდა პროფესიონალიზმისა და თანამდებობაზე კონკურსის წესით დანიშვნის მოთხოვნა („საერთო სამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 46-ე (§1) მუხლი). შესაბამისად, მომჩივანი ასკვნის, რომ სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია, რომელიც შედგებოდა ერთი მოსამართლისა და ორი მსაჯულისაგან, არ იყო სამართლებრივად კომპეტენტური მის წინააღმდეგ მიმართული ბრალდების დასაბუთებულობის შესახებ გადანყვეტილების მისაღებად

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევა, ვინაიდან მომჩივნისთვის პირველი ინსტანციით მსჯავრის დადება მოხდა იმ სასამართლოს მიერ, რომელიც კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ, არ იყო კანონის საფუძველზე შექმნილი (ორი მსაჯული არ იყო კანონის საფუძველზე დანიშნული). აღნიშნულიდან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ

დაადგინა დავით გორგილაძის მიმართ კონვენციის მე-3 და მე-6 (§1) მუხლების დარღვევა და მოსარჩელისთვის 5000 (ხუთი ათასი) ევროს გადახდა.

13. „კლავს და იური კილაძეები საქართველოს წინააღმდეგ“ - 2006 წლის 22 თებერვალს შეიტანეს საჩივარი ევროპულ სასამართლოში. გადაწყვეტილება საქმეზე გამოვიდა 2010 წლის 2 თებერვალს.

ძმები კლავს და იური კილაძეები დაიბადნენ შესაბამისად 1926 და 1928 წლებში და ცხოვრობდნენ თბილისში. 1937 წელს საბოტაჟისა და ტერორისთვის გასამართლების შემდეგ მათი მამა დახვრიტეს, ხოლო 1938 წელს მათი დედა ანტისაბჭოთა აგიტაცია-პროპაგანდის ბრალდებით 8 წლით გადაასახლეს საბჭოთა კავშირის უკიდურესი ჩრდილოეთით მდებარე „Гулаг“-ის სპეციალურ საპატიმრო ბანაკში. დარჩნენ 12 და 10 წლის ბავშვები თბილისის ბავშვთა მიმღებში. იქ არსებული ცუდი კვებისა და სიბინძურის გამო ისინი ტიფით დაავადდნენ. ამის შემდეგ, საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამხედრო კომისრის 1937 წლის 15 აგვისტოს ბრძანების საფუძველზე, ძმები გადაიყვანეს საქართველოდან რუსეთში, სტავროპოლის ოლქში, უდედმამო ბავშვთა თავშესაფარში, სადაც მათ ორი წელიწადი გაატარეს. ექვმდებარებოდნენ რა „სოციალური და პოლიტიკური შეხედულებების კონტროლს“, მათ მუდმივად სცემდნენ და შეურაცხყოფდნენ, ერთი მხრივ, დაწესებულების პერსონალი, როგორც „სამშობლოს მოღალატე“ მამის შვილებს, ხოლო მეორე მხრივ, სხვა ბავშვები, როგორც ქართველებს სტალინის სამშობლოდან და მეტად მძიმე ყოფით პირობებში უხდებოდათ ცხოვრება. 1940 წელს, კლავს და იური კილაძეების ბებიამ მათი მეურვეობის უფლება მიიღო. საქართველოში დაბრუნებულებს, ჯერ კიდევ ბავშვებს, ფიზიკური შრომით თავის რჩენა უწევდათ. ამის შემდეგ, მთელი მათი აქტიური ცხოვრების მანძილზე, სსრკ-ის პერიოდში, ისინი როგორც „სამშობლოს მოღალატის“ შვილები, მეტად ძლიერ სოციალურ და პოლიტიკურ ზეწოლას განიცდიდნენ.

1997 წლის 11 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“, რომლის საფუძველზეც კლაუს და იური კილაძეები და მათი მშობლები სასამართლომ 1998 წელს აღიარა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლებად. ამის საფუძველზე 2005 წელს მათ მიმართეს თბილისის საოლქო სასამართლოს მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. ისინი აქცენტს აკეთებდნენ მათი მამის დახვრეტაზე, დედასთან განშორებაზე, ჯერ ბავშვთა მიმღებში, ხოლო შემდეგ თავშესაფარში მათი ცხოვრების პირობებზე, მათი ჯანმრთელობისთვის მიყენებულ ზიანზე, მათი მშობლების დაპატიმრებიდან ზრდასრულ ასაკამდე განცდილ დამცირებასა და რეპრესიებზე, ასევე მათი დედის დაპატიმრებისთანავე მათი ქონების კონფისკაციაზე და ზემოაღნიშნული კანონის მე-9 მუხლის საფუძველზე ითხოვდნენ 515 000 (ხუთას თხუთმეტი ათასი) ლარის ოდენობის კომპენსაციის გადახდას თითოეული მათგანისთვის, საერთო ჯამში განცდილი მორალური და მატერიალური ზიანის გამო. საქართველოს სასამართლომ არ დააკმაყოფილა ეს მოთხოვნა და მათ მიმართეს ევროპულ სასამართლოს, სადაც ითხოვდნენ სახელმწიფოსათვის 61 660 (სამოცდაექვსი ათას ექვსას სამოცი) ევროს გადახდის დაკისრებას მატერიალური ზიანის ანაზღაურების სახით, ვინაიდან ხელისუფლების უმოქმედობამ მათ ხელი შეუშალა, სრულად ესარგებლათ 1997 წლის 11 დეკემბრის კანონის მე-8 და მე-9 მუხლებით გარანტირებული უფლებებით. კერძოდ, სპეციალისტების მიერ მომზადებულ შეფასებით მოხსენებაზე დაყრდნობით, ისინი ამტკიცებდნენ, რომ 2006 წლის 20 ნოემბრისთვის, მათი მშობლების საცხოვრებელ მისამართზე მდებარე 90 მ2 ფართობის ბინის ღირებულება 70 000 ამერიკულ დოლარს შეადგენდა და რომ ჩამორთმეულ ბინაში არსებული ავეჯის მიახლოებითი ღირებულება

7 030 ევროს შეადგენდა. გარდა ამისა, ისინი მოითხოვენ 15 000 ევროს თითოეული მათგანისთვის იმ მორალური ზიანის ანაზღაურების სახით,

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა შემდეგი: რამდენიმე წლის განმავლობაში სახელმწიფოს სრული უმოქმედობა, რომელმაც მომჩივნებს ხელი შეუშალა, გონივრულ ვადაში, ეფექტიანად ესარგებლათ მორალური კომპენსაციის მიღების უფლებით, მათ განაცდევინებს არაპროპორციულ და გადაჭარბებულ შედეგებს, რომლებიც არ შეიძლება გამართლებული იქნეს მოცემულ საქმეში ხელისუფლების მიერ დაცული, ეგრეთ წოდებული კანონიერი საზოგადოებრივი ინტერესით. შესაბამისად, ადგილი აქვს კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის დარღვევას. მატერიალური ზიანის მიკუთვნებაზე ევროპულმა სასამართლომ განაცხადა უარი, ხოლო მორალურ ზიანთან დაკავშირებით, სასამართლოს ეჭვი არ შეაქვს იმაში, რომ დადგენილი დარღვევიდან გამომდინარე, დიდი ხნის განმავლობაში გაურკვეველი სიტუაციის გამო, მომჩივნებს, პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლებს, რომლებიც შესაბამისად, 82 და 83 წლისანი არიან, უდავოდ მიაღვათ მორალური ზიანი, რომლის ასანაზღაურებლად წინამდებარე გადაწყვეტილებაში დადგენილი კონვენციის დარღვევა საკმარისი არ არის. შესაბამისად, თუკი კვლავ არ მოხდება წინამდებარე გადაწყვეტილების 85-ე პარაგრაფში აღნიშნული აუცილებელი ღონისძიებების (საკანონმდებლო და სხვა სახის) გატარება, სახელმწიფომ, თითოეულ მომჩივანს, კონვენციის 44-ე (§2) მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან 6 თვის განმავლობაში, უნდა გადაუხადოს 4 000 (ოთხი ათასი) ევრო მორალური ზიანის ანაზღაურების სახით, ხოლო კონვენციის 44-ე (§2) მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან 3 თვის განმავლობაში, უნდა გადაუხადოს 3 537 (სამი ათას ხუთას ოცდაჩვიდმეტი) ევრო განუვლი ხარჯებისა და დანახარჯების ანაზღაურების სახით.

14. “ბათალბი საღინაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ” - 2005 წლის 27 აპრილს შეიტანეს საჩივარი ევროპულ სასამართლოში. გადაწყვეტილება საქმეზე გამოვიდა 2010 წლის 27 აგვისტოს.

საჩივარი შეეხებოდა აფხაზეთიდან ლტოლვილი პოლიციის პოლკოვნიკის ბათალბი საღინაძის და მისი ოჯახის წევრების გამოსახლებას ავჭალაში მდებარე საცხოვრებელი სახლიდან. საჩივრის შეტანის შემდეგ ბ. საღინაძე დააპატიმრეს და საჩივარს დაემატა უკანონო დაკავების (კონვენციის მე-5 მუხლი) აღიარების მოთხოვნაც. მისი დაკავების უკანონობა გამოიხატა იმაში, რომ 2004 წელს ახალი ხელისუფლების მიერ მისი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში მაღალ თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ მას მალევე დასდეს ბრალი კანონდარღვევაში, ვინაიდან ის აღმოჩნდა სისტემისთვის მიუღებელი და ჯერ გაათავისუფლეს თანამდებობიდან, ხოლო მალევე მოგონილი ბრალდებით („უფლებამოსილების გადამეტება“) დააპატიმრეს.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა ბათალბი საღინაძის მიმართ კონვენციის მე-5 (§3 და 4) მუხლის (სასამართლო განხილვასთან დაკავშირებით), მე-8 მუხლის და დამატებითი პირველი ოქმის დარღვევა (კოტეჯის ჩამორთმევასთან დაკავშირებით) და დააკისრა სახელმწიფოს 15000 (თხუთმეტი ათასი) ევროს გადახდა მორალური ზიანის ანაზღაურებისთვის და 752 (შვიდას ორმოცდათორმეტი) ევროს გადახდა განუვლი ხარჯებისათვის.

15. „სულხან ჭიჭინაძე საქართველოს წინააღმდეგ“ - 2005 წლის 12 აპრილს შეიტანა საჩივარი ევროპულ სასამართლოში. გადაწყვეტილება საქმეზე გამოვიდა 2012 წლის 29 აგვისტოს.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ რუსეთის მოქალაქეს სულხან ჭიჭინაძეს ქონებაზე მისი საკუთრების დადასტურების შესახებ ბათუმის საქალაქო სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღუსრულებლო-

ბის გამო სამართლიანი დაკმაყოფილების ფარგლებში (მუხლი 44) სახელმწიფომ უნდა გადაუხადოს 34000 (ოცდათოთხმეტი ათასი) ევრო.

16. „გივი ხაინდრავა და მარი ძამაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ - 2005 წლის 7 აპრილს შეიტანეს საჩივარი ევროპულ სასამართლოში. გადანყვეტილება საქმეზე გამოვიდა 2010 წლის 8 სექტემბერს.

განმცხადებელი 2000 წელს დააკავეს ფულის გამოძალვის, იარაღის უკანონო ტარებისა და სხვა ბრალდებებით. სინამდვილეში განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ მარტვილის რაიონის პოლიციის უფროსის მამა იყო მისი პირადი მტერი, რომელმაც 2 მკვლელი მიუგზავნა, რომლებიც მან განაიარაღა და იმისათვის, რომ თავი შურისძიებისგან აერიდებინა, მისი მტკიცებით, პოლიციამ (სავარაუდოდ, პოლიციის უფროსის დავალებით), მის მიმართ შეთხზეს ყალბი ბრალდება და დააპატიმრეს. ის ყველა ინსტანციაში ჩიოდა, რომ მისი სიცოცხლის ხელყოფის ფაქტზე გამოძიება არ მიმდინარეობდა.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არაეფექტური გამოძიებისათვის მიყენებული მორალური ზიანისათვის სახელმწიფომ განმცხადებელს უნდა გადაუხადოს 12000 (თორმეტი ათასი) ევრო.

17. „მაისურაძე საქართველოს წინააღმდეგ“ - გადანყვეტილება მიღებულია 2018 წლის 20 დეკემბერს.

გადანყვეტილება საქმე ეხებოდა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში 2009 წლის 19 მაისს მომჩივნის ვაჟის გარდაცვალებას, რომელსაც 2008 წელს დაუდგინდა ტუბერკულოზი.

ევროპული სასამართლოს გადანყვეტილების თანახმად, მომჩივნის შვილი მოკლებული იყო ეფექტურ სამკურნალო საშუალებებს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, რაც, სავარაუდოდ, გახდა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შეუქცევადი ცვლილების მიზეზი და გამო-

ინვია მისი გარდაცვალება. სასამართლომ დაასკვნა, რომ ხელისუფლების ორგანოებმა ვერ შეასრულეს კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული სიცოცხლის დაცვის პოზიტიური ვალდებულება. რაც შეეხება მომჩივნის შვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით ჩატარებულ გამოძიებას, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ის არ შეესაბამებოდა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის მოთხოვნებს. გემოაღნიშნულის საფუძველზე, სტრასბურგის სასამართლომ მე-2 მუხლის არსებითი და პროცედურული ნაწილების დარღვევა დაადგინა. საქმეზე სახელმწიფოს მომჩივნის სასარგებლოდ 15 000 ევროს გადახდა დაეკისრა, მორალური ზიანის ანაზღაურების სახით.

18. „სვეტლანა ცინცაბაძე საქართველოს წინააღმდეგ“ - 2006 წლის 15 აგვისტოს შეიტანა საჩივარი ევროპულ სასამართლოში. გადაწყვეტილება საქმეზე გამოვიდა 2011 წლის 18 მარტს.

განმცხადებლის ვაჟს პოლიციელის წინააღმდეგობის ბრალდებით 2005 წლის 2 ივნისს შეეფარდა 3 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა. ამავე წლის 6 ივნისს გადაიყვანეს ხონის საპყრობილეში, სადაც ამავე წლის 30 სექტემბერს ჩამომხრჩვალ იპოვეს ციხის საკუჭნაოში. განმცხადებელი ჩიოდა, რომ ეს ფაქტი არასათანადოდ იქნა გამოძიებული და არ დადგინდა, თუ რა ვითარებაში და ვისი მიზეზით გარდაიცვალა მისი შვილი.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა საქართველოს სამართალდამცავი სისტემის მიერ არასათანადო გამოძიების გამო და სახელმწიფოს დააკისრა განმცხადებლისათვის 15000 (თხუთმეტი ათასი) ევროს ანაზღაურება და განუღიხარა ხარჯებისათვის დამატებით 4047 (ოთხი ათას ორმოცდაშვიდი) ევროს გადახდა.

19. „მერაბ მეგრელიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ - ევროპულმა სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო 2020 წლის 7 მაისს.

საქმე ეხება მერაბ მეგრელიშვილის საჩივარს, რომლითაც იგი ამტკიცებდა, რომ სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა ნარკოტიკები მასთან განზრახ განათავსეს („ჩაუდეს“). მომჩივნის მტკიცებით, მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი ემყარებოდა გადაუდებელი აუცილებლობის არსებობის პირობებში, მოსამართლის განჩინების გარეშე ჩატარებული ჩხრეკის შედეგად უკანონოდ მოპოვებულ მტკიცებულებებს. იგი ასევე დავობდა, რომ მასსა და მისი ოჯახის წევრებს თვითნებურად ეთქვათ უარი ჩხრეკის დროს დამოუკიდებელი მოწმეების დასწრებაზე, ეროვნულმა სასამართლოებმა კი, სათანადოდ არ განიხილეს დაცვის მხარის არგუმენტები სადავო მტკიცებულებების თაობაზე.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ კუმულაციურად – ჩხრეკის დროს არსებულმა პროცედურულმა ხარვეზებმა, დამოუკიდებელი მოწმეების არარსებობამ, არაადეკვატურმა სასამართლო შემოწმებამ, საქმეში არსებულმა სხვა სუსტმა დამადასტურებელმა მტკიცებულებებმა მთლიანობაში დაარღვია მომჩივნის სისხლის სამართლის საქმის სამართლიანი განხილვის უფლება, რადგან ჩხრეკა ჩატარდა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, „გადაუდებელი აუცილებლობის“ მოტივით სოდის თანამშრომლების მიერ, სასამართლოს წინასწარი თანხმობის გარეშე, სასამართლო განხილვის ეტაპზე კი, ეს საეჭვო გარემოებები არ აღმოფხვრილა. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევას. მთავრობას მომჩივნის სასარგებლოდ დაეკისრა 3000 (სამი ათასი) ევროს გადახდა მორალური ზიანის ანაზღაურების სახით.

20. „ირინა ენუქიძე და გურამ გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ“ - 2007 წლის 11 ივნისს შეიტანა საჩივარი ევროპულ სასამართლოში. გადაწყვეტილება საქმეზე გამოვიდა 2011 წლის 26 ივნისს.

ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული საქმე პრეზიდენტ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში. თბილისის

ერთ-ერთ ბარში შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნების დროსტარების დროს მათ კონფლიქტი მოუვიდათ იქ შესულ ბანკის თანამშრომელს სანდრო გირგვლიანთან, რომელიც დასრულდა შუალამისას ამ უკანასკნელისა და მისი მეგობრის შსს-ს თანამშრომეთა მიერ გატაცებით და უკაცრიელ ადგილზე მათი სასტიკი ცემით, რის შედეგადაც სანდრო გირგვლიანი გარდაიცვალა.

აღნიშნულ საქმეზე ევროპულმა სასამართლომ განავითარა შემდეგი მსჯელობა: გირგვლიანის სიცოცხლე 2006 წ. 28 იანვარს ნამდვილად სახელმწიფო მოხელეების ხელში იყო, რომლებმაც მისი სიცოცხლე სასიკვდილო რისკის წინაშე დააყენეს და ამ დანაშაულის ჩამდენებად მოგვევლინენ. ხოლო ასეთი პოზიციის გასამყარებლად, სასამართლომ ხაზი გაუსვა შემდეგ ფაქტებს: A.) დანაშაულის ჩამდენი პირები, რომელთა ქმედებების შედეგად გარდაიცვალა სანდრო გირგვლიანი, შსს-ს მაღალი თანამდებობის პირები იყვნენ. B.) დანაშაულის ღამეს, სანდრო გირგვლიანთან და მეორე მსხვერპლთან პირველი კონტაქტის დროს, ბოროტმოქმედებმა ორივე მსხვერპლს თავი წარუდგინეს, როგორც პოლიციის ოფიცრებმა. C.) დანაშაულის მონაწილე ერთ-ერთი პოლიციის ოფიცერი შეეცადა, დაედგინა მსხვერპლთა ვინაობა. D.) დანაშაულის ჩადენის მიზნით, დამნაშავეებმა გამოიყენეს შსს-ს ავტოფარეხში მდგომი ავტომანქანები. მხოლოდ პოლიციის ოფიცრებს მიუწვდებოდათ ხელი ასეთ ავტომანქანებზე. E.) დანაშაულის ჩადენის დროს, აღნიშნულ პოლიციის ოფიცრებს თან ჰქონდათ თავიანთი ტაბელური იარაღი. მართალია, მათ არ გამოუყენებიათ აღნიშნული იარაღი მსხვერპლის მოკვლის მიზნით, დადგენილი ფაქტია, რომ იმ მოვლენების მსვლელობისას, რომლებმაც სანდრო გირგვლიანის სიკვდილი გამოიწვია, აღნიშნული იარაღიდან მოხდა გასროლა. F.) ერთ-ერთმა დანაშავემ გამოიყენა თავისი სამსახურეობრივ-იერარქიული მდგომარეობა, რათა განეხორციელებინა თავისი ხელქვეითების

მობილიზება და ჩაება ისინი დანაშაულში. ეს გარემოება განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, რადგან იგი საფუძველს უმყარებს ჩვენს დასკვნას, რომ დამნაშავეებმა, დანაშაულის ჩასადენად, თავიანთი სამსახურეობრივი მდგომარეობა გამოიყენეს. G.) სანდრო გირგვლიანი გარდაიცვალა პოლიციის ოფიცრების მიერ მისი სასტიკად ცემის შედეგად, ისეთ ადგილას, სადაც მისი მშველელი არავინ იყო, თანაც იმ ადამიანების მიერ, რომელთა ვალდებულება, მათი სამსახურეობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, ანალოგიურ სიტუაციებში მსხვერპლის დაცვა იყო. დამნაშავეები არა უბრალოდ თავიანთი უფლებამოსილებების გადამეტებით მოქმედებდნენ; არამედ, მათ ჩაიდინეს განზრახი დანაშაული, მაშინ, როდესაც მათი ძირითადი და უმნიშვნელოვანესი მოვალეობა სწორედ დანაშაულის აღკვეთა იყო.

მეორე მნიშვნელოვანი საკითხია, შეიძლება თუ არა ბოროტმოქმედთა მიერ ჩადენილი დანაშაული სახელმწიფოს შეერაცხოს. სასამართლოს პასუხი ამ კითხვაზე, ყოველგვარი ეჭვის გარეშე, დადებითია. საერთაშორისო სამართლიდან გამომდინარე, სახელმწიფო პასუხს აგებს თავისი წარმომადგენლების მოქმედებებზე. მოცემულ შემთხვევაში დანაშაულის ჩამდენი პირები სახელმწიფოს წარმომადგენლები - პოლიციის მაღალი თანამდებობის პირები იყვნენ და სწორედ ასეთი სტატუსით მოქმედებდნენ. სახელმწიფოს გააჩნია ვალდებულება, როგორც საერთაშორისო, ისე შიდა სამართლიდან გამომდინარე, ყურადღებით შეარჩიოს თავისი წარმომადგენლები. ამ პროცესში სახელმწიფომ ძალზე მკაცრი კრიტერიუმები უნდა შეიმუშავოს და მაღალი პროფესიული სტანდარტებით უნდა იხელმძღვანელოს, რათა როგორც საკუთარი მოქალაქეების, ისე საერთაშორისო თანამეგობრობის მიმართ, საკუთარი მოვალეობებისა და ვალდებულებების მაღალ დონეზე შესრულება უზრუნველყოს. სასამართლომ განაცხადა, რომ სახელმწიფო სამსახურში „სახელმწიფო

ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიონალთა მაღალი დონის კომპეტენტურობა“.

სასამართლოს აზრით, სრულიად აშკარაა, რომ საქართველომ არ შეასრულა თავისი მოვალეობა, ჯეროვანი გულმოდგინებით შეერჩია თავისი პოლიციის თანამშრომლები, რათა ამით შეესრულებინა კონვენციით დადგენილი სტანდარტები. მოცემულ შემთხვევაში დამნაშავეები სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლები, შსს-ს მაღალი თანამდებობის პირები იყვნენ, რომლებსაც, თვით მათი თანამდებობის ხასიათიდან გამომდინარე, ნებისმიერ დროს, სამსახურეობრივი მოვალეობების შესრულებისას თუ ამგვარის გარეშე, ევალებოდათ მოქცეულიყვნენ ისე, როგორც ეს მათი, როგორც სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლების მდგომარეობას ეკადრებოდა, რადგან მათი მოვალეობა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ხელშეწყობა, დანაშაულის აღკვეთა და გამოძიება იყო. მათ უნდა გაეკეთებინათ ყველაფერი, რისი გაკეთებაც შესაძლებელი იყო, რათა განმცხადებლის სიცოცხლეს საფრთხე არ დამუქრებოდა.

აქედან გამომდინარე, ვინაიდან ვერ შეარჩია სათანადო პირები სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების თანამდებობებზე, სახელმწიფომ დაარღვია კონვენციის მე-2 მუხლის მატერიალური ასპექტი. თუნდაც აღნიშნულ თანამდებობის პირებს თავიანთი პირადი მოტივებით ემოქმედათ, რაც, სასამართლოს აზრით, ეჭვქვეშ დგას და სულაც არ არის დამტკიცებული, აშკარაა, რომ მოცემულ შემთხვევაში სამართალდამცავი სისტემა სათანადო სტანდარტებს არ აკმაყოფილებდა. ეს კი ქმნის საფუძველს დასკვნისათვის, რომ დანაშაულის ჩამდენი პოლიციის ოფიცრების ქმედებები, რომლებმაც უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, უნდა შეერაცხოს და, საქმის მასალების თანახმად, რეალურად და პირდაპირ შეერაცხება კიდევ საქართველოს სახელმწიფოს. სწორედ ამიტომ ჩვენ მიგვაჩნია, რომ მოცემულ საქმეში სასამარ-

თლოს მიერ დადგენილ კონვენციის ყველა სხვა დარღვევასთან ერთად, ადგილი ჰქონდა მე-2 მუხლის მატერიალური ასპექტის დარღვევასაც.

ევროპული სასამართლო შოკირებული იყო იმ საყოველთაო ერთსულოვნებით, რომელიც გამოიჩინეს ხელისუფლების ყველა შტოს (აღმასრულებელი, საკანონმდებლო, სასამართლო და ქვეყნის პრეზიდენტი) წარმომადგენლებმა ამ საქმეში პიროვნების უფლების შელახვის, დანაშაულის მიჩქმალვის თუ დამნაშავეთა მფარველობის საქმეში.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა და კონვენციის 41-ე მუხლის საფუძველზე, სამართლიანი დაკმაყოფილების ფარგლებში მორალური ზიანისათვის სახელმწიფოს დააკისრა განმცხადებლისათვის 50000 (ორმოცდაათი ათასი) ევროს ანაზღაურება და განუელი ხარჯებისათვის დამატებით 388 (სამას ოთხმოცდარვა) ევროს გადახდა.

21. „ნიკო მახარაძე და დალი სიხარულიძე საქართველოს წინააღმდეგ“ - 2007 წლის 16 ივლისს შეიტანა საჩივარი ევროპულ სასამართლოში. გადაწყვეტილება საქმეზე გამოვიდა 2012 წლის 22 თებერვალს.

ნიკო მახარაძე დააკავეს 2006 წლის 14 მარტს ნარკოტიკული დანაშაულისა და ქურდული სამყაროს წევრობის ბრალდებით. ციხეში იმყოფებოდა უმძიმეს პირობებში, იყო მძიმედ ავად, რის გამოც გადაუდებელი ღონისძიების გამოყენებით მიმართეს ევროპულ სასამართლოს, რომელმაც დაავალა ციხის ხელმძღვანელობას ასეთი ღონისძიების გამოყენება. მართალია, საავადმყოფოში გადაიყვანეს, მაგრამ არც სათანადო პირობები და არც სათანადო მკურნალობით არ იყო უზრუნველყოფილი. ამის მიუხედავად პატიმარი 2009 წლის 29 იანვარს გარდაიცვალა.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-2 და 34-ე მუხლები (ინდივიდუალური საჩივარი, არაეფექტური გამოძიება) და არასათანადო

მოპყრობის გამო მიყენებული მორალური ზიანისათვის სახელმწიფომ განმცხადებელს უნდა გადაუხადოს 15000 (თხუთმეტი ათასი) ევრო.

22. „ვანო მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ - გადაწყვეტილება მიღებულია 2017 წლის 28 ნოემბერს.

გადაწყვეტილება საქმეზე გამოიტანა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ, რომელმაც დაადასტურა, რომ ივანე მერაბიშვილის დაკავება, ასევე, წინასწარი პატიმრობა, რომელიც გაგრძელდა 2013 წლის მაისიდან 2014 წლის თებერვლამდე, იყო კანონიერი. კერძოდ, დიდმა პალატამ გასაჩივრებულ მუხლებთან მიმართებით:

ერთხმად დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი, რაც შეეხება ივანე მერაბიშვილის დაკავების კანონიერებას;

ერთხმად დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტი, რაც შეეხება ივანე მერაბიშვილის წინასწარი პატიმრობის კანონიერებას (2013 წლის მაისი - 2014 წლის თებერვალი);

ერთხმად დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი, რაც შეეხება ივანე მერაბიშვილისთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდებას. კერძოდ, სასამართლომ მიიჩნია, რომ 2013 წლის 22 და 25 მაისის ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებები სათანადო დასაბუთებას შეიცავდა და ამ მუხლის სტანდარტებს აკმაყოფილებდა;

პალატამ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი 2013 წლის 25 სექტემბრის სასამართლო გადაწყვეტილებით, რადგან მოსამართლემ ივანე მერაბიშვილის შუამდგომლობა წინასწარი პატიმრობის არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიებით შეცვლის თაობაზე უარყო ზეპირად და დასაბუთების გარეშე;

დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-18 მუხლი 2013 წლის 14 დეკემბრის ინციდენტიდან გამომდინარე

(ივანე მერაბიშვილის ღამით საკნიდან შესაძლო გაყვანის ეპიზოდი). სტრასბურგის სასამართლომ განაცხადა, რომ ივანე მერაბიშვილის პატიმრობასა და სისხლისსამართლებრივ დევნაში არ იკვეთებოდა პოლიტიკური მოტივები და რომ ამ მხრივ მომჩივნის არგუმენტები ვერ იქნებოდა გაზიარებული. თუმცა, მან დაადგინა, რომ საკნიდან გაყვანის ფაქტი შეუსაბამო იყო მე-18 მუხლის მიზნებთან და ამ ნაწილში მომჩივნის არგუმენტები გაიზიარა.

ევროპული სასამართლოს დიდი პალატის გადაწყვეტილებით ხელისუფლებას დაეკისრა მომჩივნისთვის კომპენსაციის თანხის, 4 000 ევროს გადახდა.

23. „ელენე დადიანი და ივანე მაჩაბელი საქართველოს წინააღმდეგ“ - 2008 წლის 4 იანვარს შეიტანა საჩივარი ევროპულ სასამართლოში. გადაწყვეტილება საქმეზე გამოვიდა 2012 წლის 12 სექტემბერს.

ქვეყნის შიდა მართლმსაჯულებამ მათ სასარგებლოდ გამოიტანა გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირის დროს ჩამორთმეული მიწის დაბრუნებასთან დაკავშირებით, რომლის აღსრულებაც ხელისუფლებამ არ განახორციელა.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფის დარღვევა სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებლობასთან მიმართებაში და სამართლიანი უზრუნველყოფის მიზნით სახელმწიფოს დააკისრა განმცხადებლებისთვის მთლიანობაში 5500 (ხუთი ათას ხუთასი) ევროს გადახდა.

24. „ირაკლი კაკაბაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ - 2006 წლის 28 დეკემბერს შეიტანეს საჩივარი ევროპულ სასამართლოში. გადაწყვეტილება საქმეზე გამოვიდა 2012 წლის 2 ოქტომბერს.

საქართველოს 5-მა მოქალაქემ, ირაკლი კაკაბაძემ, ლაშა ჩხარტიშვილმა, ჯაბა ჯიშკარიანმა, ზურაბ რთველიაშვილმა და დავით დალაქიშვილმა, რომლებიც იყვნენ 2004 წლის თებერვალში დაფუძნებული ქართული არასამთავრობო ორგანიზაცია „თანასწორობის ინსტიტუტის“

წევრები, შეიტანეს საჩივარი ევროპულ სასამართლოში. ვინაიდან NGO-ს საქმიანობის ნაწილს შეადგენდა სამართალდამცავი და სასჯელალსრულების ორგანოების მონიტორინგი და სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის გაძლიერება, მან გამართა საჯარო პრესკონფერენციები და ქუჩის აქციები, რომლის დროსაც მისი წევრები ამხელდნენ ადამიანის უფლებათა დარღვევის სხვადასხვა მძიმე შემთხვევებს, რომლებსაც სავარაუდოდ ჩადიოდა შინაგან საქმეთა სამინისტრო და მსგავს შემთხვევებს ასევე ადგილი ჰქონდა ქართულ ციხეებში.

2006 წლის 29 ივნისს, მომჩივნებმა დაიწყეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს გარეთ დემონსტრაციის გამართვა, რათა გამოეხატათ მხარდაჭერა შალვა რამიშვილისა და დავით კობრეიძის - კერძო სატელევიზიო არხის, „202“-ის მფლობელებისთვის, რომელთა სასამართლო პროცესი იმართებოდა იმ დღეს. იმ დროისთვის, რამიშვილისა და კობრეიძის საქმე საზოგადოების დიდი ყურადღების საგანს წარმოადგენდა. მომჩივნები სასამართლოს შენობიდან 10-20 მეტრის დაშორებით შეჩერდნენ და მეგაფონის გამოყენებით გააუღერეს მოწოდება პოლიტიკური დევნის შეწყვეტაზე და შს მინისტრს უწოდეს „ლაკრენტი ბერიას ნაბიჯვარი“ და მოითხოვეს რამიშვილისა და კობრეიძის, როგორც უკანონოდ დაკავებულების, დაუყოვნებლივ გათავისუფლება. მომჩივანთა თანახმად, სასამართლოსთან მიმართებით არაფერი თქმულა ისეთი, რაც შეიძლება შეურაცხყოფად ყოფილიყო მიჩნეული. 3 წუთში რამდენიმე ფორმირებული სასამართლოს მანდატური მიუახლოვდა მომჩივნებს და წინასწარი გაფრთხილების ან განმარტების გარეშე, ძალის გამოყენებით მოახდინეს მათი დაკავება, რის შემდეგაც წაიყვანეს სასამართლოს შენობაში და ჩაკეტეს სამორიგეო ოთახში. მათ დაკავების ადგილზე დაკავების ოქმები არ უნახავთ და მასზე ხელი არ მოუწერიათ. მანდატურები მათ ეუბნებოდნენ, რომ ისინი არ იყვნენ ოფიციალურად დაკავებულნი, რომ ეს იყო უბრალო გაუგებრობა და მათ მალე გაათავისუფლებდნენ.

შემდეგ აღმოჩნდა, რომ დაკავების ოქმები მანდატურებს პოსტ-ფაქტუმ შეუდგენიათ და მიუთითებიათ, რომ დაკავებულებმა დაარღვიეს „საერთო სასამართლოების შესახებ“ 1997 წლის 13 ივნისის კანონის 76-ე ((3) §1 „ვ“) მუხლი, ანუ აღნიშნულმა პირებმა „დაარღვიეს საზოგადოებრივი წესრიგი“, რამაც მიიღო „სასამართლოს შეურაცხყოფის, მანდატურთა მიმართ უპატივცემულობის, უკანონო მოთხოვნების, რაც გულისხმობდა სასამართლოსადმი მოწოდებას, შეეწყვიტა მსგავსი მოქმედება, მანდატურისთვის წინააღმდეგობის გაწევის, სიტყვიერი და ფიზიკური ქმედებებით სასამართლოზე გავლენის მოხდენის, მართლმსაჯულების განხორციელებაში ხელის შეშლისა და ა.შ. კვალიფიკაცია. დაკავებიდან 3 საათის შემდეგ პოლიციამ ისინი გადაიყვანა შს სამინისტროს წინასწარი დაკავების იზოლატორში. სწორედ იზოლატორში გადაყვანისას შეიტყვეს მათ, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის 2006 წლის 29 ივნისის განკარგულების საფუძველზე იყვნენ დაკავებულები. მათ გაასაჩივრეს ეს გადაწყვეტილება და ამტკიცებდნენ, რომ მათი დაკავება იყო თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარემ გამოიტანა არასწორი განკარგულება, დასაჯა რა მომჩივნები სსსკ-ის 208-ე მუხლის საფუძველზე, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას მხოლოდ იმ ქმედებებისთვის, რომლებიც ხდება სასამართლოს შენობის შიგნით. მომჩივანთა აქციის ვიდეოჩანაწერი წარმოდგენილ იქნა იმის საჩვენებლად, რომ აქცია გაიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ეზოში. აქედან გამომდინარე, მომჩივნები ამტკიცებდნენ, რომ ზემოხსენებული დებულება არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს ბრალდებისა და დაპატიმრების ლეგიტიმურ საფუძველად. ისინი შემდგომ აცხადებდნენ, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარემ დაარღვია სამართლიანი სასამართლო განხილვის პრინციპი, მიიღო რა გადაწყვეტილება მხოლოდ მანდატურების მოხსენებითი ბარათების საფუძველზე. მომჩივნებმა ასევე გაასაჩივრეს ის ფაქტი, რომ თავმჯდომარემ, სსსკ

208-ე მუხლიდან გამომდინარე, შეარჩია ყველაზე მკაცრი სანქცია.

2006 წლის 26 ივლისს, უზენაესმა სასამართლომ მომჩივანთა დაუსწრებლად განიხილა და არ დააკმაყოფილა მათი 2006 წლის 21 ივლისის სარჩელი. აღნიშნული განხილვის თარიღი მომჩივნებს წინასწარ არ ეცნობათ. მომჩივანთა პატიმრობის ვადა ამოიწურა და ისინი 2006 წლის 28 ივლისს განთავისუფლდნენ. მომჩივნებმა მოითხოვეს 20.000 ევრო თითოეულისთვის, მორალური ზიანის ანაზღაურების სახით.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივანთა მიმართ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-5 (§1) მუხლის დარღვევას, მე-6 (§1) მუხლის დარღვევას კონვენციის მე-6 (§3 „c“) მუხლთან ერთობლიობაში, კონვენციის მე-11 მუხლის დარღვევას და №7 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის დარღვევას. სასამართლომ ჩათვალა, რომ მომჩივნებმა განიცადეს სტრესი მათი სხვადასხვა უფლების დარღვევის გამო და თითოეულ მომჩივანს მიაკუთვნა 6000 (ექვსი ათასი) ევროს მორალური ზიანის ანაზღაურების სახით. გარდა ამისა, ევროპულმა სასამართლომ ყველა მომჩივანს ერთობლივად მიაკუთვნა 5.957 (ხუთი ათას ცხრაას ორმოცდაჩვიდმეტი) ევრო, განეული ხარჯებისა და დანახარჯების ანაზღაურების სახით.

25. „გიორგი მიქიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ - 2006 წლის 29 აპრილს შეიტანა საჩივარი ევროპულ სასამართლოში. გადანაცვეტილება საქმეზე გამოვიდა 2012 წლის 9 ოქტომბერს.

2005 წლის 29 ოქტომბერს მომჩივანი დაკავების დროს იმყოფებოდა ალკოჰოლის მსუბუქი ზემოქმედების ქვეშ და ფიზიკური წინააღმდეგობა გაუწია პოლიციის თანამშრომლებს. ამის შედეგად, მომჩივანს აღენიშნებოდა ტუჩების ოდნავი შეშუპება და მცირე ჩაღურჯება შუბლზე. დაკავების შემდეგ მომჩივანს ჩაუტარდა გარეგანი ვიზუალური შემოწმება, დროებითი მოთავსების იზოლატორში მის გადაყვანამდე. მორიგე ექიმის მიერ ადგილზე შედგენილ დასკვნა-

ში მითითებულია დიდი ზომის ჰემატომა მომჩივნის შუბლის მარცხენა ნაწილში, მარჯვენა საფეთქელზე, მარცხენა თვალთან ახლოს და ღაწვთან, სილურჯე ტუჩზე და ტუჩის დაზიანება, რამაც გამოიწვია სისხლდენა და დიდი ზომის ჩაღურჯება კისერსა და მთელ ზურგზე (2005 წლის 29 ოქტომბრის დასკვნა). 2005 წლის 30 ოქტომბერს მომჩივანს ბრალი წარედგინა პოლიციელებისთვის წინააღმდეგობის გაწევაში, მათი მოვალეობების შესრულების პროცესში განზრახ ხელის შეშლის მიზნით (სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე (§2) მუხლი). საბრალდებო დასკვნის მიხედვით, ორმა პოლიციელმა, ნ.კ.-მ და გ.ა.-მ, დაახლოებით 20:15 საათზე, დაინახეს ახალგაზრდა მამაკაცი, რომელიც ქუჩაში მირობდა მობილური ტელეფონით ხელში და მას უკან მისდევდა ორი ქალბატონი (რომლებიც აღმოჩნდნენ მისი მეუღლე და მეგობარი). ვიდრე მამაკაცი ჩაჯდებოდა ქუჩის ბოლოს გაჩერებულ ავტომანქანაში, პოლიციელებმა ის შეაჩერეს და ჰკითხეს, რატომ მირობდა და ვის ეკუთვნოდა მობილური. ამ დროს მომჩივანი გადმოვიდა აღნიშნული ავტომანქანიდან მის მეგობარ ახალგაზრდა მამაკაცთან ერთად და ორივემ სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა პოლიციელებს. პოლიციამ ვერ შეძლო მათი დამშვიდება და ჩხუბის დროს, მომჩივანმა და მისმა მეგობარმა მათ შემოახიეს პერანგები და სვიტრები. პოლიციელებმა დამატებითი ძალა გამოიძახეს და რამდენიმე კოლეგის მისვლის შემდეგ, მათ შეძლეს თავდამსხმელთა დაკავება. დროებითი მოთავსების იზოლატორში მოთავსების შემდეგ, თავდამსხმელები განაგრძობდნენ პოლიციელთა ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას. კერძოდ, დროებითი მოთავსების იზოლატორში, ზოგიერთი პროცედურული საკითხის გადაწყვეტის მიზნით მისულ გამომძიებელს, ა.ც.-ს, მომჩივანმა მუშტი დაარტყა მარცხენა თვალში. 2005 წლის 31 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მომჩივნის მოთხოვნა არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ და მას 3-თვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. საქმის მასალებისა და მხარეთა ზეპირი მოსმენის საფუძველ-

ზე, სასამართლომ დაადასტურა გონივრული ეჭვის არსებობა იმის შესახებ, რომ ადგილი ჰქონდა დანაშაულის ჩადენას. წინასწარი პატიმრობის შეფარდება დასაბუთებულ იქნა იმ მოსაზრებით, რომ მომჩივნის გათავისუფლების შემთხვევაში, მას შეეძლო, ზეგავლენა მოეხდინა მოწმეებზე, რაც ხელს შეუშლიდა საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას, ხოლო მსგავს სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი მკაცრი განაჩენიდან გამომდინარე, მომჩივანი შესაძლოა დამალვოდა მართლმსაჯულებას. 2005 წლის 31 ოქტომბრის სასამართლო პროცესზე გადაღებულ ფოტოებში მომჩივანს აღენიშნებოდა ჩალურჯება თვალების ირგვლივ და შუბლის მარცხენა მხარის დაზიანება. ის იმავე დღეს გადაიყვანეს თბილისის №1 საპყრობილეში, სადაც მორიგე ექიმის მიერ ჩატარებული გარეგანი დათვალიერების შედეგად, მომზადდა სამედიცინო დასკვნა. დასკვნაში აღნიშნული იყო მომჩივნის შუბლის მარცხენა ნაწილის დაზიანება (2005 წლის 31 ოქტომბრის სამედიცინო დასკვნა). დასკვნის თანახმად, იმ დაზიანების მდგომარეობა, რომელზეც მომჩივანი აცხადებდა, რომ დაკავებამდე მიიღო, უმჯობესდებოდა. 2005 წლის 2 ნოემბერს საქმის გამომძიებელმა არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის მოთხოვნა სამედიცინო შემოწმების ჩატარების შესახებ. გამომძიებლის განცხადებით, არ ყოფილა დადგენილი, რომ მომჩივანი დაშავდა დაკავების დროს. თბილისის №1 საპყრობილის ექიმის სამედიცინო დასკვნაში მითითებულია, რომ დაზიანების თარიღი დაკავების თარიღზე ადრინდელია. უფრო მეტიც, გამომძიებელმა მიიჩნია, რომ მომჩივანს დაკავებისას რომ მიეღო დაზიანება, ის ამის შესახებ პრეტენზიას 2005 წლის 31 ოქტომბრის პროცესზე წამოაყენებდა.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ გიორგი მიქიაშვილის მიმართ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის არსებით დარღვევას 2005 წლის 29 ოქტომბერს პოლიციის მხრიდან მომჩივნის მიმართ არასათანადო მოპყრობის გამო; აგრეთვე ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურულ დარღვევას, 2005 წლის 29

ოქტომბერს, პოლიციის მხრიდან, მომჩივნის მიმართ არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით ეფექტიანი გამოძიების არჩატარების გამო და აგრეთვე ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურულ დარღვევას 2006 წლის 14-15 აგვისტოს, ციხის პერსონალის მხრიდან მომჩივნის მიმართ არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით ეფექტიანი გამოძიების არჩატარების გამო; სახელმწიფოს დაევალა მორალური ზიანის ანაზღაურების სახით მომჩივანისათვის 12000 (თორმეტი ათასი) ევროს გადახდა.

26. „ირაკლი მინდაძე საქართველოს წინააღმდეგ“

- 2008 წლის 29 დეკემბერს შეიტანა საჩივარი ევროპულ სასამართლოში. გადაწყვეტილება საქმეზე გამოვიდა 2012 წლის 11 დეკემბერს.

ევროპული სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანის მომენტისთვის განმცხადებელი სასჯელს იხდიდა სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სამედიცინო დაწესებულებაში.

ის და მისი ნაცნობი დააკავეს ამ უკანასკნელის ბინაში, 2007 წლის 31 მარტს, დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონოდ შეძენა-შენახვისთვის, მათ განზრახული ჰქონდათ ნარკოტიკების რეალიზაცია - საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე (§3 „ა“) მუხლით გათვალისწინებული დანაშაული. ჩხრეკის ოქმის მიხედვით, პოლიციამ ბინაში აღმოაჩინა 80 გრ. ჰეროინი. ამასთანავე, მომჩივნის პირადი ჩხრეკის ოქმის მიხედვით, 1,6150 გრ. ჰეროინი იქნა ნაპოვნი მის ქურთუკში. მომჩივნისა და მისი ნაცნობის დაკავებამდე, ორი სხვა პირი დააკავეს, როდესაც ისინი ტოვებდნენ იმავე ბინას. ორივე იმავე საღამოს გაათავისუფლეს, მომჩივნისა და მისი ნაცნობის წინააღმდეგ მამხილებელი ჩვენებების მიცემისა და დანაშაულში თანამონაწილეობის აღიარების შემდეგ. სამართალწარმოების შემდგომ ეტაპზე, სასამართლო პროცესის დროს, მათ შეცვალეს თავდაპირველი მამხილებელი

ჩვენებები, აღნიშნავდნენ რა, რომ პოლიციამ მათ აიძულა მსგავსი ჩვენებების მიცემა.

საქმის მასალები არ შეიცავს ჩხრეკის ოქმის ასლს, თუმცა მომჩივანი აცხადებდა, რომ მან ხელის მოწერაზე უარი განაცხადა, ვინაიდან, მისი განცხადებით, პოლიციელებმა ჩაუდეს მას ჰეროინი, როცა გადაჰყავდათ ბინიდან შინაგან საქმეთა სამინისტროში. ამასთან დაკავშირებით მომჩივანმა აღნიშნა, რომ მას დამოუკიდებელი მოწმის თანდასწრებით ჩხრეკის ჩატარებაზე უარი არ უთქვამს, განსხვავებით იმისგან, რაც ჩხრეკის ოქმში წერია.

8 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ განაჩენი გამოუტანა მომჩივანს დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონოდ შეძენა-შენახვისთვის, რომელიც აღმოჩენილ იქნა მის ბინაში და მისი ქურთუკის ჯიბეში და რომლის გაყიდვაც იგეგმებოდა. სასამართლომ მომჩივანს 17 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. პირველი ინსტანციის სასამართლომ, უსაფუძვლობის მოტივით, არ დააკმაყოფილა მომჩივნის ბრალდება პოლიციის მიერ მისთვის ჰეროინის ჩადების შესახებ. მომჩივნის სააპელაციო სარჩელის შემდეგ, პროკურატურამ მოხსნა ბინაში ჰეროინის პოვნასთან დაკავშირებული ბრალდება. შესაბამისად, 2008 წლის 12 სექტემბერს, თბილისის სააპელაციო სასამართლომ განაჩენი გამოუტანა მომჩივანს 1.6150 გრ. ჰეროინის უკანონო შეძენა-შენახვისთვის და სასჯელი 12 წლამდე შეუმცირა.

მომჩივანმა მატერიალური ზიანის ანაზღაურების მიზნით მოითხოვა ყოველთვიური შემოსავალი 500 (ხუთასი) ევროს ოდენობით. მან შემდგომ მოითხოვა 100000 (ასი ათასი) ევრო მორალური ზიანის ანაზღაურების სახით.

ევროპულმა სასამართლომ ვერ დაინახა მიზეზობრივი კავშირი დადგენილ დარღვევასა და სავარაუდო მატერიალურ ზარალს შორის. შესაბამისად, უარყო ეს მოთხოვნა, ხოლო სამართლიანობის პრინციპის საფუძველზე და საქმის გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ

მომჩივანს მიაკუთვნა 5000 (ხუთი ათასი) ევრო მორალური ზიანის ანაზღაურების სახით, ციხეში ადეკვატური სამედიცინო მკურნალობის არარსებობის გამო.

27. „დავით მინდაძე და ვალერიან ნემსინვერიძე საქართველოს წინააღმდეგ“ - გადაწყვეტილება მიღებულია 2017 წლის პირველ ივნისს.

საქმე ეხება 2004-2007 წლებში მომჩივნების, დავით მინდაძისა და ვალერიან ნემსინვერიძის, მიმართ განხორციელებულ სხვადასხვა უკანონო ქმედებას, მათ შორის, წამებასა და უკანონო პატიმრობას. საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, ორივე მომჩივანი დააკავეს 2004 წელს და ბრალი დასდეს საქართველოს პარლამენტის წევრთან (კ.გ.) დაკავშირებულ თავდასხმაში. ეროვნულმა სასამართლომ ისინი დამნაშავედ ცნო, მათ შორის, დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობის მცდელობისთვის.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა, რომელიც ეხება 2004 წლის 13 მაისს მომჩივან დავით მინდაძის წამებას პოლიციელების მიერ, რაც გამოიხატებოდა სასტიკ ცემასა და მის მიმართ ელექტროშოკის გამოყენებაში. მე-3 მუხლის დარღვევა დადგინდა, აგრეთვე, 2004 წლის 13 მაისის წამების ფაქტის გამოძიების არაეფექტიანობის გამო. მე-5 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა ეხება მომჩივნების წინასწარ პატიმრობას 2005 წლის 13 იანვრიდან 2005 წლის 7 ივნისამდე, რომელიც სტრასბურგის სასამართლომ უკანონოდ ცნო. ასევე, ამავე მუხლის მესამე პუნქტის დარღვევა ეხება 2004 წლის 10 ნოემბრის და 2005 წლის 7 ივნისის პატიმრობის შესახებ განჩინებების დაუსაბუთებლობას. ამასთანავე, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა ეხება მომჩივნების სისხლის სამართლის საქმის სამართლიანი განხილვის უფლების დარღვევას, რაც გამოიხატა მომჩივან მინდაძისაგან აღიარებითი ჩვენებისა და სხვა განცხადებების წამების გზით მოპოვებით; ასევე, მომჩივნების უფლების დარღვევით, ესარგებლათ მათი არჩეული

ადვოკატის მომსახურებით სამართალწარმოების საწყისი ეტაპიდან და სხვ. სასამართლომ სახელმწიფოს დააკისრა 28000 (ოცდარვა ათასი) ევროს გადახდა მინდაძის და 16000 (თექვსმეტი ათასი) ევროს გადახდა ნემსინვერიძის სასარგებლოდ მორალური ზიანის ანაზღაურების სახით; ასევე, 4800 (ოთხი ათას ოთხასი) ევროს გადახდა ორივე მომჩივნის სასარგებლოდ ხარჯების ასანაზღაურებლად.

28. „გივი ჯანიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“

- 2005 წლის 29 ივნისს შეიტანა საჩივარი ევროპულ სასამართლოში. გადანყვეტილება საქმეზე გამოვიდა 2012 წლის 27 ნოემბერს.

2004 წლის 13 მაისს მომჩივანი დააკავეს ვალეს სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე, ჩაუტარეს ჩხრეკა და ვერ აღმოუჩინეს კანონსაწინააღმდეგო ნივთი ან ნივთიერება, თუმცა, მოგვიანებით ჩაუდეს ნარკოტიკული საშუალება და დააპატიმრეს. გამომდინარე იქიდან, რომ დადასტურდა პირველი ჩხრეკის დროს ნარკოტიკული ნივთიერების არარსებობა, დაცვის მხარემ მოახერხა სასამართლოში გამამართლებელი განაჩენის მიღწევა, თუმცა, 2005 წელს, გამამართლებელი განაჩენიდან და გათავისუფლებიდან რამდენიმე დღეში, მას სახლში ჩაუტარეს ჩხრეკა, ისევ ჩაუდეს ნარკოტიკული საშუალება და ისევ დააპატიმრეს. ციხეში იმყოფებოდა აუტანელ პირობებში, იყო მძიმედ დაავადებული და განიცდიდა არასათანადო მოპყრობას.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივანის მიმართ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-5 (§3) მუხლის დარღვევას, რაც უკავშირდება მომჩივნისთვის სისხლის სამართლის პირველი საქმის ფარგლებში შეფარდებული წინასწარი პატიმრობის საფუძვლიანობას. სასამართლომ სახელმწიფოს დააკისრა კონვენციის 44-ე (§2) მუხლის შესაბამისად, მომჩივანისთვის 600 (ექვსასი) ევროს გადახდა მორალური ზიანის ანაზღაურების სახით და 1000 (ათასი) ევროს გადახდა ხარჯებისა და დანახარჯების ანაზღაურების სახით და უარყო მომჩივნის დანარჩენი მოთხოვნები სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

29. „სულხან მოლაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ - ევროპულ სასამართლოში საჩივარი შეტანილია 2004 წლის 27 ოქტომბერს, გადაწყვეტილება მიღებულია 2014 წლის 30 სექტემბერს.

მომჩივანს 2000 წლის 30 მაისიდან 2004 წლის 4 იანვრამდე ეკავა კონტროლის პალატის თავმჯდომარის თანამდებობა. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, 2004 წლის 4 იანვარს, მომჩივანმა სთხოვა საქართველოს პარლამენტს, დაეკმაყოფილებინა მისი განცხადება კონტროლის პალატის თავმჯდომარის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ. 2004 წლის 22 აპრილს, პროკურატურაში მისი დაბარების შემდეგ, მომჩივანი ნებაყოფლობით გამოცხადდა დაკითხვაზე. მას მაშინვე წაუყენეს ბრალი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების გამო და გადაიყვანეს თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს წინასწარი დაკავების იზოლატორში. გამოძიებით ირკვევა, რომ 2004 წლის 22-23 აპრილის ღამეს მომჩივანს აუხვიეს თვალები, ლიფტით აიყვანეს სამმართველოს რომელიღაც სართულზე, ერთ-ერთ ოთახში და 40-50 წუთის განმავლობაში აწამებდნენ, კერძოდ, ზურგზე ადებდნენ გახურებულ საგნებს, მოითხოვდნენ ბრალის აღიარებას და ბიუჯეტის სასარგებლოდ იმ თანხის გადახდას, რომელსაც გამოძიება მომავალში მოსთხოვდა. მომდევნო დღეს, 2004 წლის 23 აპრილს, ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ მომჩივანს წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. მოგვიანებით მომჩივანს წინასწარი პატიმრობის ვადა კიდევ რამდენჯერმე გაუგრძელდა. 2004 წლის 11 ივნისსა და 2 ივლისს საქართველოს იმდროინდელმა პრეზიდენტმა ტელევიზიით ორჯერ გააკეთა საჯარო განცხადება, რომელშიც მან მომჩივანი კორუფციასა და ქრთამის აღებაში დაადანაშაულა. 2004 წლის 5 ივლისს მომჩივნის მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, მაგრამ გამოძიებას შედეგი არ მოჰყოლია. 2004 წლის ივლისის შუა რიცხვებიდან დაწყებული, მომჩივნის ჯანმრთელობის მდგომარეობა სერიოზულად გაუარესდა.

მისი დაკავების მთელი პერიოდის განმავლობაში მომჩივანმა და მისმა ადვოკატებმა რამდენჯერმე გამოთქვეს პრეტენზია არასათანადო მკურნალობის თაობაზე. 2005 წლის 7 სექტემბრის გადაწყვეტილებით, თბილისის საქალაქო სასამართლომ მომჩივანი რიგ ბრალდებებში გაამართლა არასაკმარისი მტკიცებულებების გამო, თუმცა, დამნაშავედ ცნო სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებასა და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში; დანაშაულის დაფარვაში; სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით სხვისი ქონების არაერთგზის მითვისებაში, ჩადენილი დიდი ოდენობით. მომჩივანს მიესაჯა 9 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა. 2006 წლის 6 მარტს თბილისის სააპელაციო სასამართლომ ნაწილობრივ შეცვალა მომჩივნის მიმართ გამოტანილი პირველი ინსტანციის განაჩენი, მომჩივანს სასჯელის ზომა შეუმცირა 1 წლით და საბოლოოდ სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც ძალაში დარჩა უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 23 ივნისის განჩინებით.

საქმის მასალების სრულყოფილად შესწავლის შედეგად 2014 წლის 11 მარტის წერილით მთავრობამ ევროპულ სასამართლოს წარუდგინა დეკლარაცია. დეკლარაციის მიხედვით, საქართველოს მთავრობამ აღიარა, რომ აღნიშნულ საქმეში დაირღვა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით, მე-5 მუხლის პირველი პუნქტის (c) ქვეპუნქტით და მე-3 და მე-4 პუნქტებით, მე-6 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით, ასევე, მე-3 პუნქტის (b), (c) და (d) ქვეპუნქტებითა და მე-14 მუხლით გათვალისწინებული უფლებები. მთავრობამ აიღო ვალდებულება, ეფექტიანად გამოიძიოს მომჩივნის არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებული საჩივარი, ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი პრინციპების შესაბამისად. მთავრობის მიერ წარდგენილი დეკლარაციის თანახმად, მომჩივანს სსსკ-ის 310-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, უფლება ჰქონდა, რომ

მოეთხოვა მის წინააღმდეგ წარმოებული სისხლის სამართლის საქმის ხელახალი განხილვა. ასევე, დეკლარაციის მიხედვით, მთავრობამ მზადყოფნა გამოთქვა, გადაეხადა მომჩივნისათვის 20000 (ოცი ათასი) ევრო ნებისმიერი მატერიალური და მორალური ზიანის, ასევე, ხარჯების ასანაზღაურებლად

30. „ადამ ბაისუევის და რუსტამ ანზოროვი საქართველოს წინააღმდეგ“ -

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საჩივარი შეტანილია 2004 წლის 6 აგვისტოს. გადაწყვეტილება მიღებულია 2013 წლის 18 მარტს.

მომჩივნები არიან ჩეჩნური წარმოშობის რუსეთის მოქალაქეები, რომლებიც შესაბამის დროს ლტოლვილების სტატუსით ცხოვრობდნენ თბილისში. მომჩივანთა განცხადებით, 2002 წლის 7 დეკემბერს, პოლიციელები მივიდნენ მათთან სახლში და დაკითხეს. პოლიციამ დაიწყო მათი საცხოვრებლის ჩხრეკა ორდერის წარდგენის გარეშე. პოლიციელებმა პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები წაიღეს და მომჩივნებს უთხრეს, წაყოლოდნენ მათ. პოლიციაში მათ გადაუღეს ფოტოები და დაუსვეს კითხვები რუსეთის ფედერაციის ჩეჩნეთის რესპუბლიკაში შეიარაღებულ კონფლიქტთან დაკავშირებით და ასევე ჰკითხეს, იყვნენ თუ არა ისინი ან მათი ოჯახის წევრები ამ კონფლიქტში ჩართულები. მომჩივნებს აგრეთვე აუღეს თითის ანაბეჭდები. 3 საათის შემდეგ მომჩივნები გაათავისუფლეს და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები დაუბრუნეს. მომჩივნები მოითხოვდნენ სამართლებრივ საფუძველთან დაკავშირებულ განმარტებებს მათი სახლის ჩხრეკის თაობაზე, პოლიციაში მათ წაყვანაზე და ასევე სისხლის სამართლის პროცედურული ზომების შესახებ, რომელთა გატარებაც მათ მიმართ მოხდა. მთავრობამ განაცხადა, რომ ვერ მოიძია აღნიშნული საჩივარი.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-5 (§1) და

მე-5 (§2) მუხლების დარღვევას და სახელმწიფოს დაავალა თითოეული მომჩივანისთვის 600 (ექვსასი) ევროს გადახდა მორალური ზიანის ანაზღაურების სახით.

31. „რევამ დვალშივილი საქართველოს წინააღმდეგ“ - ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საჩივარი შეტანილია 2007 წლის 6 აპრილს, გადაწყვეტილება მიღებულია 2013 წლის 18 მარტს.

2006 წლის 28 დეკემბერს წყალტუბოს რაიონულმა სასამართლომ მომჩივანს საზოგადოებრივი წესრიგის უხეში დარღვევისთვის ერთწლიანი პატიმრობა და ჯარიმა შეუფარდა. 2007 წლის 9 ივლისს ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ, შეცვალა რა დანაშაულის სიმძიმე და მიანიჭა რა მას საზოგადოებრივი წესრიგის მსუბუქი დარღვევის კვალიფიკაცია, ძალაში დატოვა მომჩივნის მსჯავრი და პატიმრობა ჯარიმით შეცვალა. სააპელაციო სასამართლომ ასევე უარყო მომჩივნის ბრალდება არასათანადო მოპყრობის შესახებ, როგორც დაუსაბუთებელი. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დაუშვებლად ცნო მომჩივნის სარჩელი სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის არსებით დარღვევას მომჩივნის მიმართ არასათანადო მოპყრობის გამო, აგრეთვე კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურულ დარღვევას მომჩივნის მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტზე ეფექტიანი გამოძიების არჩატარების გამო. სასამართლომ სახელმწიფოს დააკისრა 12000 (თორმეტი ათასი) ევროს გადახდა მომჩივნის სასარგებლოდ მორალური ზიანის ანაზღაურების სახით.

32. „გენადი ჯელაძე საქართველოს წინააღმდეგ“ - ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საჩივარი შეტანილია 2007 წლის 7 დეკემბერს, გადაწყვეტილება მიღებულია 2013 წლის 18 მარტს.

2004 წლის 21 ივლისს მომჩივანი დააკავეს დამამძიმებელ გარემოებაში მკვლელობის ჩადენისა და სხეულის

დაზიანების ბრალდებით, დანაშაული, რომელიც ისჯება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე და 120-ე მუხლების შესაბამისად. 2006 წლის 30 ივნისს მომჩივანს გამოუტანეს განაჩენი წაყენებული ბრალდების მიხედვით და მიუსაჯეს 18-წლიანი პატიმრობა. სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებმა უცვლელად დატოვეს განაჩენი. მომჩივანი დავობდა, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში ყოფნის პერიოდში უტარდებოდა არასათანადო მკურნალობა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა და სახელმწიფოს კონვენციის 44-ე მუხლის თანახმად დააკისრა მოსარჩელისთვის 5 690 (ხუთი ათას ექვსას ოთხმოცდაათი) ევროს გადახდა მორალური ზიანის ანაზღაურების სახით.

33. „დავით ჯაში საქართველოს წინააღმდეგ“ - ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საჩივარი შეტანილია 2006 წლის 20 მარტს. გადანაცვტილება გამოტანილია 2013 წლის 8 აპრილს.

2005 წლის 30 მარტს მომჩივანი დამნაშვედ ცნეს ნარკოტიკებით ვაჭრობაში და მიუსაჯეს ორი წლით თავისუფლების აღკვეთა. გარკვეულის ხნის შემდეგ მოხდა მისი პირობით ვადამდე გათავისუფლება. როგორც სამედიცინო დოკუმენტებიდან ირკვევა, აღნიშნული სისხლის სამართლის საქმის წარმოებამდე, მომჩივანს აწუხებდა თავის ტვინის მძიმე ტრავმები, რის შედეგადაც მისი ფსიქიკური მდგომარეობა გაუარესდა. 2005 წლის 28 სექტემბერს მომჩივანი განმეორებით დააკავეს 3.84 გრ პეროინისა და 0.121 გრ მეტადონის შენახვისთვის.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის მიმართ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას მისი ფსიქიკური მდგომარეობის, აგრეთვე გულისა და ღვიძლის პრობლემების მკურნალობის დონის გამო. სასამართლომ სახელმწიფოს დაავალა მომჩივნის სასარგებლოდ 3000 (სამი ათასი) ევროს გადახდა მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნით.

34. ემზარ კობაძე საქართველოს წინააღმდეგ - ევროპულ სასამართლოში საჩივარი შეტანილია 2009 წლის 9 ოქტომბერს, გადაწყვეტილება მიღებულია 2015 წლის 10 მარტს.

საჩივარი ეხებოდა 2009 წლის 3 მარტს მომჩივნის მიმართ სასჯელაღსრულების №15 (ყოფილი №7) დაწესებულებაში სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტსა და ამ ფაქტის არასათანადო გამოძიებას.

2014 წლის 4 ნოემბერს მთავრობამ აღიარა კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული ნაწილის დარღვევა და აიღო კომპენსაციის (3 500 ევროს) გადახდისა და ეფექტიანი გამოძიების ჩატარების ვალდებულება. 2014 წლის 10 დეკემბერს მომჩივანმა აცნობა სასამართლოს, რომ იგი დაეთანხმა მთავრობის მიერ შეთავაზებულ მორიგების პირობებს. შესაბამისად, საქმე მიჩნეულ იქნა მორიგებად და ევროპული სასამართლოს მიერ 2015 წლის 10 მარტს ამოირიცხა განსახილველ საქმეთა ნუსხიდან.

35. „ღანჩავა საქართველოს წინააღმდეგ“ - ევროპულ სასამართლოში საჩივარი წარდგენილია 2011 წლის 13 აპრილს, გადაწყვეტილება მიღებულია 2015 წლის 23 ივნისს.

საჩივარი ეხებოდა ქუთაისის №2 დაწესებულებაში 2009 წლის 6 ივლისს მომხდარი ინციდენტის დროს მომჩივნის მიმართ განხორციელებულ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტს და სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევას მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას. თავდაპირველი გამოძიება დაიწყო 2009 წლის 7 ივლისს ქუთაისის №2 საპყრობილეში მოთავსებულ არასრულწლოვანთა (მათ შორის, მომჩივნის) მიერ სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის ფაქტზე. 2010 წლის 15 თებერვლის ქუთაისის საქალაქო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით, მომჩივანი ცნობილ იქნა დამნაშავედ. დადგინდა, რომ ინცი-

დენტში მონაწილეობდა 19 არასრულწლოვანი (მათ შორის, მომჩივანი) და 7 მათგანი (მათ შორის, მომჩივანი) იმავე დილით გადაიყვანეს თბილისის ერთ-ერთ ციხეში. არასრულწლოვნების განცხადებით, 2009 წლის 6 ივლისს ციხის თანამშრომლებმა შეამჩნიეს, რომ საკანში დაზიანებული იყო ფანჯრის ცხაური და მინა. მათ უბრძანეს საკნის დატოვება, საკნის გარეთ კი ციხის თანამშრომლებმა მათ სცემეს.

2015 წლის 13 მარტით დათარიღებული წერილით მთავრობამ შეატყობინა სასამართლოს, რომ სურდათ ცალმხრივი დეკლარაციის წარდგენა, რომლის თანახმად, მთავრობამ აღიარა, რომ მომჩივნის მიმართ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული ნაწილის დარღვევას, ასევე, ხარვეზებს 2009 წლის 6 ივლისს ქუთაისის №2 საპყრობილეში მომჩივნის მიმართ არასათანადო მოპყრობის საქმის გამოძიების მსვლელობისას. მთავრობამ აღიარა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი და მე-3 პუნქტის „ც“ ქვეპუნქტი სასამართლო პროცესზე მომჩივნის დასწრების გაუმართლებელი შეზღუდვით, თუმცა, აღნიშნა, რომ ამ ხარვეზს მთლიანად პროცესი არ გაუხდია არასამართლიანი. საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების გათვალისწინებით, მთავრობამ ვალდებულება აიღო, რომ უზრუნველყო გამოძიების ჩატარება ქუთაისის №2 საპყრობილეში 2009 წლის 6 ივლისს მომხდარი ინციდენტის დროს მომჩივნის მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით და მომჩივნისათვის გადაეხადა 4500 (ოთხი ათას ხუთასი) ევრო.

36. „გიორგი ილდანი საქართველოს წინააღმდეგ“

- ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საჩივარი შეტანილია 2009 წლის 30 ნოემბერს, გადაწყვეტილება გამოტანილია 2013 წლის 23 ივლისს.

2008 წლის 24 ივნისს ბოლნისის რაიონულმა სასამართლომ მომჩივანი დამნაშავედ ცნო ცეცხლსასროლი იარ-

აღის უკანონო ფლობისა და დამამძიმებელ გარემოებებში ორ სხვადასხვა შეიარაღებული ძარცვის საქმეში და შეუფარდა 20 წლითა და 7 თვით თავისუფლების აღკვეთა, ასევე, დააკისრა ჯარიმა. 2009 წლის 6 იანვარს თბილისის სააპელაციო სასამართლომ მცირედით შეცვალა დანაშაულის კვალიფიკაცია, ძალაში დატოვა რა განაჩენი, მომჩივანს შეუმცირა პატიმრობის ვადა, შეუფარდა 17 წლითა და 7 თვით თავისუფლების აღკვეთა და ასევე დააკისრა ჯარიმა. 2009 წლის 1 ივნისს უზენაესმა სასამართლომ უარი თქვა მომჩივნის საკასაციო სარჩელის განხილვაზე.

ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებლის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი ციხეში არაადეკვატური სამედიცინო მკურნალობის გამო და მოპასუხე სახელმწიფოს დააკისრა მისთვის 4500 (ოთხი ათას ხუთასი) ევროს გადახდა მორალური ზიანის ანაზღაურების სახით.

37. „გ.ს. საქართველოს წინააღმდეგ“ - ევროპულ სასამართლოში საჩივარი შეტანილია 2012 წლის 28 დეკემბერს, გადანაცვებილება მიღებულია 2015 წლის 21 ივლისს.

საქმის წარმოება დაიწყო უკრაინის მოქალაქის გ.ს.-ს მიერ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის 34-ე მუხლის საფუძველზე საქართველოს წინააღმდეგ 2012 წლის 28 დეკემბერს სასამართლოში შეტანილი საჩივრის საფუძველზე. მომჩივანი დავობდა საქართველოში მის პარტნიორთან თანაცხოვრების დროს შეძენილი შვილის უკრაინაში გაყვანას, რისი უფლებაც დედას ქართულმა სასამართლოებმა არ მისცეს. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ საქართველოს სასამართლოს მიერ მისი შვილის უკრაინაში დაბრუნების მოთხოვნის („ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ“ ჰააგის 1980 წლის 25 ოქტომბრის კონვენციის შესაბამისად) დაკმაყოფილებაზე საქართველოს სასამართლოების მიერ უარის თქმით, მას დაერღვა ევროპული

კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება. მომჩივანი ითხოვდა 15000 (თხუთმეტი ათას) ევროს არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად. ის ამტკიცებდა, რომ ხანგრძლივი დროით შვილთან განშორებამ მას ტკივილი და ტანჯვა მი-აყენა. დამატებით მან მოითხოვა 850 ევრო მატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, იმის საფუძველზე, რომ შვილის სანახავად და სამართალწარმოებაში მონაწილეობის მისაღებად მას რამდენჯერმე მოუხდა უკრაინიდან საქარ-თველოში ჩამოსვლა და უკან გამგზავრება.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას, რის გამოც სახელმწიფოს დააკისრა 9100 (ცხრა ათას ასი) ევროს გა-დახდა.

38. „ქ-ნი ნ.ნ. და სხვები საქართველოს წინააღ-მდეგ“ - ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საჩივარი შეტანილია 2012 წლის 2 ნოემბერს, გადაწყვე-ტილება გამოტანილია 2016 წლის 2 თებერვალს.

განმცხადებლის დამ ურთიერთობა დაიწყო გ. ბ-სთან 2000 წელს და წყვილი ცალკე საცხოვრებლად გადავიდა. მათ სამი შვილი შეეძინათ - ნ. ბ., ს. ბ. და ლ. ბ. 2006 წელს ბავშვების მამა გასამართლებულ იქნა ნარკოტიკების უკ-ანონო მოხმარებისთვის და განესაზღვრა ხუთწლიანი პი-რობითი მსჯავრდება, ხოლო 2008 წელს მას დაუსვეს ფსიქიკური და ქცევითი მოშლილობის დიაგნოზი. იმავე წელს მან დაიწყო მეტადონით ჩანაცვლების მკურნალო-ბის კურსის გავლა (რაც წარმოადგენს წამალდამოკიდე-ბულების მკურნალობის სპეციალიზებული პროგრამის ნა-წილს). 2009 წელს გ. ბ-ი დაჯარიმდა ადმინისტრაციული კოდექსის დარღვევის გამო, ნარკოტიკების უკანონო მი-ღების დამატებით ორი შემთხვევისთვის. 2009 წლის 26 ნოემბერს ბიჭების დედა საქმისგან დამოუკიდებელ გარე-მოებებში გარდაიცვალა. ბავშვები გადავიდნენ დეიდებ-თან და დედის მხრიდან ბებია-ბაბუასთან საცხოვრებლად.

2009 წლის დეკემბრის ბოლოს მამამ მოითხოვა ბიჭების დაბრუნება, მაგრამ დედის ოჯახმა უარი განაცხადა მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. საქართველოში მიმდინარე ხანგრძლივი სასამართლო დავების შემდეგ ბოლოს გადაწყდა, რომ ბავშვებს უნდა ეცხოვრათ მამასთან.

განმცხადებლები მიუთითებდნენ, რომ ეროვნული სასამართლოების მიერ ბავშვების მათი მამისთვის დაბრუნების განკარგულებაზე გადაწყვეტილების მიღებით ადგილი ჰქონდა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლის, პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევას.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა და მოპასუხე მხარეს დააკისრა მომჩივანის სასარგებლოდ არა-მატერიალური ზიანის - 10 000 (ათი ათასი) ევროს გადახდა, ხოლო დამატებით სასამართლოს ხარჯებისთვის - 900 (ცხრაასი) ევრო. მოცემული თანხა უნდა განკარგოს ქალბატონმა ნ. ნ-მ.

39. „ზურაბ ჭანკოტაძე საქართველოს წინააღმდეგ“

- ევროპულ სასამართლოში საჩივარი შევიდა 2005 წლის 12 მარტს, გადაწყვეტილება გამოტანილია 2016 წლის 17 მაისს.

მომჩივანი დავობდა, რომ მისი წინასწარი პატიმრობა იყო უკანონო, ასევე არასამართლიანი იყო მის წინააღმდეგ მიმართული სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოება, რითაც დაირღვა კონვენციის მე-5 და მე-6 მუხლების პირველი პარაგრაფებით გარანტირებული უფლებები. იგი ასევე დავობდა, რომ მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის წარმოებას და მის წინასწარ პატიმრობას, კონვენციის მე-18 მუხლის დარღვევით, საფუძვლად ედო არასათანადო ფარული მოტივები.

2004 წლის 16 მარტს, მთავარმა პროკურატურამ მომჩივანს, სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილის და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე წაუყენა სამსახურებრივი უფლებამოსილების არა-ერთგზის ბოროტად გამოყენების ბრალდება. მას ბრალი

ედებოდა სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს თავმჯდომარის უფლებამოსილების განხორციელებისას, 2003 წლის 28 მარტსა და 18 აგვისტოს სამოქალაქო ხელშეკრულების გაფორმებაში სამ სამოქალაქო საავიაციო კომპანიასთან, კერძოდ, საქაერონავიგაციას, თბილისის საერთაშორისო აეროპორტსა და „Air-GP-Georgia“-სთან. აღნიშნულმა კომპანიებმა, ხელშეკრულების მიხედვით, სამოქალაქო ავიაციის სააგენტოსთვის ყოველთვიურად მომსახურების საფასურის გადახდის ვალდებულება აიღეს. შესაბამისად, 2003 წლის აპრილისა და სექტემბრის პერიოდში სამოქალაქო ავიაციის სააგენტომ 600000 (ექვსასი ათასი) ლარი მიიღო. ბრალდების თანახმად, მომჩივნის მოქმედება მიზნად ისახავდა საფასურის ფაქტობრივი მნიშვნელობის დაფარვას, რაც იყო ძველი „რეგულირების საფასური“ - იურიდიული ტერმინი და ვალდებულება, რომელიც 2003 წლის 10 იანვრის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდეგ, არაკონსტიტუციურად გამოცხადდა.

2005 წლის 8 აგვისტოს გადაწყვეტილებით აპლიკანტი დამნაშავედ ცნეს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილისა და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულში და ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. მას ასევე აეკრძალა ორი წლის განმავლობაში საჯარო თანამდებობის დაკავება. სასჯელის სრულად მოხდის შემდეგ, აპლიკანტი 2008 წლის 14 მარტს გათავისუფლდა.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში მომჩივანი დავობდა კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პარაგრაფიდან გამომდინარე, რომ მისი პატიმრობა 2004 წლის 16 სექტემბრიდან - იმ დროს, როცა გავიდა წინასწარი პატიმრობის 5 თვიანი ვადა, 2005 წლის 16 მარტამდე - სასამართლოში წარდგენის დრო, უკანონო იყო.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პარაგრაფის დარღვევა რიგ შემთხვევებში,

მათ შორის, საქართველოს წინააღმდეგ არსებულ საქმეებზე, რომლებიც ეხებოდა ბრალდებულთა წინასწარ პატიმრობაში ყოფნას მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ საბრალდებო დასკვნა უკვე წარდგენილი იყო სასამართლოში.

ბრალდებულების დაკავება კონკრეტული სამართლებრივი საფუძვლების ან მათი მდგომარეობის მარეგულირებელი ცხადი წესების გარეშე - იმ შედეგით, რომ მათ შეიძლება თავისუფლება აღეკვეთოთ განუსაზღვრელი პერიოდის განმავლობაში სასამართლო ნებართვის გარეშე - შეუთავსებელია სამართლებრივი განსაზღვრულობისა და თვითნებობისგან დაცვის პრინციპებთან, რომლებიც კონვენციისა და კანონის უზენაესობის საერთო საფრთხედ მიიჩნევა.

აქედან გამომდინარეობს, რომ ექვსი თვის განმავლობაში - 2004 წლის 16 სექტემბრიდან 2005 წლის 16 მარტამდე, არ არსებობდა სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც მომჩივანის პატიმრობის საფუძველს წარმოადგენდა. ის ფაქტი, რომ სისხლის სამართლის საქმე და საბრალდებო დასკვნა გადაეგზავნა სასამართლოს, არ აკმაყოფილებდა პატიმრობის დარჩენილი პერიოდის „კანონიერების“ მოთხოვნებს, კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პარაგრაფის მნიშვნელობის ფარგლებში.

აპლიკანტი ითხოვდა 142,600 (ასორმოცდაორი ათას ექვსასი) ლარის ანაზღაურებას მატერიალური ზიანის სახით. მან განმარტა, რომ აღნიშნული თანხა უზრუნველყოფდა მოცემულ დროს ყოველთვიური ხელფასის - 2,300 (ორი ათას სამასი) ლარის ანაზღაურებას და რომელსაც იგი მიიღებდა, თუ იძულებული არ იქნებოდა გადამდგარიყო სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს თავმჯდომარის თანამდებობიდან მის წინააღმდეგ დაწყებული უკანონო სისხლის სამართალწარმოების შემდეგ.

მომჩივანი ასევე ითხოვდა 500,000 (ხუთასი ათას) ევროს მორალური ზიანის ანაზღაურების სახით. მომჩივანმა განაცხადა, რომ განიცადა მძიმე სტრესი, რომელსაც ნეგა-

ტიური გავლენა ჰქონდა მის ჯანმრთელობაზე, კონვენციის მე-5 და მე-6 მუხლების პირველი პარაგრაფებით გათვალისწინებული უფლებების დარღვევის შედეგად.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა რომ მოპასუხე სახელმწიფომ მომჩივანს, კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, უნდა გადაუხადოს 20000 (ოცი ათასი) ევრო მორალური ზიანისთვის, აგრეთვე 15000 (თხუთმეტი ათასი) ევრო განუვლი ხარჯებისა და დანახარჯების ანაზღაურების სახით.

40. „რევამ გახარია საქართველოს წინააღმდეგ“ -

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საჩივარი შეტანილია 2013 წლის 17 აპრილს, გადაწყვეტილება გამოტანილია 2017 წლის 17 იანვარს.

მომჩივანმა და კ.გ.-მ თანაცხოვრება დაიწყო 1999 წელს. 2000 წლის 9 იანვარს, მათი ქალიშვილი - ლ.გ. დაიბადა. ძირითადად იგი საქართველოში ბებიასთან (დედის დედა) იზრდებოდა მას შემდეგ, რაც მშობლები საზღვარგარეთ წავიდნენ სამუშაოდ, სადაც მალევე დაცილდნენ ერთმანეთს.

2008 წლის 31 მარტს კ.გ.-მ მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, რათა მისი ქალიშვილი ოფიციალურად დარეგისტრირებულიყო, როგორც რეზიდენტი პირი მოსარჩელის მისამართზე. 2008 წლის 19 მაისს სასამართლო უწყება გაიგზავნა მომჩივნის რეგისტრირებულ მისამართზე, რომლითაც მას მიეწოდა ინფორმაცია კ.გ.-ს სარჩელის შესახებ. სასამართლოს კურიერმა განაცხადა, რომ უწყება ვერ ჩაბარდა ადრესატს, რადგან სახლში არავინ ცხოვრობდა და დაკეტილი იყო. სასამართლო უწყება მხოლოდ ერთხელ გაიგზავნა. 2008 წლის 3 ივნისს პირველი ინსტანციის სასამართლომ, მოქმედებდა რა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის მიხედვით, ბრძანა, რომ ინფორმაცია სამართალწარმოების შესახებ გამოქვეყნებულიყო ყოველდღიურ გაზეთ - „24 საათში“. 2008 წლის 24 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლომ და-

აკმაყოფილა კ.გ.-ს სარჩელი. გადაწყვეტილება გამოტანილ იქნა მომჩივნის დაუსწრებლად, რომლის ადგილსამყოფელიც, ამავე გადაწყვეტილების მიხედვით, ვერ დადგინდა. ეს გადაწყვეტილება ყველა ინსტანციის სასამართლომ ძალაში დატოვა.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი; მოპასუხე სახელმწიფომ მომჩივანს უნდა გადაუხადოს ზიანი 1500 (ათას ხუთასი) ევროს ოდენობით.

41. „მესხიძე საქართველოს წინააღმდეგ“ - ევროპულმა სასამართლომ გადაწყვეტილება 2017 წლის 21 დეკემბერს გამოიტანა.

მომჩივანი მესხიძე დააკავეს 2003 წლის 20 ივლისს და 2004 წლის 19 მაისს. მას პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მკვლელობისთვის სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა თორმეტი წლის ვადით. 2004 წლის 19 ივლისს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა სასამართლომ უცვლელად დატოვა განაჩენი.

არსებული სამედიცინო ისტორიის თანახმად (მოიცავს 2005 წლის 30 ივლისიდან - 10 სექტემბრამდე, 2008 წლის 25 იანვრიდან - 27 მარტამდე და 2008 წლის 5 ივნისიდან - 8 სექტემბრამდე პერიოდებს), მომჩივანი ციხის საავადმყოფოში იმყოფებოდა, სადაც პირველად დადიაგნოზის დაკავების შემდგომ, 2005 წლის 30 ივლისს. ამ დროს მას დაუდგინდა ვირუსული C ჰეპატიტი, ქრონიკული ქოლესისტიტი და რადიკულიტი. მომჩივანი უჩიოდა ძილის დარღვევებსა და შფოთვისა და მოთავსებულ იქნა ციხის საავადმყოფოს ფსიქიატრიულ განყოფილებაში. 2005 წლის 16 აგვისტოს, ის გადაყვანილ იქნა ინფექციურ დაავადებათა განყოფილებაში, სადაც მას მკურნალობდნენ ვირუსულ C ჰეპატიტზე. მომჩივანი ციხის საავადმყოფოდან გაწერეს 2005 წლის 10 სექტემბერს. 2008 წლის 5 მაისის სამედიცინო ანგარიშის საფუძველზე, და იმის გათვალისწინებით, რომ ციხეში ჩატარებული მკურნალობა

უმედეგო იყო, 2008 წლის 14 მაისს მომჩივანმა სარჩელი შეიტანა თბილისის საქალაქო სასამართლოში ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, მისი სასჯელის გადავადებასთან დაკავშირებით (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 607-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის“ შესაბამისად). ციხეების დეპარტამენტის წარმომადგენელი არ დაეთანხმა სარჩელს იმის საფუძველზე, რომ ციხის საავადმყოფოს ჰქონდა „სამედიცინო მომსახურება, რომელსაც შეეძლო მომჩივნის მკურნალობა“ და „საჭიროების შემთხვევაში, მას სპეციალიზებულ კლინიკაში გადაიყვანდნენ“. ერთ-ერთმა ექსპერტმა, რომელიც მონაწილეობდა გემოთ ხსენებული ანგარიშის მომზადებაში, მოსამართლეს დაუდასტურა, რომ მომჩივანი მძიმე ავადმყოფი იყო. თუმცა, რამდენადაც მას არ ჰქონდა ინფორმაცია ციხის საავადმყოფოს სამედიცინო რესურსების შესახებ, მისი თქმით, იგი ვერ შეაფასებდა, იყო თუ არა მომჩივნის იქ დატოვება მიზანშეწონილი. მან ასევე დაადასტურა, რომ საჭირო იყო მომჩივნის მარჯვენა ტერფის პირველი თითის ამპუტაცია.

მომჩივანმა კონვენციის მე-3 მუხლის საფუძველზე პრეტენზია გამოთქვა ციხეში სამედიცინო მკურნალობასთან დაკავშირებით. მომჩივანი აცხადებდა, რომ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა არსებითად გაუარესდა ციხეში ყოფნისას. მისი თქმით, ციხის შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა აღიარეს, რომ მათ არ შეეძლოთ მომჩივნისთვის საჭირო სამედიცინო მკურნალობის აღმოჩენა, თუმცა, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში უარს ეუბნებოდნენ მას ციხის გარეთ შესაბამისი მკურნალობის მიღების შესაძლებლობის გამოყენებაზე.

მომჩივანმა მოითხოვა 1300 (ათას სამასი) ევრო მატერიალური ზიანისთვის, რომელიც გამოწვეული იყო სამედიცინო მკურნალობის ხარჯებით, მათ შორის, რამდენიმე სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯებით, რომლებიც განხორციელდა და ანაზღაურდა მის მიერ. მან ასევე სთხოვა სასამართლოს

დაუზუსტებელი თანხის მინიჭება იმ ფსიქოლოგიური ზიანისთვის, რომელიც მას მიადგა ციხეში ყოფნის დროს და დამატებითი თანხები უცხოეთში მკურნალობის ჩასატარებლად.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ არსებობს პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი მომჩივნის ციხეში ყოფნის დროს გაწეულ სამედიცინო ხარჯებსა და კონვენციის მე-3 მუხლის ზემოთ დადგენილ დარღვევას შორის. შესაბამისად, წარმოდგენილი ფინანსური დოკუმენტაციის საფუძველზე, სასამართლო ანიჭებს მომჩივანს 150 (ასორმოცდაათ) ევროს მატერიალური ზიანის ანაზღაურების სახით. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ მომჩივანმა განიცადა სტრესი და ტანჯვა, რომელიც გამომწვეული იყო მის სამედიცინო მკურნალობაში დაფიქსირებული შეცდომებით. სამართლიანობის პრინციპებზე დაყრდნობითა და საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით, მორალური ზიანის ანაზღაურების სახით სასამართლომ მომჩივანს მიაკუთვნა 4500 (ოთხი ათას ხუთასი) ევრო.

42. „ნიკოლოზ მირზაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ - ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საჩივარი შეტანილია 2007 წლის 1 ივლისს, გადანაცვვითილება გამოტანილია 2017 წლის 7 სექტემბერს.

მომჩივანი, ჩიოდა მასზე, რომ ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო მისთვის სიმსივნის ადეკვატური მკურნალობა ციხეში ყოფნისას. 2005 წლის 9 აგვისტოს ის დააკავეს პირისგან იარაღის მუქარით სატრანსპორტო საშუალების, მობილური ტელეფონის და გარკვეული ოდენობის ფულის გატაცების ეჭვის საფუძველზე. იგი გამოძიების მიერ იმავე დღეს ორჯერ დაიკითხა. აცხადებდა, რომ უდანაშაულო იყო, მიუთითებდა ალიბზე, რომ ჰქონდა სიმსივნე და გადიოდა მკურნალობას ონკოლოგიურ კლინიკაში. მომჩივანი ამოცნობილ იქნა დაბარალუბულების მიერ. თვლიდა რა თავს უდანაშაულოდ, მან უარი განაცხადა ხელი მოეწერა ამოცნობის ოქმზე.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა და დაავალა სახელმწიფოს მომჩივანისთვის 4500 (ოთხი ათას ხუთასი) ევროს გადახდა არამატერიალური ზიანისთვის და 333 (სამას ოცდაცამეტი) ევროს გადახდა - მატერიალური ზიანისთვის.

43. „ელდარ ჭოხონელიძე საქართველოს წინააღმდეგ“ - გადაწყვეტილება გამოტანილია 2018 წლის 28 სექტემბერს.

მომჩივანი იყო მარნეულის რაიონის გუბერნატორის მოადგილე. ის 2006 წლის ივნისში დამნაშავედ იქნა ცნობილი იმის გამო, რომ ბენზინგასამართი სადგურის მშენებლობის ნებართვის მოსაპოვებლად დახმარების განევის სანაცვლოდ ქრთამი მოითხოვა. მომჩივანს შეეფარდა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, თუმცა 2008 წლის ნოემბერში ვადაზე ადრე გათავისუფლდა.

მომჩივანი დამნაშავედ ცნეს ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად, მას შემდეგ, რაც ქ-ნმა ქ-მ, რომელსაც მშენებლობის მოპოვების ნებართვის მიღება სურდა, აცნობა პოლიციას, რომ გუბერნატორის მოადგილემ ნებართვის სანაცვლოდ ქრთამის სახით 30000 (ოცდაათი ათასი) დოლარის გადახდა მოსთხოვა. პოლიციამ მათი მომდევნო შეხვედრების გადასაღებად და სატელეფონო საუბრების ჩასაწერად მოითხოვა სასამართლო ნებართვა. საბოლოოდ, ჭოხონელიძე 2005 წელს მაშინ დააკავეს, როდესაც ქ-ნმა ქ-მ მას ფული გადასცა წინასწარ მარკირებული ბანკნოტების სახით.

მომჩივანი დავობდა, რომ მის წინააღმდეგ გამოტანილი განაჩენი ქრთამთან დაკავშირებული დანაშაულის თაობაზე იყო უსამართლო, რადგან, ერთის მხრივ, ის დადასტურებული იყო პოლიციის მიერ დანაშაულის პროვოცირების გზით მოპოვებული მტკიცებულებებით და, მეორე მხრივ, ეროვნულმა სასამართლოებმა დანაშაულის პროვოკაციასთან დაკავშირებული მომჩივნის არგუმენტი სათანადოდ არ განიხილეს. მომჩივანი ეყრდნობოდა კონვენციის მე-6

მუხლის 1-ლ პარაგრაფს, რომლის მიხედვითაც: „*ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი ბრალდების გამორკვევისას ყველას აქვს მისი საქმის სამართლიანი განხილვის უფლება სასამართლოს მიერ*“.

ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ საქმეში არ არსებობდა საკმარისი საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც მოაწესრიგებდა მომჩივნის წინააღმდეგ ფარული ოპერაციის დაწყებას, საქმიანობის ფარგლებში ფარული აგენტები არ მოქმედებდნენ მკაცრად პასიური ფორმით, პროკურატურამ ვერ შეასრულა დაკისრებული მტკიცების ტვირთი და სასამართლომ სათანადოდ არ განიხილა მომჩივნის დასაბუთებული არგუმენტი დანაშაულის პროვოკაციის შესახებ. აღნიშნულის გამო სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის წინააღმდეგ მიმართული სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოება არ შეესაბამებოდა სამართლიანი სასამართლოს ცნებას. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 (§1) მუხლის დარღვევას.

44. „პაატა როსტომაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ - ევროპულ სასამართლოში საჩივარი შეტანილია 2007 წლის 2 მარტს მიმართა, გადაწყვეტილება გამოქვეყნდა 2018 წლის 8 თებერვალს.

2004 წლის 16 აგვისტოს მომჩივანი და ორი სხვა პირი (ძმები) დააპატიმრეს დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობის და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო წარმოების, ფლობისა და ტარების ერთი და იმავე ბრალდებით. მომჩივნისა და ძმების მიმართ წაყენებული ბრალდებები ემყარებოდა დაზარალებულის მამის, ბ-ნ ვ. ნ.-ს, მიერ მიცემულ ჩვენებას, რომელიც აცხადებდა, რომ დანაშაულის თვითმხილველი იყო, აგრეთვე სხვა მტკიცებულებას, კერძოდ, ხელყუმბარის ამოღებას ძმების სახლიდან, ისევე როგორც სასამართლო ექსპერტიზის რამდენიმე დასკვნას.

ვ.ნ.-ს თანახმად, მის ოჯახსა და მომჩივნისა და ძმების შესაბამის ოჯახებს შორის დიდი ხნის მანძილზე მიმდინარეობდა დავა. ორ შემთხვევაში, ერთი ორი წლის წინ და

მეორე მასზე ერთი წლით ადრე, სამივე ბრალდებული ემუქრებოდა და ცდილობდა მისი ოჯახის გაძარცვას, მაგრამ მან არჩია, რომ არ მიემართა პოლიციისთვის. 2004 წლის 14 აგვისტოს დილით ადრე ვ.ნ. გავიდა სამუშაოდ ფერმაში სოფელთან ახლოს, სადაც მოგვიანებით მას შეუერთდა მისი ვაჟიშვილი. მკვლელობის დროს, დაახლოებით დილის 10 სთ-ზე, იგი მუშაობდა ფერმის სახლში, ხოლო მისი ვაჟიშვილი იყო გარეთ. როგორც კი გაიგონა სროლის ხმა, იგი მივარდა ფანჯარას და დაინახა, რომ მისი შვილი ეგდო მიწაზე შენობიდან ორმოცი-ორმოცდახუთი მეტრის მანძილზე. ერთ-ერთ ბრალდებულს ეკავა იარაღი, ხოლო მისი ძმა და მომჩივანი უყვიროდნენ მას, რომ კიდევ გაესროლა, რაც მან კიდევაც გააკეთა. სამივე კაცი გაიქცა. ვ.ნ. ჯერ მივარდა თავის ვაჟიშვილს, რომლის სხეულიც კანკალებდა, და შემდეგ გაიქცა სახლში, რომ მის დასახმარებლად მანქანა წამოეყვანა. როგორც კი შევიდა სახლში, გამოიტანა იარაღი. ზუსტად ამ მომენტში მასთან მოვიდნენ მეზობლები, რომლებმაც შეატყობინეს მისი შვილის გარდაცვალების ამბავი. ვ.ნ.-მ არ უთხრა მათ არც ის, რომ იგი იმყოფებოდა დანაშაულის ჩადენის ადგილზე და თვითონ დაინახა თავისი შვილის მკვლელობა და არც ის, რომ იყო სროლის შესახებ. მან წაიყვანა ისინი ფერმის სახლში გარდაცვლილი შვილის სანახავად და მაშინვე იქ დაიწყო მტკიცება, რომ ძმებმა და მომჩივანმა მოკლეს იგი, მაგრამ არ ახსენა, რომ ამ დანაშაულის თვითმხილველი იყო. როგორც ჩანს, მოგვიანებით მან უთხრა პოლიციას, რომ ის შეესწრო ამ დანაშაულს.

2006 წლის მაისში პირველი ინსტანციის სასამართლომ მომჩივანი დამნაშავედ ცნო დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობაში და 15 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ძმები დამნაშავედ ცნეს დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობასა და იარაღის უკანონოდ ფლობაში და სასჯელის სახედ და ზომად თექვსმეტი და ჩვიდმეტი წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდათ.

2006 წლის 21 სექტემბერს უზენაესმა სასამართლომ, რომელმაც საქმე განიხილა როგორც მეორე და საბოლოო ინსტანციის სასამართლომ, ძალაში დატოვა ქვედა ინსტანციის სასამართლოს განაჩენი. იგი ასაბუთებდა, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლო მოქმედებდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის შესაბამისად, აგრეთვე მან სრულად და ობიექტურად შეაფასა საქმის ფაქტობრივი გარემოებები. ქვედა ინსტანციის სასამართლოს განაჩენის ძალაში დატოვების დროს, უზენაესი სასამართლო სრულად დაეყრდნო დაზარალებულის მამის და სხვა მოწმეების ჩვენებებს, რომლებსაც მან უთხრა, რომ მომჩივანმა მოკლა მისი შვილი, აგრეთვე სასამართლო ექსპერტიზის დასკვნას, თუმცა აღნიშნულმა სასამართლომ უპასუხოდ დატოვა მომჩივნის ყველა არგუმენტი, მათ შორის ის, რომ არცერთი მტკიცებულება არ ავლენდა დანაშაულში მის მონაწილეობას და რომ ქვედა ინსტანციის სასამართლომ რეაგირების გარეშე დატოვა მისი არგუმენტები ამასთან დაკავშირებით.

2004 წლის 19 სექტემბერს მომჩივანი დააპატიმრეს და მოათავსეს თბილისის N5 საპყრობილეში. იგი ჰყავდათ გადაჭედო საკანში, სადაც პატიმრებს მორიგეობით უწევდათ ძილი. მას არ შეეძლო შხაპის მიღება თვეების განმავლობაში. საკანში ტუალეტი არ იყო გამოყოფილი საცხოვრებელი სივრციდან. მომჩივანი აგრეთვე ამტკიცებდა, რომ საკანში მღრღნელები იყვნენ. 2005 წელს მომჩივანი გადაიყვანეს თბილისის პირველ საპატიმროში, სადაც მომჩივნის განცხადებით, ისეთივე პირობები იყო. 2016 წელს როსტომაშვილი გაათავისუფლეს.

მომჩივანი დავობდა, რომ მისი პატიმრობის პირობები არაადეკვატური იყო და აგრეთვე საპატიმროში მას არ გაეწია სათანადო სამედიცინო მომსახურება, რაც მოიცავდა ტუბერკულოზის მკურნალობასაც და რომ პატიმრობის პირობები ნებისმიერ დაწესებულებაში, სადაც იგი იმყოფებოდა, არაადამაკმაყოფილებელი იყო. მომჩივანმა მო-

რალური ზიანისთვის მოითხოვა ანაზღაურება 7 000 000 (შვიდი მილიონი) ევროს ოდენობით.

ევროპულმა სასამართლომ საქმეში არსებული მასალების გათვალისწინებით აღნიშნა, რომ მომჩივანს არც ერთხელ არ მიუწოდებია ინფორმაცია შესაბამისი ხელისუფლებისთვის მისი ყოფითი პირობების რომელიმე კონკრეტულ ასპექტთან დაკავშირებული უკმაყოფილების შესახებ. მიუხედავად ამისა, იმ შემთხვევაშიც კი, თუ დავუშვებთ, რომ შესაბამის პერიოდში მომჩივანს ჰქონდა შიდასამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალება, რომლის გამოყენებაც მას შეეძლო, სტრასბურგის სასამართლოს წინაშე მიმდინარე პროცესის დროს, მისი არგუმენტები შემოიფარგლა ბუნდოვანი და ზოგადი სახის განცხადებებით. შესაბამისად, ევროსასამართლო ადგენს, რომ მომჩივანმა ვერ შეძლო მტკიცებულებების წარმოდგენა და თავისი საჩივრის სათანადოდ დასაბუთება.

სასამართლომ დაადგინა, რომ ამის მიუხედავად, სახელმწიფო ვალდებულია, კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მომჩივანს გადაუხადოს 3600 (სამი ათას ექვსასი) ევრო მორალური ზიანისთვის.

45. „გიორგი ქართველიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ - ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საჩივარი შეტანილია 2008 წლის 3 აპრილს, გადანაცვეტილება გამოტანილია 2018 წლის 7 ივნისს.

მომჩივანმა არაერთი პრეტენზია წარადგინა მისი პატიმრობის პირობებთან და არაადეკვატურ მკურნალობასთან დაკავშირებით და, ასევე, ჩიოდა მის მიმართ წარმართულ სისხლის სამართლის საქმეზე მოწმეების იგივე პირობებში წარდგენის შესაძლებლობის არქონასთან დაკავშირებით, რა პირობებშიც იყვნენ წარდგენილი მოწმეები მის წინააღმდეგ. იგი ეყრდნობოდა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ელ და 3(d) პუნქტებს.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი და მე-3(d) პუნქტების დარღვევა და სა-

ხელმწიფოს დააკისრა 2800 (ორი ათას ოცასი) ევრო მატერიალური ზიანის ანაზღაურება.

46. „გულნარა სარიშვილი-ბოლქვაძე საქართველოს წინააღმდეგ“ - ევროპულ სასამართლოში საჩივარი შეტანილია 2008 წლის 14 თებერვალს, გადაწყვეტილება გამოტანილია 2018 წლის 17 ივლისს.

2004 წლის 16 თებერვალს მომჩივნის შვილი გ. ბ. ელექტროსადენების შეკეთებისას ჩამოვარდა ამწეიდან. იგი მოთავსებულ იქნა ბათუმის N1 საავადმყოფოს ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში. მას დაზიანებებს შორის აღენიშნებოდა გატეხილი თავის ქალა და თავის ტვინის დაზიანება. 2004 წლის 28 თებერვალს ექიმებმა მიიჩნიეს, რომ მას აღენიშნებოდა სისხლდენა კუჭ-ნაწლავიდან და დაუნიშნეს შესაბამისი მკურნალობა. 2004 წლის 5 მარტს იგი გადაყვანილ იქნა ჩვეულებრივ სამედიცინო პალატაში, რადგანაც მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა უმჯობესდებოდა. 2004 წლის 6 მარტს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა და იგი დააბრუნეს ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში, თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულიდან სისხლდენის გამო. სისხლდენის შესაჩერებლად, 2004 წლის 10 მარტს ჩაუტარდა სასწრაფო ოპერაცია, მაგრამ იგი გარდაიცვალა 2004 წლის 14 მარტს. მომჩივანი ჩიოდა, რომ მოპასუხე მთავრობამ ვერ უზრუნველყო მისი შვილის სიცოცხლის დაცვა სამედიცინო გაუფრთხილებლობისგან და რომ ქვეყანაში მიღებული ანაზღაურება იყო არასათანადო.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-2 მუხლის მატერიალური ნაწილის დარღვევას, აგრეთვე პროცედურული ნაწილის დარღვევას სამოქალაქო სამართლებრივ დაცვის საშუალებასთან მიმართებით. მომჩივანს არ მოუთხოვია სამართლიანი დაკმაყოფილება. სასამართლო მიიჩნევს, რომ არ არსებობს მისი რაიმე ოდენობით დაკმაყოფილების პირობა.

47. „მარიამ ჯიშკარიანი საქართველოს წინააღმდეგ“ - 2009 წლის 9 იანვარს შეიტანა საჩივარი ევროპულ სასამართლოში. გადაწყვეტილება საქმეზე გამოვიდა 2018 წლის 20 სექტემბერს.

მომჩივანი ჩიოდა, რომ ქვეყნის სასამართლოებმა ვერ უზრუნველყვეს რეპუტაციაზე მისი, კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული უფლების დაცვა იუსტიციის მინისტრის ცილისმწამებლური განცხადებისგან. მომჩივანი არის ფსიქიატრი, არასამთავრობო ორგანიზაცია წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრ „ემპათიის“ დამფუძნებელი და დირექტორი. 2003 წლის 4 ოქტომბერს მომჩივნის ორგანიზაციამ გააფორმა შეთანხმება იუსტიციის სამინისტროსთან და სხვა მომსახურებასთან ერთად, იკისრა თბილისის N1 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის სამსახურის მოწყობა. 2004 წლის 3 აგვისტოს მომჩივანი დაინიშნა საზოგადოებრივი მონიტორინგის კომისიის წევრად, რომელიც ზედამხედველობდა პატიმართა უფლებების დაცვას და გასცემდა რეკომენდაციებს შესაბამისი დარღვევების შემთხვევაში. ერთ-ერთი პატიმრის სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანის მიზეზით ატეხილი სკანდალის გამო 2005 წლის 13 ოქტომბერს გენერალურმა ინსპექციამ გამოაქვეყნა დასკვნა, რომლის საფუძველზეც იუსტიციის მინისტრმა კოტე კემულარიამ განაცხადა: *„იძულებული ვარ დავასახელო გვარები და კონკრეტული ფაქტები... მარიამ ჯიშკარიანი, რომელიც არის არასამთავრობო ორგანიზაციის [ემპათია] თავმჯდომარე და [სასჯელაღსრულების დაწესებულებების საზოგადოებრივი] მონიტორინგის საბჭოს წევრი, ... მნიშვნელოვნად ამეტებდა რა, თავის უფლებამოსილებას, კომისიის [რომელიც ამ მიზნით იყო შექმნილი] გვერდის ავლით ადგენდა სამედიცინო დასკვნებს, გარკვეულ პირთა მიმართ. ამის შესახებ დასკვნა მე მაგიდაზე მიდევს. გამოძიებას ის უკვე აქვს და პრაქტიკულად მისი სრულყოფილი შეფასება ჩატარდება, რაც დაადგენს, ეს გაკეთდა ლამაზი თვალებისთვის, თუ ეს იყო ამ უსირცხვილო ადამიანის, მე მას სხვაგვარად ვერ ვუ-*

ნოდებ, ბიზნესი, რომელიც მან თავისთვის აიწყო. სწორედ ჯიშკარიანის დაჩხაპნილი ქაღალდების გამო აღმოჩნდნენ [ორი სავარაუდოდ დაავადებული პატიმარი, რომლებმაც მოგვიანებით ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს ექიმებს] სასჯელაღსრულების დაწესებულების საავადმყოფოში რაიმე კანონიერი საფუძვლის გარეშე ...” მინისტრმა ასევე აღნიშნა, რომ სამედიცინო დეპარტამენტის დირექტორი იყო „ის, ვისაც ...ჯიშკარიანის უკანონო დოკუმენტებზე [დაყრდნობით], რომლებიც ხელმოწერილი არ ყოფილა [სამედიცინო] კომისიის წევრების მიერ ... გადაჰყავდა პატიმრები [სასჯელაღსრულების დაწესებულების საავადმყოფოში].“ მან აღნიშნა, რომ „შესაბამისად იგი [იყო] ეჭვმიტანილი ამ უკანონო გარიგებებში და „ჯიშკარიანთან ერთად მის მიმართაც [უნდა] წარიმართოს გამოძიება“. მინისტრმა ასევე აღნიშნა, რომ „იქ მხოლოდ ეს ორი ფაქტი არ ყოფილა და გამოძიება ჭიანურდება მარიამ ჯიშკარიანის გამო, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა იყო და [ვის მოსაზრებებზე დაყრდნობითაც მოქმედებდა თავმჯდომარე]...” მინისტრმა ასევე გააკრიტიკა სახალხო დამცველი და ბრალი დასდო მის წარმომადგენლებს, რომლებიც იჩენდნენ ინტერესს სასჯელაღსრულების დაწესებულების საავადმყოფოში გარკვეული პატიმრების გადაყვანის საკითხში. სატელევიზიო არხმა „რუსთავი 2“ ასევე გადასცა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა, მათ შორის, სახალხო დამცველის, მოკლე კომენტარები, რომლებიც სასჯელაღსრულების დაწესებულებების მონიტორინგში იყვნენ ჩართულები. მათ აღნიშნეს, რომ მინისტრის ბრალდებები უსაფუძვლო იყო, რამდენადაც პატიმართა გადაყვანა სასჯელაღსრულების დაწესებულების საავადმყოფოში და იქიდან უკან დაბრუნება მინისტრის ექსკლუზიურ კომპეტენციას წარმოადგენდა. გადაცემაში ასევე გადაიკა, ჟურნალისტის მიერ ჩაწერილი, მომჩივნის მოკლე კომენტარი, რომ მინისტრს სურს ჰყავდეს „მონიტორინგის საბჭო, რომელიც ვერ შეიხედავს სასჯელაღსრულების დაწესებულების შიგნით“ და, რომ „სასჯელაღსრულების დაწესებულებები იგივე მდგომარეობა-

ში [იყო]..., როგორშიც სადამ ჰუსეინის რეჟიმის დროს“. 2005 წლის 20 სექტემბერს ყოველდღიურ გაზეთ „რეზონანსში“ გამოქვეყნდა ინტერვიუ მინისტრთან. მან განიხილა ბრალდებები სასჯელაღსრულების დაწესებულებაში არსებული სამედიცინო დაწესებულებების მართვაში არსებული კორუფციის შესახებ. ჟურნალისტი: „თქვენ ორი გვარი დაასახელეთ: ჯიშკარიანი და სამედიცინო დეპარტამენტის თავმჯდომარე, რომლებიც ჩართული იყვნენ კორუფციაში. რა კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით აკეთებთ ამგვარ განცხადებას?“ მინისტრი: „სამედიცინო დეპარტამენტის თავმჯდომარე სრულად მარიამ ჯიშკარიანის გავლენის ქვეშ იყო. ჯიშკარიანი არის არასამთავრობო ორგანიზაციის [ემპათია] ფსიქიატრი. სასჯელაღსრულების დაწესებულებებთან მიმართებით ეს მიმართულება მეტად შელახული რეპუტაციისაა. საბჭოთა კავშირის დროსაც კი დიდი ფული კეთდებოდა ფსიქიატრის ცნობებით. შეურაცხადობის შესახებ ცნობები ეძლევათ იმათ, ვისზეც ისინი არ უნდა გაიცეს. ეს სწორედ მის პირად ინტერესებში იყო, რომ ამ ქალბატონს მოეწყო ბუდე მონიტორინგის საბჭოში. ... დაპირისპირება დაიწყო მაშინვე, რაც ჩვენ გამოვავლინეთ მასალები, რომლის მიხედვითაც მარიამ ჯიშკარიანს ხელი ჰქონდა მოწერილი დოკუმენტებზე პატიმრების სასჯელაღსრულების დაწესებულების საავადმყოფოში გადაყვანის შესახებ. გამომჟღავნდა, რომ იმ პატიმრებს შორის იყვნენ ჯანმრთელი ადამიანები“. ჟურნალისტი: „თქვენ ამბობთ, რომ პატიმრებისგან ალებული ფული იმ ადამიანების წრეში ტრიალებდა?“ მინისტრი: „ჯიშკარიანი და სხვები იყვნენ თანამონაწილეები. ფული, რასაც ისინი იღებდნენ, ან ჩემთან უნდა მოეტანათ, ან თვითონ აეღოთ, ჩემთან არაფერი მოუტანიათ. პატიმრები, რომლებმაც შეურაცხყოფა მიაყენეს პერსონალს, სასჯელაღსრულების დაწესებულების საავადმყოფოში გადაყვანილ იქნენ ჯიშკარიანის სამედიცინო დასკვნის საფუძველზე, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ჯანმრთელები არიან. მას ამის უფლება არ ჰქონდა. ეს დანაშაული არ არის? ბუნებრივია, ჯიშკარიანი ამას მართო ვერ ჩაიდენდა. მან მხოლოდ დასკვნა დაწერა, ან

უფრო ზუსტად, რაღაც დაჩხაპნა ქალაქდზე, რაზეც ხელი არ მოუწერია კომისიის სხვა არცერთ წევრს. ამის მიუხედავად, სამედიცინო დეპარტამენტის თავმჯდომარემ მიიღო გადაწყვეტილება ორი პატიმრის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაყვანის შესახებ.“

2005 წლის 13 ოქტომბერს გენერალურმა ინსპექციამ გამოაქვეყნა თავისი დასკვნები. ის ძირითადად ასახავდა სამედიცინო დეპარტამენტის დირექტორის ქმედებებსა და დარღვევებს სასჯელაღსრულების დაწესებულების საავადმყოფოში პატიმართა გადაყვანის მენეჯმენტთან დაკავშირებით. დასკვნაში მომჩივანი მხოლოდ მოკლედ იყო მოხსენიებული, მხოლოდ ერთ გადაყვანასთან დაკავშირებით. კერძოდ, აღნიშნული იყო, რომ პატიმარი ლ. ც. სამინისტროს სამედიცინო კომისიის მიერ შემოწმებულ იქნა 2005 წლის 12 იანვარს. იგი დაავადებული იყო ორგანული პიროვნული აშლილობით, პერიოდულად ეპიზოდური გამწვავებებით. კომისია აღნიშნავდა, რომ პატიმარი ფსიქიკური დაავადების გამო მკურნალობდა 2002 წლიდან და ჰქონდა შესაძლებლობის შეზღუდვის მეორე ჯგუფი. მან ასევე მიიღო თავის ტრავმა 2005 წლის 8 იანვარს. მიუხედავად ამისა, კომისიას არ გაუცია მისი სასჯელაღსრულების დაწესებულების საავადმყოფოში გადაყვანის რეკომენდაცია. დასკვნის მიხედვით, იგივე პატიმარი ხელახლა შეამოწმა მომჩივანმა 2005 წლის 21 იანვარს, რომელმაც მისი სამედიცინო ისტორიის მოხსენიებით, რაც ზემოთ იყო აღწერილი, კომისიის ჟურნალში ჩაწერა, რომ პატიმარს უნდა გაეწოდებინათ დაკვირვება ფსიქიატრიულ დაწესებულებაში და დაუნიშნა მას გარკვეული წამლები. საბოლოოდ, მიუხედავად იმისა, რომ სამედიცინო კომისია არ დაეთანხმა მომჩივნის შეფასებას, „სამედიცინო დაწესებულების გადაწყვეტილება საქმეზე ჯიშკარიანი საქართველოს წინააღმდეგ დირექტორმა, კომისიის გვერდის ავლით, ერთპიროვნულად, მიიღო გადაწყვეტილება ლ. ც.-ს სასჯელაღსრულების დაწესებულების საავადმყოფოში გადაყვანის შესახებ მომჩივნის მიერ ჟურნალში გაკეთებულ სამედიცინო დასკვნის საფუძველზე ... და ამით მან

დაარღვია ... პატიმრების სასჯელაღსრულების დაწესებულებების სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანის შესახებ მოქმედი ყველა შესაბამისი წესი.“

2007 წლის 27 დეკემბერს 2005 წლის 10 სექტემბრის ინციდენტის გამო შეწყდა გამოძიება, დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო. 2005 წლის 26 სექტემბერს ჯიშკარიანმა ცილისწამების გამო, აღძრა სამოქალაქო სარჩელი მინისტრის მიმართ. მან მოითხოვა მორალური ზიანის ანაზღაურება და ცრუ ბრალდების უარყოფა იმავე გზით, რა ფორმითაც ის გავრცელდა. სასამართლომ დაასაბუთა, რომ რაკი საქმე წარმოადგენდა საზოგადოებრივი დებატების საგანს, ის არ წარმოადგენდა პოლიტიკური ხასიათისას იმ მუხლის მიზნისთვის, რადგან მომჩივანი არ ყოფილა პოლიტიკოსი. თუმცა, სასამართლოს მსჯელობით, იგი შეიძლებოდა მიჩნეული ყოფილიყო საჯარო ფიგურად იმ საჯარო ყურადღების გათვალისწინებით, რასაც მისი საქმიანობა იქცევდა. 2006 წლის 22 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა. იმის მიუხედავად, რომ მოსარჩელე ეყრდნობოდა სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლს, სასამართლომ გამოიყენა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ კანონით დადგენილი სტანდარტები, როგორც *lex specialis*. სასამართლომ დაასკვნა, რომ მომჩივანი წარმოადგენდა საჯარო ფიგურას კანონის მიზნებისთვის. სასამართლომ გაიზიარა, რომ მომჩივანის მიერ წარდგენილი მტკიცებულების თანახმად, იგი არ ყოფილა ეჭვმიტანილი ან სხვაგვარად ოფიციალურად ბრალდებული კანონდარღვევაში და დაასკვნა, რომ მინისტრის ბრალდებები „*შეიძლებოდა ყოფილიყო მცდარი ფაქტების შემცველი*“. თუმცა, სასამართლოს გადანყვეტილების მიხედვით, მომჩივანმა ვერ დაადასტურა, რომ მან ზიანი განიცადა მინისტრის მიერ მედიაში გავრცელებული მცდარი ინფორმაციის შედეგად. იმასთან დაკავშირებით, იცოდა, თუ არა მინისტრმა, რომ ბრალდებები იყო მცდარი, თუ იგი მოქმედებდა აშკარა და უხეში დაუდევრობით, სასამართლომ აღნიშნა შემდეგი:

„სასამართლო ეთანხმება მოპასუხის არგუმენტს, რომ ბატონმა კ.კ.-მ მიიღო ზომები ინფორმაციის გადასამოწმებლად მათ მიწოდებამდე“. მოპასუხემ წარმოადგინა იუსტიციის მინისტრის 2005 წლის 13 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე ჯიშკარიანი საქართველოს წინააღმდეგ 9 N 1640 ბრძანება სამინისტროს გენერალური ინსპექციისთვის დავალების შესახებ, ჩაეტარებინა სამედიცინო დეპარტამენტის ინსპექტირება. შესაბამისად მინისტრმა გამოსცა მოკვლევის ბრძანება საჯარო განცხადებების გაკეთებამდე სამი დღით ადრე. შესაბამისად, შესაძლებელია, იგი ფლობდა წინასწარ ინფორმაციას არსებული ნაკლოვანებების შესახებ. თუმცა, ამგვარი ინფორმაციის ფლობა საქმის მასალებით დადასტურებული არ არის. საქმის მასალების მიხედვით, სამედიცინო დეპარტამენტში დარღვევების არსებობა დადასტურებულია გენერალური ინსპექციის 2005 წლის 13 ოქტომბრის დასკვნით. შესაბამისად, არ დასტურდება, რომ 2005 წლის 16 სექტემბრისთვის მინისტრმა იცოდა, რომ ინფორმაცია არასწორი იყო. ასევე არ დასტურდება, რომ იგი განცხადების გაკეთების დროს მოქმედებდა უხეში დაუდევრობით. მინისტრმა დეპარტამენტის ინსპექტირება დაგეგმა მისი კომპეტენციის ფარგლებში და ამ ფორმით მან მიიღო ზომები ინფორმაციის გადასამოწმებლად. თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო განცხადებები გაკეთებულ იქნა სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სამედიცინო დაწესებულებების მენეჯმენტის შესახებ მიმდინარე მნიშვნელოვანი საჯარო დისკუსიის ფარგლებში. სასამართლომ აღნიშნა, რომ მინისტრი სარგებლობდა გამოხატვის თავისუფლებით, რომ გამოეთქვა თავისი აზრი სამინისტროში არსებული მდგომარეობის შესახებ და, რომ მისი განცხადებები თავსდებოდა დასაშვები კრიტიკის ფარგლებში, რაც მიიჩნია, რომ მომჩივნის მიმართ უფრო ფართო იყო, მისი, როგორც საჯარო ფიგურის, სტატუსის გათვალისწინებით. 2007 წლის 2 ივლისს თბილისის სააპელაციო სასამართლომ უცვლელად დატოვა ქვემდგომი სასამართლოს

გადანყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ „კ.კ.-ს უფლება ჰქონდა გამოეთქვა თავისი მოსაზრება სამინისტროში არსებული მდგომარეობის შესახებ და მომჩივანი, მისი, როგორც საჯარო ფიგურის, სტატუსის გათვალისწინებით, ვალდებული იყო ეთმინა დასაშვები კრიტიკა“. 2008 წლის 16 მაისს უზენაესმა სასამართლომ მომჩივნის საჩივარი სამართლებრივ საკითხებზე დაუშვებლად ცნო, როგორც აშკარად დაუსაბუთებელი.

მომჩივანმა მოითხოვა 335 775 (სამას ოცდათხუთმეტი ათას შვიდას სამოცდათხუთმეტი) ევრო ქონებრივი ზიანისთვის, შემოსავლის სავარაუდო დაკარგვის გამო. მან ასევე მოითხოვა 100000 (ასი ათასი) ევრო მორალური ზიანის ასანაზღაურებლად. ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას და სახელმწიფოს დაავალა მოსარჩელისათვის 1500 (ათას ხუთასი) ევროს გადახდა, რასაც დაემატა ნებისმიერი საკომისიო, მორალური ზიანისთვის 1 833 (ათას რვაას ოცდაცამეტი) ევრო, ადვოკატის წარმომადგენლობის ანაზღაურება 1600 (ათას ექვსასი) ევროს ოდენობით, და 233 (ორას ოცდაცამეტი) ევრო - ქვეყნის შიგნით სასამართლოში განეული ხარჯებისთვის (სულ - 5166 ევრო); სასამართლომ უარყო განმცხადებლის სხვა მოთხოვნები სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

48. „გიორგი გაბლიშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ - გადანყვეტილება მიღებულია 2019 წლის 21 მაისს.

მომჩივნები, გიორგი გაბლიშვილი, რომიც კასიანოვი, ბურაბ გაჩეჩილაძე და გიორგი მჭედლიძე 2009 წლის 30 მარტს დააკავეს სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გაქცევის მცდელობის დროს, ამავე დაწესებულების ეზოში. მათ განაცხადეს, რომ ღია კარის მეშვეობით დატოვეს ციხის ტერიტორია, გადავიდნენ მაღალ კედელზე და გადმოხტნენ ციხის უკან, ეზოში; ამ დროს მათ თავს დაესხნენ ციხის თანამშრომლები და სასტიკად სცემეს ხის ჯოხებითა და რკინის მილებით. დაკავების შემდეგ მომჩივნები მო-

ათავსეს საკანში, სადაც ციხის თანამშრომლებმა გააგრძელეს მათი ცემა.

იმავე დღეს, სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტმა დაიწყო სისხლის სამართლის საქმის გამოძიება მომჩივანთა გაქცევის მცდელობაზე. გამომძიებელმა დაკითხა მომჩივნები, რომლებიც ყველა მიღებულ დაზიანებას უკავშირებდნენ ციხის მაღალი კედლიდან გადმოხტომას. შემდგომში, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, გამომძიებელმა დასკვნის გაკეთება დაავალა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტს, ამ უკანასკნელმა დაასკვნა, რომ მომჩივანთა დაზიანებები შეიძლება გამოწვეული ყოფილიყო მძიმე, ბლაგვი საგნის დარტყმით, გაქცევის მცდელობის დროს.

სასამართლოს წინაშე სამართალწარმოების დროს, მომჩივნებმა უარი თქვეს თავდაპირველ განცხადებებზე და დაადასტურეს არასათანადო მოპყრობის ფაქტები მათი დაკავებისას და დაკავების შემდგომ. 2009 წლის დეკემბერში, მომჩივნები რუსთავის საქალაქო სასამართლომ დამნაშავედ ცნო ციხიდან გაქცევის მცდელობისთვის. მეორე და მესამე მომჩივნები ასევე დამნაშავედ ცნეს ციხის თანამშრომლებისთვის სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებაში ხელის შეშლისთვის. 2010 წლის 25 მარტს სააპელაციო სასამართლომ მათი მსჯავრდება ძალაში დატოვა.

2009 წლის 10 ნოემბერს მომჩივნებმა მიმართეს მთავარ პროკურორს, აცხადებდნენ რა, რომ მათ მიმართ ადგილი ჰქონდა არასათანადო მოპყრობას და ამ ფაქტთან დაკავშირებით ითხოვდნენ სისხლის სამართლის საქმის წარმოების დაწყებას. სასჯელალსრულების სამინისტრომ დაკითხა ციხის უფროსი და ციხის ოთხი თანამშრომელი, რომლებიც მონაწილეობდნენ მომჩივანთა დაკავებაში. დაკითხვისას ყველა მათგანმა უარყო მომჩივანთა ცემის ფაქტი.

2012 წლის 20 აგვისტოს, საქმის განმხილველმა პროკურორმა შეწყვიტა საქმის წარმოება საკმარისი მტკიცებულებების არარსებობის საფუძველზე. კონვენციის მე-3 მუხლის საფუძველზე (წამებისა და არაადამიანური თუ დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვა), მომჩივნები დავობდნენ, რომ ციხიდან გაქცევის მცდელობისას მათი დაკავების დროს და დაკავების შემდგომ, ციხის თანამშრომლების მხრიდან დაექვემდებარნენ არასათანადო მოპყრობას. ისინი მოგვიანებით აცხადებდნენ, რომ მათ ბრალდებებზე არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით, ხელისუფლებამ ვერ შეძლო სრულყოფილი, ადეკვატური და დამოუკიდებელი გამოძიების ჩატარება.

სისხლის სამართლებრივი გამოძიების შეწყვეტის თაობაზე პროკურორის გადაწყვეტილებიდან ნათლად ჩანს, რომ დასკვნები ეფუძნებოდა მხოლოდ აღნიშნულ შემთხვევაში მონაწილე ციხის თანამშრომელთა ჩვენებას.

ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ მხარეებმა მომჩივანთა დაზიანებების წარმოშობის სხვადასხვა მიზეზები წარმოადგინეს. მომჩივანთა ფიზიკური დაზიანებების ბუნების გათვალისწინებით სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული ექცევა კონვენციის მე-3 მუხლის მოქმედების ფარგლებში და დაადგინა:

1. დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლის მატერიალური ნაწილი, პირველ და მეოთხე მომჩივნებთან მიმართებით;

2. მეორე და მესამე მომჩივნებთან მიმართებით, კონვენციის მე-3 მუხლის მატერიალური ასპექტი არ დარღვეულა.

3. დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული ასპექტი, ოთხივე მომჩივანთან მიმართებით.

სასამართლომ პირველ და მეოთხე მომჩივანს, თითოეულს, არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად მიეკუთვნა 6000 (ექვსი ათასი) ევრო, ხოლო მეორე და მესამე მომჩივანს, ცალ-ცალკე, არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად - 3000 (სამი ათასი) ევრო (სულ - 12000 ევრო).

49. „არჩილ კობიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ - გადაწყვეტილება გამოტანილ იქნა 2019 წლის 14 ივნისს.

არჩილ კობიაშვილი გლდანი-ნაძალადევის საოლქო სასამართლოს განაჩენით, 2005 წლის 18 აპრილს დამნაშავედ იქნა ცნობილი ჰეროინის შეძენასა და შენახვაში და სასჯელის სახით 6 წლით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა. მის მსჯავრდებას საფუძვლად დაედო პოლიციის შესაბამისი ოქმი ჩხრეკის თაობაზე, პოლიციის იმ ორი ოფიცრის ჩვენება, რომლებმაც ჩაატარეს ჩხრეკა და ორი თვითმხილველის ჩვენება, რომლებიც სავარაუდოდ შეესწრნენ აღნიშნულ ფაქტს. თუმცა, მომჩივანი მთელი სამართალწარმოების განმავლობაში აღნიშნავდა, რომ ის არ გაუჩხრეკიათ არც დაკავებამდე და არც დაკავების მერე და ნივთიერება, რომელიც მას აღმოუჩინეს, პოლიციის მიერ უნდა ყოფილიყო ჩადებული.

ევროპულმა სასამართლომ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ კონვენციის მე-6 მუხლი უზრუნველყოფს საქმის სამართლიანი განხილვის უფლებას, ხოლო სასამართლოს ამოცანაა დაადგინოს, იყო თუ არა სამართალწარმოება მთლიანობაში, რაც მოიცავს მტკიცებულებათა მოპოვების სამართლიან გზებს, კერძოდ, ჰქონდა თუ არა მომჩივანს მტკიცებულების გასაჩივრების შესაძლებლობა და დაცული იყო თუ არა მხარეთა თანასწორობის პრინციპი. მართალია, კონვენციის მე-6 მუხლი უზრუნველყოფს საქმის სამართლიანი განხილვის უფლებას, თუმცა იგი არ ადგენს მტკიცებულების დასაშვებობის რაიმე წესს, რაც, პირველ რიგში, ეროვნული კანონმდებლობის რეგულირების საგანს წარმოადგენს.

მომჩივანი აცხადებდა, რომ ნარკოტიკული ნივთიერებები, რომელიც სავარაუდოდ აღმოუჩინეს, მას არ ეკუთვნოდა. მან ასევე განაცხადა, რომ არ მისცემია ადეკვატური შესაძლებლობა, რათა ეჭვქვეშ დაეყენებინა პირადი ჩხრეკის კანონიერება;

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის პირად ჩხრეკაზე ორი მოწმის დასწრება და სასამართლოს

მიერ მათი მომდევნო დაკითხვა ადეკვატურად არ უწყობდა ხელს ჩხრეკის ფაქტობრივი გარემოებების გამოვლენას. შეჯამების სახით, სასამართლო ნებართვის გარეშე და იმის გათვალისწინებით, რომ მომჩივნის წინააღმდეგ საგამოძიებო მასალა ან/და ოპერატიული ინფორმაცია, რომელმაც სავარაუდოდ გამოიწვია ჩხრეკის ჩატარება, არ იყო მოცემული საქმის მასალებში, აგრეთვე, პირად ჩხრეკასთან დაკავშირებით არათანმიმდევრული და წინააღმდეგობრივი მტკიცებულებების გათვალისწინებით, სტრასბურგის სასამართლომ დაასკვნა, რომ ჩხრეკის ჩატარების მეთოდი ეჭვქვეშ აყენებდა მის შედეგად მოპოვებული მტკიცებულების სანდოობასა და სიზუსტეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის წინააღმდეგ მთავარი მტკიცებულების მოპოვების ფორმა წარმოშობს ეჭვებს მის სარწმუნოებასა და სანდოობასთან დაკავშირებით. შესაბამისად, წინამდებარე საქმეზე დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფი, რის გამოც სასამართლომ მომჩივანს არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად მიაკუთვნა 3500 (სამი ათას ხუთასი) ევრო.

50. „იური ვაზაგაშვილი და ციალა შანავა საქართველოს წინააღმდეგ“ - 2007 წლის 20 ოქტომბერს შეიტანა საჩივარი ევროპულ სასამართლოში. გადაწყვეტილება საქმეზე გამოვიდა 2019 წლის 18 ივლისს.

მომჩივნები კონვენციის მე-2 მუხლის საფუძველზე ჩიოდნენ პოლიციის მიერ მათი შვილის მკვლელობისა და აღნიშნულზე ეფექტური გამოძიების ჩაუტარებლობის გამო. 2006 წლის 2 მაისს, დაახლოებით დილის 9.30 საათზე მომჩივნების 22 წლის შვილი ზურაბ ვაზაგაშვილი და მისი მეგობარი ა.ბ., 25 წლის, მოკლეს პოლიციელებმა, როდესაც ისინი მოძრაობდნენ ზ. ვ.-ს ავტომანქანით თბილისის ქუჩაში. ოპერაციაში მონაწილეობდა ტყვიამფრქვევებით შეიარაღებული, სულ მცირე, პოლიციის 50 ოფიცერი, მათ შორის, შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალური პოლიციის მაღალი თანამდებობის პირები, იმავე დეპარტა-

მენტის უფროსის მოადგილის ი. ფ.-ს ხელმძღვანელობით. სამოცდაათზე მეტი ტყვია იქნა ნასროლი ზ.ვ.-ს ავტომანქანის მიმართულებით, რომელთაგან სამიზნეს მოხვდა დაახლოებით ორმოცი. მოგვიანებით ჩატარებული ექსპერტიზის შედეგად, დაზიანების სიმძიმის გამო, ექსპერტებმა ვერ შეძლეს დაედგინათ ტყვიების ბუსტი რაოდენობა, რამაც შეაღწია მომჩივნების შვილის და ა.ხ.-ს ტანსა და თავში. ავტომანქანის მესამე მგზავრმა, 32 წლის ბ. ფ.-მ მძიმე დაზიანებები მიიღო, მაგრამ გადარჩა. იმავე დღეს 2006 წლის 2 მაისს, შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალურ დეპარტამენტში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე მომჩივნების გარდაცვლილი შვილის და ზ.ვ.-ს ავტომანქანის სხვა მგზავრების მიმართ ყაჩაღობის მცდელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ ფლობისა და ტარების გამო. გამოძიებას ხელმძღვანელობდა სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირი, რომელიც თვითონ მონაწილეობდა პოლიციის ოპერაციაში იმავე დღეს. ყველა პირველადი საგამოძიებო მოქმედება, მათ შორის, პირდაპირ დაკავშირებული შემთხვევის ადგილის დათვალიერებასთან, იმ გამოძიების ფარგლებში ჩატარდა.

გამოძიების შედეგები საბოლოოდ გადაეცა ქალაქ თბილისის პროკურატურას, რომელიც პოლიციის ქმედებების გამო თავის მიერ შემდეგში წარმართულ გამოძიების პროცესში დაეყრდნო ამ მასალებს. იმავე დღეს, მოგვიანებით, ი.ქ.-მ, სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის უფროსმა, ბრიფინგზე განაცხადა, რომ 2006 წლის 30 აპრილს მომჩივნების შვილმა და სხვა ორმა მგზავრმა დააყაჩაღა ლომბარდი თბილისში. „კონფიდენტის ინფორმაციის“ თანახმად, ახალგაზრდა მამაკაცთა ჯგუფი 2006 წლის 2 მაისს მიემართებოდა ბინის დასაყაჩაღებლად, როდესაც „ყურადღებით დაგეგმილი“ პოლიციის ოპერაციის შედეგად, აღკვეთილ იქნა ჯგუფის მიერ კრიმინალური გეგმის განხორციელება. მოგვიანებით, 2006 წლის 2 მაისის პოლიციის ოპერაციის კომენტარებისას მაღალი რანგის პოლიციის ოფიცერმა განაცხა-

და, რომ ავტომანქანის მგზავრებმა პირველებმა გაუხსნეს ცეცხლი პოლიციას და პოლიცია ვალდებული იყო სროლით ეპასუხა. 2006 წლის 5 მაისს თბილისის პროკურატურამ დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 114-ე მუხლით (მკვლელობა დამნაშავის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით) გათვალისწინებული დანაშაულისთვის, პოლიციის მიერ 2006 წლის 2 მაისის ოპერაციისას ძალის გადამეტების გამო. გამოძიების მასალები ძირითადად შედგებოდა იმ მტკიცებულებებისგან, რაც შინაგან საქმეთა სამინისტრომ პოლიციის სადავო ოპერაციის დამთავრებისთანავე მოიპოვა. მომჩივნები ადრეული სტადიიდანვე რეგულარულად ჩიოდნენ ქალაქის პროკურორთან იმის შესახებ, რომ გამოძიება არ წარიმართა სრულყოფილად და მიუკერძოებლად. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ქალაქის პროკურატურის გამომძიებლები, რომლებიც პასუხისმგებლები იყვნენ მის წარმართვაზე, უგულებელყოფდნენ მნიშვნელოვან მონემთა ჩვენებებს, რომლებიც პოლიციას ამხელდნენ მათი შვილის განზრახ მკვლელობაში და, რომ ისინი მონაწილეობდნენ მტკიცებულებათა განადგურებასა და ფალსიფიკაციაში. პროცესში სრულყოფილად მონაწილეობის შესაძლებლობის არმიცემასთან დაკავშირებით, მომჩივნები ამტკიცებდნენ, რომ პოლიციამ რამდენიმე კვირის განმავლობაში არ დააკმაყოფილა მეორე მომჩივნის მოთხოვნა, საქმეზე ეცნოთ დაზარალებულად. 2006 წლის 7 ივლისს, მომჩივნების ადვოკატების მიერ მრავალი საჩივრის წარდგენის და სახალხო დამცველის (ომბუდსმენი) ძალისხმევის შედეგად, მეორე მომჩივანს, როგორც იქნა განესაზღვრა ის საპროცესო სტატუსი. მან შედეგად შეძლო, გაცნობოდა საქმის მასალებს ბრალდების საქმეზე პროკურატურაში. იმის გამო, რომ არ მიეცა საქმის მასალების ასლების გადაღების შესაძლებლობა, მეორე მომჩივანი იძულებული იყო ხელით გადაეწერა მტკიცებულებათა ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილის შინაარსი, მათ შორის, ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც შეიცავდა მისი გარდაცვლილი შვი-

ლის ტანსა და თავის ქალაზე არსებული მრავალი ლეტალური დაზიანების დეტალურ აღწერას. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, ქალაქის პროკურატურამ დააკითხა პოლიციის 2006 წლის 2 მაისის ოპერაციის მხოლოდ ორი დამოუკიდებელი თვითმხილველი, მ. ც. და ი.გ.. დაკითხვის დროს, რომელიც შედგა 2007 წლის თებერვალში, მათ განაცხადეს, რომ პოლიციამ დაიწყო სროლა და რომ ადგილი არ ჰქონია საპასუხო სროლას ზ.ვ.-ს ავტომანქანის მგზავრების მხრიდან. პოლიციამ გააგრძელა სროლა მაშინაც კი, როდესაც ავტომანქანა შეეჯახა ბორდიურს და გაჩერდა. პროკურორის მიერ მოგვიანებით შედგენილ დადგენილებაში, პოლიციის ქმედებების ფაქტზე სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ პროკურატურის ჩინოსნებმა განაცხადეს, რომ აღნიშნული ორი დამოუკიდებელი მოწმის ჩვენება არ იყო სარწმუნო, რადგან ისინი აშკარად ეწინააღმდეგებოდა პოლიციის ოფიცრების მიერ მიცემულ საწინააღმდეგო ჩვენებებს, რომლებიც მონაწილეობდნენ პოლიციის ოპერაციაში 2006 წლის 2 მაისს. 2007 წლის თებერვალ-მარტში ქალაქის პროკურატურის მიერ ჩატარებული ბალისტიკური ექსპერტიზის შედეგების მიხედვით, ზ.ვ.-ს ავტომანქანის მგზავრებმა 2006 წლის 2 მაისს, პოლიციის ოპერაციის მიმდინარეობისას, პოლიციას ესროლეს ავტომანქანის უკანა ფანჯრის ზედა მარცხენა ხვრელიდან. 2007 წლის 19 აპრილს ქალაქის პროკურატურამ გააუქმა თავისი გადანწყვეტილება მეორე მომჩივნისთვის დაზარალებულის სტატუსის განსაზღვრის შესახებ. მომდევნო დღეს 2007 წლის 20 აპრილს, პროკურატურამ გამოსცა დადგენილება სისხლის სამართლის გამოძიების შეწყვეტის შესახებ, დანაშაულებრივი ქმედების არარსებობის გამო. ამ გადანწყვეტილების მიღებისას ის დაეყრდნო მხოლოდ იმ პოლიციელების ჩვენებებს, რომლებიც მონაწილეობდნენ 2006 წლის 2 მაისის ოპერაციაში, ისევე, როგორც შესაბამის ბალისტიკური ექსპერტიზის შედეგებს იმგვარი დასკვნისთვის, რომ პოლიციამ ძალა გამოიყენა მხოლოდ ზ.ვ.-ს ავტომანქანიდან ცეცხლის გახსნის საპასუ-

ხოდ და რომ ძალის გამოყენება იმ ვითარებაში იყო აუცილებელი. მეორე მომჩივანს არ მიეცა შესაბამისი სტატუსი და მან ვერ შეძლო სასამართლოში გაესაჩივრებინა საქმის წარმოების შეწყვეტის დადგენილება. პირველი მომჩივნის მიმართვის საფუძველზე, სახალხო დამცველის ოფისმა 2009 წელს თვითონ ჩაატარა გამოძიება პოლიციის 2006 წლის 2 მაისის ოპერაციასთან დაკავშირებული გარემოებების შესახებ და შეაფასა პოლიციის ქმედებების გამოძიების ადეკვატურობა. სახალხო დამცველმა ჩაატარა ზ.ვ.-ს ავტომანქანის ალტერნატიული ექსპერტიზა. ექსპერტიზის შედეგად დადგინდა, რომ იმ მანქანიდან არასოდეს განხორციელებულა გასროლა. 2009 წლის 8 სექტემბერს სახალხო დამცველის ოფისმა მიმართა მთავარ პროკურატურას რეკომენდაციით, თავიდან დაეწყოთ გამოძიება 2006 წლის 2 მაისს პოლიციის ქმედებებთან დაკავშირებით. პროკურატურის ჩინოსანთა ყურადღება გამახვილებული იყო იმაზე, რომ თავდაპირველმა გამოძიებამ, რომელიც 2007 წლის 20 აპრილს შეწყდა, ვერ გასცა პასუხი საქმის ისეთ მნიშვნელოვან ასპექტს, როგორცაა, იყო თუ არა პოლიციის მიერ შემთხვევის დროს გამოყენებული ძალა პროპორციულად. სახალხო დამცველი ასევე კითხვის ნიშნებს სვამდა ქალაქის პროკურატურის მიერ წინათ გაკეთებული რიგი დასკვნების არასრულყოფილებასთან დაკავშირებით, კერძოდ, სავარაუდოდ ზ.ვ.-ს ავტომანქანიდან ცეცხლის გახსნასთან მიმართებით. სახალხო დამცველის რეკომენდაცია უპასუხოდ იქნა დატოვებული. საქმის მასალა შეიცავს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატორის მიერ გადაღებულ ვიდეოჩანაწერს, რომელზეც ასახულია ზ.ვ.-ს ავტომანქანის მდგომარეობა 2006 წლის 2 მაისის ოპერაციის დასრულებისთანავე. ჩანაწერზე აღბეჭდილია, რომ ავტომანქანის უკანა ფანჯრის შუმა მთლიანია, რაიმე ხვრელის ან სხვა დაზიანების გარეშე. ავტომანქანის დათვალიერების სიტყვიერ ჩანაწერში, რომელიც მომზადდა მას შემდეგ, რაც ის სროლის ადგილიდან გადატანილ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალურ ავტოსადგომ-

ზე, გემოაღნიშნული ვიდეოჩანანერის მსგავსად, აღნიშნულია, რომ ავტომანქანის უკანა ფანჯარა დაუზიანებელი იყო.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა:

- მეორე მომჩივანი უფლებამოსილია, გააგრძელოს დავა როგორც საკუთარი, ისე გარდაცვლილი პირველი მომჩივნის სახელით;

- არსებით მხარესთან აერთიანებს მომჩივნის, როგორც მსხვერპლის სტატუსის საკითხის განხილვას;

- მისაღებად აცხადებს კონვენციის მე-2 მუხლის საფუძველზე წარმოდგენილ საჩივარს მომჩივნის ვაჟის მკვლელობასთან დაკავშირებით;

- ადგენს, რომ მომჩივნებს შეუძლიათ იდავონ, რომ წარმოდგენენ მსხვერპლებს კონვენციის 34-ე მუხლის მიზნებისთვის და ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-2 მუხლის არსებითი და პროცედურული ნაწილების დარღვევას;

- ადგენს, რომ აუცილებელი არ არის ცალკე იქნეს განხილული საჩივარი კონვენციის მე-3, მე-6, მე-7 და მე-14 მუხლებისა და პირველი ოქმის პირველი მუხლის საფუძველზე;

- ადგენს, (ა) რომ მოპასუხე სახელმწიფომ, კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, გადანაცვლების ძალაში შესვლიდან სამი თვის ვადაში, მომჩივნებს უნდა გადაუხადოს 50000 (ორმოცდაათი ათასი) ევრო, რასაც დაემატება ნებისმიერი საკომისიო, მორალური ზიანისთვის;

- უარს აცხადებს მომჩივნების სხვა მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

51. „გამცემლიძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ - გადანაცვეტილება მიღებულია 2014 წლის პირველ აპრილს განჩინება (საქმე ამორიცხულია ევროპული კონვენციის 37-ე მუხლის საფუძველზე, რაც არ ექვემდებარება მინისტრთა კომიტეტის ზედამხედველობას).

საქმე ეხება საპატრულო პოლიციის თანამშრომლის მიერ 2008 წლის 8 მაისს მომჩივნების ოჯახის წევრის - გიორგი გამცემლიძის გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობისა და შსს-ს ცალკეული თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტს. საქმის ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, 2008 წლის 8 მაისს, დაახლოებით ღამის 1:20 საათზე, საპატრულო პოლიციის ორი თანამშრომელი, რომლებიც შსს-ს საპატრულო პოლიციის თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის დეპარტამენტის თანამშრომლები იყვნენ, დაედევნენ ავტომანქანას, რომელიც გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობდა თბილისის ცენტრალურ უბანში. მანქანა ბორდიურის ქვებს მიეჯახა. გამოძიებით დგინდება, რომ მძღოლი, ბ-ნი გიორგი გამცემლიძე გადმოვიდა და გაქცევა სცადა მიმდებარე ავტოფარეხის სახურავზე აძრომით. საპატრულო პოლიციის ერთ-ერთმა თანამშრომელმა ამოიღო სამსახურებრივი პისტოლეტი და დაედევნა გამცემლიძეს, მალევე დააკავა იგი და შებოჭა. გ. გამცემლიძე ცდილობდა თავის დაღწევას, რა დროსაც პოლიციელის მიერ მოხდა გასროლა და გიორგი გამცემლიძე სასიკვდილოდ დაიჭრა. აღნიშნულ ფაქტზე, 2008 წლის 8 მაისს, თბილისის პროკურატურაში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის №010088113 საქმეზე. იმავე დღეს, 02:30-03:35 საათამდე თბილისის პროკურატურის თანამშრომლების მიერ დათვალიერდა შემთხვევის ადგილი, თუმცა, მათ არანაირი იარაღი არ აღმოუჩენიათ. იმავედროულად, 2008 წლის 8 მაისს, შსს-ს თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის საპატრულო პოლიციის სამმართველოში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის №008082008 საქმეზე, გ. გამცემლიძის მიერ იარაღის უკანონო შეძენა, შენახვისა და ტარების ფაქტზე. 02:40 სთდან 04:20 სთ-მდე პერიოდში დათვალიერდა შემთხვევის ადგილი, რა დროსაც ავტოფარეხის სახურავზე აღმოჩენილი იქნა ცეცხლსასროლი იარაღი. 2008 წლის 9 მაისს, გემოაღნიშნული სისხლის სამართლის საქმეები გაერთიანდა ერთ წარმოებად.

2009 წლის 16 იანვრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლომ დამნაშავედ ცნო საპატრულო პოლიციის თანამშრომელი, საქართველოს სსკ-ის 116-ე მუხლის პირველი ნაწილითა და სასჯელის ზომად განუსაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, ასევე, დაზარალებულის სასარგებლოდ, მორალური ზიანის ასანაზღაურებლად დააკისრა ჯარიმა 500 ლარის ოდენობით.

განსახილველ საქმეზე, 2013 წლის 11 მარტს მთავრობამ აღიარა კონვენციის მე-2 მუხლის არსებითი და პროცედურული ნაწილების დარღვევა ევროპული სასამართლოს წინაშე და დეკლარაციით იკისრა ვალდებულება, ჩაატაროს ხელახალი გამოძიება გარდაცვლილის მიმართ პოლიციის მიერ ძალის გადამეტების ფაქტზე. ასევე, მომჩივნებს გადაუხადოს 20000 (ოცი ათასი) ევრო მორალური და მატერიალური ზიანის, ასევე, ხარჯების ასანაზღაურებლად. ევროპულმა სასამართლომ გაითვალისწინა დეკლარაციის პირობები და 2014 წლის პირველ აპრილს საჩივარი ამორიცხა განსახილველ საქმეთა ნუსხიდან.

52. „თინა სვანიძე საქართველოს წინააღმდეგ“

- 2008 წლის 1 ივლისს შეიტანა საჩივარი ევროპულ სასამართლოში. გადაწყვეტილება საქმეზე გამოვიდა 2019 წლის 25 ივლისს.

მომჩივანი ასაჩივრებდა მისი საქმის განმხილველი პირველი ინსტანციის სასამართლოს უკანონო შემადგენლობას, უშუალობის პრინციპის დარღვევას და ეროვნული სასამართლო გადაწყვეტილებების არასათანადო დასაბუთებას. მომჩივანი იყო საავადმყოფოს გინეკოლოგიური განყოფილების ხელმძღვანელი, რომელსაც მსჯავრი დაედო პაციენტისთვის (რომელიც სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში იმყოფებოდა) საპატიო მიზეზის გარეშე სასწრაფო სამედიცინო მკურნალობის გაუწევლობისთვის, რის შედეგადაც იგი გარდაიცვალა. მტკიცებულებათა გამოკვლევის შემდეგ, მომჩივნის საქმე განსახილველად გადაეცა სათადარიგო მოსამართლეს. ამ უკანასკნელმა არ დააკმაყოფილა მომჩივნის ადვოკატის მოთხოვნა საქმის

განხილვის ხელახლა დაწყების შესახებ და განაცხადა, რომ საქმეში არსებული მასალები მისთვის საკმარისი იყო საქმის განხილვის გასაგრძელებლად. მომჩივნის მსჯავრდება უცვლელი დატოვა სააპელაციო სასამართლომ, მტკიცებულებათა ხელმეორედ პირდაპირი გამოკვლევის გარეშე. ევროპული სასამართლოს წინაშე მომჩივანი დავობდა, რომ მისი საქმის განხილვაში სათანადოგო მოსამართლის ჩართვამ სამართალწარმოება უსამართლოდ აქცია; აგრეთვე, აღნიშნულმა მოსამართლემ ის დამნაშავედ ცნო იმ პირობებში, როდესაც არ დასწრებია და მონაწილეობა არ მიუღია ექსპერტისა და მოწმეთა დაკითხვაში. მომჩივანი ამტკიცებდა, რომ მისი მსჯავრდება არ იყო საკმარისად დასაბუთებული, ვინაიდან მისი არგუმენტი იმასთან დაკავშირებით, რომ ანესთეზიოლოგის გარეშე ოპერაციის დაწყება არ შეეძლო, უპასუხოდ დარჩა. აპლიკანტი ეყრდნობოდა კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პარაგრაფს, რომლის თანახმად: „წარდგენილი ნებისმიერი სისხლისამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას ყველას აქვს გონივრულ ვადაში... მისი საქმის სამართლიანობა... განხილვის უფლება... დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ....”.

ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ სისხლის-სამართლებრივი სამართალწარმოების მნიშვნელოვანი ასპექტია ბრალდებულის შესაძლებლობა, დაუპირისპირდეს მოწმეებს მოსამართლის თანდასწრებით, რომელიც საქმესთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს. უშუალობის პრინციპი მნიშვნელოვანი გარანტიაა, ვინაიდან სასამართლოს მიერ მოწმეთა სანდოობისა და ქცევების დაკვირვებამ შესაძლოა დიდი გავლენა მოახდინოს საქმის შედეგზე. უშუალობის პრინციპის თანახმად, სისხლის სამართლის საქმეზე გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს იმ მოსამართლეების მიერ, რომლებიც ესწრებოდნენ მთლიან სამართალწარმოებას და მტკიცებულებათა მოკვლევის პროცესს. თუმცა, ეს პრინციპი არ უნდა იქნეს იმგვარად განმარტებული, რომ ის კრძალავს საქმის

განხილვის პროცესში სასამართლოს შემადგენლობაში ცვლილების განხორციელებას. საქმის განხილვის მიმდინარეობისას შეიძლება წარმოიშვას ადმინისტრაციული ან პროცედურული ფაქტორები, რამაც შესაძლოა მოსამართლის საქმის განხილვაში მონაწილეობის გაგრძელება შეუძლებელი გახადოს. სასამართლომ განაცხადა, რომ შესაძლებელია გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს, რომ მოსამართლეები, რომლებიც აგრძელებენ საქმის განხილვას, აღიქვამენ საქმეში არსებულ მტკიცებულებებს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებები არ მიუთითებენ იმ გარემოებაზე, რომ სათადარიგო მოსამართლე დაინიშნა მომჩივნის საწინააღმდეგოდ საქმის შედეგის შეცვლის ან რაიმე სხვა უკანონო საფუძველზე. თუმცა, საქმეზე სხვა ბრალდებულების, მოწმეებისა და ექსპერტების ჩვენებები წარმოადგენდა მომჩივნის მსჯავრდების მთავარ მტკიცებულებას. არცერთი ჩამოთვლილი პირი მოსამართლეს უშუალოდ არ დაუკითხია. მან ასევე უარი განაცხადა მომჩივნის მოთხოვნაზე, დაკითხულიყო ორი დამატებითი მოწმე. აღნიშნულ გარემოებებში, მოწმეთა ჩვენებების ჩანაწერების ხელმისაწვდომობა ვერ აანაზღაურებდა უშუალოდ ნაკლებობას. ამასთანავე, ზედა ინსტანციის სასამართლოებმა ძალაში დატოვეს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ისე, რომ უშუალოდ არ განუხილავთ არც ერთი მტკიცებულება, მიუხედავად იმისა, რომ მათ გააჩნდათ ამის უფლებამოსილება. შესაბამისად, არ შეიძლება ითქვას, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს წინაშე არსებული ხარვეზი გამოსწორდა ზედა ინსტანციის სასამართლოების მიერ.

ევროპულმა სასამართლომ, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიიჩნია, რომ დაირღვა მომჩივნის სამართლიანი სასამართლოს უფლება, ვინაიდან პირველი ინსტანციის მოსამართლემ, რომელმაც მომჩივანს მსჯავრი დაადო, უგულვებელყო უშუალოდ პრინციპი და

ამ დანაკლისის კომპენსაციისთვის არ გატარებულა შესაბამისი ზომები. სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ნაწილი. ამასთან, სასამართლომ დააკმაყოფილა მოთხოვნა არამატერიალური ზიანისთვის 3500 (სამი ათას ხუთასი) ევროს ოდენობით, ხოლო მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

53. „ირაკლი ბათიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ - გადაწყვეტილება საქმეზე გამოვიდა 2019 წლის 10 ოქტომბერს.

ირაკლი ბათიაშვილი იყო საქართველოში ცნობილი პოლიტიკური ფიგურა. 2006 წლის ივლისში საქართველოში წარმოიქმნა დაძაბულობა იმის გამო, რომ შესაძლო იყო კოდორის ხეობაში მოქმედ შეიარაღებულ დაჯგუფებასა და ხელისუფლებას შორის კონფლიქტი დაწყებულიყო. ეს დაჯგუფება 1992-1993 წლებში საქართველოს მთავრობას აფხაზეთის სეპარატისტულ ძალებთან ბრძოლაში ეხმარებოდა. 2006 წლის ივლისის ბოლოს საქართველოს ხელისუფლებამ თითქმის უსისხლო საპოლიციო ოპერაციის შედეგად კოდორის ხეობაზე კონტროლი მოიპოვა. ამავე თვეში დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, რომელიც უკავშირდებოდა უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნასა და ხელმძღვანელობას. 2006 წლის 25 ივლისს ტელევიზიის მეშვეობით გავრცელდა სატელეფონო საუბრის ჩანაწერი ირაკლი ბათიაშვილსა და შეიარაღებული ფორმირების ლიდერს შორის, რომლის საფუძველზეც ბათიაშვილი 29 ივლისს დააპატიმრეს და დამნაშავედ ცნეს შეიარაღებულ დაჯგუფებასა და ხელისუფლებას შორის კონფლიქტში აფხაზი სეპარატისტების მონაწილეობის თაობაზე ხელისუფლების ორგანოებისთვის შეუტყობინებლობისა და შეიარაღებული დაჯგუფება „მონადირის“ ხელმძღვანელისთვის ინტელექტუალური მხარდაჭერის გამო, თუმცა უზენაესი სასამართლოს მიერ საჩივრის გადაწყვეტამდე ის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო ბურჯანაძემ შეინყაღა.

მომჩივანი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში დავობდა, რომ განჩინება მისი წინასწარი პატიმრობის თაობაზე არ იყო საკმარისად დასაბუთებული, კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტზე დაყრდნობით ის დავობდა, რომ სააპელაციო სამართალწარმოება, რომელიც ეხებოდა მისი პატიმრობის გადასინჯვას, ზეპირი მოსმენის გარეშე წარიმართა და აგრეთვე მისთვის ხელმისაწვდომი არ იყო საქმის მასალები. გარდა ამისა, კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე მომჩივანი აცხადებდა, რომ პარლამენტის წევრების მიერ გაკეთებული განცხადებები და მისი სატელეფონო საუბრის დამონტაჟებული ვერსიის ტელევიზიით გავრცელება არღვევდა მის უდანაშაულობის პრეზუმფციას.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სატელეფონო ჩანაწერი მოპოვებულ იქნა 2006 წლის 22 ივლისს დანყებული წინასწარი გამოძიების ფარგლებში, ხოლო საგამოძიებო ორგანოებმა ჩანაწერის მედიისთვის გადაცემამდე მონტაჟის მეშვეობით იმგვარი ფონი შექმნეს, თითქოს დაჯგუფების ლიდერი, ემზარ კვიციანი, აჯანყების ფარგლებში თანამშრომლობდა აფხაზ სეპარატისტებთან და მომჩივანი ამ ყოველივეს ამართლებდა. 2006 წლის 26 ივლისს მოწმის სტატუსით დაკითხვისას ბათიაშვილმა განაცხადა, რომ აუდიო ჩანაწერი დამონტაჟებული იყო. ხელისუფლების ორგანოებმა მისთვის ფორმალურად ბრალის წაყენება და დაპატიმრება მხოლოდ ოთხი დღის შემდეგ, 2006 წლის 29 ივლისს გადაწყვიტეს. ერთ-ერთი ბრალდება ეფუძნებოდა მხოლოდ დამონტაჟებულ აუდიოჩანაწერს, რომელიც მედიაში გავრცელდა. მოვლენების ეს თანმიმდევრობა, მთლიანობაში აღებული, ცხადყოფდა, რომ კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის მიზნებისთვის, მომჩივნის მდგომარეობაზე გავლენა იქონია საგამოძიებო ორგანოების ქმედებამ, რომელმაც მტკიცებულების გაყალბებით მომჩივანთან მიმართებით არასწორი ეჭვები გააჩინა, რათა შემდგომში ამ მასალაზე დაყრდნობით მისთვის სისხლისსამართლებრივი ბრალი წარედგინათ.

მართალია, პირველი ინსტანციის სასამართლოს წინაშე საქმის წარმოების დროს მის წინააღმდეგ აფხაზ სეპარატისტებთან თანამშრომლობაზე თითქოსდა მისი მხარდაჭერის ბრალდება გაუქმდა, თუმცა სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ საბრალდებო დასკვნაში, რომელიც სასამართლოს გადაეცა 2006 წლის 24 ნოემბერს, თითქმის ოთხი თვის შემდეგ, რაც ის საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახდა, კვლავ მოხსენებული იყო აღნიშნული ბრალი, მიუხედავად იმისა, რომ პროკურატურისთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო მტკიცებულების სიყალბე. ამ გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივნის დამნაშავედ წარმოჩენა გასცდა აუდიო ჩანაწერის მედიისთვის გადაცემის ფაქტს და გაგრძელდა დაახლოებით ოთხი თვის განმავლობაში. შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის სატელეფონო საუბრის ჩანაწერის დამონტაჟება, რაშიც სახელმწიფო უწყება იყო ჩართული, და ამ ფორმით მოცემული ჩანაწერის ტელეარხით გავრცელება ემსახურებოდა მომჩივნის დამნაშავედ წარმოჩენას სასამართლოს მიერ მისი ბრალის დადასტურებამდე, რითაც დაირღვა მისი უდანაშაულობის პრეზუმფიცია.

სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევა და სახელმწიფოს მომჩივნის სასარგებლოდ მორალური ზიანის ანაზღაურების სახით 3600 (სამი ათას ექვსასი) ევროს გადახდა დააკისრა.

54. „ღალი ხიზანიშვილი და გიორგი კანდელაკი საქართველოს წინააღმდეგ - 2012 წლის 20 აპრილს შეიტანა საჩივარი ევროპულ სასამართლოში, გადაწყვეტილება საქმეზე გამოვიდა 2019 წლის 17 დეკემბერს.

მომჩივანებმა 2003 წელს ოთხ სხვა ფიზიკურ და ერთ სამეწარმეო იურიდიულ პირთან ერთად, მომჩივანებმა შეიძინეს ქ. თბილისში, მეტროს სადგურ „გოცირიძის“ მიმდებარედ 154 კვ.მ მიწის ნაკვეთზე მდებარე კომერციული ობიექტები („შენობა“). მიწის ნაკვეთზე საჯარო რეესტრში

დარეგისტრირდა აღნიშნული ფიზიკური პირების და სამე-
 წარმეო იურიდიული პირის თანასაკუთრების უფლება. ას-
 ევე აღრიცხული იყო აღნიშნულ პირთა თანასაკუთრების
 უფლება მიწის ნაკვეთზე მდებარე შენობაზე, რომლის სრუ-
 ლი ფართობი შეადგენდა 494 კვ.მ-ს: პირველი მომჩივნის
 საკუთრების უფლება აღრიცხული იყო 76.82 კვ.მ-ზე (45.8
 კვ.მ სარდაფში და 31.02 კვ.მ პირველ სართულზე), ხო-
 ლო მეორე მომჩივნის საკუთრების უფლება 40.74 კვ.მ-ზე
 (25.67 კვ.მ სარდაფში და 15.07 კვ.მ პირველ სართულზე).
 შენობა აგებული იყო 2002 წლის 11 ივლისის ნებართვის
 საფუძველზე, ექსპლუატაციაში კი შესული იყო შესაბამისი
 მუნიციპალური ორგანოს 2003 წლის 28 მაისის გადაწყვე-
 ტილებით. 2007 წლის 30 იანვარს ქალაქის მერიის გე-
 დამხედველობის სამსახურმა ბუღდოზერის გამოყენებით
 დაანგრია შენობა. მედია საშუალების მეშვეობით ამ მოვ-
 ლენის შესახებ გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით,
 შენობის დანგრევა წარმოადგენდა ქალაქის მერიის მიერ
 განხორციელებულ უკანონოდ ამენებული ან უსახური შე-
 ნობების ნგრევის კამპანიის ნაწილს. 2007 წლის 27 თე-
 ბერვალს მომჩივნებმა სარჩელი აღძრეს სასამართლოში,
 რომელშიც მიუთითებდნენ, რომ გედამხედველობის სამსა-
 ხურმა მათ საკუთრებაში არსებული ქონება დაანგრია რა-
 იმე სამართლებრივი საფუძვლის გარეშე და მოითხოვეს
 ზიანის ანაზღაურება. 2009 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტი-
 ლებით საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ კომერცი-
 ული ობიექტების დანგრევა უკანონო იყო. სასამართლომ
 სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა და მათ ზიანის ან-
 აზღაურების მიზნით მიაკუთვნა შემდეგი ოდენობით თან-
 ხები: პირველ მომჩივანს მიეკუთვნა 187501 (ას ოთხმოც-
 დამვიდი ათას ხუთას ერთი) ლარი, ხოლო მეორე მომჩი-
 ვანს მიეკუთვნა 133862 (ას ოცდაცამეტი ათას რვაას სა-
 მოცდაორი) ლარი. მეორე მომჩივანს ასევე მიეკუთვნა 550
 (ხუთას ორმოცდაათი) დოლარის ეკვივალენტი ეროვნულ
 ვალუტაში, 2007 წლის პირველი თებერვლიდან გადაწყვე-
 ტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე, როგორც საიჯ-

არო ქირა, რომელსაც იგი მიიღებდა ქონების მის ნაწილზე გაფორმებული, 2006 წლის 1 აგვისტოს ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე. პირველი და მეორე მომჩივნების ანალოგიური მოთხოვნა სხვა პირთან გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე არ დაკმაყოფილდა, საკმარისი მტკიცებულებების წარუდგენლობის გამო. სააპელაციო სასამართლომ მომჩივნებს შეუმცირა ზიანის ასანაზღაურებელი თანხა: პირველი მომჩივანს - 1,536.40 (ათასხუთას ოცდათექვსმეტი) დოლარის ეკვივალენტამდე, და მეორე მომჩივანს - 814.80 (რვაას თოთხმეტი) დოლარის ეკვივალენტამდე ეროვნულ ვალუტაში.

მომჩივნები ევროპულ სასამართლოში ჩიოდნენ, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ უზრუნველყვეს ისინი სათანადო ანაზღაურებით მათი ქონების უკანონოდ ჩამორთმევის გამო, კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლის დარღვევით, რომლის მიხედვით: „ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრების შეუფერხებელი სარგებლობის უფლება. მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შეიძლება ჩამოერთვას ვინმეს თავისი საკუთრება კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში“. ევროპული სასამართლო იმეორებს, რომ მის მიერ ჩამოყალიბებული პრეცედენტული პრაქტიკის მიხედვით, თუკი ეროვნულმა სასამართლოებმა დაადგინეს დარღვევა და თავიანთი გადაწყვეტილება წარმოადგენს სათანადო და საკმარის სამართლებრივ დაკმაყოფილებას, მხარეს აღარ შეუძლია იდავოს, რომ წარმოადგენს მსხვერპლს, კონვენციის 34-ე მუხლის მნიშვნელობით.

მომჩივანებმა ევროპულ სასამართლოში მოითხოვეს 136,800 (ასოცდათექვსმეტი ათას რვაასი) ევრო თითოეულმა, სავარაუდო შემოსავლის დაკარგვისთვის, რასაც ისინი მიიღებდნენ თავიანთი ქონების გაქირავების შედეგად. მათ ასევე მოითხოვეს 200,000 (ორასი ათასი) და 143,000 (ასორმოცდასამი ათასი) ევრო შესაბამისად, არაქონებრივი ზიანისთვის.

ხელისუფლება ამტკიცებდა, რომ მომჩივნებს არ განუცდიათ მნიშვნელოვანი დანაკარგი, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მათ შეინარჩუნეს საკუთრების უფლება იმ მიწის ნაკვეთზე, რომელზეც დანგრეული შენობა მდებარეობდა. მეტიც, პირველ და მეორე მომჩივნებს გადაუხადეს 12,500 და 12000 ლარი თავიანთი წილების შესაბამისად კომერციულ ობიექტებში და იმ მიწის ნაკვეთებში, რომლებზეც ისინი იყო განლაგებული. ეს თანხები მნიშვნელოვნად ჩამოუვარდებოდა იმ თანხებს, რასაც მომჩივნები ზიანის ანაზღაურების სახით მოითხოვდნენ ეროვნულ სასამართლოებში. თუმცა, ხელისუფლების მტკიცებით, ეროვნული სასამართლოების მიერ მიკუთვნებული ანაზღაურება იყო საკმარისი და მომჩივნებს არ განუცდიათ მნიშვნელოვანი დანაკლისი.

ევროპულმა სასამართლომ გაიზიარა, რომ მომჩივნებმა განიცადეს არაქონებრივი ზიანი, რის კომპენსირებაც არ შეიძლება მოხდეს მხოლოდ დარღვევის დადგენით და სახელმწიფოს დაავალა თითოეული მომჩივანისთვის 3000 (სამი ათასი) ევროს გადახდა არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მიზნით, თუმცა უარყო მომჩივნების სხვა მოთხოვნა სამართლიანი დაკმაყოფილების შესახებ.

55. „ლავრენტი ბაქრაძე საქართველოს წინააღმდეგ“ - ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება გამოქვეყნდა 2020 წლის 10 დეკემბერს.

მომჩივანის დავა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების საფუძველზე შეეხებოდა 2006 წელს პოლიციის მიერ მისთვის ნარკოტიკების „ჩადებას“ და უკანონოდ განხორციელებული ჩხრეკის შედეგებზე დაფუძნებულ მსჯავრდებას. კერძოდ, 2006 წლის 3 მარტს მომჩივანი ნარკოტიკების უკანონო ფლობის გამო მის საცხოვრებელ სახლში დააკავეს. დაახლოებით, 22:00 საათზე რამდენიმე პოლიციელი ლავრენტი ბაქრაძის ბინაში ძალის გამოყენებით შეიჭრა, მომჩივანს ხელბორკილები დაადო და დაიწყო ოთახების ჩხრეკა. ჩხრეკის ოქმის თანახმად, პოლიციელებმა სამზარეულოსა და სააბაზან-

ოს დამაკავშირებელ საკანალიზაციო მილში სუბოტექსის ოცდაექვსნახევარი აბი იპოვეს, ხოლო ორი აბი პირადად მომჩივანს აღმოუჩინეს. შესაბამისად, მომჩივანს ბრალი წარედგინა ნარკოტიკული საშუალებების განსაკუთრებით დიდი ოდენობით უკანონო შეძენა-შენახვაში. ეროვნული სასამართლოს წინაშე მომჩივანი ამტკიცებდა, რომ პოლიციელებმა მას თავში ჩაართყეს და როდესაც იგი გონს მოვიდა, განუცხადეს, რომ აღმოუჩინეს ნარკოტიკული საშუალებები.

მომჩივნის თანახმად, მან ჩხრეკის დროს დამოუკიდებელი მოწმეების დასწრება მოითხოვა, მაგრამ უშედეგოდ. 2006 წლის 23 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ მომჩივანი დამნაშავედ ცნო და 14 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. განაჩენი ემყარებოდა ორი პოლიციელის ჩვენებას, რომლებიც მონაწილეობდნენ მომჩივნის დაკავებასა და ბინის ჩხრეკაში; ჩხრეკის შედეგებსა და სასამართლო ექსპერტიზის დასკვნას. მომჩივანმა მოითხოვა, დაკავებისა და ჩხრეკის გარემოებებთან დაკავშირებით დაეკითხათ მეზობლები და პოლიციის ოპერაციის დროს მის ბინაში მყოფი მეგობარი (ლ.ც.), რაზეც უარი მიიღო.

2007 წლის 4 სექტემბერს ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ და 2008 წლის 9 ოქტომბერს უზენაესმა სასამართლომ მომჩივნის მიმართ გამოტანილი განაჩენი ძალაში დატოვეს.

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მომჩივნის ბრალდება ემყარებოდა ნარკოტიკების ფლობის ფაქტს, მომჩივნის სურვილი, რომ მოესმინათ დაცვის მხარის მოწმისთვის, წარმოადგენდა ამ ძირითადი ვარაუდის ეფექტიანად გასაჩივრების გონივრულ მცდელობას. გარდა ამისა, ეროვნულმა სასამართლოებმა არ მიიღეს მხედველობაში ლ.ც.-ს ჩვენების მნიშვნელობა და არ წარმოადგინეს საკმარისი დასაბუთება აღნიშნულის თაობაზე. ხსენებული გარემოებების ფონზე, დაცვის მხარის ერთადერთი შესაძლო მოწმის დაკითხვაზე ეროვნული სასამართლოების უარმა სასამართლო პროცესი მთლიანობაში გახადა უსამართლო.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, ჩხრეკა ჩატარდა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, სასამართლოს წინასწარი თანხმობის გარეშე „გადაუდებელი აუცილებლობის“ მოტივით, თუმცა, დასაბუთებული არ ყოფილა, რა გადაუდებელმა აუცილებლობამ გამოიწვია ჩხრეკის ამ ფორმით ჩატარება; ამასთან, პოლიციელებმა არ მისცეს მომჩივანს საშუალება, ჩხრეკას დასწრებოდნენ დამოუკიდებელი მოწმეები. ამდენად, სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ ეროვნულ სასამართლოებს არ შეუფასებიათ, ჰქონდა თუ არა პოლიციას წინასწარი ინფორმაცია იმ ნარკოტიკების შესახებ, რომელთაც ეძებდნენ, და იყო თუ არა ჩხრეკის ჩატარების აუცილებლობა ორდერის წინასწარი გაცემის გარეშე, მოწმეების დასწრების არარსებობის პირობებში.

ევროპულმა სასამართლომ ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების დარღვევას და სახელმწიფოს მომჩივნის სასარგებლოდ დააკისრა 5000 (ხუთი ათასი) ევროს გადახდა მორალური ზიანის ანაზღაურების სახით.

56. „მარიამ საყვარელიძე საქართველოს წინააღმდეგ - გადაწყვეტილება საქმეზე გამოვიდა 2020 წლის 6 თებერვალს.

მომჩივანი და მისი ოჯახის წევრები 2003 წლის 22 ნოემბერს, ვარდების რევოლუციის საპროტესტო აქციების მიმდინარეობის დროს, თბილისის ქუჩაში მანქანით გადაადგილდებოდნენ, როდესაც მათ მანქანას დაეჯახა სამხედრო ჯავშანმანქანა, რომელსაც პოლიციელი ან სამხედრო ოფიცერი მართავდა. დაჯახების შედეგად მომჩივნის შვილი და და დაიღუპნენ, ხოლო მომჩივანმა და მისმა დის შვილებმა სხეულის დაზიანებები მიიღეს. აღნიშნულ საქმეს იძიებდნენ სხვადასხვა სამთავრობო უწყებები, მათ შორის თავდაცვის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო და ქ. თბილისის პროკურატურა. ამ პერიოდში გამოძიე-

ბა რამდენჯერმე შეწყდა და ისევ განახლდა. 2010 წელს პროკურატურამ მომჩივანს აცნობა, რომ მიუხედავად საგამოძიებო მოქმედებებისა, შეუძლებელი იყო ზუსტად იმის დადგენა, თუ რა მოხდა ავტოსაგზაო ინციდენტის დროს. პროკურატურამ გამოძიება დანაშაულის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო 2017 წლის მარტში შეწყვიტა. მომჩივანი, კონვენციის მე-2 მუხლზე დაყრდნობით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე დავობდა, რომ ავტოსაგზაო შემთხვევაზე, რომლის შედეგადაც მისი შვილი და და გარდაიცვალნენ, სახელმწიფოს ეკისრებოდა პასუხისმგებლობა. მომჩივანი აგრეთვე დავობდა, რომ ამ ფაქტთან დაკავშირებული სისხლის სამართლის გამოძიება არაეფექტური იყო.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ კონვენციის მე-2 მუხლი ეხება არა მხოლოდ განზრახ მკვლელობას, არამედ ასევე ისეთ სიტუაციებს, როდესაც სიკვდილი გამოიწვია სახელმწიფო მოხელეების მიერ ძალის უნებლიე გამოყენებამ. სასამართლომ ამ საკითხთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მხარეებს შორის სადავო იყო 2003 წლის 22 ნოემბრის ავტოსაგზაო შემთხვევის კონკრეტული გარემოებები, კერძოდ - რა სიჩქარით მოძრაობდა სამხედრო ჯავშანმანქანა; გზის რომელ მონაკვეთზე შეეჯახნენ სამხედრო მანქანა და მომჩივნის შვილის მართვის ქვეშ მყოფი მანქანა; და ასევე გაიქცა თუ არა შემთხვევის ადგილიდან AMV-ს მძღოლი. ასეთი გადამწყვეტი ფაქტების ცოდნის გარეშე შეუძლებელია მომჩივნის საჩივრის სათანადო შეფასება. კერძოდ, არის თუ არა მოპასუხე სახელმწიფო პასუხისმგებელი საგზაო მოძრაობის რეგულაციების სავარაუდო დარღვევაზე, AMV-ს მძღოლის მიერ დაუდევრობის ან მიზანმიმართული ქცევის გამო, რომელიც იმ დროისთვის პოლიციელი ან სამხედრო პირი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ფატალური ავტოსაგზაო შემთხვევა გამოიწვია სამხედრო მანქანამ, ფაქტებზე დაყრდნობით არ შეიძლება ითქვას, რომ AMV-ს მძღოლის მიერ გამოყენებულმა

ძალამ წარმოშვა სახელმწიფოს პასუხისმგებლობა კონვენციის მე-2 მუხლთან მიმართებით. გემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ ის არ იმყოფება იმ პოზიციაში, რომ მიიღოს გადაწყვეტილება, მომჩივნის შვილისა და დის სიკვდილის გამო, კონვენციის მე-2 მუხლის არსებითი ნაწილის საფუძველზე სახელმწიფოს პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით. საქმეში არსებული მასალებისა და ეროვნულ დონეზე საგამოძებო ორგანოების მიერ ჩატარებული გამოძიების გათვალისწინებით, ევროპული სასამართლო შემოიფარგლა იმის გამორკვევით, შესაბამებოდა თუ არა ეროვნული გამოძიება მე-2 მუხლის პროცედურული ნაწილით დადგენილ რელევანტურ სტანდარტებს. სასამართლო აღნიშნავს, რომ ამ საქმის გამოძიების ადრეულ ეტაპზე გატარებული დადებითი ნაბიჯები შემდგომში დაჩრდილა გამოძიების საერთო ხანგრძლივობამ და საგამოძებო ორგანოების უმოქმედობამ. ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა 2003 წლის 22 ნოემბერს, ხოლო გამოძიება დამთავრდა 2017 წლის 1 მარტს, 13 წლის შემდეგ, საქმის არსებითი ნაწილის განსაზღვრის გარეშე. გამოძიების გაჭიანურებას ამწვავებდა საგამოძებო ხელისუფლების ორგანოების მხრიდან სრული უმოქმედობის რამდენიმე ხანგრძლივი პერიოდი. ამავდროულად, სასამართლო ვერ ხვდება ეროვნულ დონეზე საქმის გაჭიანურების კონკრეტულ მიზეზს. გამოძიების თავდაპირველ ეტაპზევე ცნობილი იყო იმ პირის ვინაობა, ვინც ჯავშანმანქანას მართავდა, ასევე, დაკითხული იყვნენ მოწმეები და ჩატარებული იყო შესაბამისი ექსპერტიზები. თუმცა, მიუხედავად ამისა, ხელისუფლების ორგანოებმა სისხლის სამართლის საქმეზე გადაწყვეტილება არ მიიღეს. მთავრობა არც კი დავობდა, რომ გამოძიების გაჭიანურება გამართლებული იყო სხვადასხვა მნიშვნელოვანი პროცედურული ღონისძიებების განხორციელების საჭიროებით ან მომჩივნის ქმედებით ან სხვა შესაბამისი მიზეზებით. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ დაგვიანებული მართლმსაჯულება ხშირად მართლმსაჯულებაზე უარის თქმაა. როგორც არაგონივრული

ვადით უმოქმედობა, ისე ხელისუფლების მხრიდან გულისხმიერების ნაკლოვანება პროცესის წარმართვისას, გამოძიებას, მისი საბოლოო შედეგის მიუხედავად, არაეფექტურად გადააქცევს. სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ საგამოძიებო ხელისუფლების გაჭიანურებებმა შესაძლებელი გახადა სისხლის სამართლის საქმის წარმოების სტაგნაცია 10 წელზე მეტი ვადით, რამაც განაპირობა კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადის გასვლა და სამართალწარმოების შეწყვეტა, ჯავშანმანქანის მძღოლის პასუხისმგებლობის დადგენის გარეშე. ხანდაზმულობის ვადის გასვლის ერთადერთი მიზეზი იყო ხელისუფლების ორგანოების მხრიდან გულმოდგინების ნაკლებობა, რაც, სასამართლოს მოსაზრებით, გამოძიების განზრახ გაჭიანურებას ჰგავდა. ეს კიდევ ერთი მითითებაა იმისა, რომ სისხლის სამართლის სისტემამ დაადასტურა, რომ ის არ იყო მკაცრი და მომჩივანს ართმევდა ზიანის ანაზღაურების მოპოვების შესაძლებლობას. სწორედ ეროვნული გამოძიების არაეფექტურობის ბრალი იყო ის, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს ხელი შეეშალა გადაწყვეტილება მიეღო კონვენციის მე-2 მუხლის არსებითი ნაწილის თანახმად მოპასუხე სახელმწიფოს პასუხისმგებლობაზე.

ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ 2003 წლის 22 ნოემბრის ავტოსაგზაო შემთხვევის გამოძიება არ იყო ეფექტური. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული ნაწილის დარღვევას. სასამართლომ სახელმწიფოს დაავალა მომჩივანისთვის არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად 25000 (ოცდახუთი ათასი) ევროს გადახდა.

57. „კუხალაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ - გადაწყვეტილება საქმეზე გამოვიდა 2020 წლის 2 აპრილს.

საქმეში მომჩივნები იყვნენ სოფიო ბუხრაშვილი, მარინა გორდაძე (ბურაბ კუხალაშვილის და და დედა) და რუსუდან ჩიტაშვილი (არსენ ბუხრიკაშვილის დედა). პა-

ტიმრები ზურაბ კუხალაშვილი და არსენ ბუხრიკაშვილი ციხეში ცეცხლსასროლი იარაღის გასროლის შედეგად გარდაიცვალნენ. პროკურორებმა თითოეულ ოჯახს განუცხადა, რომ ლეტალური ძალა გამოყენებულ იქნა „უკიდურესი აუცილებლობის“ დროს. სტრასბურგის სასამართლოს წინაშე მთავრობის მიერ წარდგენილი ინფორმაცია ადასტურებდა, რომ ხელისუფლებამ პოლიციის მხრიდან ძალის გამოყენებასა და თბილისის ციხეში 2006 წლის 27 მარტს მომხდარი ე.წ. ციხის ბუნტთან დაკავშირებით ჩაატარა გამოძიება. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ექვს პატიმარს - კრიმინალურ ავტორიტეტებსა და მათთან ასოცირებულ პირებს ბრალი წარედგინა ბუნტის დაწყებაში და მათ შეეფარდათ შესაბამისი სასჯელი. ეროვნულმა სასამართლომ დაადგინა, რომ N5 საპყრობილოს პატიმრებმა პოლიციის ოფიცრებს აგურები ესროლეს, რაზეც სპეცდანიშნულების რაზმმა მათ რეზინის ტყვიებით უპასუხა. შემდეგ პატიმრებმა ისროლეს მაკაროვის იარაღიდან და ისინი განაგრძობდნენ წინააღმდეგობას, სანამ სპეცდანიშნულების რაზმმა სპეცოპერაციის შედეგად ბუნტი არ ჩაახშო. პროკურატურამ აგრეთვე დაიწყო განცალკევებული საქმის წარმოება საქმეებზე, რომლებიც ეხებოდა პოლიციის მხრიდან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას და ზურაბ კუხალაშვილისა და არსენ ბუხრიკაშვილის სავარაუდო მკვლელობას. პირველ საქმესთან მიმართებით გადაიდგა გარკვეული საგამოძიებო ნაბიჯები, თუმცა მეორე საქმესთან მიმართებით უცნობია, გატარდა თუ არა რაიმე ღონისძიება. კონვენციის მე-2 მუხლზე დაყრდნობით, მომჩივნები დავობდნენ, რომ მათი ნათესავების გარდაცვალებაზე პასუხისმგებლობა სახელმწიფოს ეკისრებოდა. ისინი ასევე ასაჩივრებდნენ ხელისუფლების მიერ ჩატარებული გამოძიების არაეფექტიანობას.

სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ძალის გამოყენებასთან დაკავშირებული სისხლის სამართლის გამოძიება არაეფექტიანი იყო, ვინაიდან ის დაიწყო დაგვიანებით, გა-

მოძიება არ იყო დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი და მასში არ იყო ჩართული გარდაცვლილი პატიმრების ახლო ნათესავები. შესაბამისად, მოცემულ საქმეში დაირღვა კონვენციის მე-2 მუხლის პროცედურული ნაწილი. ეროვნულ სასამართლოებს არ მიეცათ შესაძლებლობა, დაედგინათ შესაბამისი ფაქტები, რადგან ციხის ბუნტის ჩახშობის ოპერაციის დროს სახელმწიფო მოხელეების მხრიდან სავარაუდოდ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების თაობაზე სამართალწარმოება ჯერ კიდევ მიმდინარეობდა. ასევე, არ ჩატარებულა საპარლამენტო გამოძიება მიუხედავად იმისა, რომ ასეთმა მასშტაბურმა ინციდენტმა შეძრა ქვეყანა და მიიქცია მნიშვნელოვანი საერთაშორისო ყურადღება. ამგვარ გარემოებებში, როდესაც სტრასბურგის სასამართლოს ხელი შეეშალა მიეღო ინფორმაცია ციხის ბუნტის წინააღმდეგ ჩატარებული ოპერაციის ზუსტი გარემოებების შესახებ, იმ მიზეზების გამო, რომლებზე პასუხისმგებლობაც ობიექტურად სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს ეკისრებათ, მოპასუხე სახელმწიფო ვალდებულია, დამაკმაყოფილებლად და დამაჯერებლად განმარტოს მოვლენათა თანმიმდევრობა და წარმოადგინოს მყარი მტკიცებულებები, რომლებიც უარყოფენ მომჩივანთა ბრალდებებს. თუ მოპასუხე სახელმწიფო ამგვარად არ მოიქცევა, სტრასბურგის სასამართლომ შეიძლება მკაცრი დასკვნები გამოიტანოს. ვინაიდან, საბოლოოდ, მომჩივნის ბრალდებებზე სტრასბურგის სასამართლომ საკუთარი დასკვნები უნდა გააკეთოს, იგი დაეყრდნო საქმეში არსებულ მასალებს, მათ შორის ფაქტობრივ დასკვნებს, რომლებიც შედგენილი იყო შესაბამისი ეროვნული და საერთაშორისო ადამიანის უფლებათა დამკვიდრებლების მიერ და აგრეთვე ციხის ბუნტის ექვსი ორგანიზატორის წინააღმდეგ გამოძიების შედეგებს.

ლეტალური ძალის გამოყენება წმინდა სადამსჯელო მიზნებისთვის, მაშინაც კი, თუ ეს მიზნები მიმართული იყო კრიმინალური სამყაროს სავარაუდო წევრებზე, ვერ იქნება გამართლებული კონვენციის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის

შესაბამისად. მთავრობის არგუმენტი, რომ ბარიკადების მიღმა ზოგიერთი ყველაზე აგრესიული პატიმრის მხრიდან ცეცხლსასროლო იარაღის გამოყენების შედეგად, არსებობდა რეალური და გარდაუვალი საფრთხე ციხის მცველების სიცოცხლის წინააღმდეგ, საკმარისად დამაჯერებელი იყო. შესაბამისად, სამართალდამცავებს ჰქონდათ სუბიექტურად სათანადო საფუძველი იმისათვის, რომ საჭიროდ მიეჩნიათ ძალის გამოყენება. პატიმართა ქცევები მიუთითებდნენ აჯანყების მცდელობაზე. გემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოპასუხე სახელმწიფოს შეეძლო მიემართა ზომებისთვის, რომლებიც პოტენციურად მოიცავდა ლეტალური ძალის გამოყენებას. იყო თუ არა ლეტალური ძალის გამოყენება პროპორციული: ხელისუფლებამ აღნიშნულ შემთხვევამდე წინასწარ იცოდა კრიმინალური ავტორიტეტების გეგმების შესახებ - ციხეებში გაელვრივებინათ დაუმორჩილებობა. მიუხედავად ამისა, სპეცოპერაციის რაზმს, რომლებიც მონაწილეობდა ციხის ამბოხის ჩახშობაში, არ მიუღია კონკრეტული მითითებები და ბრძანებები ზემდგომი პირებისგან ლეტალური ძალის გამოყენების ფორმასა და ინტენსივობასთან დაკავშირებით, რათა მინიმუმამდე შემცირებულიყო მსხვერპლის ალბათობა. ციხის კედლების მახლობლად ავტომატური იარაღის გამოყენება აუცილებლად გულისხმობდა ფატალური შედეგების მაღალ რისკს. მთავრობამ ვერ წარმოადგინა მტკიცებულებები იმის თაობაზე, რომ სპეცრაზმი ემორჩილებოდა ბრძანებათა ჯაჭვს და მათი მოქმედები კონტროლირებადი და სისტემატიზებული იყო. ადამიანის უფლებათა დამცველი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის Human Rights Watch მიერ შეგროვებული მტკიცებულებების თანახმად, კომპეტენტურმა ორგანოებმა არც კი იცოდნენ, თუ ვინ იყო პასუხისმგებელი აღნიშნულ ოპერაციაზე. კომპეტენტური ორგანოები ციხეში მომხდარი ინციდენტის ჩახშობის მიზნით არც კი განიხილავდნენ ალტერნატიული, ნაკლებად ძალადობრივი საშუალებების გამოყენებას, მაგალითად, როგორიცაა ცრემლსადენი აირის გამოყენება ან წყლის

ჭავჭავლი. აღნიშნული, აშკარა შედეგი იყო იმისა, რომ არ არსებობდა ოპერაციის ჩატარების რაიმე სტრატეგია. უფრო მეტიც, საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციების Amnesty International-ისა და Human Rights Watch-ის მიხედვით, შესაბამისმა სპეცრაზმმა პატიმართა მიმართულებით ცეცხლსასროლი იარაღი გამოიყენეს არა მხოლოდ შენობის შიგნიდან, არამედ ასევე, გარშემო მდებარე შენობების სახურავებზე განთავსებულები იყვნენ მსროლელები, რომლებიც ისროდნენ ბრმა ტყვიებს ციხის საკნების მიმართულებით. აღნიშნულ ფაქტებზე დაყრდნობით, ციხის ამბოხის წინააღმდეგ მონაწილე სპეცრაზმის მხრიდან ლეტალური ძალის გამოყენება იყო განურჩეველი და გადაჭარბებული. გარდა ამისა, Human Rights Watch-ის განცხადებით, არ ყოფილა ბარიკადებს მიღმა მყოფ პატიმრებთან მოლაპარაკებების სერიოზული მცდელობები, მიუხედავად იმისა, რომ პატიმრებმა ამისთვის გამოხატეს მზადყოფნა. ამ თვალსაზრისით, მიზანშეწონილია იმის აღნიშვნა, რომ პატიმრები ბუნებით იყვნენ მონყველადი ჯგუფი, რომლებიც სახელმწიფოს მხრიდან დაცვას საჭიროებდნენ. შესაბამისი საერთაშორისო ანგარიშების მიხედვით, სახელმწიფო ორგანოებმა ვერ შეძლეს, უზრუნველყოთ პატიმრებისთვის ადეკვატური სამედიცინო დახმარების გაწევა ბუნტის ჩასახშობი ოპერაციის დასრულების შემდეგ. ვინაიდან რისკი განჭვრეტადი იყო, კიდევ უფრო არსებითი იყო შესაბამისი სახელისუფლებო ორგანოების ვალდებულება, შეემუშავებინათ სათანადო სამედიცინო ევაკუაციის გეგმა. მეტიც, სანდო მოხსენებებზე დაყრდნობით, მრავალ თავისუფლებააღკვეთილ პირს არასათანადოდ მოეპყრნენ და ესროლეს კიდევ თავიანთ საკნებში, მიუხედავად იმისა, რომ ისინი წინააღმდეგობას აღარ წევდნენ. ბოლოს კი, არც კომპეტენტურ ეროვნულ სახელმწიფო ორგანოებს და არც მოპასუხე მთავრობას სტრასბურგის სასამართლოს წინაშე არ წარმოუდგენიათ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ბედი ეწიათ ინდივიდუალურად მომჩივანთა ოჯახის წევრებს, რომლებიც ოპერაციის მიმდინარეობის დროს გარ-

დაიცვალნენ. ეროვნულ დონეზე ჩატარდა ამ ყველაფრის არაეფექტიანი გამოძიება.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის პირველი და მეორე პუნქტების დარღვევა და სახელმწიფოს დაავალა მორალური ზიანის ანაზღაურების სახით, პირველ და მეორე მომჩივნებს ერთობლივად გადაეხადა 40 000 (ორმოცი ათასი) ევრო, ხოლო მესამე მომჩივანს - 32 000 (ოცდათორმეტი ათასი) ევრო. მოთხოვნა მატერიალური ზიანის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

58. „ამირან ქადაგიშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ - გადანაცვეტილება მიღებულია 2020 წლის 14 მაისი.

2006 წელს სამივე მომჩივანს (ამირან ქადაგიშვილს, მის მეუღლეს ნანა ქადაგიშვილს და შვილს - არჩილ ქადაგიშვილს) მსჯავრი დაედო ფინანსური დანაშაულების, მათ შორის ფულის გათეთრებისთვის. დანაშაულების ჩადენა უკავშირდებოდა პირველი მომჩივნის მიერ დაფუძნებული „გამაბანკის“ საქმიანობას. ეროვნულმა სასამართლოებმა მათ სხვადასხვა ვადით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. მომჩივნები დავობდნენ, რომ თაღლითობისა და ფულის გათეთრების საფუძვლით მათ წინააღმდეგ განხორციელებული სამართალწარმოება არ იყო სამართლიანი. ისინი ასევე აცხადებდნენ, რომ პირველი და მესამე მომჩივნები სასჯელალსრულების დაწესებულებაში არასათანადო პირობებში იმყოფებოდნენ. 2004 წლის ივლისში, პირველი და მესამე მომჩივანი დააკავეს ფინანსური დანაშაულების ბრალდებით, მათ შორის ფულის გათეთრებისთვის. 2004 წლის სექტემბერში მეორე მომჩივანიც დააკავეს. აღნიშნული საქმე გააშუქა ტელეკომპანია რუსთავი 2-მა, სადაც ერთ-ერთ ინტერვიუში გამომძიებელი აცხადებდა, რომ გამაბანკის საშუალებით გადარიცხული იყო 10 მილიარდი ევრო. მომჩივანთა წინააღმდეგ სამართალწარმოება დაიწყო 2005 წელს და დასრულდა 2006 წლის აპრილში, მომჩივნების დამნაშავედ ცნობით. სასამართლომ ისინი

დამნაშავეებად ცნო ჯგუფურად ფულის გათეთრებასა და სხვა არაკანონიერ ქმედებებში, რომლებშიც ასევე მონაწილეობდნენ გამაბანკის თანამშრომლები. პირველ და მესამე მომჩივანს სასჯელის სახედ თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა, ხოლო მეორე მომჩივანს პირობითი მსჯავრი შეეფარდა. დაკითხული იქნა გამაბანკის თექვსმეტი თანამშრომელი, მათ შორის ათს საპროცესო შეთანხმება გაუფორმდა იმავე ფინანსურ დანაშაულებზე. გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლო დაეყრდნო სხვადასხვა მტკიცებულებას, როგორებიცაა ფინანსური და სხვა დოკუმენტები და შესაბამის დოკუმენტებთან მიმართებით ექსპერტიზის შედეგები. სააპელაციო სასამართლოს წინაშე მომჩივნები დავობდნენ, რომ პირველი ინსტანციის სასამართლო დაეყრდნო იმ მოწმეთა ჩვენებებს, რომლებმაც საპროცესო შეთანხმება გააფორმეს.

ევროპულ სასამართლოში სამივე მომჩივანი დავობდა, რომ მათ საქმეზე დარღვეულ იქნა კონვენციის მე-6 მუხლი. კერძოდ, რომ მათ წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოებები იყო უკანონო. მომჩივნები ეყრდნობოდნენ კონვენციის მე-6 მუხლის პირველ, მე-2 და მე-3 (d) პარაგრაფებს. პირველი მომჩივანი ასევე დავობდა კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 (b)-(c) პარაგრაფების საფუძველზე, რომ მას არ გააჩნდა სათანადო საშუალებები თავის დასაცავად იმის გამო, რომ იგი სააპელაციო სასამართლო პროცესზე გისოსებს მიღმა იყო, ხოლო მოგვიანებით სააპელაციო ეტაპზე იგი გააძევეს სასამართლო დარბაზიდან. სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავს, რომ უმთავრესად მომჩივნებმა გაასაჩივრეს ის ფაქტი, რომ ეროვნული სასამართლოები დაეყრდნენ სასამართლო პროცესზე მათ წინააღმდეგ მიცემულ იმ მოწმეთა ჩვენებებს, რომლებმაც პროკურატურასთან საპროცესო შეთანხმებები გააფორმეს. მომჩივნები დავობდნენ, რომ საპროცესო შეთანხმება გაფორმდა ეროვნული კანონმდებლობის დარღვევით, იყო პრეიუდიციული მნიშვნელობის მქონე

და ზოგიერთმა მოწმემ, როგორც ჩანდა, არასწორად გაიგო, თუ რას გულისხმობდა საპროცესო შეთანხმების პროცედურა. გარდა ამისა, მომჩივანთა განცხადებით, ზოგიერთი მოწმე არ ყოფილა იზოლირებული სასამართლო პროცესის დროს და სასამართლო პროცესზე დასწრებას მათზე შესაძლოა გავლენა მოეხდინა. რაც შეეხება საპროცესო შეთანხმების პროცედურის გამოყენებას, სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავს, რომ საპროცესო შეთანხმება ევროპული სისხლის სამართლის სისტემებისთვის დამახასიათებელია და სწორად გამოყენების შემთხვევაში შეიძლება წარმოადგენდეს კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიან საშუალებას. რაც შეეხება მომჩივანთა არგუმენტს, რომ საპროცესო შეთანხმების გაფორმებისად ზოგიერთმა პირმა არ იცოდა მათი ქმედებების სამართლებრივი კლასიფიკაცია, სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ კანონის ასეთი უგულვებელყოფა, თუნდაც ეს სინამდვილეს შეესაბამებოდეს, საპროცესო შეთანხმებებსა და მათ შემდგომ ჩვენებებს საეჭვოს არ ხდის. კერძოდ, სტრასბურგის სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ ზემოხსენებული ათი პირიდან თითოეულმა სასამართლოს მისცა ჩვენება მომჩივანთა საქმეზე, ხოლო ამ უკანასკნელთ მათი ჯვარედინი დაკითხვის შესაძლებლობა ჰქონდათ. მოწმეთა უმრავლესობამ განმეორებით დაადასტურეს საკუთარი ჩვენებები და დეტალურად და თანმიმდევრულად განმარტეს საკუთარი როლი იმ დანაშაულებში, რომლებზეც მომჩივნებს ბრალი წაუყენეს.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნების შესაბამისი საჩივრები ეროვნულმა სასამართლოებმა სათანადოდ განიხილეს. სასამართლომ აღნიშნა, რომ როდესაც ეროვნული სასამართლო ხელისუფლება უპირისპირდება ერთი და იმავე პირის მიერ შემოთავაზებულ მოვლენათა განვითარების სხვადასხვა საპირისპირო ვერსიას, თუ ისინი საბოლოოდ უპირატესობას მიანიჭებენ საგამოძიებო ორგანოებში და არა სასამართლოში გა-

კეთებულ განცხადებებს, ეს თავისთავად არ წარმოშობს კონვენციის მიხედვით განსახილველ საკითხს, თუ უპირატესობა არის დასაბუთებული და ჩვენება მიცემულ იქნა ნებაყოფლობით. დამატებით, სტრასბურგის სასამართლო განსაკუთრებით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ სადავო მოწმე, მას შემდეგ, რაც მან უარი თქვა თავდაპირველ ჩვენებაზე, მომჩივანთა თანდასწრებით ხელახლა დაიკითხა პირველი ინსტანციის სასამართლოში და მომჩივნებს მიეცათ მისთვის შეკითხვის დასმის შესაძლებლობა. სტრასბურგის სასამართლო იმეორებს, რომ მომჩივანთა მსჯავრი ეფუძნებოდა სხვადასხვა მტკიცებულებათა ერთობლიობას. მომჩივნებს საშუალება ჰქონდათ ესარგებლათ შეჭიბვებითობის პრინციპზე დაფუძნებული სამართალწარმოებით. სტრასბურგის სასამართლო მიიჩნევს, რომ პირველი მომჩივნის სასამართლო დარბაზიდან გაძევება და ის, რომ მან ვერ შეძლო პირადად წარმოეთქვა დასკვნითი სიტყვა, არ წარმოადგენს კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევას. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სტრასბურგის სასამართლო ასკვნის, რომ წინამდებარე საქმის გარემოებების გათვალისწინებით სამართალწარმოების სამართლიანობა მთლიანობაში არ დარღვეულა. შესაბამისად, სამ მომჩივანთან მიმართებით არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი და მე-3 (b)-(d) პარაგრაფები.

ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა: კონვენციის მე-6 მუხლი არ დარღვეულა. მომჩივნები ერთობლივად ითხოვდნენ 8,89,648,62 (რვა მილიონ ოთხმოცდაცხრა ათას ექვსას ორმოცდარვა) ევროს მატერიალური და არამატერიალური ზიანის ანაზღაურების მიზნით. სასამართლომ, ერთი მხრივ, ვერ დაადგინა მიზეზობრივი კავშირი დადგენილ დარღვევასა და მატერიალურ ზიანს შორის, შესაბამისად, აღნიშნული მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. მეორე მხრივ, აღნიშნა, რომ პირველი და მესამე მომჩივანი დადგენილი დარღვევების შედეგად აუცილებლად განიცდიდნენ მორალურ ზიანს. ამდენად, სასამართლომ, სამართლიან სა-

ფუძვლებზე დაყრდნობით, პირველ და მესამე მომჩივანს თითოეულს არამატერიალური ზიანის ანაზღაურების მიზნით მიაკუთვნა 12000 (თორმეტი ათასი) ევრო.

59. „მარინა ანთია და ნანა ხუფენია საქართველოს წინააღმდეგ“ - გადაწყვეტილება მიღებულია 2020 წლის 18 ივნისს.

2006 წლის ოქტომბერში მომჩივნებს ბრალი წაუყენეს სამსახურებრივ გულგრილობაში, რაც დაკავშირებული იყო 1995-2004 წლებში სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში ინსპექტორის პოზიციაზე მათ მუშაობასთან. მომჩივნები პასუხისმგებლები იყვნენ იმ პენსიის მიძღვრვაში ვინაობის დადგენაზე, რომლებიც იმავდროულად ანაზღაურებად სამუშაოზე იყვნენ დასაქმებული. ამგვარი შემთხვევების გამოვლენის შემდეგ მომჩივნებს ევალებოდათ უკანონოდ მიღებული პენსიის დაბრუნების უზრუნველყოფა და თანხების ფონდის საბანკო ანგარიშზე განთავსება. საქმის მასალების თანახმად, 1995-2004 წლებში აღმოჩნდა, რომ რამდენიმე დასაქმებული ადამიანი იმავდროულად ფონდისგან პენსიის სახით უკანონოდ იღებდა სოციალურ სარგებელს. ამრიგად, სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე ფონდის რამდენიმე თანამშრომლის, მათ შორის მომჩივანთა, წინააღმდეგ გამოძიება დაიწყო. 2008 წელს ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ მომჩივნები დამნაშავედ ცნო და თითოეულ მათგანს 500 ლარის ოდენობით ჯარიმა დააკისრა. სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ უზენაესმა სასამართლომ მომჩივნები გაათავისუფლა სასჯელის მოხდისგან და შესაბამის დანაშაულთან დაკავშირებით ნასამართლობის არმქონე პირებად მიიჩნია, ზიანის ანაზღაურების თაობაზე სოციალური მომსახურების სააგენტოს წინააღმდეგ სამართალწარმოებაში, ეროვნული სასამართლოები, ქვედა ინსტანციები და მათ შორის უზენაესი სასამართლოც, მომჩივნებს ისე ექცეოდნენ, როგორც სამართალწარმოების ფარგლებში მსჯავრდებულებს. ზემოხსენებული დასკვნები

საკმარისია სასამართლოსთვის, რათა დაადგინოს კონვენციის მე-7 მუხლის დარღვევა, სისხლის სამართლის კოდექსის 342-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულის სუბიექტებთან დაკავშირებით მომჩივნების საჩივრის მეორე ნაწილის განხილვის გარეშე. ამრიგად, წინამდებარე საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, დაირღვა კონვენციის მე-7 მუხლი. კონვენციის 41-ე მუხლი ადგენს: „თუ სასამართლო დაასკვნის, რომ დაირღვა კონვენციით ან მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლება, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდა სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.“ სამსახურის დაკარგვის საფუძველზე, თითოეული მომჩივანი მატერიალური ზიანის ანაზღაურების მიზნით მოითხოვდა 3571 (სამი ათას ხუთას სამოცდათერთმეტ) ევროს, ხოლო არამატერიალურ ზიანთან მიმართებით - 3968 (სამი ათას ცხრაას სამოცდარვა) ევროს.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მის წინაშე წარდგენილი ინფორმაციის გათვალისწინებით, ვერ დგინდებოდა მიზეზობრივი კავშირი დადგენილ დარღვევასა და მატერიალურ ზიანს შორის. შესაბამისად, სასამართლო ამ მოთხოვნას არ აკმაყოფილებს. რაც შეეხება არამატერიალურ ზიანს, საქმის გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ კონვენციის მე-7 მუხლის დარღვევა წარმოადგენს საკმარის სამართლიან დაკმაყოფილებას მომჩივნების მიერ განცდილ არამატერიალურ ზიანთან მიმართებით.

60. „ადდლომელაშვილი და ჯაფარიძე საქართველოს წინააღმდეგ“- გადაწყვეტილება მიღებულია 2020 წლის 8 ოქტომბერს.

2009 წელს ლგბტ თემის მხარდამჭერი არასამთავრობო ორგანიზაციის ოფისის ჩხრეკის დროს პოლიციელთა მხრიდან ადგილი ჰქონდა ძალადობრივ ქმედებებს, რაც

მოტივირებული იყო ჰომოფობიური და/ან ტრანსფობიური სიძულვილით: ორივე მომჩივანი მუშაობდა ლესბოსელ, ჰომოსექსუალ, ბისექსუალ და ტრანსგენდერ (ლგბტ) პირთა მხარდამჭერ არასამთავრობო ორგანიზაციაში - ფონდ ინკლუზივში (IF). სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული პოლიციის თანამშრომლები შევიდნენ ორგანიზაციის ოფისში და მომჩივანთა და სხვა პირთა თანდასწრებით ჩაატარეს ჩხრეკა. მას შემდეგ, რაც პოლიციის თანამშრომლებმა შეიტყვეს არასამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობის სფერო, ისინი გახდნენ აგრესიულები და გამოავლინეს ჰომოფობიური განწყობა. პოლიციის თანამშრომელთა ქცევის გათვალისწინებით, სასამართლომ დაადგინა, რომ პოლიციის თანამშრომელთა გასაჩივრებული ქმედებები აღწევდა სისასტიკის მინიმალურ ზღვარს, შესაბამისად ის ექცეოდა მე-3 მუხლის მოქმედების ფარგლებში მე-14 მუხლთან ერთობლიობაში; და პოლიციელთა ქმედებებს საფუძვლად ედო ჰომოფობიური და ტრანსფობიური სიძულვილი. პოლიციელებმა, სიძულვილის ენის გამოყენებით, მიზანმიმართულად დაამცირეს მომჩივნები და მათი კოლეგები. კერძოდ, ოფისში მყოფი პირების გასაგონად, ისინი მათ შეურაცხყოფას აყენებდნენ შემდეგი სიტყვების გამოყენებით: „ავადმყოფები“, „გარყვნილები“, „ლესბოსელები“. გარდა ამისა, გარკვეულ პოლიციელთა ქმედებები შეიცავდა მუქარის ელემენტებს. პოლიციის თანამშრომლები ცუდად ეპყრობოდნენ ფონდ ინკლუზივის ოფისში შეკრებილ ადამიანებს, მათ შორის ორ მომჩივანს, რომლებიც ლგბტ თემს მიეკუთვნებოდნენ და იმ დროს ქვეყანაში თავს დაუცველად გრძნობდნენ, ვინაიდან პოლიციელები მათ ემუქრებოდნენ, რომ საზოგადოებას შეატყობინებდნენ მათი სექსუალური ორიენტაციის შესახებ და ასევე ამბობდნენ, რომ მათ წინააღმდეგ ფიზიკური ძალადობის გამოყენების ზღვარზე იყვნენ. ფიზიკური ძალადობის მუქარას მოჰყვა ერთ-ერთი პოლიციელის ნათქვამი, რომ მას სურდა ამ ადგილის დანვა, ამასთანავე მეორე პოლიციელმა პირველ მომჩივანს იძულებით ჩამოართვა მობილური ტელეფონი. მომჩივნები და ზოგიერთი მათი

კოლეგა საპირფარეშოში გააშიშვლეს და ისე გაჩხრიკეს. ამ საგამოძიებო მოქმედების გამოყენების შესახებ ოქმი ან რაიმე დოკუმენტი არ შედგენილა; პოლიციელებს მომჩივნებისთვის არ უთქვამთ ამ ფორმით ჩხრეკის ჩატარების საფუძვლები და ამ მიზეზების შესახებ არც მთავრობას წარმოუდგენია რაიმე ინფორმაცია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ დაასკვნა, რომ ზემოხსენებულ ჩხრეკას არ ჰქონდა საგამოძიებო ღირებულება და მისი ერთადერთი მიზანი მომჩივანთა და სხვა ქალების შერცხვენა და დასჯა იყო, ლგბტ თემთან მათი ასოცირების გამო; ჩხრეკის ჩატარების დროს ქალი პოლიციელების მიერ გაკეთებული ჰომოფობიური განცხადებები შეიძლება მისი რეალური მიზნის დამატებით მტკიცებულებად იქნეს მიჩნეული. საბოლოო ჯამში, ფონდ ინკლუზივის ოფისში ჩხრეკის დროს პოლიციელთა არასათანადო ქმედებები მოტივირებული იყო ჰომოფობიური და/ან ტრანსფობიური სიძულვილით და მომჩივნებში აუცილებლად გამოიწვევდა ტანჯვას, შიშისა და დაუცველობის განცდას, რაც არ შეესაბამებოდა ადამიანის ღირსების პატივისცემას.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული ნაწილის დარღვევა მე-14 მუხლთან ერთობლიობაში, ვინაიდან მოპასუხე სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო, ეფექტიანი საგამოძიებო ჩატარება, დისკრიმინაციულ მოტივებზე მომჩივანთა არასათანადო მოპყრობის ფაქტზე. კონვენციის 41-ე მუხლის საფუძველზე, მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნით, სასამართლომ თითოეულ მომჩივანს მიაკუთვნა 2 000 (ორი ათასი) ევრო.

61. „ორესტ ბოხონკო საქართველოს წინააღმდეგ“

- გადაწყვეტილება მიღებულია 2020 წლის 22 ოქტომბერს.

უკრაინის მოქალაქე ორესტ ბოხონკოს ნარკოდანაშაულის გამო შეფარდებული აქვს თავისუფლების აღკვეთა 23 წლის ვადით. მომჩივნის მტკიცებით, დაკავების დროს მის მიმართ პოლიციელთა მხრიდან ადგილი ჰქონდა

არასათანადო მოპყრობას, კერძოდ იგი გაშიშვლებულ მდგომარეობაში განხრიკეს და ასევე შეუმონმეს უკანა ტანი. მოვლენათა განვითარების ოფიციალური ვერსიის მიხედვით, ბოხოჩკო დააკავეს 2008 წლის 27 სექტემბერს თბილისის აეროპორტში მას შემდეგ, რაც პოლიციის ოპერატიული ინფორმაციის თანახმად მას ქვეყანაში უკანონო ნარკოტიკული საშუალებები გადაჰქონდა. ჩატარდა მომჩივნის სხეულის შემოწმება და მისი უკანა ტანიდან ამოღებულ იქნა ყვითელი ბალონი, რომელიც შეიცავდა დიდი ოდენობით ნარკოტიკულ საშუალება მეტადონს. იგი ამტკიცებდა, რომ სცემეს და აიძულეს, გაშიშვლებულიყო და გაეკეთებინა სხეულის აზიდვები, რასაც პოლიციელები მობილური ტელეფონებით იღებდნენ. მომჩივნის განცხადებით, პოლიციელებმა მას უკანა ტანი ორჯერ შეუმონმეს და მას შემდეგ, რაც მეორე შემოწმებისას გონების დაკარგვის შემდეგ გამოფხიზლდა, უთხრეს, რომ ნარკოტიკები აღმოუჩინეს. მომჩივანი დამნაშავედ იქნა ცნობილი 2009 წლის ივნისში. სასამართლოები ძირითადად დაეყრდნენ ჩხრეკის შედეგად ამოღებულ ნარკოტიკებს, სამი პოლიციელისა და ჩხრეკის დროს იქ მყოფი თარჯიმნის ჩვენებებს. მათ დაადასტურეს გამოძიებისთვის მიცემული ჩვენებები, რომლის მიხედვითაც უარყოფდნენ მომჩივნის არასათანადო მოპყრობის ფაქტს და აცხადებდნენ, რომ პოლიციამ ნარკოტიკული ნივთიერება მომჩივნის მიერ აზიდვების შესრულების დროს აღმოაჩინა. ეროვნულმა სასამართლოებმა მომჩივნის საჩივრები არასათანადო მოპყრობისა და პროცედურული დარღვევების თაობაზე არ დააკმაყოფილეს, როგორც აშკარად დაუსაბუთებელი. პროკურატურამ არ დააკმაყოფილა მომჩივნის მოთხოვნა პოლიციელთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების შესახებ. პროკურატურის მიერ 2013 წელს დაწყებული გამოძიება უფლებამოსილების გადამეტების შესახებ 2020 წელს ისევ მიმდინარეობდა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე, კონვენციის მე-3 მუხლზე დაყრდნობით, მომჩივანი ასაჩივრებდა პო-

ლიციის მიერ მისი დაკავებისა და ჩხრეკის ფორმას; აგრეთვე ხელისუფლების ორგანოების უარს, გამოეძიებინათ ზემოხსენებული ჩხრეკის გარემოებები. კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პუნქტსა და მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტზე დაყრდნობით მომჩივანი დავობდა, რომ მის წინააღმდეგ სამართალწარმოება არასამართლიანი იყო, ვინაიდან ეროვნულმა სასამართლოებმა გამოიყენეს მტკიცებულებები, რომლებიც მოპოვებულ იქნა არასათანადო მოპყრობის შედეგად; მომჩივანი აგრეთვე აცხადებდა, რომ ჩხრეკის დროს აღმოჩენილი ნარკოტიკები მას არ ეკუთვნოდა და მისი მსჯავრდება ეფუძნებოდა პოლიციის მიერ მისთვის „ჩადებულ“ მტკიცებულებას. გარდა ამისა, მომჩივანი დავობდა, რომ მისთვის უზრუნველყოფილი არ იყო ადეკვატური თარჯიმნის მომსახურება.

სტრასბურგის სასამართლო აღნიშნავს, რომ მართალია ეროვნულმა სასამართლოებმა დაასკვნეს, რომ არსებული სამედიცინო მტკიცებულებები არ ადასტურებს მომჩივნის ბრალდებებს ძალადობის შესახებ, მათ უბრალოდ არ გაითვალისწინეს ის ფაქტი, რომ მომჩივნის მიერ მინიმუმ ორი მოთხოვნა სათანადო სამედიცინო შემოწმების შესახებ უარყოფილი იქნა შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მიერ. ასევე, ეროვნული სასამართლოები ყურადღებას ამახვილებდნენ მომჩივნის სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფიზიკურ ასპექტზე და არ ითვალისწინებდნენ ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას, რომელიც სავარაუდო მოპყრობის შედეგად შეიძლებოდა დამდგარიყო. გარდა ამისა, ეროვნულმა სასამართლოებმა არცერთ მომენტში არ განიხილეს, იყო თუ არა სხეულის შემოწმება გამოყენებული როგორც უკიდურესი საშუალება, ჩატარდა თუ არა იგი მომზადებული კადრების მიერ და მომჩივნის პირადი ცხოვრებისა და ღირსების დაცვის გათვალისწინებით. ამასთან, ეს ელემენტები იყო გადამწყვეტი მნიშვნელობის, მომჩივნის მიმართ მოპყრობის მე-3 მუხლთან შესაბამისობის შეფასებისას. ეროვნულმა სასამართლოებმა არ განიხილეს წინასასამართლო და სასამართლო მტკიცებულებ-

ბების შეუსაბამობები. საკმაოდ ფორმალურ განცხადებაში დასკვნის გაკეთებით, რომ მომჩივანმა ვერ დაადასტურა თავისი ბრალდებები დამამცირებელი და ღირსების შემლახავი ჩხრეკის თაობაზე, ეროვნულმა სასამართლოებმა მტკიცების ტვირთი მთლიანად მას დააკისრეს. შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლო ადგენს, რომ მომჩივნის წინააღმდეგ სისხლის სამართლის სასამართლო პროცესის დროს განვითარებული მოვლენები ვერ შეცვლის მის დასკვნას მომჩივნის საჩივართან მიმართებით, მე-3 მუხლის საფუძველზე ეფექტური გამოძიების ნაკლებობასთან დაკავშირებით.

ევროპული სასამართლო, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ადგენს, რომ ხელისუფლებამ არ შეასრულა საკუთარი ვალდებულება გამოეძიებინა მომჩივნის ბრალდებები არასათანადო მოპყრობასთან მიმართებით, სხეულის შემოწმების ჩატარების მეთოდთან დაკავშირებით. შესაბამისად, სასამართლო ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული ნაწილი.

ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ უზრუნველყვეს მოსარჩელის არგუმენტების სათანადოდ შეფასება. მართალია, მომჩივნის არგუმენტები დამაბნეველი იყო, ვინაიდან გაურკვეველია, ის ამტკიცებდა იმას, რომ მტკიცებულება უკანა ტანის შემოწმების ე. ი. არასათანადო მოპყრობის შედეგად იყო მოპოვებული თუ დავობდა, რომ პოლიციამ მას ნარკოტიკული ნივთიერება „ჩაუდო“. სასამართლო აღნიშნავს, რომ მხარეებს შორის სადავო არ ყოფილა, რომ მომჩივანი გაჩხრიკეს გაშიშვლებულ მდგომარეობაში. ამასთანავე, პროკურატურის პოზიცია სამართალწარმოების დროს იმგვარი იყო, რომ ნარკოტიკული საშუალებები ამოღებულ იქნა ჩხრეკის დროს, მომჩივნის უკანა ტანიდან. აქედან გამომდინარე, ეროვნულ სასამართლოებს დეტალურად უნდა განეხილა სულ მცირე მომჩივნის ორი არგუმენტიდან ერთ-ერთი მაინც, კერძოდ, რომ მოპოვებული მტკიცებულება არასათანადო მოპყრობის შედეგად იქნა მოპოვებული და ამრიგად დაუშვებელი იყო. ეროვნულმა

სასამართლოებმა, როდესაც სათანადოდ არ განიხილეს ჩხრეკისა და უკანა ტანის შემოწმების ფორმასთან დაკავშირებული ბრალდებები, ვერ უზრუნველყვეს მომჩივნის მთავარი არგუმენტის ადეკვატური განხილვა, რომელიც ეხებოდა მტკიცებულებების გამოყენების უკანონობას. შესაბამისად, ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ შეაფასეს მტკიცებულებათა ხარისხი და აგრეთვე მათი მოპოვების გარემოებები, წარმოშობდა თუ არა ეჭვებს მტკიცებულებათა სანდოობასა და სარწმუნოობასთან დაკავშირებით.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მომჩივნის წინააღმდეგ მთავარი მტკიცებულების მოპოვების ფორმა შეიძლებოდა იმგვარი ყოფილიყო, რომ გამოეწვია ეჭვი აღნიშნული მტკიცებულების სანდოობასა და სარწმუნოობასთან დაკავშირებით. ამ მტკიცებულების მნიშვნელობის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ ჩხრეკის ფორმასთან დაკავშირებით სასამართლო განხილვის არა-ადეკვატურობა, რაც გამოიხატა ეროვნული სასამართლოების მიერ არასათანადო მოპყრობის შესახებ მომჩივნის განცხადებების არაადეკვატურ განხილვაში, გამამყარებელი მტკიცებულებების სისუსტესთან ერთად, მომჩივნის სამართალწარმოებას არასამართლიანად აქცევდა. შესაბამისად, მოცემულ საქმეში დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი. მომჩივანს, მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნით, სასამართლომ 10000 (ათი ათასი) ევრო მიაკუთვნა. გარდა ამისა, სასამართლომ აღნიშნა, რომ ეროვნული სამართალწარმოების არასამართლიანობის გამო კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის შემთხვევაში, ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებდა საქმის ხელახლა განხილვის მოთხოვნის წარდგენის შესაძლებლობას.

62. „ციცინო შავაძე საქართველოს წინააღმდეგ“ -

გადაწყვეტილება მიღებულია 2020 წლის 9 ნოემბერს.

2008 წლის აგვისტოში საქართველოსა და რუსეთის სამხედრო ძალებს შორის ხუთდღიანი ომის ფონზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს უსაფრთხოების ძალებმა მომ-

ჩივნის მეუღლე როინ შავაძე დააკავეს ბათუმის ქუჩებში. მოგვიანებით, თვითმხილველებმა განაცხადეს, რომ იგი სამართალდამცველებმა სასტიკად სცემეს და დაუძახეს „ქვეყნის მოღალატე“, რის შემდეგაც ფურგონით წაიყვანეს. მოვლენათა ოფიციალური ვერსიის თანახმად, სამართალდამცველებმა როინ შავაძე დააკავეს ნარკოტიკულ დანაშაულთან დაკავშირებით. ბათუმიდან თბილისში გადაყვანის დროს, მან გაქცევა სცადა, რა დროსაც სასიკვდილოდ დაშავდა თანმხლები ოფიცრების მიერ.

მომჩივანი დავობდა, რომ მისი მეუღლე გარდაიცვალა სასტიკი არასათანადო მოპყრობის შედეგად, აცხადებდა, რომ მის სხეულზე აშკარა წამების ნიშნები აღინიშნებოდა. მან წარმოადგინა ვიდეო - მეუღლის სხეულის კადრები მრავლობითი დაზიანებებით, მათ შორის ღრმა ჭრილობებით და თითების მოტეხილობებით. შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაუყოვნებლივ დაიწყო სისხლის სამართლის წინასწარი გამოძიება როინ შავაძის გარდაცვალების ფაქტთან დაკავშირებით. მომდევნო დღეებში, მან გაატარა ყველა წინასაგამოძიებო ღონისძიება მანამ, სანამ გამოძიება გადასცა პროკურატურას. ამის შემდეგ გამოძიებას საქმეზე არანაირი დასკვნა არ გაუკეთებია და იგი დღემდე მიმდინარეობს. მომჩივანი არაერთხელ დავობდა იმის შესახებ, რომ სამართალწარმოების დროს არ მიენიჭა დაზარალებულის სტატუსი ასევე, არ ჰქონია არც საქმის მასალებზე და არც გვამის გაკვეთის დასკვნაზე წვდომის უფლება.

კონვენციის მე-2 მუხლზე დაყრდნობით (სიცოცხლის უფლება), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე ქ-ნი შავაძე დავობდა, რომ სამართალდამცავებმა მისი მეუღლე აწამეს და სიკვდილამდე მიიყვანეს. ის ასევე აცხადებდა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით გამოძიება არაეფექტიანი იყო.

სტრასბურგის სასამართლომ არაერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ როდესაც პირს ჯანმრთელ მდგომარეობაში დააკავებენ და ის გარდაიცვლება სამართალდამცავი ორ-

განოების ხელში, ხელისუფლებისთვის დაკისრებული ვალდებულება, წარმოადგინონ ახსნა-განმარტება მომჩივნის მოპყრობის თაობაზე, განსაკუთრებით მკაცრია. მტკიცებულებების შეფასების დროს, სტრასბურგის სასამართლო ზოგადად იყენებს „გონივრულ ეჭვს მიღმა“ მტკიცებით სტანდარტს. თუმცა, ასეთი მტკიცებულება შესაძლოა გამომდინარეობდეს „დასკვნებიდან ან ფაქტის გაუქარწყლებელი პრეზუმფციიდან. როდესაც შესაბამისი მოვლენები, მთლიანად ან უმეტესწილად, ექსკლუზიურად არის ცნობილი ხელისუფლების ორგანოებისთვის, ისევე, როგორც მათი ზედამხედველობის ქვეშ პატიმრობაში მყოფი პირების შემთხვევაში, ფაქტების ძლიერი პრეზუმფცია მოქმედებს იმ დაზიანებებთან დაკავშირებით, რომლებიც მიღებული იქნება პატიმრობისას“. ნამდვილად, ასეთ შემთხვევებში მტკიცების ტვირთი აწევს ხელისუფლების ორგანოებს და გულისხმობს მათი მხრიდან დამაკმაყოფილებელი და დამაჯერებელი ახსნა-განმარტებების წარმოდგენას.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივნის მეუღლე გარდაიცვალა 2008 წლის 16 აგვისტოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების ხელში. თუმცა, პირველი საგამოძიებო ღონისძიებები, გარდაცვალებიდან დაუყოვნებლივ, ჩატარდა არა პროკურატურის, არამედ იმავე ხელისუფლების ორგანოს - შინაგან საქმეთა სამინისტროს გამოძიებლების მიერ, რაც ეწინააღმდეგებოდა ეროვნულ კანონმდებლობას. მიუხედავად იმისა, რომ მოგვიანებით პროკურატურა ჩაუდგა სათავეში გამოძიებას, პროკურორები ეყრდნობოდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ შეგროვებულ მტკიცებულებას, რაც მთავრობამაც აღიარა. ამდენად, სტრასბურგის სასამართლო მიიჩნევს, რომ უპირველესი და ყველაზე გადამწყვეტი საგამოძიებო ნაბიჯები გადადგა შინაგან საქმეთა სამინისტრომ, რაც გარდა იმისა, რომ წარმოადგენდა ეროვნული პროცედურული კანონმდებლობიდან გადახვევას, აგრეთვე აშკარად ეწინააღმდეგებოდა კონვენციის მე-2 მუხლით დადგენილ მიუკერძოებლობისა და დამოუკიდებლობის მოთხოვნებს.

რაც შეეხება გამოძიების მიმდინარეობას, მას შემდეგ რაც 2008 წლის 18 აგვისტოს ის გადაიბარა პროკურატურის რეგიონულმა ოფისმა, სტრასბურგის სასამართლო განსაკუთრებით შეშფოთებულია ამ უკანასკნელი ხელისუფლების ამოუხსნელი, დაუწინებელი და, შესაბამისად, შესაძლოა განზრახი უარით, ჩაერთო მომჩივანი საქმეში, რათა მას სრულად ესარგებლა დაზარალებული მხარის სტატუსით. ამ სტატუსის არქონის გამო, მომჩივანს არ შეეძლო რაიმე სახის პროცედურული უფლებით სარგებლობა. მას არ შეეძლო მოეპოვებინა ინფორმაცია გამოძიების თაობაზე და არ ჰქონდა უფლება, გაცნობოდა გვამის გაკვეთის ექსპერტიზის დასკვნას.

სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ, საქმის მასალების თანახმად, მომჩივნის მეუღლის მკვლელობასთან დაკავშირებულ გამოძიებას, რომელიც 2008 წლის 16 აგვისტოს დაიწყო, ამ დრომდე არ გაუკეთებია რაიმე შემაჯამებელი დასკვნა. ამგვარი დაყოვნება მიუთითებს ეროვნული ორგანოების მარცხზე, შეასრულონ გამოძიების დროულობისა და გონივრულობის მოთხოვნები. სასამართლომ ვერ დაადგინა, რაიმე კონკრეტული მიზეზი, ეროვნულ დონეზე გამოძიების გაჭიანურებისათვის. სათანადო გულმოდგინების ნაკლებობა, რაც სასამართლოს მოსაზრებით განზრახ გაჭიანურებას გავდა, კიდევ ერთი მაჩვენებელია იმისა, რომ სისხლის სამართლის საქმის განხილვა არ იყო მკაცრი და მომჩივანს ართმევდა შესაძლებლობას, მოეპოვებინა ზიანის ანაზღაურება. ამასთან დაკავშირებით სასამართლო იმეორებს, რომ დაგვიანებული მართლმსაჯულება ხშირად მართლმსაჯულების განხორციელებაზე უარს უდრის, ვინაიდან უმოქმედობის უმიზეზო პერიოდების არსებობა და ხელისუფლების მხრიდან გულმოდგინების ნაკლებობა გამოძიებას არაეფექტიანად აქცევს, მისი საბოლოო შედეგის მიუხედავად.

ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივნის ქმრის გარდაცვალების ფაქტზე სისხლის სამართლის გამოძიება არაეფექტიანი იყო და ეწინააღმდეგებოდა კონ-

ვენციის მე-2 მუხლიდან გამომდინარე სახელმწიფოს პროცედურულ ვალდებულებებს. სასამართლომ დაადგინა, რომ მთავრობამ ვერ მოახერხა, წარმოედგინა ახსნა-განმარტება მომჩივნის მეუღლის გარდაცვალების გარემოებებთან დაკავშირებით დ ამისი სიკვდილის გამო მოპასუხე სახელმწიფოს პასუხისმგებლობა სახეზეა. სასამართლოს მტკიცებით, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-2 მუხლის, როგორც არსებითი, ასევე პროცედურული ნაწილის დარღვევას და მომჩივანს არამატერიალური ზიანის ანაზღაურების მიზნით 40000 (ორმოცი ათასი) ევრო მიაკუთვნა.

63. „გოჩა კეკელიძე საქართველოს წინააღმდეგ“

- ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება მიღებულია 2019 წლის 17 იანვარს.

საქმე ეხება 2008 წლის 2 სექტემბერს მომჩივნის, გოჩა კეკელიძის დაკავებისას პოლიციელთა მხრიდან არასათანადო მოპყრობასა და შემდგომში ამ ფაქტზე ეფექტიანი გამოძიების ჩაუტარებლობას.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, პოლიციელების მიერ ძალის გამოყენების გადამეტების შედეგად მომჩივანმა მიიღო დაზიანებები, რაც უტოლდებოდა არაადამიანურ მოპყრობას. ფაქტზე არ ჩატარებულა სრულყოფილი, ადეკვატური და ეფექტიანი გამოძიება. ზემოაღნიშნული მიზეზების გამო სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა მე-3 მუხლის (წამების აკრძალვა) არსებითი და პროცედურული ნაწილების დარღვევა.

64. „თეიმურაზ მიქელაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ - გადაწყვეტილება გამოქვეყნდა 2021 წლის 16 ნოემბერს.

2014 წლის 22 ოქტომბერს, სოფელ მოხეში ისტორიული მეჩეთის დემონტაჟს ადგილობრივი მუსლიმები აპროტესტებდნენ. სპონტანურად შეკრებილ მუსლიმ თემს პოლიცია დაუპირისპირდა, დააკავეს 14 ადამიანი და ზოგიერთი მათგანის წინააღმდეგ ძალა გამოიყენეს. დაკავებული 4 პირი აცხადებდა, რომ პოლიციამ მათ წინააღმდეგ

განსაკუთრებით სასტიკი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა განახორციელა. შეკრების ადგილზე დაკავებისას, ცემის გარდა, აღნიშნული პირები პოლიციის განყოფილებაში ფსიქოლოგიური და ღირსების შემლახავი მოპყრობის მსხვერპლები გახდნენ, ერთ-ერთი მათგანის მიმართ კი სასტიკი ფიზიკური ძალადობა განხორციელდა. აგრეთვე, საპოლიციო ღონისძიების ყველა ეტაპზე დაფიქსირდა შსს-ს თანამშრომლების მიერ რელიგიური ნიშნით სიძულვილის ენის გამოყენების ფაქტები.

მომჩივანები ამტკიცებდნენ, რომ ამ საქმეზე სახელმწიფომ დაარღვია ევროპული კონვენციის მე-3 და მე-14 მუხლები, რაც გულისხმობს წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დისკრიმინაციის აკრძალვას.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებლების არგუმენტები ეხება არა მხოლოდ უშუალოდ დაკავების პროცესს, არამედ პოლიციის განყოფილებაში ყოფნის პროცესსაც, როდესაც მათ წინააღმდეგ პოლიცია ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად ძალადობდა, მათ შორის ადგილი ჰქონდა რელიგიურად მოტივირებულ შეურაცხყოფებს, ასევე პირველი განმცხადებლის მიმართ სასტიკი ფიზიკური ძალადობის ფაქტს, რაც სხვა განმცხადებლების მიმართაც დამაშინებელ გარემოს ქმნიდა. სასამართლომ განმარტა, რომ კონვენციის მესამე მუხლი მოიცავს არა მხოლოდ ფიზიკურ, ასევე ფსიქოლოგიურ ტანჯვასაც და პირველი განმცხადებლის, თეიმურაზ მიქელაძის ნაწილში კონვენციის მე-3 მუხლის არსებითი დარღვევა დაადგინა. სასამართლომ თ. მიქელაძესთან მიმართებით მიიჩნია, რომ სახელმწიფომ ვერ განმარტა საიდან მომდინარეობდა ის ფიზიკური დაზიანებები, რაც წარმოდგენილ მტკიცებულებებში ჩანდა და ვერ დაამტკიცა, რომ მის წინააღმდეგ პოლიციას ძალა არ გამოუყენებია. აქედან გამომდინარე, სასამართლომ პირველ განმცხადებელთან მიმართებაში მესამე მუხლის არსებითი (მატერიალური)

დარღვევაც დაადგინა. თუმცა სასამართლომ მტკიცებულებები არ მიიჩნია საკმარისად რომ მე-3 მუხლის არსებითი ნაწილის დარღვევის შემთხვევაშიც დაედგინა დისკრიმინაციის ფაქტი პირველ აპლიკანტთან მიმართებაში

65. „ერმილე თორთლაძე საქართველოს წინააღმდეგ“ - გადაწყვეტილება მიღებულია 2021 წლის 18 მარტს.

მომჩივანი, ერმილე თორთლაძე, 1964 წელს დაბადებული საქართველოს მოქალაქეა და ის იყო საქართველოში კოტ დ'იუვარის საპატიო კონსული. 2005 წელს დააპატიმრეს კოტ დ'იუვარის საკონსულოს უსაფრთხოების სამსახურის ყოფილი უფროსი, რომელმაც დაკითხვისას მომჩივანი (კოტ-დ'იუვარის იმჟამინდელი საპატიო კონსული საქართველოში) დაასახელა, როგორც ნარკორეალიზატორი და დაადასტურა, რომ იმავე დღეს საკონსულოს შენობაში თორთლაძისგან თორმეტ-ნახევარი აბი სუბუტექსი შეიძინა. იმავე დღეს პოლიციამ საკონსულოში ჩხრეკა ჩაატარა. ჩხრეკის ორდერში არ იყო მითითებული, თუ რა ნივთები უნდა მოეძებნა პოლიციას და აგრეთვე, ის არ შეიცავდა არც რაიმე სხვა ინფორმაციას საგამოძიებო ღონისძიებასთან მიმართებით. ოქმის თანახმად, თორთლაძის სეიფიდან და მაგიდიდან ამოღებულ იქნა 227 აბი სუბუტექსი, შვიდი ამპულა მორფინის ჰიდროქლორიდი და იარაღის რამდენიმე ვაზნა. იმავე დღეს პოლიციამ მისი მანქანა და ბინა გაჩხრიკა. ბინიდან იარაღი და რამდენიმე ვაზნა ამოიღეს. მომჩივანი იმავე დღესვე დააკავეს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ კანონიერად ცნო ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებები. მომჩივანს ბრალი წარედგინა ნარკოტიკებსა და იარაღთან დაკავშირებული სხვადასხვა დანაშაულის გამო. 2006 წელს მომჩივანი დაძნელებულ იქნა ცნობილი და მას 18 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. თბილისის სააპელაციო სასამართლომ ეს ვადა 17 წლამდე შეამცირა. ხოლო უზენაესმა სასამართლომ საჩივარი დაუშვებლად ცნო.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე მომჩივანმა საჩივარი წარადგინა კონვენციის მე-3, მე-6 და მე-8 მუხლზე დაყრდნობით. ევროპულმა სასამართლომ მე-3 მუხლთან დაკავშირებული საჩივარი დაუშვებლად ცნო, ვინაიდან მომჩივანმა არ დაიცვა სასამართლოსათვის მიმართვისთვის დადგენილი 6-თვიანი ხანდაზმულობის ვადა.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მოცემულ საქმეში ჩხრეკა განხორციელდა მოსამართლის ბრძანების გარეშე, 2005 წლის 25 აგვისტოს შესაბამისი პოლიციის განყოფილების უფროსის ბრძანების საფუძველზე. აღნიშნული დოკუმენტი არ მიუთითებდა შესაბამის ფაქტებზე და არ იყო შედგენილი განსაზღვრული პირობებით. არ იყო მითითებული თუ რა ნივთები უნდა მოეძებნა პოლიციელებს, მაგალითად, ნარკოტიკული საშუალებები; არ იყო მოცემული ინფორმაცია მიმდინარე გამოძიებასა და საკონსულოს შენობას შორის შესაძლო კავშირზე. გარდა ამისა, ორდერი არ მიუთითებდა გადაუდებელ აუცილებლობაზე, რაც სასამართლოს ბრძანების გარეშე ჩხრეკის ჩატარებისთვის აუცილებელი იყო. სტრასბურგის სასამართლოს მოსაზრებით, წინამდებარე საქმეში მოსამართლის განჩინების (სასამართლოს წინასწარი ნებართვის) არარსებობა განსაკუთრებით პრობლემურია. აღსანიშნავია, რომ საგამოძიებო ორგანოები სათანადოდ მიიჩნევდნენ, გაერკვიათ საკონსულოს შენობის სტატუსი საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ჩხრეკის დღეს, ჩხრეკის ჩატარებამდე. თუმცა, იმავე პერიოდში, მათ, გაურკვეველი მიზეზებით, ვერ უზრუნველყვეს ჩხრეკის ჩასატარებლად სასამართლოს განჩინების მოპოვება. სტრასბურგის სასამართლოს მოსაზრებით, მთავრობამ ვერ შეძლო გაემართლებინა, თუ რატომ იქნა მოცემული საქმის გარემოებებში გამოყენებული გადაუდებელი აუცილებლობის პროცედურა. ამასთან, ფაქტია, რომ პოლიციის თანამშრომლებთან ერთად ჩხრეკის დროს იმყოფებოდა საგარეო საქმეთა სამინისტ-

ტროს წარმომადგენელი, რომელსაც საგამოძიებო ღონისძიებაზე სრულად დასწრების ნებართვა მიეცა. ჩხრეკა ჩანერილ იქნა ვიდეოზე, რომელიც სასამართლოს წინაშე აჩვენეს. ჩხრეკას ესწრებოდა მომჩივანიც.

ევროპული სასამართლო მნიშვნელობას ანიჭებს იმ ფაქტს, რომ ამოღებული ნივთიერება არ იყო ერთადერთი მტკიცებულება, რასაც დაეფუძნა მსჯავრდება. მომჩივნის დამნაშავედ ცნობისას ეროვნულმა სასამართლოებმა გაითვალისწინეს ა.ი-ს მიერ მიცემული მამხილებელი ჩვენება. ამ უკანასკნელმა მომჩივნის წინააღმდეგ წინასასამართლო სხდომაზე მიცემული ჩვენება გაიმეორა პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოს წინაშე. მომჩივნის მსჯავრდება ეფუძნებოდა კიდევ რამდენიმე მტკიცებულებას, რომელიც სასამართლოს მიერ იქნა გამოკვლეული, კერძოდ, ჩხრეკის ვიდეო ჩანაწერს, საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის განცხადებას და ჩხრეკის განმახორციელებელი პოლიციის თანამშრომლების ჩვენებებს. სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული საქმის გარემოებებში, კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევის დადგენა წარმოადგენს საკმარის სამართლიან დაკმაყოფილებას ნებისმიერი არამატერიალური ზიანისთვის, რომელიც მომჩივანმა დარღვევის შედეგად განიცადა.

ევროპული სასამართლოს წინაშე სამართალწარმოების თვალსაზრისით გაწეული ხარჯებისა და დანახარჯების ანაზღაურების მიზნით, სასამართლომ მომჩივანს 2000 (ორი ათასი) ევრო მიაკუთვნა.

66. „ბრევჰაძე საქართველოს წინააღმდეგ“ - ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში გადანაცვტილება გამოტანილია 2019 წლის 17 იანვარს.

2007 წლის 3 დეკემბერს ტაქსის მძღოლმა პოლიციას შეატყობინა, რომ იგი ორმა ახალგაზრდა მამაკაცმა ცივი იარაღის მუქარით გაძარცვა, მათ თან წაიღეს მობილური ტელეფონი და 26 ლარი. იგი ამტკიცებდა, რომ შეძლებდა ორივე მათგანის ამოცნობას. მეორე დღეს მომჩივანი და-

აკავეს ტაქსის მძღოლებზე შეიარაღებული ძარცვის მოტივით ბრალდების დამადასტურებელი მტკიცებულების შეფასების გარეშე. მომჩივანი ითხოვდა 80 000 (ოთხმოცი ათას) ევროს მორალური ზიანისთვის.

ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივანს, მხარეთა თანასწორობის საფუძველზე, უნდა მისცემოდა საშუალება ეროვნული სასამართლოების წინაშე წარედგინა მტკიცებულება. როდესაც ეროვნულმა სასამართლოებმა პროცედურული დარღვევის გზით, არ მისცეს მომჩივანს ამის საშუალება, ამით იგი დააყენეს არახელსაყრელ პირობებში სასამართლო საქმის წარმოებისას. აქედან გამომდინარე, სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 (§1) და (§3) (d) მუხლები ზიანის დაკისრების გარეშე, რადგან არ ჩანს, რომ მომჩივანი არასწორად იყო ბრალდებული.

67. „ნიკოლოზ გოგუაძე საქართველოს წინააღმდეგ“ - ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საჩივარი შეტანილია 2012 წლის 21 ივლისს, გადაწყვეტილება გამოტანილია 2019 წლის 27 ივლისს.

მომჩივანი 2011 წლის მაისში, თბილისში დაარსებული „ეროვნულ-რელიგიური მოძრაობის“ წევრი და ერთ-ერთი ლიდერი იყო. 2011 წლის 26 მაისს პოლიციის ოფიცერმა შეადგინა ოქმი, რომელშიც აცხადებდა, რომ მის ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად ოცდაოთხი პირი, მათ შორის მომჩივანი, გეგმავდა საქართველოს მთავრობის ძალადობრივ დამხობას. ოქმის მიხედვით, აღნიშნული პირები იმყოფებოდნენ ყინწვისის მონასტერში. 2011 წლის 30 მაისს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე განთავსდა პრეს-რელიზი, რომლის თანახმად 2011 წლის 26 მაისს ყინწვისში დააკავეს ოცხაოთხი პირისგან შემდგარი შეიარაღებული დაჯგუფება.

მომჩივანი აცხადებდა, რომ ყინწვისში დაკავების შემდგომ, ის გადაყვანილ იქნა ქარელის პოლიციის განყოფილებაში, სადაც სასტიკად სცემეს. შემდგომ ის გადაიყ-

ვანეს თბილისში, სადაც კვლავ ფიზიკურად გაუსწორდნენ და აღნიშნული შემთხვევიდან დაახლოებით ექვსი საათის მერე დაკითხეს. მომჩივანი აცხადებდა, რომ მისი რეალურად დაკავების დრო განსხვავდებოდა ოფიციალურ დოკუმენტში არსებული ჩანაწერისგან. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 196-ე მუხლით გათვალისწინებული 48 საათიანი ვადა დარღვეული იქნა, რაც მის პატიმრობას უსაფუძვლოს ხდიდა. 2011 წლის 6 ივნისს თბილისის სააპელაციო სასამართლომ მომჩივნის საჩივარი დაუშვებლად მიიჩნია. ეს გადაწყვეტილება მომჩივანს ჩაბარდა 2011 წლის 09 ივნისს. 2011 წლის 21 ივლისს დაიწო სასამართლოში მომჩივნის საქმის განხილვა. მომჩივანი იმეორებდა, რომ ის დაკავებულ იქნა არა 27 მაისს თბილისში, არამედ 26 მაისს ყინწვისში. ის ასევე ასაჩივრებდა ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას, რომელსაც დაექვემდებარა ყინწვისში, შემდგომ ქარელისა და საბოლოოდ თბილისის პოლიციის განყოფილებაში. კერძოდ, მომჩივანი დავობდა, რომ ყინწვისში მას სახეში მუშტი დაარტყა სპეციალური ოპერაციების ძალების თანამშრომელმა, შემდეგ იმავე და რამდენიმე სხვა ოფიცერმა სასტიკად სცემა ქარელის პოლიციის განყოფილებაში. აღიარების მოპოვების მიზნით, თბილისში ის კვლავ დაექვემდებარა ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას. 2011 წლის 12 აგვისტოს მომჩივანი დამნაშავედ იქნა ცნობილი წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახით თორმეტი წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა შეეფარდა. ყველა ზემდგომი ინსტანციის მიერ განაჩენი ძალაში იქნა დატოვებული.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლის პროცედურული ნაწილი; ასევე დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლის მატერიალურ-სამართლებრივი ნაწილი. მომჩივანს არამატერიალური ზიანის ანაზღაურების სანაცვლოდ, სასამართლომ 10000 (ათი ათასი) ევრო მიაკუთვნა.

68. „ლაშა არქანია საქართველოს წინააღმდეგ“

- ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საჩივარი შეტანილია 2011 წლის 13 დეკემბერს, გადაწყვეტილება გამოტანილია 2020 წლის 25 ივნისს.

საჩივარი ეხება მომჩივნის მიმართ სავარაუდოდ განხორციელებულ არასათანადო მოპყრობას პოლიციის მიერ, მისი დაკავების თავდაპირველ პერიოდში, რომელიც არ იყო აღნიშნული დაკავების შესახებ ოფიციალურ დოკუმენტში; საჩივარი აგრეთვე ეხება საგამოძიებო ორგანოს მხრიდან ეფექტიანი გამოძიების ჩაუტარებლობას.

2001 წლის 23 აგვისტოს მომჩივანი დამნაშავედ ცნეს და მას სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 13 წლის ვადით. მომჩივნის პირადი ჩხრეკისა და დაკავების ოფიციალურ ოქმზე დაყრდნობით, მოსამართლემ არ გაიზიარა დაკავების გარემოებებთან დაკავშირებით მის მიერ წარმოდგენილი ვერსია, როგორც აშკარად უსაფუძვლო. ეროვნულმა სასამართლომ არ განიხილა მომჩივნის ბრალდებები არასათანადო მოპყრობასთან მიმართებით. მომჩივანმა ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა. 2011 წლის 28 ნოემბერს ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა ქვედა ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება. 2012 წლის 16 თებერვლის განჩინებით უზენაესმა სასამართლომ დაუშვებლად ცნო მომჩივნის საჩივარი. 2012 წლის 28 დეკემბრის ამნისტიის შესახებ კანონის შესაბამისად, 2013 წლის 16 იანვარს მომჩივანი ციხიდან გაათავისუფლეს.

ევროსასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-3 მუხლის მატერიალურ-სამართლებრივი და პროცედურული ნაწილის დარღვევა. აგრეთვე დაადგინა კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა. მოპასუხე სახელმწიფოს მომჩივანის სასარგებლოდ დაეკისრა 16 000 (თექვსმეტი ათასი) ევროს გადახდა მორალური ზიანისთვის.

69. „ტლაშაძე და კაკაშვილი საქართველოს წინააღმდეგ” - გადაწყვეტილება გამოტანილია 2021 წლის 25 მარტს.

2009 წლის 15 ივნისს გორის პოლიციის განყოფილების გამომძიებელმა განყოფილების უფროსის მოადგილის სახელზე მოამზადა წერილობითი მოხსენება, სადაც უთითებდა, რომ მიღებული „ოპერატიული ინფორმაციის” თანახმად, პირველი მომჩივანი „გორკის ქუჩაზე სერიოზობდა და ჯიბეში ნარკოტიკული საშუალება ჰქონდა”. პირველი მომჩივნის წინააღმდეგ დაუყოვნებლივ დაიწყო გამომძიება სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე. მოვლენათა განვითარების ოფიციალური ვერსიის მიხედვით, 2009 წლის 15 ივნისის საღამოს პირველი მომჩივანი გააჩერა სამმა პოლიციელმა. ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, ჩატარდა პირადი ჩხრეკა. ჩხრეკის ოქმის მიხედვით, მომჩივანმა პოლიციელებს წინააღმდეგობა გაუწია. ჩხრეკის შედეგად აღმოჩენილი იქნა ვერცხლისფერი პატარა პაკეტი, რომელშიც მოთავსებული იყო ნახევარი ტაბლეტი (შემდგომში დადასტურდა, რომ ის შეიცავდა წამალს სახელმწოდებით ბუპრენორფინი). ჩხრეკის ოქმს ხელს აწერდნენ პოლიციელები და აღნიშნული იყო, რომ პირველმა მომჩივანმა დაუდგენელი მიზეზებით უარი განაცხადა ხელმოწერაზე. პირველ მომჩივანს ბრალი დაედო ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო შეძენასა და შენახვაში სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე. ბრალდება და მოგვიანებით გამამტყუნებელი განაჩენი ეფუძნებოდა ჩხრეკისა და დაკავების ოქმებს და იმ პოლიციელთა ჩვენებებს, რომლებიც ჩხრეკისა და დაკავების ოპერაციებს ასრულებდნენ; აგრეთვე ექსპერტის მოსაზრებას, რომელიცა დასტურებდა, რომ ჩხრეკის შედეგად ამოღებული ნივთიერება ნარკოტიკული საშუალება ბუპრენორფინი იყო.

რაც შეეხება მეორე მომჩივანს, 2009 წლის 17 ივნისს ქარელის პოლიციის განყოფილების უფროსის მოადგილემ განყოფილების უფროსის სახელზე მოამზადა მოკლე მოხსენება, სადაც უთითებდა, რომ მის ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, მეორე მომჩივანი ფლობდა მაკაროვის ტიპის იარაღს, რომელსაც ის „ხშირად თან ატარებდა“. მეორე მომჩივნის წინააღმდეგ დაუყოვნებლივ დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირველი და მე-2 მუხლების საფუძველზე იარაღის უკანონოდ შეძენა, შენახვა დატარებისთვის.

მოვლენათა განვითარების ოფიციალური ვერსიის მიხედვით, რომელიც ეფუძნება 2009 წლის 17 ივნისს მომჩივნის დაკავებისა და პირადი ჩხრების ოქმებს, მეორე მომჩივანი დააკავა სამმა პოლიციელმა და მეორე მომჩივანს სისხლისსამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილის საფუძველზე ბრალი დაედო და დამნაშავედ იქნა ცნობილი იარაღის უკანონო შეძენა, შენახვასა და ტარებაში.

მომჩივნები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე დავობდნენ, რომ ჩატარებული ჩხრეკები არაკანონიერი იყო და რომ ნარკოტიკული საშუალება და იარაღი მათ პოლიციელებმა ჩაუდეს. ისინი ასევე ამტკიცებდნენ, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა ჯეროვნად არ გაითვალისწინეს მათი არგუმენტები, რომლებითაც სადავოდ ხდიდნენ მტკიცებულების სანდოობასა და გამოყენებას, რის გამოც სამართალწარმოება არასამართლიანი იყო. მომჩივნები საჩივარს აყრდნობდნენ კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პუნქტს.

მომჩივნები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე დავობდნენ, რომ ჩატარებული ჩხრეკები არაკანონიერი იყო და რომ ნარკოტიკული საშუალება და იარაღი მათ პოლიციელებმა ჩაუდეს. ისინი ასევე ამტკიცებდნენ, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა ჯეროვნად არ გაითვალისწინეს მათი არგუმენტები, რომლებითაც სადავოდ ხდიდნენ მტკიცებულების სანდოობასა და გამოყენებას.

ნებას, რის გამოც სამართალწარმოება არასამართლიანი იყო. მომჩივნები საჩივარს აყრდნობდნენ კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პუნქტს.

ვინაიდან ოპერატიული ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც ჩატარდა მომჩივანთა ჩხრეკები, ზედაპირული და არაპირდაპირი იყო, ეროვნულმა სასამართლოები არ შეეცადნენ შეეფასებინათ აღნიშნული დოკუმენტების ბუნება. საეჭვოა, შეძლებდნენ თუ არა სასამართლოები შეეფასებინათ შემდეგი საკითხები: გონივრული ეჭვის ხარისხი, რაც ხელისუფლების ორგანოს წარმომადგენლებს ჩხრეკის განხორციელებამდე მომჩივნების წინააღმდეგ ჰქონდათ; სამართალდამცავი ორგანოების წინასწარი ცოდნა უკანონო ნივთების ტიპთან დაკავშირებით, რასაც ისინი ეძებდნენ ან სასამართლოს ნებართვის გარეშე ჩხრეკის ჩატარების გადაუდებელი აუცილებლობა და საჭიროება. უფრო მეტიც, ოპერატიული ინფორმაციის ბუნების, ნამდვილობისა და წყაროს არაადეკვატურად განხილვის გარდა, ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ უპასუხეს მომჩივნების ბრალდებას, რომ მტკიცებულებები მათ ჩაუდეს.

ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, სასამართლო ასკვნის, რომ ჩხრეკის ჩატარების გარემოებები, რაც მოიცავდა მომჩივანთა დაცვის უფლებების უგულვებელყოფას, წარმოშობს ეჭვებს მოპოვებული მტკიცებულებების სანდოობასთან მიმართებით და რომ მომჩივნებს არ მიეცათ ეფექტიანი შესაძლებლობა, გაესაჩივრებინათ ჩხრეკის გარემოებები და შეწინააღმდეგებოდნენ აღნიშნული მტკიცებულებების გამოყენებას ეროვნულ დონეზე, განსაკუთრებით იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ რამდენიმე მათ არსებით არგუმენტს არ გაეცა ადეკვატური პასუხი.

შესაფასებელი რჩება, ჩხრეკის შედეგად მოპოვებული მტკიცებულებები იყო თუ არა გამყარებული სხვა მტკიცებულებებით. რაც შეეხება პოლიციის თანამშრომლებს, სასამართლო აღნიშნავს, რომ ვინაიდან ისინი იმ ხელისუფლების ორგანოს ნაწილი იყვნენ, რომელმაც დაიწყო მომჩივ-

ნის წინააღმდეგ საქმის წარმოება, მათ ჰქონდათ ინტერესი სისხლისსამართლებრივი დევნის შედეგების მიმართ. მათი ინტერესი განსაკუთრებით აშკარა იყო მომჩივანთა ბრალდებების გათვალისწინებით იმასთან დაკავშირებით, რომ მათ მტკიცებულებები ჩაუდეს. უფრო მეტიც, პოლიციის თანამშრომლების ჩვენებები არ იყო არაბუნდოვანი და მეორე მომჩივნის შემთხვევაში, სამი პოლიციის თანამშრომლიდან ორი დაიკითხა მომჩივნის საქმის წამყვანი გამომძიებლის მიერ, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული გამომძიებელი თავად მონაწილეობდა ჩხრეკაში. მიუხედავად ამისა, მათი ჩვენებები ავტომატურად მიღებულ იქნა როგორც ობიექტური და სანდო, მათ ჩვენებაში არსებული ბუნდოვანების ან ამასთან დაკავშირებით მომჩივანთა არგუმენტების (რაც მოიცავდა მათ არგუმენტს, რომ ისინი პოლიტიკური აქტიურობის გამო ისჯებოდნენ) შესწავლის მცდელობის გარეშე. შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლო მიიჩნევს, რომ მთავრობის ახსნა-განმარტებების საწინააღმდეგოდ, საქმის მასალებში არსებული არც ერთი სხვა მტკიცებულება არ იყო საკმარისად მყარი დამოუკიდებლად.

ყოველივე ზემოხსენებული საკმარისია სასამართლოსთვის, რათა დაადგინოს, რომ მომჩივანმა ვერ ისარგებლა სამართლიანი სასამართლოს უფლებით.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი. სასამართლომ თითოეულ მომჩივანს არამატერიალური ზიანის ანაზღაურების მიზნით მიაკუთვნა 3600 ევრო.

70. „თენგიზ კალანდია საქართველოს წინააღმდეგ“ - ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საჩივარი შეტანილია 2010 წელს. გადანწყვეტილება გამოტანილია 2021 წლის 22 აპრილს.

მომჩივანი თენგიზ კალანდია ამტკიცებდა, რომ 2009 წელს მას ნარკოტიკული საშუალება მისი ოპოზიციურად განწყობილი მეგობრის აქტიური მხარდაჭერის გამო ჩაუდეს. კერძოდ, თ. კალანდია ვლადიმერ ვახანიასთან ერ-

თად იყო პოლიტიკური პარტია „მთლიანი საქართველოს“ დამფუძნებელი. 2009 წლის 15 მარტს ვახანია დააკავეს მისსავე სახლში ადგილობრივი ჟურნალისტისთვის პროფესიული საქმიანობისთვის ხელის შეშლის ბრალდებით. 2009 წლის 25 მარტს კი პოლიციამ თენგიზ კალანდიაც დააკავა. 2009 წელს თენგიზ კალანდიას სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 18 წლის ვადით. 2012 წლის 28 დეკემბრის ამნისტიის კანონის საფუძველზე, თენგიზ კალანდია 2013 წლის 18 იანვარს გათავისუფლდა. თენგიზ კალანდია 2017 წლის 5 თებერვალს გარდაიცვალა, თუმცა ევროპულ სასამართლოში საქმის წარმოების გაგრძელების სურვილი მისმა შვილმა, კონსტანტინე კალანდიამ გამოთქვა.

მომჩივნის დაპატიმრება და ჩხრეკა განხორციელდა სასამართლო ბრძანების გარეშე, იმ წყაროსგან მიღებული „ოპერატიული ინფორმაციის“ საფუძველზე, რომლის ვინაობის გამჟღავნებაც შეუძლებელია. ასეთი ინფორმაციის წყარო, ხასიათი და სანდოობა, რომლის საფუძველზეც დააკავეს და გაჩხრიკეს მომჩივანი, არ ყოფილა მაშინვე გამოკვლეული, არც ჩხრეკის შემდგომი განხილვის და არც მომჩივნის სისხლისსამართლებრივი საქმისწარმოების დროს.

პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოებმა შემდგომი დაზუსტების გარეშე აღნიშნეს, რომ ადგილი არ ჰქონია საპროცესო კანონმდებლობის სერიოზულ დარღვევას, რომლითაც დაკავება და ჩხრეკის ოქმი მიიჩნეოდა დაუშვებლად და რომ საქმის მასალებში არსებული მტკიცებულებები - სანდოობა, რომელიც მომჩივანმა სადავო გახადა - საკმარისი იყო მომჩივნის განცხადებების დაუსაბუთებლად მიჩნევისთვის. გარდა ამისა, სტრასბურგის სასამართლო ყურადღების მიღმა ვერ დატოვებს იმ ფაქტს, რომ მომჩივნის განმეორებითი ბრალდებები მტკიცებულებების ჩადებასთან დაკავშირებით არ ყოფილა სერიოზულად განხილული მის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი საქმის განხილვის არცერთ ეტაპზე.

ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, სასამართლო ასკვნის, რომ ჩხრეკის ჩატარების გარემოებები, რაც მოიცავდა მომჩივანთა დაცვის უფლებების უგულვებელყოფას, წარმოშობს ეჭვებს მოპოვებული მტკიცებულებების სანდოობასთან მიმართებით და რომ მომჩივნებს არ მიეცათ ეფექტიანი შესაძლებლობა, გაესაჩივრებინათ ჩხრეკის გარემოებები და შეწინააღმდეგებოდნენ აღნიშნული მტკიცებულებების გამოყენებას ეროვნულ დონეზე, განსაკუთრებით იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ რამდენიმე მათ არსებით არგუმენტს არ გაეცა ადეკვატური პასუხი.

სტრასბურგის სასამართლო მიიჩნევს, რომ პოლიციის თანამშრომლების ჩვენებები უკანასკნელი საფუძვლად დაედო მომჩივნის წინააღმდეგ სამართალწარმოებას და გაკეთებული იყო ხელისუფლების იმ ორგანოს წარმომადგენლების მიერ, რომელმაც დაიწყო საქმის წარმოება და რომელიც დაინტერესებული იყო მისი შედეგებით. მათი ინტერესი განსაკუთრებით აშკარა იყო მომჩივნის იმ განცხადებიდან გამომდინარე, რომ მას ნარკოტიკი ჩაუდეს. გარდა ამისა, მათი ჩვენებები აღმოჩნდა წინააღმდეგობრივი. ამის მიუხედავად, მათი ჩვენებები ავტომატურად იქნა მიჩნეული ობიექტურად და საიმედოდ, არსებული წინააღმდეგობებისა და მომჩივნის შესაბამისი პრეტენზიების გაუთვალისწინებლად. შესაბამისად, ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ მთავრობის განცხადებების საპირისპიროდ, საქმის მასალებში არსებული არცერთი სხვა მტკიცებულება არ ყოფილა საკმარისად მტკიცე ჩხრეკის შედეგად მოპოვებული ფიზიკური მტკიცებულების არარსებობის გამო.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი და სახელმწიფოს დააკისრა მორალური ზიანისთვის მომჩივანის სასარგებლოდ 3600 (სამი ათას ექვსასი) ევროს გადახდა.

71. „კაკო შუბითიძე საქართველოს წინააღმდეგ“ - გადაწყვეტილება გამოტანილია 2021 წლის 12 ივნისს.

მომჩივანი დავობდა, რომ მას 2011 წელს ნარკოტიკული საშუალება (მარიხუანა) პოლიციელებმა ჩაუდეს. მომჩივანი

პოლიციელებმა დააკავეს 2011 წლის 26 ივნისს ეჭვის საფუძველზე, რომ იგი იყო ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ. ექსპერტიზამ დაადგინა, რომ მომჩივანი ნარკოტიკული საშუალებების ზემოქმედების ქვეშ ტესტირების მომენტში არ იყო, თუმცა მის შარდში აღმოჩნდა კანაბისის კვალი. შემდგომ, პოლიციელებმა მომჩივანს „ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე,“ რომ თითქოს მას უნდა ჰქონოდა ნარკოტიკული საშუალება, სასამართლოს განჩინების გარეშე, ჩაუტარეს პირადი ჩხრეკა. ჩხრეკის პროცესს მოწმეები არ დასწრებიან. ჩხრეკის ოქმიდან ირკვევა, რომ მომჩივნის ფეხსაცმლიდან ამოიღეს ორი პაკეტი, რომელშიც მწვანე ფერის ნივთიერება იყო მოთავსებული. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, აღნიშნული ნივთიერება იყო 8 გრამი მარიხუანა. კაკო შუბითიძეს სასამართლომ 3 წლიანი თავისუფლების აღკვეთა და 2000 ლარიანი ჯარიმა მიუსაჯა. ასევე, 5 წლით შეეზღუდა მანქანის მართვის უფლება და სხვადასხვა საქმიანობის განხორციელება. კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პარაგრაფზე დაყრდნობით მომჩივანი დავობდა, რომ მის მიმართ ჩატარებული ჩხრეკა იყო უკანონო, რომელსაც არ ესწრებოდნენ ოქმის შედგენის მოწმეები და სინამდვილეში მას ჩხრეკის დროს აღმოჩენილი ნარკოტიკი ჩაუდეს. ამასთან დაკავშირებით, იგი ამტკიცებდა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს არგუმენტები სადავო მტკიცებულებების სანდოობასა და გამოყენებასთან დაკავშირებით, რის გამოც მისი სასამართლო პროცესი იყო უსამართლო.

ევროპულ სასამართლოს ზოგადად შესწავლილი აქვს საქმეები ჩხრეკის სავარაუდო უკანანობასთან დაკავშირებით, რომლებიც ჩატარდა წინასწარი სასამართლო ბრძანების გარეშე და ჩხრეკის შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების არასანდოობის შესახებ, და დაადგინა, რომ მომჩივნების წინააღმდეგ მთავარი მტკიცებულების მოპოვების წესი ეჭვს ბადებდა მის სანდოობასა და სიზუსტეში. მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე საქმის გარემოებები გარკვეულწილად განსხვავებულია, სტრასბურგის სა-

სამართლოს ანალიზისთვის გადამწყვეტი ელემენტები იგივე რჩება. კერძოდ, მომჩივნის დაკავება და ჩხრეკა განხორციელდა სასამართლო ბრძანების გარეშე. მომჩივანი დააკავეს იმ ვარაუდის გამო, რომ იგი იმყოფებოდა ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ. რაც შეეხება მის პირად ჩხრეკას, ზუსტი საფუძვლები გაურკვეველი რჩება: საგამოძიებო ეტაპთან დაკავშირებული დოკუმენტები ეხება „არსებულ ინფორმაციას“; ევროპული სასამართლოს წინაშე მთავრობის წარდგინებაში აღნიშნულია ოპერატიული ინფორმაციის არსებობა (იგულისხმება ინფორმაცია წყაროდან, რომლის ვინაობის გამჟღავნებაც შეუძლებელია) იმის შესახებ, რომ მომჩივანი იყო ნარკოტიკების მომხმარებელი და მას თან უნდა ჰქონოდა უკანონო ნივთიერება, ასევე ნარკოლოგიური შემთხვევების შედეგები აჩვენებს, რომ მომჩივანმა წარსულში მოიხმარა კანაფი. თუმცა, სასამართლო საქმის წარმოების დროს, ნახსენები არ ყოფილა ოპერატიული ინფორმაცია. გარდა ამისა, პირადი ჩხრეკის ფაქტობრივი გარემოებები სადავო იყო მთელი საქმისწარმოების განმავლობაში. სტრასბურგის სასამართლო ითვალისწინებს მთავრობის მოსაზრებას, რომ მომჩივანს ეროვნულ დონეზე არ გაუსაჩივრებია კონკრეტულად ის ფაქტი, რომ მის პირად ჩხრეკას არ ესწრებოდნენ მოწმეები; ამის მიუხედავად, იგი გვერდს ვერ აუვლის იმ ფაქტს, რომ შესაბამის ანგარიშში ჩანს, რომ ჩხრეკა ნებისმიერ შემთხვევაში ტარდებოდა იმ შემთხვევებში, როდესაც საგამოძიებო ორგანოებს ათავისუფლებდნენ მოწმეთა დასწრების ვალდებულებისგან. ასეთ გარემოებებში, ეროვნული სასამართლოებისათვის მით უფრო მნიშვნელოვანი იყო პირადი ჩხრეკის ფაქტობრივი გარემოებების დაზუსტება, მომჩივნის ბრალდებებისა და არგუმენტების საპასუხოდ, რომელთა საფუძველზეც მას ეჭვი შეჰქონდა მის წინააღმდეგ მთავარი მტკიცებულების დასამტკიცებლობაში. ამასთან დაკავშირებით, სტრასბურგის სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ როდესაც სადავოა მტკიცებულების სანდოობა, კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს

მტკიცებულების დასაშვებობის შესასწავლად სამართლიანი საქმისწარმოების არსებობა. ამის საპირისპიროდ, ეროვნულმა სასამართლოებმა განიხილეს დაკავების და პირადი ჩხრეკის და მის შედეგად აღმოჩენილი ნარკოტიკების შესახებ დასკვნის კანონიერება. კერძოდ, ჩხრეკის შემდგომი სასამართლო განხილვა განხორციელდა მომჩივნის მონაწილეობის გარეშე და არ ჩანს, რომ ჩხრეკის გარემოებები საერთოდ შეფასდა ამ სამართალწარმოების ფარგლებში. ნებისმიერ შემთხვევაში, ევროპულმა სასამართლომ უკვე დაადგინა, რომ ასეთი განხილვები არ არის ადეკვატური და საკმარისი მტკიცებულების ნამდვილობისა და სანდოობის გასაჩივრების მიზნით. რაც შეეხება მომჩივნის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის წარმოებას, მტკიცებულებათა დაუშვებლობა, მათ შორის, პირადი ჩხრეკის ოქმი, პირველი ინსტანციის სასამართლომ არ დააკმაყოფილა იმ საფუძვლით, რომ მომჩივანს სადავო არ გაუხდია მისთვის სავარაუდოდ ჩამორთმეულ მასალაზე (პაკეტზე) არსებული ბეჭდის ნამდვილობა. სასამართლოს მხრიდან ასეთმა ფორმალურმა მიდგომამ, პირადი ჩხრეკის პროცედურის და საბოლოო ანგარიშის შესახებ მომჩივნის საჩივარი დატოვა არსებითად განუხილველად. ამ კონტექსტში, მომჩივნის მარცხი (ეროვნულ დონეზე სადავო გაეხადა, რომ მისი დაკავება დაკავშირებული იყო მის სავარაუდო პოლიტიკურ აქტივობასთან), მთავრობის განცხადებების საწინააღმდეგოდ, ვერ იქნება იმ ფაქტის საპირწონე, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა საერთოდ არ განიხილეს მისი არგუმენტების მნიშვნელოვანი ასპექტები, როგორიცაა მისი დაპატიმრებისა და ჩხრეკის კანონიერება, პირადი ჩხრეკის გარემოებები, ჩხრეკის ოქმის სადავო დასაშვებობა, განცხადებები იმის შესახებ რომ ნარკოტიკები არ ეკუთვნოდა მომჩივანს, და რომ არანაირი მტკიცებულება გარდა სადავო ოქმისა არ ყოფილა საკმარისი რათა იგი დამნაშავედ ეცნოთ ნარკოტიკული ნივთიერებების უკანონო შეძენასა და შენახვისათვის.

ევროპულმა სასამართლომ, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დაადგინა, რომ პირადი ჩხრეკის ჩატარების გარემოებები ეჭვს ბადებდა მის შედეგად მოპოვებული მტკიცებულების სანდოობაში და რომ მომჩივანს არ მიეცა ეფექტური შესაძლებლობა გაესაჩივრებინა ეს გარემოებები და შეწინააღმდეგებოდა სადავო მტკიცებულების გამოყენებას. დასაზუსტებელია, დადასტურდა თუ არა ჩხრეკის შედეგად მიღებული ფიზიკური მტკიცებულება სხვა წყაროსგან მიღებული მტკიცებულებებით. კერძოდ, რაც შეეხება პოლიციის ოფიცრის მიერ გაკეთებულ განცხადებას, ეს უკანასკნელი საქმისწარმოების დასაწყისშივე მომჩივნის წინააღმდეგი იყო და დაინტერესებული იყო სისხლისსამართლებრივი დევნის შედეგით, განსაკუთრებით, მომჩივნის განცხადებასთან დაკავშირებით, რომ ნარკოტიკი მას ჩაუდეს. გარდა ამისა, სადავო ოფიცერი მონაწილეობას იღებდა მხოლოდ მომჩივნის დაკავებაში, მას არც განუხორციელებია და არც დასწრებია მის პირად ჩხრეკას და ვერც იმას ადასტურებდა თუ ვინ განახორციელა აღნიშნული. რაც შეეხება ექსპერტების დასკვნას, მათ დაადასტურეს, რომ მომჩივნის ბიოლოგიურ მასალებზე დაყრდნობით, მას წარსულში მოხმარებული ჰქონდა ნარკოტიკი. მომჩივნის წინააღმდეგ წარსულში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ან სისხლის სამართლის დანაშაულის არარსებობის გამო, მხოლოდ კანაფის მოხმარება შეიძლება შეფასდეს როგორც ადმინისტრაციული და არა სისხლის სამართლის დანაშაული. მომჩივანმა, ეს უკანასკნელი არგუმენტი წარადგინა სააპელაციო სასამართლოს წინაშე, თუმცა სასამართლოს იგი არ გაუთვალისწინებია. შესაბამისად, სტრასბურგის სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის მასალებში არსებული არცერთი სხვა მტკიცებულება არ იყო თავის მხრივ საკმარისად მძლავრი. ზემოაღნიშნული მოსაზრებები საკმარისია იმისათვის, რომ სტრასბურგის სასამართლომ დაადგინოს, რომ მომჩივანს არ ჰქონია სამართლიანი სასამართლო განხილვა. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პა-

რაგრადი. მომჩივანი ითხოვდა 5000 ევროს მორალური ზიანის ანაზღაურებისათვის.

ევროპულმა სასამართლომ, სამართლიანი შეფასების საფუძველზე, მომჩივანს მიანიჭა 3600 (სამი ათას ექვსასი) ევრო მორალური ზიანისთვის.

72. „საქართველოს ლეიბორისტული პარტია საქართველოს წინააღმდეგ“ - ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საჩივარი შეტანილია 2003 წლის 16 დეკემბერს, გადაწყვეტილება გამოტანილია 2008 წლის 8 ივლისს.

განმცხადებელი აპროტესტებდა 2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგების ბათილად ცნობას და ახალი არჩევნების დანიშვნას ცესკოს მიერ და ამის საფუძველზე მისი საჩივრების განხილვაზე უარს საქართველოს სასამართლოების მიერ. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ დაირღვა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-3 მუხლი კონვენციის მე-14 მუხლის მიხედვით. განმცხადებლის მტკიცებით, 2004 წლის 28 მარტის განმეორებითი საპარლამენტო არჩევნების შედეგად დაახლოებით 60000 (სამოცი ათას) ამომრჩეველს უკანონოდ ჩამოერთვა ხმის უფლება.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, ადგილი ჰქონდა #1 დამატებითი ოქმის მე-3 მუხლის დარღვევას ხულოსა და ქობულეთის ამომრჩევლებისთვის ხმის მიცემის უფლების ჩამორთმევასთან დაკავშირებით. მოპასუხე სახელმწიფოს დაეკისრა მომჩივნისთვის 10043 (ათი ათას ორმოცდასამი) ევროს გადახდა განეული დანახარჯების ანაზღაურების სახით.

73. „იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ - ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საჩივარი შევიდა 2012 წლის 17 ნოემბერს. გადაწყვეტილება გამოტანილია 2015 წლის 12 მაისს.

მომჩივნები ამტკიცებდნენ, რომ 2012 წლის 17 მაისს გამართულ მშვიდობიანი დემონსტრაციის დროს კერძო

პირების მიერ მათ წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობა და პოლიციის მხრიდან არასაკმარისი დაცვა კონვენციის მე-3, მე-10, მე-11 და მე-14 მუხლებით გარანტირებული მათი უფლებების დარღვევას წარმოადგენდა.

ევროპულმა სასამართლომ უდავოდ მიიჩნია, რომ ცამეტმა ინდივიდუალურმა მომჩივანმა განიცადა მწუხარება და იმედგაცრუება მე-3, მე-11 და მე-14 მუხლით გათვალისწინებული მათი რიგი უფლებების დარღვევით, ხოლო პირველი მომჩივნის, როგორც იურიდიული პირის, ლეგიტიმური ინტერესი დაზარალდა კონვენციის მე-11 და მე-14 მუხლებით გათვალისწინებული უფლებების დარღვევით. სასამართლომ, არამატერიალურ ზიანთან მიმართებით, მიზანშეწონილად მიიჩნია შემდეგი გადაწყვეტილების მიღება: მოპასუხე სახელმწიფო ვალდებულია, არამატერიალური ზიანისთვის, კონვენციის 44-ე (§2) მუხლის შესაბამისად, გადაუხადოს მომჩივნებს სულ 36500 (ოცდათექვსმეტი ათას ხუთასი) ევრო, მათ შორის, რომელიც თითოეულ მომჩივანზე განაწილდეს შემდეგნაირად:

ბ-ნ ლ. ბერიანიძესა და ბ-ნ გ. დემეტრაშვილს, თითოეულს 4 000 (ოთხი ათასი) ევრო;

ქ-ნ გ. ძერყორაშვილსა და ქ-ნ მ. კალანდაძეს, თითოეულს 3 000 (სამი ათასი) ევრო;

ბ-ნ ლ. ასათიანს, ქ-ნ თ. ბილიხოძეს, ბ-ნ ბ. ბუჩაშვილს, ქ-ნ ე. გლახაშვილს, ქ-ნ ნ. ღვინიაშვილს, ბ-ნ მ. ხალიბეგაშვილს, ქ-ნ თ. მელაშვილს, ქ-ნ კ. ცაგარეიშვილსა და ქ-ნ მ. ცუცქირიძეს, თითოეულს 2 000 ევრო (ორი ათასი) ევრო;

მომჩივან ორგანიზაციას, არასამთავრობო ორგანიზაცია იდენტობას - 1 500 ევრო (ათას ხუთასი) ევრო;

74. „თალიკო თხელიძე საქართველოს წინააღმდეგ“ - საჩივარი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოში 2017 წლის 13 აპრილს შევიდა. გადაწყვეტილება გამოტანილია 2021 წლის 8 ივლისს.

კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება) და მე-14 (დისკრიმინაციის აკრძალვა) მუხლებზე დაყრდნობით, მომჩივანი ასაჩივრებდა ეროვნული ხელისუფლების ორგანოებ-

ის მარცხს, დაეცვათ მისი ქალიშვილი ოჯახში ძალადობის-გან და განუხორციელებინათ ეფექტიანი სისხლისსამართლებრივი გამოძიება იმ გარემოებებთან მიმართებით, რამაც განაპირობა მისი სიკვდილი. 2013 წელს მომჩივნის ქალიშვილი, მ. თ., და მისი ექვსი წლის შვილი საცხოვრებლად გადავიდნენ მ.თ-ს პარტნიორის, ლ.მ-ს, სახლში, სადაც ის მშობლებთან ერთად ცხოვრობდა. 2014 წლის აპრილსა და სექტემბერში, ბინაში გამოძახებულ იქნა პოლიცია, ვინაიდან ლ. მ. მ. თ-ს ემუქრებოდა და მის მიმართ ახორციელებდა აგრესიულ ქმედებებს. ზემოხსენებული არცერთი გამოძახების დროს არ დაწყებულა სისხლის სამართლის გამოძიება, აგრეთვე გამოცემული არ ყოფილა შემაკავებელი ორდერი, მიუხედავად იმისა, რომ მ.თ.-ს აღენიშნებოდა ფიზიკური დაზიანება და აგრეთვე იმისა, რომ როგორც მ.თ., ასევე ლ.მ-ს მშობლები ითხოვდნენ მისთვის შემაკავებელი ორდერის გამოწერას. პოლიციამაც აცნობა მ.თ-ს, რომ მისი პარტნიორის დაკავება და აგრეთვე სხვა შემზღუდველი ღონისძიების გატარება შესაძლებელი არ იყო, „უმნიშვნელო“ „ოჯახური ჩხუბის“ გამო.

მომდევნო დღეს, 2014 წლის 23 სექტემბერს, მ.თ-მ დატოვა ლ.მ-ს სახლი და საცხოვრებლად დედასთან გადავიდა თბილისში. ლ.მ. აგრძელებდა მუქარის შემცველი შეტყობინებების გაგზავნას როგორც მ.თ-სთვის, აგრეთვე მისი ქალიშვილისთვის. 27 სექტემბერს მ.თ-მ სისხლის სამართლის საჩივარი შეიტანა ლ.მ-ს წინააღმდეგ. სისხლის-სამართლებრივი გამოძიება არ დაწყებულა, თუმცა მას მიეცა გაფრთხილება, არ ჩართულიყო მ.თ-სთან რაიმე სახის დავაში. მომდევნო დღეს, მას შემდეგ, რაც ლ.მ. მ.თ-ს კვლავ აგრესიულად აედევნა, პოლიციამ განუმარტა მომჩივნის ქალიშვილს, რომ ისინი ვერ დააკავებდნენ ლ.მ-ს ფიზიკური დაზიანების არარსებობის გამო, თუმცა ურჩიეს, რომ პრობლემის მოგვარების ალტერნატიული გზა იქნებოდა, თუ მისი ძმები მას სცემდნენ.

2014 წლის ოქტომბრის პირველ ნახევარში მომჩივანი თბილისის პოლიციის განყოფილებაში სამჯერ მივიდა, რათა პოლიციისთვის მიეწოდებინა ცნობები იმის თაობაზე,

რომ ლ.მ. მას უთვალთვალეზდა, ხოლო მის ქალიშვილს ემუქრებოდა, რაც მოიცავდა სამსახურში ხელუქმბარით გამოცხადებას და მისი აფეთქების მუქარას. 2014 წლის 16 ოქტომბერს, მას შემდეგ, რაც ლ.მ. კინალამ დაეჯახა მ. თ-ს მანქანას, როდესაც მას ქალიშვილი სკოლაში მიყავდა, მომჩივანი წავიდა პოლიციაში და ითხოვა სახელმწიფოს მფარველობა. მან განაცხადა, რომ მისი და მისი ქალიშვილის ცხოვრება გაუსაძლისი იყო, ვინაიდან ლ.მ. მათ ყოველდღიურად ატერორებდა. მიუხედავად ამისა, შემაკავებელი ორდერი ან სხვა დამცავი ღონისძიებები არ განხორციელებულა.

2014 წლის 17 ოქტომბერს ლ. მ. მივიდა მ.თ-ს სამსახურში და იარაღის გამოყენებით მოკლა, რის შემდეგ დაუყოვნებლივ თავი მოიკლა.

სისხლის სამართლის საქმის გამოძიება დაიწყო, თუმცა შეწყდა 2014 წლის 31 დეკემბერს, ვინაიდან დანაშაულზე პასუხისმგებელი პირი გარდაცვლილი იყო. პოლიციის მიერ შედგენილი სხვადასხვა დასკვნისა და ჩანაწერის თანახმად, არც მომჩივანს და არც მის ქალიშვილს არ მიეწოდათ ინფორმაცია მათი პროცედურული უფლებების ან სისხლის სამართლის კოდექსისა და ოჯახში ძალადობის შესახებ კანონით მათთვის ხელმისაწვდომი საკანონმდებლო და ადმინისტრაციული დაცვის ღონისძიებების შესახებ.

2015 წლის 9 აპრილს მომჩივანმა პროკურატურაში შეიტანა საჩივარი და ითხოვდა გულგრილობის საფუძვლით გამოძიების დაწყებას პოლიციის იმ თანამშრომელთა წინააღმდეგ, რომლებიც ჩართულნი იყვნენ მისი ქალიშვილის ოჯახში ძალადობის საქმის შესწავლაში. 2015 და 2016 წლებში მან აღნიშნული საჩივარი გაიმეორა სულ მცირე ხუთჯერ და ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ პოლიციის უმოქმედობა შეიძლება აღქმული ყოფილიყო გენდერზე დაფუძნებულ დისკრიმინაციად. მისი საჩივრები უპასუხოდ დარჩა, მომჩივანმა 2017 წლის აპრილში კითხვით მიმართა მთავარ პროკურატურას, იღებდნენ თუ არა მის წერი-

ლებსა და საჩივრებს და რატომ არ მისდიოდა მას რაიმე პასუხი. მომჩივანს დაუდასტურეს, რომ მისი ძველი ყველა კორესპონდენცია ადრესატმა მიიღო, თუმცა დამატებითი ინფორმაცია მას არ მიეწოდა.

მომჩივანმა განაცხადა, რომ პოლიციისთვის ცნობილი იყო მისი ქალიშვილის სიცოცხლის მიმართ არსებული რისკები, თუმცა ვერ უზრუნველყო საჭირო პრევენციული ღონისძიებების გატარება. კერძოდ, მისი და მისი ქალიშვილის მიერ ლ.მ-ს ძალადობრივ ქმედებებთან დაკავშირებით წარდგენილ არაერთ საჩივარზე პასუხი შეუსაბამო და დისკრიმინაციული იყო.

ევროპულმა სასამართლომ ამ საქმესთან დაკავშირებით განაცხადა შემდეგი: კონვენციის მე-2 მუხლის მიხედვით, სახელმწიფომ არა მხოლოდ თავი უნდა შეიკავოს სიცოცხლის „განზრახ“ მოსპობისგან, არამედ, ასევე უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფთა სიცოცხლის დასაცავად. ეს არსებითი პოზიტიური ვალდებულება, პირველ რიგში, მოიცავს სახელმწიფოს უპირველეს მოვალეობას უზრუნველყოს სიცოცხლის უფლება, რისთვისაც უნდა შექმნას საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ჩარჩო, რომელიც მიზნად ისახავს სიცოცხლის უფლების საფრთხეების ეფექტურ აღკვეთას. მეორე, შესაბამის ვითარებაში, ხელისუფლებას ეკისრება პრევენციული ოპერატიული ზომების მიღება, რათა დაიცვას პირი, რომლის სიცოცხლესაც საფრთხე ემუქრება სხვა პირის დანაშაულებრივი ქმედებების მხრიდან. ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს, რომლებიც მიეკუთვნებიან მონყვლად პირთა კატეგორიას, უფლება აქვთ ისარგებლონ სახელმწიფოს დაცვით. ყოველთვის, როდესაც საეჭვოა ოჯახში ძალადობის ან ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტები, საჭიროა დაუყოვნებლივი რეაგირება და შემდგომი განსაკუთრებული გულმოდგინება ხელისუფლების მხრიდან, რათა გაუმკლავდნენ ძალადობის სპეციფიკურ ხასიათს ეროვნული საქმის წარმოების პროცესში.

თანამედროვე საზოგადოების წესრიგის კონტროლის სირთულეების, პირის ქცევის არაპროგნოზირებადობისა და ოპერატიული არჩევანის გათვალისწინებით, რომელიც უნდა გაკეთდეს პრიორიტეტებსა და რესურსებთან მიმართებით, პრევენციული ოპერატიული ზომების მიღების ვალდებულება პირის დასაცავად, რომლის სიცოცხლესაც საფრთხე ემუქრება სხვა პირის დანაშაულებრივი ქმედებების მხრიდან, უნდა განიმარტოს ისე, რომ ხელისუფლებას არ დაეკისროს შეუძლებელი ან არაპროპორციული ტვირთი. შესაბამისად, სიცოცხლის საფრთხის შემცველი ყველა სადავო რისკი ხელისუფლებას არ აკისრებს ვალდებულებას, მიიღოს ოპერატიული ზომები, რომ არ მოხდეს ამ რისკის მატერიალიზაცია. ამგვარი პოზიტიური ვალდებულების წარმოშობისთვის, უნდა დადგინდეს, რომ ხელისუფლებამ იცოდა ან უნდა სცოდნოდა მესამე პირის მხრიდან მომდინარე სიცოცხლის რეალური და დაუყოვნებლივი საფრთხის არსებობის შესახებ, და თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში ვერ მიიღეს ზომები, რომლებიც, გონივრული შეფასებით, შეძლებდნენ რისკის თავიდან აცილებას. ეს არის კითხვა, რომელზეც პასუხის გაცემა შესაძლებელია მხოლოდ კონკრეტული საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით. უნდა შეფასდეს რეალური და დაუყოვნებლივი საფრთხის რისკი, ოჯახში ძალადობის სპეციფიკური კონტექსტის გათვალისწინებით. ასეთ ვითარებაში, საქმე ეხება არა მხოლოდ საზოგადოების ზოგადი დაცვის უზრუნველყოფის ვალდებულებას, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ოჯახში ძალადობის განმეორებითი ეპიზოდების გათვალისწინებას. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია იმის უზრუნველყოფა, რომ პოლიციამ გამოიყენოს საკუთარი უფლებამოსილება დანაშაულის აღკვეთისა და კონტროლის მიზნით ისე, რომ სრულად დაიცვას სათანადო პროცესი და სხვა გარანტიები, რომლებიც ლეგიტიმურად ზღუდავს მათ ქმედებას დანაშაულის გამოსაძიებლად და დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად. ამასთან, ოჯახში ძალადობის შემთხვევებში,

მოძალადეების უფლებები ვერ გადაფარავს მსხვერპლის უფლებებს სიცოცხლისა და ფიზიკური და ფსიქოლოგიური მთლიანობის შესახებ. სტრასბურგის სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-2 მუხლის შესაბამისად სიცოცხლის დაცვის ვალდებულება მოითხოვს, რომ უნდა მოხდეს რაიმე სახის ეფექტური ოფიციალური გამოძიება, როდესაც საქმე ეხება მკვლელობას სახელმწიფო მოხელეების ან კერძო პირების მხრიდან. იმისათვის, რომ გამოძიება „ეფექტიანი“ იყოს კონვენციის მე-2 მუხლის კონტექსტში, პირველ რიგში, იგი უნდა იყოს ადეკვატური, ან უნდა შეეძლოს ფაქტების დადგენა და საჭიროების შემთხვევაში პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირება და დასჯა, როდესაც ისინი არიან სახელმწიფოს წარმომადგენლები, თუმცა ასევე როდესაც ისინი არიან კერძო პირები. ეფექტიანი გამოძიების ჩატარების ვალდებულება არის ვალდებულება, რომელიც ეხება გასატარებელ საშუალებებს და არა მისაღწევ შედეგებს, მაგრამ შემონმების ხასიათი და ხარისხი, რომელიც აკმაყოფილებს ეფექტურობის მინიმალურ ზღვარს, დამოკიდებულია კონკრეტული საქმის გარემოებებზე და შეუძლებელია შემცირდეს სიტუაციების მრავალფეროვნება, რაც შეიძლება აღმოჩნდეს საგამოძიებო მოქმედებების ან სხვა გამარტივებული კრიტერიუმების ჩამონათვალში. ოპერატიულობისა და გონივრული ექსპედიციის მოთხოვნა გულისხმობს ეფექტური გამოძიების კონტექსტს, კონვენციის მე-2 მუხლის მნიშვნელობით.

სტრასბურგის სასამართლო ასევე იმეორებს, რომ სახელმწიფოს მარცხი დაიცვას ქალი ოჯახში ძალადობისგან, არღვევს მათ უფლებას კანონის წინაშე თანაბრად იყვნენ დაცულები და რომ ეს მარცხი არ არის აუცილებელი, იყოს განზრახი. ევროპულმა სასამართლომ უკვე დაადგინა, რომ „ზოგადი და დისკრიმინაციული სასამართლო პასიურობა [კლიმატის შექმნა], რომელიც ხელსაყრელია ოჯახში ძალადობისთვის“ წარმოადგენს კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევას. ასეთი დისკრიმინაციული მოპყრობაა, როდესაც სახელმწიფოს ქმედებები არ იყო უბრალო

მარცხი ან შეფერხება სადავო ძალადობის განხილვისას, არამედ წარმოადგენდა ასეთი ძალადობის არაერთგზის გამართლებას და ასახავდა მომჩივნის, როგორც ქალის, მიმართ დისკრიმინაციულ დამოკიდებულებას. როდესაც არსებობს ეჭვი, რომ დისკრიმინაციულმა დამოკიდებულებამ გამოიწვია ძალადობრივი ქმედება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ოფიციალური გამოძიება ჩატარდეს კანონის დაცვით და მიუკერძოებლად იმის გათვალისწინებით, რომ საჭიროა განუწყვეტლივ საზოგადოების მხრიდან ამგვარი ქმედების დაგმობა და მხარი დაუჭიროს უმცირესობათა ჯგუფის ნდობას ხელისუფლების ორგანოების მიმართ, რომ ისინი დაიცავენ მათ დისკრიმინაციული ძალადობისგან. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების შესრულება მოითხოვს, რომ ეროვნულმა სამართლებრივმა სისტემებმა გამოავლინონ თავისი შესაძლებლობები სისხლის სამართლის კანონის აღსრულებისათვის ამგვარი ძალადობრივი ქმედებების ჩამდენთა წინააღმდეგ. სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან მკაცრი მიდგომის გარეშე, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები აუცილებლად განიხილებოდა როგორც რიგითი დანაშაული, ხოლო შედეგად მიღებული გულგრილობა სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან მიმართებით ოფიციალური თანხმობის ან თუნდაც წაქეზების ტოლფასია.

სასამართლო მიიჩნევს, რომ არსებობდა ადეკვატური საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ჩარჩო, რომელიც მიზნად ისახავდა ქვეყანაში ზოგადად ქალთა წინააღმდეგ მიმართულ ოჯახში ძალადობასთან ბრძოლას. საკითხი შეეხება სამართალდამცავი ორგანოების მიერ აღნიშნული შემთხვევები მექანიზმის განხორციელების ფორმას, რაც გულისხმობს ვალდებულების შესრულებას, რომ განხორციელებულ იქნეს პრევენციული ოპერატიული ღონისძიებები, რათა დაცული ყოფილიყო მომჩივნის სიცოცხლე. ეს საკითხი წინამდებარე საქმეში სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. ამ საკითხის შეფასებისას სტრასბურგის სასამართლომ უნდა უპასუხოს შემდეგ სამ შეკითხვას: არსებობდა

თუ არა რეალური და მყისიერი საფრთხე იდენტიფიცირებული პირის მხრიდან, ხელისუფლების ორგანოებმა იცოდნენ ან უნდა ცოდნოდათ თუ არა ამ საფრთხის შესახებ და ამ ორ შევითხვაზე დადებითი პასუხის შემთხვევაში, ხელისუფლების ორგანოებმა გამოავლინეს თუ არა განსაკუთრებული გულისხმიერება საფრთხეზე პასუხის გაცემის დროს.

სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული მასალების მიხედვით, დროის ძალიან მჭიდრო ვადაში დაახლოებით ექვს თვეში, 2014 წლის 29 აპრილსა და 16 ოქტომბერს შორის, მ.თ-მ და მომჩივანმა დახმარებისთვის პოლიციას მიმართეს სულ მცირე შვიდჯერ. მათ განცხადებებში, შესაბამისი დეტალების აღწერით, ისინი ყოველთვის ნათლად გადმოსცემდნენ ლ.მ-ს ძალადობის ხარისხს. ამ უკანასკნელმა ერთ შემთხვევაში თავად აღიარა, რომ ის მომჩივნის ქალიშვილს მოკვლით ემუქრებოდა. ლ.მ-ს მშობლებმა პოლიციას ასევე დაუდასტურეს მათი შვილის ქმედებების ძალადობრივი ხასიათი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მთვრალი იყო. გარდა ამისა, პოლიციამ იცოდა, რომ ლ.მ. პათოლოგიურად ეჭვიანი იყო და აწუხებდა ფსიქიკური არასტაბილურობა, უჭირდა ბრაზის მართვა და უფრი მეტიც, ის ნასამართლევი იყო და ჰქონდა ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის გამოყენების ისტორია. პოლიციამ აგრეთვე იცოდა, რომ მ.თ. მუდმივად თან ატარებდა სხვადასხვა თავდაცვის იარაღს და განიცდიდა უკიდურეს შიშსა და შფოთვის, როდესაც ხედავდა, რომ მისი პარტნიორი უახლოვდებოდა მის სახლს ან სამსახურს. ყოველივე ზემოხსენებული ადასტურებდა იმ საფრთხეს, რასაც ლ.მ. მ.თ-სთვის წარმოადგენდა. გარდა ამისა, მათი ურთიერთობის შესწავლისას, სასამართლომ აღნიშნა, რომ ძალადობა, რომელიც მომჩივნის ქალიშვილის მიმართ განხორციელდა, არ შეიძლება ჩაითვალოს ინდივიდუალურ ცალკეულ ეპიზოდებად, არამედ უნდა განიხილებოდეს, როგორც განგრძობითი ხასიათის მქონე ძალადობა. როდესაც ოჯახში ძალადობა განგრძობითი ხასიათისაა, რთუ-

ლად თუ შეიძლება ეჭვი გაჩნდეს იმასთან დაკავშირებით, იყო თუ არა მსხვერპლის მიმართ არსებული საფრთხე დაუყოვნებელი. ამრიგად, სასამართლო ასკვნის, რომ პოლიციამ იცოდა ან უეჭველად უნდა სცოდნოდა მომჩივნის ქალიშვილის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების რეალური და დაუყოვნებელი ხასიათი.

რაც შეეხება განსაკუთრებული გულმოდგინების მოთხოვნას, სასამართლო განიხილავს რამდენიმე მნიშვნელოვან მარცხს სამართალდამცავი ორგანოს მხრიდან. პირველ რიგში, არსებობს მითითებები იმაზე, რომ პოლიციის თანამშრომლების მიერ მტკიცებულებების შეგროვება არასრული ან არაზუსტი იყო. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ ოჯახში ძალადობის ინციდენტის საპასუხოდ მტკიცებულებების შეგროვებაში ხარვეზებმა შეიძლება გამოიწვიოს რეალურად განხორციელებული ძალადობის ხარისხის არასათანადოდ შეფასება. აგრეთვე ამან შეიძლება მავნე ზეგავლენა იქონიოს სისხლის სამართლებრივი გამოძიების დაწყების პერსპექტივაზე და მომავალში ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს გული აუცრუოს ხელისუფლებისთვის მოძალადე ოჯახის წევრების თაობაზე ინფორმაციის მიწოდებაზე, რომლებიც ხშირად საზოგადოების მხრიდან ისედაც წნეხის ქვეშ არიან. ამასთან კავშირში მნიშვნელოვანია ისიც, რომ ინციდენტების ჩაწერისას არ გამოჩნდეს, რომ პოლიციელებმა განახორციელეს „ლეთალობის რისკის შეფასება“ ავტონომიური, აქტიური და ყოვლისმომცველი მეთოდით. პოლიციელებმა საკმარისი მნიშვნელობა არ მიანიჭეს ძალადობის პოტენციურად მაპროვოცირებელ ფაქტორებს - მაგალითად, როგორებიცაა, ლ.მ-ს ალკოჰოლზე დამოკიდებულება, მის პათოლოგიურ ეჭვიანობას დამატებით კიდევ უფრო ამძაფრებდა ის ფაქტი, რომ ის და მ.თ. ერთმანეთს დაშორდნენ და ა.შ. - და აგრეთვე არ გაითვალისწინეს მომჩივნის მიერ საფრთხის აღქმა, ანუ რეალურად თუ რამდენად შეშინებული იყო მომჩივნის ქალიშვილი. პოლიციამ ამჟობინა ინციდენტის კლასიფიკაცია „მცირე ოჯახურ შელაპარაკებად“.

ამასთან დაკავშირებით სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე საქართველოს შესაბამის მოხსენებაში მიუთითა იმავე ნაკლოვანებებზე, რომლებიც ეხება პოლიციის პირველად რეაგირებას ოჯახში ძალადობის ბრალდებებზე და ეს ხარვეზი სისტემურად მიიჩნია.

გარდა ამისა, სასამართლო გაკვირვებით აღნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩო ითვალისწინებდა მოძალადის მიმართ დროებით შემზღუდველ ღონისძიებებს, როგორიცაა დამცავი და შემაკავებელი ორდერები, ამ უკანასკნელის გაცემა კი დაუყოვნებლივაა შესაძლებელი პოლიციის ოფიცრის მიერ დანაშაულის ადგილზე, შესაბამისმა ხელისუფლების ორგანოებმა არ გამოიყენეს ზემოხსენებული ღონისძიებები. იმის შესაძლებლობაც კი არსებობდა, რომ მოძალადე იზოლირებული ყოფილიყო სპეციალურ სარეაბილიტაციო ცენტრში, თუმცა პოლიციამ არც ეს შესაძლებლობა განიხილა. უფრო მეტიც, პოლიციელების მიერ შედგენილი სხვადასხვა ოქმებიდან არ ჩანს, რომ მომჩივანს ან მის შვილს პოლიციამ მიაწოდა ინფორმაცია პროცედურული უფლებების და მათ დასაცავად არსებული სხვადასხვა საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ღონისძიებების შესახებ. პირიქით, როგორც ჩანს, ისინი პოლიციელებმა შეცდომაში შეიყვანეს, რადგან უთხრეს, რომ მათ არ შეეძლოთ მოძალადის დაკავება ან სხვა შემზღუდველი ღონისძიების გამოყენება. სტრასბურგის სასამართლოს ყურადღების მიღმა არ გამორჩა ის ფაქტი, რომ პოლიციელთა მხრიდან შემაკავებელი ორდერების გამოცემაზე თავის შეკავება გაეროს სპეციალური მიერ განსაზღვრული კიდევ ერთი სისტემური პრობლემა იყო. მიუხედავად იმისა, რომ პოლიციამ ვერ გამოვლინა ეფექტიანი ძალისხმევა, რათა სათანადოდ მოპყრობოდა ოჯახში ძალადობის ინციდენტებს, სასამართლომ აღნიშნა, რომ მ.თ-სა და მომჩივნის მიერ შეტანილი განმეორებითი სისხლისსამართლებრივი საჩივრების გამო, არსებობდა არაერთი მტკიცებულება, რომელიც ამარ-

თლებდა ლ.მ-ს წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის წარმოების დაწყებას. კერძოდ, მომჩივნისა და მისი შვილის მიერ წარდგენილი საჩივრები ნათლად და დამაჯერებლად ცხადყოფდა ლ.მ-ს ქმედებების სიმძიმეს - რაც მოიცავდა ფიზიკური დაზიანებების მიყენებას, განუწყვეტელ სიტყვიერ მუქარას მოკვლის თაობაზე, საგზაო შემთხვევის გამოწვევის განზრახვას, ხელყუმბარით მსხვერპლის აფეთქების მუქარას და ა.შ. ლ.მ-ს წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის წარმოების დაწყება მის პატიმრობაში მოთავსებას შესაძლებელს გახდიდა. სამწუხაროა, რომ სამართალდამცავი ორგანოები ასე არ მოიქცნენ.

სასამართლო აღნიშნავს, რომ სამართალდამცავი ორგანოების უმოქმედობა კიდევ უფრო უპატიებელი ჩანს, როდესაც ფასდება იმ ფონზე, რომ ზოგადად ქვეყანაში ქალთა მიმართ ძალადობა, მათ შორის ოჯახში ძალადობა, მიჩნეულია მთავარ სისტემურ პრობლემად, რომელიც გავლენას ახდენს საზოგადოებაზე. შესაბამისი სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ოჯახში ძალადობის შედეგად დაზარალებულნი ძირითადად ქალები, რომლებიც მსხვერპლთა დაახლოებით 87%-ს შეადგენენ. რამდენიმე ავტორიტეტულმა საერთაშორისო მონიტორინგის ორგანიზმმა, ისევე როგორც საქართველოს სახალხო დამცველმა, დაადასტურა საზოგადოებაში არსებული ეს გამოწვევა და განაცხადეს, რომ ქალთა მიმართ ძალადობის მიზეზები უკავშირდება, სხვებს შორის, დისკრიმინაციულ გენდერულ სტერეოტიპებსა და პატრიარქალურ დამოკიდებულებებს, რასაც თან ახლავს სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან განსაკუთრებული გულმოდგინების ნაკლებობა. შესაბამისად, პასუხისმგებელმა ეროვნულმა ხელისუფლებამ იცოდა ან უნდა სცოდნოდა სიტუაციის სიმძიმე, რომელიც ქვეყანაში ბევრ ქალს ეხებოდა და შესაბამისად, უნდა გამოემჟღავნებინა განსაკუთრებული გულმოდგინება და გაეზარდა სახელმწიფო დაცვა ამ ჯგუფის მოწყვლადი წევრებისთვის. გემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასა-

მართლოს მხოლოდ დასკვნის გაკეთება შეუძლია, რომ ოჯახში ძალადობის ბრალდებების მიმართ ზოგადი და დისკრიმინაციული პასიურობა, რომლის ნათელი ილუსტრაციაა მოცემული საქმე, ქმნიდა ხელშემწყობ კლიმატს ქალთა მიმართ შემდგომი ძალადობის განხორციელებისთვის. ამრიგად, მოპასუხე სახელმწიფომ მიერ მომჩივნის შვილის დასაცავად პრევენციული ოპერატიული ღონისძიებების განუხორციელებლობამ, განურჩევლად იმისა, იყო თუ არა ეს განზრახი თუ დაუდევარი მიდგომის შედეგი, ძირითადი გამოუთხარა კანონის წინაშე მომჩივნისა და მისი ქალიშვილის თანაბარი დაცვის უფლებას.

საერთო ჯამში ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ სამართალდამცავმა ორგანოებმა აჩვენა განმეორებადი მარცხი, გადაედგათ ნაბიჯები, რომელსაც ჰქონდა ტრაგიკული შედეგის შეცვლის ან შემსუბუქების რეალური პერსპექტივა. მათთვის პირდაპირ ხელმისაწვდომი სხვადასხვა დამცავი ღონისძიებების აშკარა უგულვებელყოფით, ხელისუფლების ორგანოებმა ვერ გამოავლინეს განსაკუთრებული გულმოდგინება მომჩივნის ქალიშვილის მიმართ გენდერული ნიშნით ძალადობის აღსაკვეთად, რაც მისი გარდაცვალებით დასრულდა. სასამართლომ საკითხი შეაფასა საერთაშორისო და ეროვნული მონიტორინგის ორგანოების დასკვნების ფონზე და დაადგინა, რომ მოცემულ საქმეში პოლიციის უმოქმედობა შეიძლება ჩაითვალოს სისტემურ პრობლემად. შესაბამისად, მოპასუხე სახელმწიფომ დაარღვია მატერიალურ-სამართლებრივი პოზიტიური ვალდებულებები კონვენციის მე-2 მუხლის მიხედვით მე-14 მუხლთან ერთობლიობაში.

ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მკვლელობის ჩამდენი იყო კერძო პირი და მისი პასუხისმგებლობა არასდროს დამდგარა კითხვის ნიშნის ქვეშ. ლ.მ-მ მაშინვე მოიკლა თავი და შესაბამისად, მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის მექანიზმების ნებისმიერი შემდგომი გამოყენება უშედეგო გახდა.

რაც შეეხება საკითხს, მოცემული საქმის კონკრეტულ გარემოებებში ეკისრებოდა თუ არა სახელმწიფოს შემდგომი პოზიტიური ვალდებულება, გამოეძიებინა სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლების უმოქმედობა და დაეკისრებინა მათთვის პასუხისმგებლობა, სასამართლო აღნიშნავს, რომ სახელმწიფო მოხელეების მხრიდან შესაძლო გულგრილობის შედეგად დამდგარ გარდაცვალებასთან მიმართებით მათ შესაძლო პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით კონვენციის მე-2 მუხლით დაკისრებული ვალდებულება (შექმნილი იყოს ეფექტიანი სასამართლო სისტემა), აუცილებლად არ მოითხოვს სისხლის სამართლებრივი დაცვის საშუალების უზრუნველყოფას ყველა შემთხვევაში. თუმცა, შეიძლება არსებობდეს განსაკუთრებული გარემოებები, როდესაც მხოლოდ ეფექტიანი სისხლის სამართლის გამოძიება შეძლებს დააკმაყოფილოს კონვენციის მე-2 მუხლით დაკისრებული პოზიტიური პროცედურული ვალდებულების მოთხოვნები. ასეთი გარემოებები შეიძლება არსებობდეს, მაგალითად, როდესაც სიცოცხლე დაიკარგა ან საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა საჯარო მოხელის იმ ქმედების შედეგად, რომელიც სცდება შეცდომის ან დაუდევრობის ფარგლებს. როდესაც დადგენილია, რომ სახელმწიფო მოხელეების ან ორგანოს გულგრილობა სცდება შეცდომის ან დაუდევრობის ფარგლებს, ვინაიდან ხელისუფლების ორგანოებმა ვერ მიიღეს საჭირო ზომები, რომლებიც საჭირო და საკმარისი იყო რისკის თავიდან ასაცილებლად, ის ფაქტი, რომ სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებაზე პასუხისმგებელ პირებს ბრალი არ წარედგინა ან მათ მიმართ არ დანყებულა სისხლისსამართლებრივი დევნა, შესაძლოა წარმოადგენდეს მე-2 მუხლის დარღვევას, მიუხედავად ნებისმიერი სხვა ზიანის ან აზლანების საშუალებისა, რომლებიც პირებმა შეიძლება საკუთარი ინიციატივით გამოიყენონ.

სასამართლომ დაადგინა, რომ სამართალდამცავი ორგანოების უმოქმედობა იყო ოჯახში ძალადობის მსხვერპლის გარდაცვალების ერთ-ერთი მიზეზი. იმის გათვალის-

წინებით, რომ ხელისუფლებამ იცოდა ან უნდა სცოდნოდა მსხვერპლისთვის არსებული მაღალი რისკების თაობაზე, თუ ისინი ვერ შეასრულებდნენ საპოლიციო მოვალეობებს, სასამართლო მიიჩნევს, რომ მათი გულგრილობა გასცდა უბრალო შეცდომას ან დაუდევრობას. ამასთან, პროკურატურამ უგულებელყო მომჩივნის არაერთი სისხლისსამართლის საჩივარი და არ გამოავლინა ძალისხმევა, დაედგინა პოლიციელთა ვინაობა, დაეკითხა ისინი და დაედგინა მათი პასუხისმგებლობა იმის გამო, რომ მათ სათანადოდ ვერ უპასუხეს გენდერული ნიშნით ძალადობის არაერთ ინციდენტს, რაც საბოლოოდ მსხვერპლის მკვლელობით დასრულდა. გარდა ამისა, მოცემულ საქმეში პოლიციელთა ქმედებების მიმართ საჭირო გამოძიების მოთხოვნით არაერთი საჩივრის წარდგენით, მომჩივანმა არაერთხელ მოითხოვა, თუმცა ვერ შეძლო მიეღო ინფორმაცია მთავარი პროკურატურისგან. მართლაც, აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელს ორი წელი დასჭირდა კორესპონდენციის მიღების დასადასტურებლად და მაშინაც დამატებითი ინფორმაცია არ იყო მოწოდებული. პოლიციის უმოქმედობასთან დაკავშირებით დისკრიმინური წარმოებაც არ დაწყებულა, მიუხედავად იმისა, რომ მომჩივანმა საჩივარი წარუდგინა პოლიციელთა დისკრიმინური ზედამხედველობის ორგანოს. ამასთანავე, არ გადადგმულა ნაბიჯები პოლიციელთა მოსამზადებლად, თუ როგორ უნდა რეაგირებდნენ სამომავლოდ ოჯახში ძალადობის ბრალდებებში.

თუმცა, მოცემული საქმის შესაბამისი გარემოებების, კერძოდ, ქალთა წინააღმდეგ ჩადენილ ძალადობასთან ასოცირებული დისკრიმინაციული მოტივების გათვალისწინებით, სტრასბურგის სასამართლო მიიჩნევს, რომ არსებობდა მწვავე საჭიროება, ჩატარებული ყოფილიყო საგულისხმო მოკვლევა გენდერული ნიშნით დისკრიმინაციისა და წინასწარი განწყობის/მიკერძოების შესაძლო არსებობასთან დაკავშირებით, რაც ასევე იყო პოლიციის სავარაუდო უმოქმედობის განმსაზღვრელი ფაქტორი. ეს ნაკლოვანებები წარმოადგენს კონვენციის მე-2 მუხლის პოზიტი-

ური პროცედურული ვალდებულებების დარღვევას მე-14 მუხლთან ერთობლიობაში.

ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა მატერიალურ-სამართლებრივი და პროცედურული ნაწილების კონვენციის მე-14 მუხლთან ერთობლიობაში და მომჩივანს მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნით 35 000 (ოცდათხუთმეტი ათასი) ევრო მიაკუთვნა.

დასკვნა

როგორც დავინახეთ, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში საქართველოდან გაგზავნილ და დასაშვებად ცნობილ საჩივრებს შორის მათ დიდ უმრავლესობაზე მიღებულია სახელმწიფოს საწინააღმდეგო გადანყვეტილებები, რომლებშიც აღიარებულია ხელისუფლების მხრიდან მოქალაქეების მიმართ ევროპული კონვენციის კონკრეტული მუხლების დარღვევის ფაქტები. შემაშფოთებელია, რომ საქართველოდან ევროპულ სასამართლოში გაგზავნილ და მათზე დღემდე მიღებულ გადანყვეტილებებს შორის ჭარბობს კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება), მე-3 (წამება) და მე-6 (სამართლიანი სასამართლო) მუხლების დარღვევები.

ევროპულ სასამართლოში საქართველოდან გაგზავნილ იმ ასეულობით საქმეს შორის, რომლებმაც დასაშვებად ცნობის სტადია გადალახეს და სასამართლოს გადანყვეტილების ეტაპამდე მივიდნენ, მხოლოდ მცირე ნაწილია ისეთი, სადაც ევროპულმა სასამართლომ ვერ აღმოაჩინა მათში ევროპული კონვენციის რომელიმე მუხლის დარღვევა. ასეთ საქმეებს შორის 2000-2003 წლებში გაგზავნილი საჩივრებიდან არის შალვა მგელაძის, ავთანდილ რიჟაძის, კარინა ოგანოვას და ნელი მუმლაძის საჩივრები, ხოლო 2004-2012 წლებში გაგზავნილი საქმეებიდან - თამაზ გალუაშვილის, ვასილ გოგინაშვილის, გიორგი გოლოშვილის, ამირან ნაცვლიშვილის და რუსუდან ტოგონიძის, იმეტ ალშარბას, სტუდია მონიტორის, ტუსკი-

ასა და სხვების, ვარდოსანიძის, ჰასმიკ კარაპეტიანის და ზაქარია ქიტიაშვილის საჩივრები. რასაკვირველია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ, ან ევროპული სასამართლოს მიერ დაუშვებლად ცნობილ მრავალ საჩივარში სახელმწიფო ყოველთვის მართალი იყო და იქ მოქალაქეებს არ გააჩნდათ სამართლებრივი დავის საფუძვლები, მაგრამ ევროპული სასამართლოს მკაცრი რეგლამენტი და პროცედურები ხშირად არ იძლევა სახელმწიფოს მხრიდან მოქალაქის მიმართ კონვენციის მუხლების დარღვევების დადასტურების შესაძლებლობას, მით უმეტეს, როდესაც საჩივარს ადგენენ და ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში აგზავნიან ისეთი პირები, რომლებიც სიღრმისეულად და სკურპულოზურად არ იცნობენ აღნიშნულ რეგლამენტს და საჩივრის შედგენისათვის აუცილებელ პროცედურებს.

ამასთან, სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ევროპულ სასამართლოში წარჩუნდება საქართველოს წინააღმდეგ წარდგენილი საჩივრების კლების ტენდენცია. კერძოდ, 2019 წელს წარდგენილი იყო 131 საჩივარი, 2020 წელს – 130, იმის ფონზე, როცა საქართველოს მიმართ 2010 წელს წარდგენილი იყო 375 საჩივარი, ხოლო 2011 წელს – 395. აღნიშნული მონაცემების გათვალისწინებით, მკვეთრად შემცირდა საქართველოს წინააღმდეგ ევროპულ სასამართლოში არსებული საქმეების საერთო რაოდენობა. კერძოდ, სტატისტიკის თანახმად, 2011 წლისთვის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წარმოებაში იყო საქართველოს წინააღმდეგ შეტანილი 3045 საქმე, ხოლო 2020 წლის ბოლოს არსებული მონაცემებით, ევროპული სასამართლო საქართველოსთან მიმართებით მხოლოდ 532 საქმეს განიხილავს.

რაც შეეხება 2013 წლიდან დღემდე მომხდარ დარღვევებთან დაკავშირებით საქართველოს მოქალაქეების მიერ ევროპულ სასამართლოში გაგზავნილ საჩივრებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების სიმცირეს, ეს განპირობებულია იმით, რომ ევროპის 47 ქვეყნიდან ასიათასობით საჩივარზე მუშაობს მხოლოდ 47 მოსამართლე (და დიდი

აპარატი), რის გამოც საჩივრებზე გადაწყვეტილების მიღებას სჭირდება საშუალოდ 5-7, ხოლო ზოგჯერ 9-10 წელი და მეტი წელიც. ამიტომ 2013 წლის შემდეგ საქართველოს სამართლებრივ სისტემაში დაფიქსირებულ დარღვევებთან დაკავშირებით ევროპულ სასამართლოში გაგზავნილ საჩივრებზე გადაწყვეტილებებს უნდა ველოდოთ 2022 და შემდგომ წლებში, თუმცა, ზემოთ მოტანილი, ევროპულ სასამართლოში მთლიანად შესული საქმეების შემცირების საერთო სტატისტიკის ფონზე მოსალოდნელია, რომ დასაშვებობის ზღვარს გადალახული იმ საჩივრების რაოდენობაც შემცირდება, რომელშიც დაფიქსირდება მოქალაქეთა მიმართ სახელმწიფოს მიერ ევროპული კონვენციის მუხლების დარღვევის ფაქტების დაფიქსირება. ყოველ შემთხვევაში, თუ ასეთ ტენდენციას დავინახავთ, ეს მხოლოდ მისასალმებელი იქნება, რადგან ის საქართველოში სამართალწარმოების და მართლმსაჯულების მდგომარეობის გაუმჯობესებაზე მიანიშნებს.

სარჩევი

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია (რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი)	9
ევროსასამართლოში გაგზავნილი საჩივრები 1999-2003 წლებში	23
„გურამ აბსანძე საქართველოს წინააღმდეგ“	23
„თენგიზ ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ“	23
„შამავეი და 12 სხვა პირი საქართველოს და რუსეთის წინააღმდეგ“	25
„აბდულჰამიტ ალიევი საქართველოს წინააღმდეგ“	27
„შპს „იზა და მაკრახიძე“ საქართველოს წინააღმდეგ“	31
„შპს „ამატ.ჯი“ და მებალიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“	32
„გივი დონაძე საქართველოს წინააღმდეგ“	35
„კარენ დავითიანი საქართველოს წინააღმდეგ“	37
„დავით დანელია საქართველოს წინააღმდეგ“	37
„დავით გურგენიძე საქართველოს წინააღმდეგ“	38
„ლეონიდ აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ“	38
„ლევან ქიძინიძე საქართველოს წინააღმდეგ“	39
„რობერტ ღარიბაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“	43
„ნოდარ ჯღარკავა საქართველოს წინააღმდეგ“	45
„არჩილ ფანჯიკიძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“	46
„გლდანის კონგრეგაციის 97 წევრი და ოთხი სხვა პირი საქართველოს წინააღმდეგ“	49

ევროსასამართლოში გაგზავნილი საჩივრები 2004-2012 წლებში	50
„გორელიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“	51
„გია ფაცურიას საქართველოს წინააღმდეგ“	53
„კობა გიგოლაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“	57
„გიორგი ნიკოლაიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“	59
„მიტროფანე სტურუას საქართველოს წინააღმდეგ“	62
„შალვა რამიშვილი და დავით კოხრეიძე საქართველოს წინააღმდეგ“	63
„ლალა ხარიტონაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“	64
„ხვიჩა პოლოსიანი საქართველოს წინააღმდეგ“	65
„ირაკლი ღავთაძე საქართველოს წინააღმდეგ“	69
„ლევან კობელიანი საქართველოს წინააღმდეგ“	69
„ამირან კვიციანი საქართველოს წინააღმდეგ“	69
„დავით გორგილაძე საქართველოს წინააღმდეგ“	71
„კლაუს და იური კილაძეები საქართველოს წინააღმდეგ“	73
„ბათალბი სალინაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“	76
„სულხან ჭიჭინაძე საქართველოს წინააღმდეგ“	76
„გივი ხაინდრავა და მარი ძამაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“	77
„მაისურაძე საქართველოს წინააღმდეგ“	77
„სვეტლანა ცინცაბაძე საქართველოს წინააღმდეგ“	78

„მერაბ მეგრელიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“	78
„ირინა ენუქიძე და გურამ გირგვლიანი საქართველოს წინააღმდეგ“	79
„ნიკო მახარაძე და დალი სიხარულიძე საქართველოს წინააღმდეგ“	83
„ვანო მერაბიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“	84
„ელენე დადიანი და ივანე მაჩაბელი საქართველოს წინააღმდეგ“	85
„ირაკლი კაკაბაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“	85
„გიორგი მიქიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“	88
„ირაკლი მინდაძე საქართველოს წინააღმდეგ“	91
„დავით მინდაძე და ვალერიან ნემსიწვერიძე საქართველოს წინააღმდეგ“	93
„გივი ჯანიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“	94
„სულხან მოლაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“	95
„ადამ ბაისუევის და რუსტამ ანზოროვი საქართველოს წინააღმდეგ“	97
„რევამ დვალიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“	98
„გენადი ჯელაძე საქართველოს წინააღმდეგ“	98
„დავით ჯაში საქართველოს წინააღმდეგ“	99
ემზარ კობაძე საქართველოს წინააღმდეგ.....	100
„ლანჩავა საქართველოს წინააღმდეგ“	100
„გიორგი ილდანი საქართველოს წინააღმდეგ“	101
„გ.ს. საქართველოს წინააღმდეგ“	102

„ქ-ნი ნ.წ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“	103
„ზურაბ ჭანკოტაძე საქართველოს წინააღმდეგ“	104
„რევამ გახარია საქართველოს წინააღმდეგ“	107
„მესხიძე საქართველოს წინააღმდეგ“	108
„ნიკოლოზ მირზაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“	110
„ელდარ ჭოხონელიძე საქართველოს წინააღმდეგ“ ...	111
„პაატა როსტომაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ ...	112
„გიორგი ქართველიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“	115
„გულნარა სარიშვილი-ბოლქვაძე საქართველოს წინააღმდეგ“	116
„მარიამ ჯიშკარიანი საქართველოს წინააღმდეგ“	117
„გიორგი გაბლიშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“	123
„არჩილ კობიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“	126
„იური ვაზაგაშვილი და ციალა შანავა საქართველოს წინააღმდეგ“	127
„გამცემლიძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ ..	132
„თინა სვანიძე საქართველოს წინააღმდეგ“	134
„ირაკლი ბათიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ ...	137
„ლალა ხიზანიშვილი და გიორგი კანდელაკი საქართველოს წინააღმდეგ“	139
„ლავრენტი ბაქრაძე საქართველოს წინააღმდეგ“	142
„მარიამ საყვარელიძე საქართველოს წინააღმდეგ.....	144
„კუხალაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“	147

„ამირან ქადაგიშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“	152
„მარინა ანთია და ნანა ხუფენია საქართველოს წინააღმდეგ“	156
„აღდღომელაშვილი და ჯაფარიძე საქართველოს წინააღმდეგ“	157
„ორესტ ბოხონკო საქართველოს წინააღმდეგ“	159
„ციცინო შავაძე საქართველოს წინააღმდეგ“	163
„გოჩა კეკელიძე საქართველოს წინააღმდეგ“	167
„თეიმურაზ მიქელაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“	167
„ერმილე თორთლაძე საქართველოს წინააღმდეგ“ ...	169
„ბრეგვაძე საქართველოს წინააღმდეგ“	171
„ნიკოლოზ გოგუაძე საქართველოს წინააღმდეგ“	172
„ლაშა არქანია საქართველოს წინააღმდეგ“	174
„ტლაშაძე და კაკაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“	175
„თენგიზ კალანდია საქართველოს წინააღმდეგ“	178
„კაკო შუბითიძე საქართველოს წინააღმდეგ“	180
„საქართველოს ლეიბორისტული პარტია საქართველოს წინააღმდეგ“	185
„იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“	185
„თალიკო თხელიძე საქართველოს წინააღმდეგ“	186
დასკვნა	200

